კვირის პალიტრა

N6 (296) 9/II-15/II.2006.

1168
2006

## ДАМРІГЕЗЕЛІ —
ФІЛОСОФІУРІ ПІЕСА ЕДУАРД СААКАШВІЛІС МОНАЦІЛЕОБІТ

## ПОЕТІС МУЗА
ANU ІОСЕБ ГРІШАШВІЛІС УКАНАСКНЕЛІ СІКУАРУЛІ ДА...

...ПІРВЕЛІ ХОРЕНІНЕБА 61 ЕЛІС АСАКШІ

## ЕКРАНС МІЛДА:
ЗАМТРІС ОЛІМПІУРІ ТАМАШЕБІ — САЗОГАДОЕБРІВІ АРХІС ЕКСКЛУЗІВІ

## ГЗАВНІЛЕБІ
— „ПЛАТОНІС" ГАЛДА ДА „ДАБОЛІЛІ" ШІМВЕЛІ ГОГОНЕБІ ПЛАЧЗЕ

## САКАТАРДЛО!... ОО!... ОООО!...
ЕЛІС ДЕЛІКАТЕСІ ANU ROLIS GADAIKCEVA TAKO KVAXAD...

## ТЕМА — ЧВЕЛАЗЕ ПОПУЛАРУЛІ АКРДАЛУЛІ ЕІГНЕБІ

# უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

თებერვლის ნომერში იხილეთ:

4 პოსტერი





## ნინო სალუქვაძე: „სროლის პრაქტიკა არავის აწყენდა...“

## „ბრედლი“ ომის ტაქსი

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

არიელ შარონი – კაცი, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტსაც ბრძოლისთვის იყენებდა...

№6 (296)
9 – 15 თებერვალი 2006
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
„Уходите вон!“ ანუ ალყაში მოქცეული რუსეთი 3
**პოლიტიკა**
ვის სასარგებლოდ „დატრიალდება მონეტა“ 4
**ინფორმაცია** 6
**სცენა**
„თითების თეატრის“ მძიმე „ბავშვობა“, თითისტოლა პრეზიდენტი და თბილისში „მეორედ მოსვლა“ 7
**თემა**
ყველაზე პოპულარული აკრძალული წიგნები 9
**ეკრანს მიღმა**
გამთრის ოლიმპიური თამაშები – საზოგადოებრივი არხის ექსკლუზივი 11
**დამრიგებელი**
ფილოსოფიური პიესა ედუარდ სააკაშვილის მონაწილეობით 12
**კრიმინალი**
- მკვლელობა ვაკეში – „დავუძახე და არ მომხედა. იქ რომ მივედი, ის უკვე სისხლში ცურავდა“ 14
- კრიმინალური ქრონიკა 15
- „დაგვემუქრნენ – სამივეს მოგკლავთო და იარაღი დაგვიმიზნეს“ 16

**ამპ
უა**
ერთ ალბობს ჰქვია „ქოლო“, მეორეს – „ევრორემონტი“ 18
**გზავნილები**
„ერთმა – გამაკოტრა, მეორემ – „გამაგიჟა“ ანუ „ბლატნოი“ ტალღა და „დაბოლილი“ შიშველი გოგონები პლაჟზე 20
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 23
**საპატარძლო**
წლის დელიკატესი ანუ როდის გადაიქცევა თაკო კვახად? 24
**ფსიქოლოგიური ეტიუდები**
ქალის წარმატების ხანა 27
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28
**დასტაქარი**
მამაკაცის წარმატების ხეჩინაშვილისეული რეცეპტი – კარგი მეუღლე, ცოტა ვარXიში და არავითარი სიგარეტი 30

# ყველაზე პოპულარული აკრძალული წიგნები



„მე მაშინ აკრძალული წიგნებიდან „მონანიებაც“ წავიკითხე და „ბიბლიასაც“ ხშირად ვკითხულობდი. წარმოიდგინეთ, ეს რომ მათ ყურამდე მისულიყო, რას მიზამდნენ!.. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ კომუნისტური იდეოლოგია ვერ შემიშლიდა ხელს, ჩემი ინტერესი დამეკმაყოფილებინა...“

9

# წლის დელიკატესი, ანუ როდის გადაიქცევა თაკო კვახად?

ჩვენი „საპატარძლო“, 22 წლის მომღერალი თაკო გაჩეჩილაძეა. გამოგიტყდებით, რომ ეს ინტერვიუ საკმაოდ იშვიათ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება: როგორც მაშვალი, ვალდებული ვარ, რესპონდენტი ვაქო და ვადიდო, მისი სისუსტეები კი, მაქსიმალურად დავფარო. მაგრამ თაკო ძალზე გულახდილი და უკომპლექსო აღმოჩნდა...

24

# ერთ ალბომს ჰქვია „ქოლო“, მეორეს – „ევრორემონტი“

„ამ ალბომებში გაერთიანებულია კომპოზიციები ჯგუფი „ზუმბას“ ცხოვრების ყველა ეტაპის რეპერტუარიდან. ეს არ არის ის მუსიკა, რომელსაც დღეს ვუკრავთ. სიახლეებია ჯგუფის შემადგენლობაშიც...“

18

# ფილოსოფიური პიესა ედუარდ სააკაშვილის მონაწილეობით

„ცხოვრება წინ მიდის და თანამდებობები იცვლება, ადამიანი კი იგივე რჩება. სხვათა შორის, მაშინ, ლევან მამალაძის შვილიც ჩვენს კლასში სწავლობდა, ვანო ზოდელავასიც. ვიტალი ხაზარაძის შვილიშვილი ჩვენს პარალელურ კლასში იყო...“

12

**რეკორდები**

ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32

**დღესასწაული**

მირქმა, მიგებება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 34

**პოეტის მუზა**

„ჩემი სიყვარული ზექვეყნიურია, წმინდა, უმწიკვლო და ჰაეროვანი...“ 35

**სენი**

„დავკარგე ყოველგვარი ფუნქცია და ასანთის ცარიელ კოლოფს დავემსგავსე“ 37

**ჯანმრთელობა**

- წვენები – უფროსებისთვისაც და ბავშვებისთვისაც 38
- ფეხები კოქრების გარეშე 39

**ასპარეზი**

ვლადიმერ ბარქაია – „ოქროს თაობის“ „ფეხბურთის არისტოკრატი“ 40

**რომანი**

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 44

**ვარსკვლავი**

პირს ბროსნანის სასტიკი განაჩენი 49

**ბომონდი** 51

**ავტოფანები**

საღ ასწავლიან მანქანის მართვას და საღ – ტარებას და რა განსხვავებაა შალვა ოგბაიძესა და ბილ გეიტსს შორის 53

**ნესები**

რამი იხდიან ფულს „პრავის“ აღების მსურველნი 55

**ავტო** 57

**სპორტული მოზაიკა** 58

**ნამდვილი ამბავი**

კუთხეში მიმწყვდეული დონქუანის „საჩუქარი“... 60

**სკანვორდი** 61

**ანეკდოტები** 62

**ტესტი**

იმსახურებთ თუ არა გარშემო მყოფთა სიყვარულს? 63

**...და ბოლოს** 64



გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
**მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8**
**ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com**
**ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“**


## მამაკაცის წარმატების ხეჩინაშვილისეული რეცეპტი

„ჩემი აზრით, კარგი მეუღლე მამაკაცისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ყოველგვარი კონფლიქტი, რომელიც შემოქმედი ადამიანის ირგვლივ ტრიალებს, ხელს უშლის მუშაობაში. ამას მტკიცებაც არ სჭირდება. საოცრად განათლებული ქალის გვერდით, ძალიან საინტერესო ცხოვრება გავატარე...“

30

## „ჩემი სიყვარული ზექვეყნიურია, წმინდა, უმწიკვლო და ჰაეროვანი...“

ახალგაზრდა გრიშაშვილი მუდამ შეყვარებული იყო. იგი სიბერემდე ვერ მოეკიდა ოჯახს. მის ლექსებსა და წერილებშიც თანდათან სულ უფრო ცხადდება განცდა ხანშიშესულობისა, მარტოობა შემაწუხებელი ხდება და 1950 წელს, 61 წლის პოეტს ცოლად მოჰყავს ცნობილი მომღერალი – ქეთო ჯაფარიძე.

35

## პირს ბროსნანის სასტიკი განაჩენი



ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: ჯეიმს ბონდმა (1995-2002) გზასაცდენილ შვილზე, კრისტოფერზე საქვეყნოდ უარი თქვა. „მე ვაჟიშვილი აღარ მყავს“, – საინტერესოა, პირს ბროსნანის ეს სიტყვები მის უსულგულობაზე მეტყველებს, თუ ეს ნარკომანი შვილის გადარჩენის ერთადერთი გზაა?!

49

## თქეში

წამით, ლანას თავბრუ დაეხვა და მამაკაცის ალერსს თავადაც აჰყვა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გამეტებით გაიბრძოლა და ლევანს ხელიდან დაუსხლტა.

– მოიცა, ლევან! – თითქოს, დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია მან შემდეგ და თან, ნელ-ნელა უკან დაიხია: – ჯერ მომისმინე!

44

# „Уходите вон!“

## ანუ ალუაში მიქცეული რუსეთი

ვირთხის დღეშია ჩავარდნილიო, — სწორედ რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზეა ნათქვამი. ისე, ჩვენც ნამეტანი მოგვივიდა, თქვენ ნუ მომიკვდებით: არიქა, დიდია და ხელს არ შემოგვიბრუნებსო და სულ წამოვაჯექით თავზე. ჯერ იყო და, მათ მიერ მოწოდებულ აირზე ვთქვით უარი, ჩვენკენ მომავალი გაზსადენი გადავუკეტეთ და ისეთი ენერგობლოკადა შევუქმენით, რომ აღარ იციან, სად წაიღონ ამდენი გაზი და აქეთ გვეხვეწებიან, სულ არ გვინდა ფული, ოღონდ წაიღეთო...

უმთავრეს ორ ფრონტზე ხომ დიდი ხანია, დავამარცხეთ... რა ვიცი, ჩვენი პრეზიდენტი ისე გაიძახის, რუსეთს საინფორმაციო ომი მოვუგეთო, ვითომ მთელი მსოფლიო ტელესივრცე თბილისის ანძაზეა შეერთებული, რუსული არხები გათიშული აქვს და მარტო „კურიერს“ და „ქრონიკას“ უყურებს...

ესეც არ ვიკმარეთ; ახლა კიდევ სამმაგი საშინელი დარტყმა მივაყენეთ და ბნელ სადარბაზოში შესულ კაცს რომ გაბრაზებული ვანდამი, ჯეკი ჩანი და ჩაკ ნორისი დახვდება, იმ კაცის მდგომარეობაც კი სჯობია კრემლის დღევანდელ ყოფას.

პირველი დარტყმა ის იყო, რომ დსთ-ის სამხედრო საბჭოდან გამოვედით და ამხელა პოლიტ-გიგანტის სამხედრო სიმძლავრე ისე „შევასუსტეთ“, რომ მტერსაც არ ვუსურვებ! აბა, წარმოიდგინეთ, რომ გაიგებენ მსოფლიოში, დსთ-ის შეიარაღებულ ძალებს ქართველი პარლამენტარების სარეზერვო ბატალიონი აღარ ჰყავსო, ვისღა შეეშინდება მაგათი?! თვალცრემლიანები გვეხვეწებოდნენ, არ დაგვღუპოთო, კირკიტაძის და არველაძის გარეშე, რა აზრი აქვს ჩვენს ჯარსო, მაგრამ ამაყად გამოვიჯახუნეთ კარი, ნატოშია ჩვენი ადგილი და არა დსთ-ის ჯარებში-თქო...

პირადად მე, არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას: ორი წელი ვიმსახურე რუსულ ჯარში და იმდენი რამე ვისწავლე, მთელი ცხოვრება რომ „გამომადგება“. მაგალითად, რით უნდა შეაზავო ტექნიკური სპირტი და ანტიფრიზი, რომ დასალევად ვარგისი გახდეს; რა ტემპერატურაზე უნდა გაახმო შავ პურზე წასმული ფეხსაცმლის „მაზი“, რომ მეორე დილით მძიმე „პახმელია“ არ გექნეს; და რაც მთავარია, გინება, გინება ხომ აუცილებელია მებრძოლისთვის: მტერი რომ მოდის, პირდაპირ ხომ არ ესვრი? ჯერ შეაგინებ, მერე, ისიც შეგაგინებს, ბრაზდები და ომსაც იგებ და მსოფლიო რეკორდსაც ამყარებ...

მეორე დარტყმა გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა: ჩვენმა პარლამენტმა ჯერ არნახული ერთსულოვნება გამოიჩინა და რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანა მოითხოვა კონფლიქტის ზონებიდან... ყველანაირად კაი მთავრობა გვყავს, მაგრამ ეს ერთი რამ ვერა და ვერ ვასწავლე: სწორად „აწვება“, მაგრამ არგუმენტებს იშველიებს უსუსურს. ახლაც ასეთი მიზეზი თქვა: — რანაირი სამშვიდობოები არიან, ყოველდღე თვრებიან და ერთმანეთს ესვრიანო... შე ოჯახაშენებულო, ერთმანეთს თუ ესვრიან, რაღა გაყვირებს?! შეიკეტე ოთახში და ფანჯრიდან უყურე სეირს. სროლის ხმა რომ შეწყდება, გამოდი გარეთ და აშკარად შეატყობ, რომ გაცილებით ცოტანი დარჩნენ. ე.ი. დაუწყიათ გაყვანა და ისაა...

მესამე დარტყმამ ხომ სულ ნოკაუტში ჩააგდო ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი: რაგბის მატჩში, რომელსაც პოლიტიკური ორთაბრძოლის ელფერი უფრო დაჰკრავდა, ვიდრე — სპორტულის, ისე დავჯაბნეთ რუსეთი, რომ საერთოდ დავუკარგეთ ყველაფრის ინტერესი.

ჰოდა, მეტი გაკვეთილი რაღა გვინდა, ერთი საკადრო ცვლილება გაგვიკეთებია თუ — ასი?! ამ მინისტრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დროებით დავასვენოთ და მათ ადგილებზე 2-3 თვით ჩვენი მორაგბეები დავნიშნოთ. ჯერ მარტო მეტსახელები აქვთ ისეთი, მტერს გული გაუსკდება: „ურაგანას“ — ჯარი ჩავაბაროთ, „ანტილოპას“ — უშიშროების საბჭო, „ცხოველა“ ელჩად გავუშვათ რუსეთში და ჩონგურივით ავაწყობთ საქმეს...

*P.S. მთავრობის სხდომაზე:*

*— მომახსენეთ, როგორ მიდის დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან?*

*— ბატონო პრეზიდენტო, შერკინება წარმატებით ჩავატარეთ, კიდევ ერთი გარდასახვა გავაფორმეთ და პუტინს მაგიდაზე ლელო დავუდეთ.*

*პროვოკატორი*

**საქართველოს ხელისუფლება რუს მშვიდობისმყოფელებს მუქარას მუქარაზე უთვლის და გაყრის „პერსპექტივას“ სთავაზობს. მოსკოვში კი, ომის დაწყების საფრთხეზე ალაპარაკდნენ... რა შემთხვევაში იქნება ხელისუფლების სარისკო, რადიკალური გადაწყვეტილება გამართლებული, რა პროვოკაციებს უნდა ველოდეთ რუსეთის მხრიდან და რა საფრთხე სდევს თან, კონფლიქტის მოგვარების საკითხში დასავლეთის მედიატორობას? — აი, კითხვები, რომლებზე პასუხებიც დღეს, ფაქტობრივად, თითოეულ ჩვენგანს აინტერესებს...**

# ვის სასარგებლოდ „დატრიალდება მონეტა“

ხათუნა მაღრაძე

**— როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე საკანონმდებლო ორგანოს პირველი პირები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი 15 თებერვალს. თქვენი აზრით, საბოლოო პოზიცია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული?**

**რამაზ საყვარელიძე,** *პოლიტოლოგი:*

— კარგია, რომ არ აკონკრეტებენ: მათ მოსაფიქრებლად დრო კიდევ ექნებათ. რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ გაყვანის საკითხს ორი მხარე აქვს და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის სასარგებლოდ „დატრიალდება მონეტა“. შესაძლებელია, რადიკალური გადაწყვეტილების შედეგად, მოვლენები ისე განვითარდეს, როგორც ჩვენ გვინდა, თუმცა, იმის ალბათობა, რომ ეს, ახალი კატაკლიზმების წყაროდ იქცეს, ძალიან დიდია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებულია საკითხი, არსებობს თუ არა გრძელვადიანი მოქმედების გეგმა, წვრილმანი დეტალების ჩათვლით, რომ ყოველგვარ შემთხვევითობას ავარიდოთ თავი.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლება ერთ კონკრეტულ გეგმაზე ჯერჯერობით არ შეჩერებულა...**

— მეც ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებას ყველაფერი დეტალურად ჰქონდეს გაწერილი, მაგრამ საჯაროდ ამ გეგმაზე არ ლაპარაკობს... ეს გასაგები და ლოგიკურია. პოლიტიკურად უფრო გაუგებარი ისეთი განცხადებებია, როგორიც რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა პარლამენტარმა გააკეთა, კერძოდ — „სამხრეთ ოსეთში“ კრიმინალური ფიგურების ასაყვანად, იგეგმება სპეცოპერაცია, რომელიც მიმართული იქნება კოკოითისა და მისი გუნდის წინააღმდეგ, რადგან კოკოითიც კრიმინალიაო. ასეთი მუქარის შემდეგ, დე ფაქტო პრეზიდენტის გარემოცვასთან ახლოს ჩავლილი ადამიანიც ხომ საკუთარ თავზე მიიღებს ამ განცხადებას და ყველაფერს გააკეთებს, რაც მისი შესაძლებლობის ფარგლებშია, რომ რუსი სამშვიდობოების გაყვანა ვერ მოხერხდეს. რატომ ვიჩენთ იმაზე მეტ მოწინააღმდეგეს, ვიდრე გვყავს?!. შეიძლება, ასეთი ჩანაფიქრი არსებობდეს, მაგრამ ყველაფრის აფიშირება მიზანშეწონილი არ არის. როგორც ჩანს, უკვე დაგვავიწყდა, რომ თავის დროზე, აფხაზეთში დაწყებული ექსპედიციაც კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით დაიწყო და ამან ომამდე მიგვიყვანა.

**— თუ სამშვიდობების გაყვანის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, თქვენი აზრით, შესაძლებელია, რუსეთი ღია აგრესიის განხორციელებაზე წავიდეს?**

— დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ მძიმე არტილერიას ვეღარ მოაყენებს როკის გვირაბთან. მაგრამ თუ დასავლეთმა ჩვენს მფარველობაზე ხელი აიღო და პირისპირ დაგვტოვა ჩრდილოელ მეზობელთან, რუსი მოქმედების ჩვეულ სტილს არ უღალატებს. ღია იერიშის გარდა, არსებობს „ბოევიკების“ გააქტიურების პერსპექტივაც: რუს სამხედროებს „პაგონებს“ მოხსნიან და ისე გადმოისვრიან კონფლიქტის ზონაში... აფხაზეთის ომის ბედი თავის დროზე, ასეთმა „ბოევიკებმა“ გადაწყვიტეს. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი.

**— ნუთუ შესაძლებელია, რომ ხელისუფლებას საკუთარი მოქმედების გეგმა სტრატეგიულ პარტნიორებთან არ ჰქონდეს შეთანხმებული?**

— როცა ერგნეთის ოპერაცია განხორციელდა, აღმოჩნდა, რომ ის დასავლეთთან შეთანხმებული არ იყო... ჩვენს უცხოელ პარტნიორებს თანამშრომლობის არც ერთ ეტაპზე არ უთქვამთ — რუსეთთან ძალის გამოყენებით მოგიგვარებთ პრობლემებსო. შეიძლება, სენატორმა მაკქეინმა და რამდენიმე სხვა პოლიტიკურმა ფიგურამ მსგავსი განცხადება გააკეთეს, მაგრამ ეს ადამიანები ამერიკის ოფიციალურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები არ არიან, ისინი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ... პარტნიორი ეცდება, დიპლომატიური, ეკონომიკური ბერკეტებით ამოგვიდგეს მხარში, მაგრამ თუ კონფრონტაციამდე მივიდა საქმე და სტრატეგიული პარტნიორი ფაქტის წინაშე დადგა, შესაძლოა, გიღალატოს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს თავად უნდა შესწევდეს უნარი, გაუმკლავდეს მოსალოდნელ აგრესიას. მე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ნებისმიერი მთავარსარდალი ომის დაწყებამდე, როგორც საკუთარ, ასევე მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს რეალისტურად უნდა აფასებდეს.

**— რუსი ექსპერტები, რუს პოლიტიკოსებს ურჩევენ, საქართველოს გვერდის ავლით, პირდაპირ დასავლეთთან აწარმოონ მოლაპარაკებები. რა დგას ამ დარიგების მიღმა?**

— ჩვენსა და რუსეთს შორის იმდენად დაძაბული ურთიერთობაა, ამ ორი ქვეყნის პირდაპირი კონტაქტი არაპროდუქტიულია. დასავლეთი, როგორც მედიატორი, ქართულ მხარესაც სჭირდება, მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და სუპერსახელმწიფო —

**სააკაშვილს სჩვევია, კონფრონტაციის შესაძლებლობები მაქსიმალურად გაზარდოს და ამის ხარჯზე, მშვიდობიანი გზით მიიღოს შედეგი**

ამერიკის შეერთებული შტატები „გაჭედილია“ ერაყსა და ავღანეთში; იწყება ირანული კამპანიაც, სადაც რუსეთი საკვანძო როლს თამაშობს. თავის მხრივ, ირანი — რელიეფით, ფანატიზმითა და მონოლითურობით — უფრო რთული ქვეყანაა, ვიდრე ერაყი. ეს აშშ-ის პირველმა პირებმა მშვენივრად იციან და სანამ ირანის საკითხის გადაწყვეტის საქმეში, რუსეთი ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, ამ ქვეყანასთან ურთიერთობის დაძაბვას მოერიდება. ეს არის საერთაშორისო პოლიტიკის ქვედა შრეები, სადაც ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად უნდა ჩაიხედოს. თუ დასავლეთი მზად არის, ორივე ფრონტზე ერთდროულად იბრძოლოს და ცხინვალის პრობლემის მოსაგვარებლად, ატომური იარაღის მქონე ქვეყანას დაუპირისპირდეს, — მაშინ ყველაფერი უფრო მარტივად მოგვარდება. საერთოდ, სააკაშვილს სჩვევია, კონფრონტაციის შესაძლებლობები მაქსიმალურად გაზარდოს და ამის ხარჯზე, მშვიდობიანი გზით მიიღოს შედეგი. აჭარაში მოვლენები სწორედ ასეთი სცენარით განვითარდა. ამ რეგიონში სიტუაცია უკიდურესად რომ არ დაძაბულიყო, აბაშიძე მშვიდობიანად არ წავიდოდა. მიხეილ სააკაშვილი რისკიანი მოთამაშეა, მაგრამ ყველა რისკს გათვლა უსდება.

**— თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ თუ სამშვიდობოები არ წავლენ, მათ ძალით გავყრით ცხინვალიდან. თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველო მზადაა, ძალისმიერი გზით, უფრო გახსნილად რომ ვთქვათ — ომით დაიბრუნოს კონფლიქტური ტერიტორია?**

— გივი თარგამაძე ლაპარაკობდა იმ შემთხვევაზე, თუ პარლამენტი მიიღებს დადგენილებას, რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე კანონგარეშედ გამოცხადდება და ისინი წასვლას მაინც არ მოინდომებენ... თუ შენი ქვეყნის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარი დგას, მის წინააღმდეგ ადგილობრივმა შენაერთებმა უნდა იბრძოლონ და განდევნონ, რაც რეალურად, ომის დაწყებას ნიშნავს. მაგრამ მე ეს სიტუაცია მოკრივეების შერკინებამდელ მუქარას მახსენებს, რადგან რინგზე ისინი არც ხერხემალში ამტვრევენ ერთმანეთს და არც თავებს უტეხენ... იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მუქარაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ომის ნაწილია და კონფრონტაციაში არ გადაიზრდება.

**— იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რეგიონში სიმშვიდის შესანარჩუნებლად, უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების შემოსვლა აუცილებელი იქნება?**

— თურქეთი, უკრაინა, ლატვია — სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მზად არიან, მაგრამ მათი შენახვის ხარჯები ჩვენს ბიუჯეტს ძალზე მძიმე ტვირთად დააწვება. საქართველოს უნდოდა, კონფლიქტის ზონაში გაეროს წარმომადგენლების შემოყვანა, მაგრამ ფინანსურად ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ვინმეს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ტერიტორიის გაკონტროლებაზე, სადაც უამრავი საბრძოლო ტექნიკაა თავმოყრილი და არაერთი კრიმინალური დაჯგუფება მოქმედებს.

**— ხელისუფლების წარმომადგენელები ორმხრივი საკონტროლო პოლიციის შექმნასაც არ გამორიცხავენ.**

— პოსტსაბჭოურ სივრცეშიც არსებობს კონფლიქტური ტერიტორიები, სადაც სამხედროების გარეშე, სიმშვიდე და სტაბილურობაა შენარჩუნებული.

**როცა რუსეთის ჯარს გამოუცხადებ, რომ უვარგისია და გააგდებ შენი ტერიტორიიდან, ის აუცილებლად ეცდება სიტუაციის ესკალაციას**

თუმცა, ცხინვალში მხოლოდ პოლიცია სიტუაციის გაკონტროლებას, ვფიქრობ, ვერ შეძლებს. როცა რუსეთის ჯარს გამოუცხადებ, რომ უვარგისია და გააგდებ შენი ტერიტორიიდან, ის აუცილებლად ეცდება სიტუაციის ესკალაციას, რომ საერთაშორისო საზოგადოებას დაანახვოს — აი, ჩვენი გამოსვლის შემდეგ, ცხინვალში მდგომარეობა გაუარესდაო!.. თუ ადგილობრივ მოსახლეობაში ვერ ნახეს საამისო ნიადაგი, 10-15 შეიარაღებულ პირს გადმოსვამენ, ისინი ერთმანეთს დაუწყებენ სროლას, ვიღაც „შემთხვევით“ დაიჭრება, ვიღაც ასევე „შემთხვევით“ შეიძლება დაიღუპოს კიდეც; ამას გაგრძელებაც მოჰყვება, რუსები კი ამ დროს, ცხინვალის რეგიონში „საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვას“ შეეცდებიან...

**— თქვენი ინფორმაციით, ადგილობრივი მცხოვრებლების რამდენი პროცენტია რუსეთის მოქალაქე?**

— როგორც ამბობენ, პასპორტები არავისთვის დაურიგებიათ — მხოლოდ ფარატინა ქაღალდები გადასცეს. მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საკითხით სპეკულირებისთვის 1 პროცენტიც საკმარისია.

**— სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში, ენერგომატარებლების გათიშვასთან ერთად, კონკრეტულად რა ხასიათის პროვოკაციებს უნდა ველოდეთ?**

— გაზის გათიშვა იყო თუ არა პროვოკაცია, ეს ძნელი სათქმელია. თუმცა, ეს თემა ჩვენ უფრო კარგად გამოვიყენეთ, ვიდრე რუსეთმა ჩაიფიქრა და სწორიც იყო. რაც შეეხება შემდგომ პროცესებს — ეს იქნება გრძელვადიანი ბლოკადა, როგორც ელექტრომომარაგების, ისე გაზმომარაგების სფეროში, კიდევ — სიტუაციის არევის მცდელობა იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურადაა დასახლებული არაქართველი მოსახლეობა, სისხლიანი შეტაკებები კონფლიქტის ზონაში, ზეწოლა ბიზნესსფეროდან — ქართული საწარმოების უდიდესი ნაწილი ხომ რუსეთის ხელშია, — გარდა ამისა, პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედება. ხომ ხედავთ, როგორ გააქტიურდა იგორ გიორგაძე!..

**— ექსმინისტრი აცხადებს, რომ წლის ბოლოს, უკვე საქართველოს ხელისუფლების სათავეში ვიხილავთ. ამით მან ოფიციალური რუსეთის სურვილი გაახმოვანა?**

— პოლიტიკური ბრძოლის გზით, მას საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არა აქვს. გიორგაძეს შეუძლია, სხვა პარტიებს წაართვას ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ეს საშიში არ არის — მთავარია ის, რომ მას და მის მომხრეებს აქვთ ფული და ჰყავთ სერიოზული მფარველი, რომელიც მიზნის მისაღწევად, მხოლოდ სამართლებრივ გზას როდი დასჯერდება... ■

## გიორგი ხაინდრავას განცხადებით, ხაკაშვილი-კოკოითის შეხვედრა არ შედგება

ხაინდრავას განმარტებით, ქართულმა მხარემ ედუარდ კოკოითს ოთხჯერ შესთავაზა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრა, მაგრამ ამ შეხვედრაზე თბილისმა ცხინვალისგან ოთხჯერვე უარყოფითი პასუხი მიიღო. „ახლა ჩვენ არა გვაქვს სურვილი, მონაწილეობა მივიღოთ სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის პიარ-კამპანიაში“, — აღნიშნა ხაინდრავამ. ედუარდ კოკოითმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის მზადყოფნის შესახებ განცხადება მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მან აგრეთვე დასძინა, რომ მზადაა, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ნებისმიერ ადგილას, გარდა თბილისისა.

## 2007 წლიდან აშშ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობას დახმარებას შეუმცირებს

ამ სიაში მხოლოდ უკრაინა და ყირგიზეთი არ მოხვდნენ, რომელთაც შეერთებული შტატები დახმარების მოცულობას გაუზრდის. პრეზიდენტ ბუშის მიერ აშშ-ის კონგრესისთვის გაგზავნილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, თუ მიმდინარე წელს, „ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელშეწყობის“ მუხლით, დახმარების საერთო მოცულობა 508,8 მლნ დოლარს შეადგენს, 2007 წლისთვის, ამ მიზნით მხოლოდ 441 მლნ დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული.

ამასთან, ყველაზე დიდ დახმარებას — 85 მლნ დოლარს — უკრაინა მიიღებს (2006 წელს, 83,1 მლნ). უკრაინის შემდეგ, მეორე ადგილს საქართველო და რუსეთი იყოფენ (58 მლნ); მესამე ადგილზეა სომხეთი (50 მლნ). 2006 წელს, ყირგიზეთს ამერიკამ 24,7 მლნ დოლარი გამოუყო, 2007 წელს კი, დახმარების მოცულობა 32 მლნ-მდე გაიზრდება.



გარდა ამისა, პრეზიდენტი კონგრესს სთხოვს, მომავალ წელს, აზერბაიჯანს — 28 მლნ, ტაჯიკეთს — 22 მლნ, ყაზახეთს — 19 მლნ, მოლდავეთს — 16 მლნ, უზბეკეთს — 15 მლნ, ბელორუსიას — 10 მლნ, თურქმენეთს — 5 მლნ დოლარი გამოუყოს. ჩვეულებრივ, აშშ-ის ბიუჯეტის აღნიშნული მუხლით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიული და საბაზრო რეფორმების, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების მხარდამჭერი პროგრამები ფინანსდება.

## კანონი რეხტიტუციის შეხახებ და ლტოლვილები

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ზინაიდა ბესტაევას განცხადებით, 1991 წელს, ლტოლვილის სტატუსით ვლადიკავკაზში 78 ათასი ადამიანი იყო დარეგისტრირებული. მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი ქვეყანაში მათი დაბრუნების ინიციატივით გამოვიდა, დღემდე შემოსულია 97 ადამიანის განაცხადი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურს.

ბესტაევას განცხადებით, უკვე 5 ოჯახს მიღებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა; ერთ-ერთი მათგანის წევრები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან, ხოლო დანარჩენ ოთხს — ორმხრივი მოქალაქეობა აქვს. „მას შემდეგ, რაც რესტიტუციის შესახებ კანონი ამოქმედდება, ვფიქრობ, რომ დამბრუნებელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, ვინაიდან მათ გარკვეული გარანტიები ექნებათ“, — აღნიშნა ზინაიდა ბესტაევამ.

## გუდაური-ყობის მონაკვეთზე ყვლავ ზვავხაშიშროებაა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაურიკობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა მოსალოდნელი. ამის გამო, ამ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. მლეთა-გუდაურისა და კობი-ლარსის მონაკვეთებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია. დიდთოვლობის გამო, გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 88-98 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე მოძრაობა თავისუფალია.

## „წყალკანალის“ პროფილაქტიკური სამუშაო

შპს „თბილწყალკანალმა“ გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის პერიოდში წყალმომარაგების სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, პროფილაქტიკური და აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ამ მიზნით, თითო დღით შეუწყდება წყლის მიწოდება ცალკეულ რაიონებს, ზოგს კი წყალი დაბალი წნევით მიეწოდება. როგორც საწარმოში აცხადებენ, წყალმომარაგების შეწყვეტის დროს, მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს სასმელი წყლის ავზებით, რომლებიც შესაბამის რაიონებში განთავსდება.

სამუშაოებისთვის დაგეგმილია წყალსადენის სამგორის სათავე ნაგებობის გამორთვა და საფილტრე სადგურში ელექტრომექანიკური მოწყობილობის, სასმელი წყლის რეზერვუარების მასშტაბური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება. პარალელურად, სანიტარულ ზონაში სამ ადგილზე, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში ხუთ ადგილზე გათვალისწინებულია მაგისტრალური ქსელების გადართვისა და საავარიო-აღდგენითი ღონისძიებები.



რუბრიკა მომზადებულია საგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

**იქ, სადაც სიტყვები ზედმეტია, ყველაფერს თითები გვეტყვიან... „თითების თეატრში“ ახალგაზრდა მსახიობები, ხელის მტევნების მოქნილი მოძრაობით მთელ სპექტაკლს თამაშობენ. ექსტრავაგანტურ სანახაობას სახელიც შესაფერისი აქვს — სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“ რამდენიმე ეტიუდისგან შედგება. მინიატიურულ სცენაზე, მაყურებელს შეუძლია, თითებით გაცოცხლებული კარმენიც ნახოს და ამავე „მსახიობების“ მიერ გათამაშებული ეროტიკული სცენაც. აღსანიშნავია, რომ „თითების თეატრს“ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. დასი თბილისში სულ ცოტა ხნის წინ დაბინავდა, ყველაფერი კი 18 წლის წინ, ბათუმში დაიწყო...**

# ...ითითების „თეატრი“, ...ითითების ...ეზიდენტი და ...ეტილების ...ელვა...

ემა ტუხიაშვილი

**ბესო კუბრეიშვილი,** *„თითების თეატრის“ რეჟისორი:*

— „თითების თეატრის“ შექმნის იდეა სრულიად შემთხვევით, ბათუმში, ბავშვთა ხელოვნების სტუდიაში გაჩნდა. ამ სტუდიის ხელმძღვანელი გახლდათ ნინო ნიჟარაძე, რომელმაც შემომთავაზა, სტუდიის საკვირაო ჯგუფთან ერთად, სადაც 18 გოგონა დადიოდა, რაიმე ორიგინალური სანახაობა გამეკეთებინა. მახსოვს, საიდანღაც მოვიტანეთ სამზარეულო მაგიდა, რომელიც სცენად გამოვიყენთ და თითებით დავდგით 15-წუთიანი ეტიუდი. მოგვიანებით კი, 1991 წელს, თვითონ გავხსენი თეატრალური სტუდია ბათუმში, სადაც ახალ მოსწავლეებთან ერთად, ძველი სტუდიის წევრებიც შემომიერთდნენ და დავიწყეთ ექსპერიმენტები თითებით. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ იყო „თითების თეატრი“ — ვდგამდით არავერბალურ სპექტაკლებსაც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლის დროს, 18-20 ბავშვი დადიოდა სცენაზე და მუსიკის თანხლებით, რაღაცას ამსხვრევდა, აჭედებდა... ამ სპექტაკლის სანახავად მოსულმა ერთ-ერთმა ჩემმა ახლობელმა შეიცხადა კიდეც: აუფ, სულ გაუფრენია ამ აბდალას, რაებს აკეთებსო!.. შემდეგ მოხდა ისე, რომ ამ თეატრალური სტუდიის მოსწავლეები თბილისში წამოვიდნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ, სწორედ ეს სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის წინაშე ეთამაშათ. მართალია, თავდაპირველად, თუმანიშვილს ტექსტი მოუთხოვია, მაგრამ შემდეგ უთქვამს: ტექსტი რად უნდა — სპექტაკლი იმდენად ქმედითიაო!.. მოგვიანებით, ბატონმა რობერტ სტურუამ დადგა არვერბალური სპექტაკლი „სთიქსი“, რომელიც ტელევიზიითაც უჩვენეს არაერთხელ. ამის შემდეგ, ჩემმა ახლობელმა, რომელმაც ამის გამო გიჟად შემრაცხა, დამირეკა და ბოდიში მომიხადა: „სტურუასთვის დაგისწრია, თურმეო... შემდეგ, დავდგი სპექტაკლი „ბეკეტი“, სადაც ხანდაზმული მსახიობები ვათამაშე, მათ შორის ერთ-ერთი, სანდრო ახმეტელის მოსწავლე გახლდათ. ამ მსახიობებს შორის ყველაზე ახალგაზრდა კი, 76 წლის იყო. სპექტაკლი მაყურებელმა სარდაფში ნახა, იგი 35 წუთს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში, სცენიდან მხოლოდ 12 წინადადება გაისმა. როდესაც სპექტაკლი დამთავრდა, ყველა მოდიოდა და მეკითხებოდა: ახლა ანტრაქტია და ამის შემდეგ, თითების ჩვენება იქნებაო? რატომღაც ყველას ეგონა, რომ ჩემი რეპერტუარი ამით უნდა დაწყებულიყო და დამთავრებულიყო... ცნობილმა დრამატურგმა, ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ ერთხელ მირჩია, რომ ერთი მიმართულება ამეღო და „თითების თეატრი“ დამეარსებინა. მანვე დაგვითმო მსახიობის სახლის შენობა ბათუმში, რომლიდანაც ასლან აბაშიძემ მალე გამოგვასახლა...

— **რა მიზეზით?**

— საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ ეს შენობა ძალზე ახლოს იყო უზენაეს საბჭოსთან და ფაქტობრივად, მისი კაბინეტის ფანჯრებს გადავყურებდით. მისი უსაფრთხოებისა და დაცვის თვალსაზრისით, ჩვენი სტუდიის ამგვარი ადგილმდებარეობა მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა, სხვა შენობა მოგვცეს, სადაც 5 წელი ვისხედით. ვისხედითმეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იმ შენობაში, ამის გარდა, სხვა რამის კეთება წარმოუდგენელი იყო: შენობა, სადაც ოდესღაც აჭარის კომკავშირის კლუბი იყო, საფუძვლიან რემონტს საჭიროებდა, თითქმის ყველგან ყრილი იყო პარკეტი. ჩვენ, თვითონ გავიყვანეთ ელექტროსადენები, კედლებზე ჩამოვაფარეთ ცელოფანები, ქარს რომ არ შემოეღწია... ასეთ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, როდესაც ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, ჩაბნელებული დარბაზიდან რაციის ხმა მომესმა. ავანთე სინათლე და დავინახე, რომ მაყურებელთა რიგებიდან, სპექტაკლის რეპეტიციას ასლანის შვილიშვილი, დიანას შვილი გიორგი და მისი დაცვის წევრები ადევნებდნენ თვალს. ბავშვს მივესალმე და ხელი ჩამოვართვი. ამ ჟესტმა ძალიან გააღიზიანა დაცვა, ვინაიდან ასლანს სულ ეშინოდა, რომ ვიღაცას ის ან მისი ოჯახის წევრები არ მოწამლა... როგორც გაირკვა, ჩვენს თეატრალურ სტუდიაში დიანა აბაშიძის ნათლული სწავლობდა, გიორგიც სწორედ მის სანახავად მოსულა. ამის შემდეგ, ის ხშირად ესწრებოდა რეპეტიციას. ერთ დღესაც, ჩვენი თეატრის კარი გაიღო და თვით ბატონი ასლანი გვესტუმრა. გაუკვირდა: აქ რა ხდება, მუშაობა ჯერ არ დაგიწყიათო?!. როგორც უკვე გითხარით, შენობაში უკვე 5 წლის გადასულები ვიყავით. მერე გვითხრა — ბავშვი ყოფილა თქვენთან მოსული, მეხვეწება: თეატრის დირექტორობა მინდაო; დირექტორობა არა, მაგრამ ამ თეატრის პრეზიდენტობას დავპირდიო, — დაახლოებით ასე გადმოგვცა ასლან აბაშიძემ თავისი ნება-სურვილი. მივხვდი, რომ ჩვენი საქმე ცუდად იყო, მაგრამ რა უნდა მექნა? ვუპასუხე: თუ პრეზიდენტი თავის მოვალეობას კარგად შეასრულებს, კი ბატონო-მეთქი. მეორე დღესვე დაიწყეს რემონტი...



**— ხომ ვერ მეტყვით, რა ასაკის იქნებოდა იმ დროს ასლან აბაშიძის შვილიშვილი — თქვენი თეატრის პრეზიდენტი?**

— როგორც მახსოვს, ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა... შენობის რემონტი 2 წელი გაგრძელდა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. სხვათა შორის, ასლანს ეს ახასიათებდა: რაღაცას დაიწყებდა და შემდეგ, სხვა რამეზე გადაერთვებოდა ხოლმე... იმ დროს მომთხოვა შენობის გახსნა, როდესაც მაყურებელთა დარბაზში ერთი სკამიც არ იდგა, თუმცა გვქონდა 16 ტუალეტი და 50 საშხაპე, თან ყველაფერი მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული... მართალია, თეატრის გახსნა გაიმართა, მაგრამ მოსული სტუმრები შენობაში, იქ არსებული დისკომფორტის გამო, ვერ შეევუშვი, პატარა წარმოდგენა გარეთ მოვაწყვე, რამაც ჩვენსა და ასლანს შორის კიდევ ერთი ბზარი გააჩინა. მოგვიანებით, თვითონ ვიშოვე სკამები დარბაზისთვის და გადაწყდა, რომ გასტროლებზე ჩამოსული სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე ჩვენთან ითამაშებდნენ „სტალინს“. ერთ-ერთ სპექტაკლზე, ასლან აბაშიძემაც გადაწყვიტა მოსვლა და სპეციალურად ორი რიგი შევუნახე. როდესაც დაჯდომა შევთავაზე, უკმაყოფილოდ მკითხა — რატომ არ დაპატიჟეთ სპექტაკლზე თეატრის პრეზიდენტი?.. პატარა დარბაზში, სადაც მის შემოსვლას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა, თითოეული სიტყვა გარკვევით ისმოდა. მეც ვუპასუხე: ბატონო ასლან, მე მიმაჩნია, რომ ეს სპექტაკლი არ არის საბავშვო, მაგრამ თუ თქვენ ასე არ ფიქრობთ, ეს უკვე თქვენი პრობლემაა-მეთქი. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო... ბათუმის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს მივეცი ინტერვიუ, სადაც გავაქარწყლე იმ დროს არსებული ყველა ილუზია, თითქოს ბათუმში კულტურული ცხოვრება აყვავებას განიცდიდა. სრული აბსურდი იყო: ჩვენს სპექტაკლებზე ბილეთს ერთ ლარადაც ვერ ვყიდდით. სხვათა შორის, მაშინ ეს ჟურნალისტი გავაფრთხილე კიდეც: იცოდე, ამის გამო, შენც დაგიჭერენ, მეც დამიჭერენ და ტრიფონსაც დაიჭერენ-მეთქი... სწორედ ასეთი სათაურით დაიბეჭდა გაზეთში ეს ინტერვიუ. ამის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ ის შენობაც უნდა დამეტოვებინა, გასალები ჩავაბარე და საცხოვრებლადაც თბილისში გადმოვედი.







**— ასლან აბაშიძის წასვლის შემდეგ მაინც რატომ არ დაბრუნდით ბათუმში?**

— დავბრუნდი და აჭარის კულტურის მინისტრსაც შევხვდი. ყველაფერს დამპირდა, იმასაც, რომ „თითების თეატრს“ ისევ დაბრუნებდა შენობაში, საიდანაც აბაშიძის გამო მოგვიხდა წამოსვლა. თუმცა, საუბრის ბოლოს დასძინა: ახლა „პირველს“ შევხვდები და ყველაფერს მოვაგვარებო. ამის თქმა ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა. ისევ ასლანის პოლიტიკა: ვინ — პირველი და ვინ — ოცდამეცამეტე... თუმცა, ყველაზე საინტერესო ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში მოხდა, როდესაც გაზეთი გადავშალე და ამ მინისტრის ინტერვიუს გავეცანი, სადაც ამბობდა, რომ „თითების თეატრი“ კომერციული სტრუქტურაა და შენობაზე თავად უნდა იზრუნოსო.

**— თეატრში, პროფესიონალი მსახიობების ნაცვლად, ბავშვები გყავთ დასაქმებული. რატომ?**

— მათთან მუშაობა უფრო ადვილია: ერთ-ორს დაუყვირებ და „სმირნაზე“ დგანან... გარდა ამისა, ახალგაზრდებისგან ძალიან საინტერესო იმპულსები მოდის, ზოგს სცენის განათებასთან დაკავშირებით აქვს საინტერესო მოსაზრება, ზოგს — მოულოდნელად ისეთი ილეთი აფიქრდება, გაოგნდები კაცი. ჩვენი თეატრის წევრებს შორის, ცნობილი ილუზიონისტის, ზურაბ ვადაჭკორიას ვაჟიცაა. ტექნიკურად ყველაზე რთულად შესასრულებელია თითებით ცეკვა „რივერ-დანსი“, რომელშიც სინქრონულობის დაცვა აუცილებელი პირობაა, ამიტომ იძულებული გავხდი, მსახიობებისთვის ჯოხი მიმეცა. მოულოდნელად, ზურას ბიჭი მეუბნება: ბატონო ბესო, გინდათ, ცეკვის დროს, ეს ჯოხი გავაქროო? — და გააქრო! ისე კარგად გამოუვიდა, რომ ეს მომენტი სპექტაკლშიც შევიტანეთ. ამიტომაც მომწონს ბავშვებთან მუშაობა — მათგან დადებითი და ენერგიული იმპულსები მოდის. მოიყვანე ახლა სახალხო არტისტები და „ეფერე“ იმათ ამბიციებს!..

**— მსახიობის შერჩევისას, აუცილებელი პირობა ალბათ, ხელის მოქნილი მტევანია, ხომ?**

— როდესაც მსახიობის შერჩევა ხდება, ხელებზე არც კი ვუყურებ — აუცილებელია, ჰქონდეს სმენა და რიტმის გრძნობა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უნდოდეს ამ საქმის კეთება. დანარჩენს აქ ვასწავლით.

**— თითების კოსტიუმებზე ვინ მუშაობს?**

— რამდენიმე კოსტიუმი ჩვენი თეატრის ძველი რეპერტუარიდანაა შემორჩენილი და მათი ავტორი, ბათუმის ბავშვთა ხელოვნების სტუდიის ხელმძღვანელი, ნინო ნიჟარაძე გახლავთ. კოსტიუმების შექმნაზე მთელი დასი ვმუშაობთ, მეც ვკერავ და ბავშვებიც. ცოტა ხნის წინ, ჩვენი სპექტაკლის რეპერტუარს შევმატეთ მოდების ჩვენება — „ფეშენ-თითი“, რომლის კოსტიუმებზე მუშაობაც ცალკე სანახაობა იყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თეატრის მთელი გარდერობი ერთ პატარა ჩანთაში თავსდება. თუმცა, ამის მიუხედავად, დაძაბულ სამუშაო პროცესში, ჩვენთანაც ნახავთ სიჩქარისგან აქა-იქ მიმოფანტულ კოსტიუმებს, ისე, როგორც ეს დიდ თეატრებში ხდება...

**— როგორც ვიცი, მრავალ ქვეყანაში ხართ გასტროლებზე ნამყოფი...**

— ნამყოფი ვართ: თურქეთში, ისრაელში, ინგლისში, საფრანგეთში, აზერბაიჯანში. ჩვენი თეატრის პირველი გასვლა საზღვარგარეთ დაემთხვა თოჯინების თეატრების მსოფლიო ფესტივალს საფრანგეთში, ქალაქ შარლევილმეზირში. ამ ფესტივალში 970 დასი მონაწილეობდა და ჩვენ 456-ე ნომრად გამოვდიოდით. სპექტაკლი გემის ტრიუმზე ვითამაშეთ და მაყურებელი თავიდან ვერ მიხვდა, ვინ გამოდიოდა მათ წინაშე მინიატიურულ სცენაზე... ეს ფესტივალი 3 წელიწადში ერთხელ იმართება და მასზე დასასწრებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან პროდიუსერები, მენეჯერები და სარფიან გარიგებებსაც დებენ. ბევრი მათგანი დაინტერესდა „თითების თეატრით“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით ამგვარად დადგმულ ცალკეულ ეტიუდებს. მაშინ ბევრი მენეჯერი დაგველაპარაკა, გვთხოვდნენ — თქვენი „იმეილი“, ფაქსის ნომერი ჩაგვაწერინეთო... წარმოიდგინეთ — 1997 წელი დგას, რა ფაქსი, რის იმეილი, ბათუმში ვცხოვრობთ და ქსეროქსზე გადაღებული პლაკატების გარდა, არაფერი გაგვაჩნია!.. ამის გამო, ბევრი სარფიანი წინადადება დავკარგეთ... მაგრამ სახლში მაქვს პლაკატი, რომელიც ბათუმიდან წამოვიღე და მასზე გაკეთებული წარწერა ჩემი ცხოვრების წესად იქცა: „არ გაცვალო თავისუფლება მონობაზე!“ ■

# ყველაზე პოპულარული აკრძალული წიგნები



**წინათ, ბიბლიოთეკაში რომ შეხვიდოდი, ხშირად, სასურველი წიგნისთვის რიგში დგომა გჭირდებოდა. ახლა კი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა უსაქმურობისგან მოიწყინეს და ასჯერ წაკითხულ წიგნებს ასმეერთედ კითხულობენ... არ ვიცი, წიგნის მიმართ ინტერესის დაკარგვა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია თუ რაიმე სხვა ფაქტორებმაც იქონია გავლენა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ხალხმა წიგნები მიივიწყა და მხოლოდ ერთეულები თუ გადაფურცლავენ და წაიკითხავენ, ისიც — კლასიკოსთა ნაწარმოებს. ამის თქმის საფუძველს ჩემ მიერ გამოკითხული ადამიანები მაძლევენ, მაგრამ ვიდრე მათ კომენტარს გაგაცნობთ, მანამდე ერთ-ერთ ჩვეულებრივ, რიგით ბიბლიოთეკაში შევიხედოთ.**

## მარი ჯაფარიძე

*როგორც მოველოდი, დარბაზი ცარიელი აღმოჩნდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები კი ერთ მომცრო ოთახში, ელექტროქურასთან მიმსხდარიყვნენ, თბებოდნენ, ყავას მიირთმევდნენ და ვინ იცის, მერამდენედ, დღევანდელ პოლიტიკურ-სოციალურ მდგომარეობას მიმოიხილავდნენ. ჩემმა გამოჩენამ ყველა გამოაცოცხლა, იფიქრეს, რომ მკითხველი ვიყავი და აფუსფუსდნენ... ჩემი მისვლის მიზეზი რომ გავუმხილე, გაიღიმეს და ამოიოხრეს...*

*ქ-ნი* **თამრიკო**:

— ეჰ, ჩემო კარგო, წიგნი ვის რაღად უნდა? აღარ კითხულობს ხალხი წიგნებს. ახლა კინოთეატრში დადიან, კომპიუტერში „ჩეთაობენ“, ტელეფონით „მესიჯობენ“ და ბირჟას ამაგრებენ. ადრე ჩვენთან ხალხის ტევა არ იყო, მაგიდასთან ხანდახან 3-4 ადამიანი ერთდროულად იჯდა. მახსოვს, ზოგიერთ წიგნზე რიგი იყო. ერთი ადამიანი რომ წაიღებდა, მეორე მოუთმენლად ელოდა, როდის დააბრუნებდა წიგნს. ახლა იშვიათად თუ ვინმე შემოივლის. ჩვენს მომხმარებელს ზეპირად ვცნობთ. ადრე, გარკვეულ ლიტერატურას მხოლოდ დარბაზში საკითხავად თუ გავცემდით ხოლმე და შინ არ ვატანდით. ახლა კი, ოღონდ ვინმე წიგნით დაინტერესდეს და ლამის ჩვენ თვითონ მივუტანოთ სახლში.

**— მაინც, რა სახის ლიტერატურაზე იყო უფრო მოთხოვნა?**

— ვის რა მოსწონდა: უფრო, დეტექტიური ჟანრის წიგნებს ეტანებოდნენ და კლასიკოსთა ნაწარმოებებს. იცით, რამდენი ხანია, შექსპირის ნაწარმოებები აღარავის უკითხავს?.. ახლავე მოგიძებნით რომელიმე წიგნს და ყდაზე მიმაგრებულ სპეციალურ ფურცელზე ვნახოთ. აგერ, „რომეო და ჯულიეტა“. ხედავთ? ბოლოს, მკითხველს 2001 წლის დეკემბერში წაუკითხავს. სტუდენტების ტევა არ იყო ხრლმე. აქვე ამუშავებდნენ თემებს და ხანდახან, გვიან ღამემდეც კი ვრჩებოდით. განსაკუთრებით, სესიების დროს.

**— წელან, დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა ახსენეთ. თუ გქონდათ ქართველი მწერლების დეტექტიური ნაწარმოებები?**

— მაგალითად, გვქონდა გიორგი სანადირაძის რამდენიმე გამოცემა. წინათ არსებობდა ისეთი წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყო. მაგალითად, „მონანიება“, „მგლის ბილიკი“ და სხვა. ხალხი ამ წიგნებს დიდი ინტერესით კითხულობდა, ხშირად ჩვენთანაც თხოულობდნენ, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა. ეს ორივე წიგნი კრიმინალების ცხოვრებას აღწერდა. ნაწარმოებში მთავარი გმირები დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ და ავტორებს ისე ჰყავდათ აღწერილი, რომ მათ მიმართ მკითხველს გარკვეული სიმპათიაც უჩნდებოდა. ამის გამო, კომუნისტები ასეთი წიგნებს შეზღუდული ტირაჟით გამოსცემდნენ. აბა, ბიბლიოთეკაში ვინ მოიტანდა?!.

**— ახლა ალბათ აღარავინ ზღუდავს. არც ახლა გაქვთ?**

— ძველად, როგორც კი ახალი წიგნი სტამბის კედლებს გამოსცდებოდა, ყველა ბიბლიოთეკა იღებდა... ახლა კი, იცით, რამდენი ხანია, ახალი წიგნი აღარ მიგვიღია?!.

*ბიბლიოთეკიდან გამოსულმა, გადავწყვიტე, ხალხს გჯსაუბრებოდი. საამისოდ კი, განსხვავებული ასაკის ადამიანები შევარჩიე და დასმულ კითხვებზე პასუხებიც შესაბამისად, განსხვავებული მივიღე.*

**დალი**, *20 წლის, სტუდენტი*:

**— კითხვა გიყვართ?**

— კი, კითხვა მიყვარს, მაგრამ დრო არ მაქვს, რომ ბევრი ვიკითხო. საღამოობით, ძილის წინ თუ ვახერხებ, რომ 1-2 გვერდის წაკითხვა მოვასწრო. ამ დროს, როგორც წესი, უკვე ლოგინში ვარ და დაწოლილი ვკითხულობ ხოლმე. ამიტომ, მალე მეძინება და წიგნი ხან ცხვირზე მაფარია, ხან — იატაკზე მივარდება. ადრე, როცა დენი ცუდად მოგვეწოდებოდა, სხვა რა საქმე მქონდა?! ვიჯექი სანთლის შუქზე და ვკითხულობდი. ახლა კი, ტელევიზორში მაგარ გადაცემებს ვუყურებ, ჟურნალების კითხვით ვერთობი და წიგნებისთვის დრო აღარ მრჩება.

**— ახლა რას კითხულობთ?**

— ახლა, „ფორსაიტების საგას“. მაგრამ უკვე 4 თვე იქნება, რაც მისი კითხვა დავიწყე და ჯერ 50-ე გვერდს არ გავცილებივარ...

**— დეტექტიური ჟანრის წიგნები თუ გიყვართ?**

— არა, არ მიყვარს. ყოველთვის წინასწარ ვხვდები, რა მოხდება, ვინ იქნება დამნაშავე და უკვე აღარ არის საინტერესო...

**ლუკა**, *40 წლის, ადვოკატი*:

— კითხვა ძალიან მიყვარს. საღამოობით, შინ რომ მივალ, ჯერ ახალ ჟურნალ-გაზეთებს გადავავლებ თვალს, მერე, ტელევიზიით საინფორმაციო გადაცემებს ვუყურებ, თუ სამუშაო არ მაქვს და მეორე დღეს პროცესზე გამოსვლა არ მიწევს, ჩემს ოთახში, საქანელა-სავარძელი მაქვს, ჩავჯდები ხოლმე და წიგნის კითხვას ვიწყებ.

**— რას კითხულობდით მოსწავლეობის ან სტუდენტობის დროს?**

— მაშინ, ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდებოდა. მეგობრები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ხოლმე, ვინ მეტ წიგნს წაიკითხავდა. თუ ახალი, უცნობი ავტორის წიგნს ჩავიგდებდით ხელში, სიხარულით აღარ ვიყავით ხოლმე, რადგან ბოლომდე რომ წავიკითხავდი და მეორე დღეს მეგობრებს ვნახავდი, ვიკითხავდი: აბა, ესა და ეს წიგნი თუ გაქვთ წაკითხული-მეთქი?! ერთ რამედ ღირდა იმის შეგრძნება, რომ მხოლოდ შენ გქონდა წაკითხული. მოკლე შინაარსს მოჰყვებოდი და ყველა სულგანაბული გისმენდა. მახსოვს, ზოგჯერ ერთიორი დღით ვიშოვიდით იშვიათ წიგნს და მის კითხვაში ღამეებს ვათენებდით... ახლა? დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდებს წიგნები აღარ აინტერესებთ და არც არავინ გაათენებს ღამეს კითხვაში. „ჩეთაობაში“ — კი, ბატონო, თუ გინდა, ერთი კვირა გადაბმულად არ დაიძინებენ და „იჩეთავებენ“.

**— ამჟამად რას კითხულობთ?**

— ამჟამად, ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, ოღონდ არ გეგონოთ, რომ პირველად. უკვე მერამდენედ ვკითხულობ, მაგრამ არა და არ მწყინდება...

**ჯოგა**, *19 წლის, სტუდენტი:*

— ბავშვობაში, ძალიან მიყვარდა კითხვა, მაგრამ მაღალ კლასებში, უკვე სწავლასაც მოვუკელი და წიგნების კითხვასაც. 4-5 წელი იქნება, რაც არაფერი წამიკითხავს. ბოლო წიგნი, რომელიც წავიკითხე, იყო დეტექტივი — „მონანიება“, ისიც იმიტომ, რომ მთავარი გმირის — საშკა ჩერქეზის პროტოტიპი, ნამდვილი კრიმინალური ავტორიტეტი იყო და ამბავიც ნამდვილი მოვლენა იყო, წიგნად დაწერილი...

**მარინა**, *45 წლის, პედაგოგი:*

— ჩემი თაობის ახალგაზრდები უფრო მეტს ვკითხულობდით. არ არსებობდა წიგნი, რომელიც ჩემი ყურადღების მიღმა დარჩებოდა. მახსოვს, იმასაც კი ვცდილობდით, რომ რუსი კლასიკოსები თარგმანში კი არ წაგვეკითხა, არამედ — დედანში, რუსულად. მე ქართული ენის მასწავლებელი ვარ, სკოლაში ვმუშაობ და ყოველდღიურად მიწევს ბავშვებთან კონტაქტი. მათი 70% წიგნებს არ კითხულობს. როგორ შეიძლება, რომ მეათეკლასელ ბავშვს არ ჰქონდეს წაკითხული 10 წიგნი მაინც?! ამას წინათ, გაკვეთილზე სომერსეტ მოემი ვახსენე. ამ მწერლის სახელი გაგონილიც კი არავის ჰქონდა... შესვენებებზე ერთმანეთს ფილმების შინაარსს უყვებიან ან „ჩეთში“ ვინ ვის რა უთხრა. ჯერ არ მახსოვს, რომ მათ რომელიმე წიგნზე ემსჯელათ... მახსოვს, წლების წინ, ერთი მოსწავლე გავიძახე. იმ დღეს „ბაში-აჩუკის“ პირველი თავი ჰქონდათ სასწავლი. გამოვიდა ეს ბავშვი და ნაწარმოების მოყოლას იწყებს ისე, როგორც ეს ფილმში ხდება — არადა, მოგეხსენებათ, ფილმისა და ნაწარმოების დასაწყისი აბსოლუტურად განსხვავებულია. ვისაც გაკვეთილი ნასწავლი ჰქონდა, იმ ბავშვებმა სიცილი დააყარეს. მერე ერთმა დაუძახა — სიმღერით უნდა დაგეწყო, ფილმი სიმღერით იწყებაო... აი, ასეა ახლა. ჩემს დროს კი, ღამეებს ვათენებდით ხოლმე, რომ დაწყებული წიგნი დაგვემთავრებინა... მახსოვს, სტუდენტობისას სოფელში, ბებიასთან წავედი. იქ ერთ გოგოსთან ვმეგობრობდი და როცა ჩავდიოდი, გვერდიდან არ მშორდებოდა ხოლმე. იმ დღესაც შევეხმიანე და მხოლოდ სახლიდან გამომეპასუხა. მე თვითონ მივაკითხე და ვხედავ, მაგიდასთან ზის და გამწარებული, რაღაცას კითხულობს. თურმე სოფელში ვიღაცას მოუტანია „მონანიება“ და ამ ერთ წიგნზე რიგი იყო. მხოლოდ 2 დღით ათხოვებდნენ და რიგში მომდევნო ვინც იყო, ის თავად არ დაგიტოვებდა მეტი ხნით. მოდიოდა და მიჰქონდა. ამიტომ, წაკითხვა 2 დღეში უნდა მოგესწრო. დავინტერესდი, რა იყო ასეთი. ჩემს მეგობარს ვთხოვე, რომ წიგნი ერთი ღამით ეთხოვებინა. სულმოუთქმელად წავიკითხე. ძალიან მომეწონა და ქალაქში დაბრუნებულმა, მეგობრებს რომ ვუთხარი ასეთი წიგნის არსებობის შესახებ, მხოლოდ ამის შემდეგ მოიძიეს, მაგრამ ძალზე გაუჭირდათ შოვნა. ბოლოს, საიდანღაც მოიტანეს და ახლა აქ დადგა რიგი... ახლა ალბათ, არავინ შეიწუხებს თავს, რომ რომელიმე წიგნის საშოვნელად ცა და დედამიწა შეძრას, ან თუნდაც ბიბლიოთეკას მიაკითხოს. დარწმუნებული ვარ, თანამედროვე ახალგაზრდებმა ბიბლიოთეკაში „მოძრაობის წესებიც“ კი არ იციან...

*ურიგო არ იქნება, თუ ცნობილ ადამიანებსაც ვკითხავთ, რას კითხულობდნენ წინათ და ახლა თუ რჩებათ დრო საიმისოდ, რომ ახალ ლიტერატურას გაეცნონ ან ადრე წაკითხულს გადააკითხონ თვალი.*

**ბაია დვალიშვილი:**

— სტუდენტობის დროს, საზღვარგარეთის ლიტერატურას ვეცნობოდით. არ ვიცი, ჩვევა იყო ეს თუ მოდა, ან იქნებ „ვიპრანჭებოდით“?.. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ხოლმე წიგნების კითხვაში. ეს კარგ გავლენას ახდენდა ჩვენზე, რადგან ძალაუნებურად, სულ ვკითხულობდით და ეს ცოდნას გვძენდა. ქართველი მწერლებიდან დღემდე ვაღმერთებ ოთარ ჭილაძეს.

**— თუ გახსოვთ, პირველი წიგნი, დამოუკიდებლად ბოლომდე რომ წაიკითხეთ?**

— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში გამოდიოდა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. თითოეული ზღაპარი გამოდიოდა ერთ პატარა წიგნად და რამდენიმე ზღაპარი ერთად შეკრული გახლდათ. ასოები ახალი ნასწავლი მქონდა და კარგად მახსოვს, როგორ ვიჯექი ხოლმე მთელი დღის განმავლობაში, ვმარცვლავდი და სიტყვას სიტყვაზე ძლივს „ვაწებებდი“... რომ გავიზარდე და სტუდენტი გავხდი, მამა მეუბნებოდა ხოლმე: ახლა მოასწარი და ბევრი იკითხე, თორემ მერე, საამისოდ დრო არ გექნებაო. სულ მიკვირდა, რატომ მეუბნებოდა ამას და ვერ ვხვდებოდი. თუმცა, მამას ვუჯერებდი და ერთმანეთის მიყოლებით წავიკითხე ფლობერი, ზოლა... ახლა კი ვხვდები, რომ მამა მართალი ყოფილა: დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ვახერხებ კითხვას. ბავშვი პატარა ასაკიდან უნდა მიეჩვიოს კითხვას, რომ ეს ჩვევად ჩამოუყალიბდეს და „დიდობაშიც“ იკითხოს.

**თემურ ფიკლაური:**

— როდესაც სკოლის მოსწავლე ვიყავი, ძალიან მომწონდა „რობინზონ კრუზო“. მე სოფელში ვიზრდებოდი და ალბათ, სოფლად გაზრდილი ბავშვისთვის ეს წიგნი ისეთი „ახლობელი“ იყო, რომ რამდენჯერმე მაქვს წაკითხული. რომ წამოვიზარდე, ჩემმა დიდაშვილმა დაბადების დღეზე ალექსანდრე ყაზბეგის წიგნი მაჩუქა. ამან ჩემზე დიდი გავლენა იქონია. მისი ყველა პერსონაჟი შევიყვარე და თვითონ ავტორის მიმართაც ისეთი გრძნობა მქონდა, ისე ჩამრჩა გულში მისი ვაჟკაცური საქციელი, რომ როდესაც ნადირობა დავიწყე, ყაზბეგის მსგავსად, მეც გავაკეთე ირმის ფაშვისგან ხაში და მივირთვიმერე, ვაჟა შევიყვარე... სიმართლე რომ გითხრათ, ადრეულ ასაკში, „ვეფხისტყაოსანს“ ვერაფერი გავუგე და ცოტა მოგვიანებით წავიკითხე. ჩემი სტუდენტობისას, დიდი ყურადღება ექცეოდა რუსულ ენას და რუს მწერლებს. მათ ხომ ბუმბერაზი მწერლები ჰყავთ — ტოლსტოი, დოსტოევსკი, პუშკინი... მათი ნაწარმოებების კითხვაც დიდ სიამოვნებას მგვრიდა.

**— ახლა თუ იცლით წიგნის წასაკითხად?**

— შენ შემოგევლე, ბალღო, ერთი რამ იცოდე: „წაუკითხავი“ კაცი — მკვდარია. წიგნის კითხვა იმას ნიშნავს, რომ აზროვნებ, სწავლობ, თვით ცხოვრებას სწავლობ... რა თქმა უნდა, ახლაც ვკითხულობ. სამაგისო დროს ყოველთვის ვიპოვი...

**— კომუნისტური რეჟიმის დროს, არსებობდა ლიტერატურა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან მათ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. ასეთ ლიტერატურას თუ ეცნობოდით?**

— მე თუ „მონანიება“ წაკითხული მაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟკაცობის ტოლფასი საქციელი ჩავიდინე და ამით ახლა ვიამაყებ... იყო ისეთი წიგნებიც, რომლებიც სახლში რომ აღმოეჩინათ, აუცილებლად დაგიჭერდნენ და გადაგასახლებდნენ. მე მაშინ აკრძალული წიგნებიდან „მონანიებაც“ წავიკითხე და „ბიბლიასაც“ ხშირად ვკითხულობდი. წარმოიდგინეთ, ეს რომ მათ ყურამდე მისულიყო, რას მიზამდნენ!.. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ კომუნისტური იდეოლოგია ვერ შემიშლიდა ხელს, ჩემი ინტერესი დამეკმაყოფილებინა...

**— როგორ ფიქრობთ — რა არის მიზეზი, რომ თანამედროვე ახალგაზრდების უმეტესობა წიგნებს არ კითხულობს?**

— ვაი მათ! ვაი ასეთ ახალგაზრდობას და ვაი ჩვენ, თუ ასეთი მომავალი თაობა გვყავს!.. ღმერთო, დაგვიფარე იმ საშინელი სენისგან, რასაც უვიცობა და უწიგნურობა, რასაც ინტერნეტი და თაობის „გადებილება“ ჰქვია!..

■



**როგორც ცნობილია, წლევანდელი ზამთრის ოლიმპიადა, რომელიც იტალიის ქალაქ ტურინში იმართება, 10 თებერვალს იღებს სტარტს. შეჯიბრებებისთვის თვალყურის დევნების საშუალება მხოლოდ საზოგადოებრივი არხის მაყურებლებს ექნებათ, რადგან მისმა ხელმძღვანელობამ პირდაპირი ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება შეიძინა.**

**დაგეგმილი ტელეტრანსლაციების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, საზოგადოებრივი არხის სპორტული მიმართულების პროდიუსერსა და კომენტატორს, ლაშა დვალიშვილს შევხვდით. ტურინის ოლიმპიადის დღეებში, ეთერში გავა მისი საავტორო გადაცემა, რომლის ხილვის საშუალებაც სპორტის მოყვარულთ დღეში ორჯერ — დილით და საღამოს ექნებათ. უფრო დაწვრილებით ამ გადაცემის შესახებ თავად ლაშა მოგვითხრობს.**

# ზამთრის ოლიმპიური თამაშები – საზოგადოებრივი არხის ექსკლუზივი

*ნათია ქივიძე*

— ზამთრის ოლიმპიადაზე გადაცემის მომზადების იდეა თავისთავად გამიჩნდა, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ტურინის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩვენი არხის ექსკლუზივი ყოფილიყო. როცა უკვე შევიძინეთ ოლიმპიური თამაშების ჩვენების უფლება, იმის გამო, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროდუქტია ნებისმიერი სპორტის მოყვარულისთვის, გადავწყვიტეთ — გარდა პირდაპირი ტელერეპორტაჟებისა, მაყურებლისთვის შეგვეთავაზებინა სპორტული მიმოხილვებიც, თან — პირდაპირი ეთერის რეჟიმში. გადაცემა დღეში ორჯერ გავა ეთერში და ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს გააშუქებს. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელობამ დაამზადებინა სტუდიის ზუსტად ისეთი დეკორაცია, როგორიც ოლიმპიადის ორგანიზატორებმა მოითხოვეს. ჩვენ ყველა მათ მოთხოვნას ვითვალისწინებთ და სწორედ მათი მითითებების მიხედვით ვაკეთებთ იმ ყველაფერს, რაც ამ გადაცემისთვის აუცილებელია. ასე რომ, მაყურებელს მიეცემა საშუალება, ყოველდღე, პირდაპირი რეპორტაჟების გარდა, გაეცნოს სპორტის ყველა სახეობაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. სტუდიაში მოვიწვევთ სტუმრებს და მოვაწყობთ შეჯიბრებების განხილვებს. თითოეულ გადაცემას 30 წუთი დაეთმობა და გპირდებით, რომ ის ძალზე საინტერესო იქნება.

**— პირველი გადაცემა როდის გავა ეთერში?**

— ოლიმპიური თამაშები 10 თებერვალს იწყება. 10-ში დაგეგმილი გვაქვს გახსნის საზეიმო ცერემონიის პირდაპირი ტრანსლაცია. 11 თებერვალს კი, საღამოს, ათის ნახევარზე ჩვენი გადაცემა პირველად გავა ეთერში. შემდეგ, უკვე მაყურებელს ორ-ორ გადაცემას შევთავაზებთ.

**— ალბათ ყველა გადაცემაში სხვადასხვა სტუმარი გეყოლებათ, არა?**

— რა თქმა უნდა. ამასთან, ვაპირებთ, რომ მიმოხილვა „დავშალოთ“ და სიუჟეტების სახით წარმოვადგინოთ, რადგან ეს ფორმა მაყურებლისთვის გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება. სპორტის ის სახეობა, რომელიც პირდაპირი რეპორტაჟების მიღმა დარჩება, მიმოხილვებში გაშუქდება. შესაბამისად, გვეყოლება სტუმრები, რომლებთან ერთადაც, სპორტის ამა თუ იმ სახეობის შესახებ ვისაუბრებთ. ამასთან, შეგნებულად გადავწყვიტეთ, რომ სტუდიაში მოვიწვიოთ არა მხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენები, არამედ შოუბიზნესის წარმომადგენლებიც, მსახიობებიც, სხვა პროფესიების წარმომადგენლები, ის ადამიანები, ვისაც სპორტი აინტერესებს და ამა თუ იმ სახეობაში კარგად ერკვევა. მაგალითად, სნოუბორდზე სასაუბრად, შოუბიზნესის წარმომადგენლებიდან ისეთ ადამიანს მოვიწვევთ, რომელიც თვითონ ფლობს სნოუბორდს. ის მაყურებელს განუმარტავს, თუ რამხელა სიამოვნება მოაქვს სნოუბორდზე სრიალს...

**ზამთრის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ — მარტიდან, ჩვენს სამაუწყებლო ბადეში გათვალისწინებული იქნება ერთსაათიანი ტოქშოუს ფორმის გადაცემა**

**— მახსოვს, საერთაშორისო დონის ბევრი შეჯიბრების რეპორტაჟი ადგილიდან წაგიყვანია. ამჯერად რატომ მოხდა, რომ ტურინში არ გაემგზავრე და რეპორტაჟებსაც სტუდიიდან გაუძღვები?**

— ოლიმპიური თამაშების პირდაპირი ტრანსლაცია წელს ქართულ ტელესივრცეში პირველად მოხდება. მაგრამ რეპორტაჟების კომენტირებაც აქვე განხორციელდება. უბრალოდ, იმ დროის მონაკვეთში, რომელიც ტრანსლაციის უფლების მოპოვების დღიდან გვქონდა, ვერ მოესწრებოდა სააკრედიტაციო განაცხადების გაგზავნა და აკრედიტაციის გაფორმება, თუმცა, ოლიმპიადის მასპინძლები ძალზე მონდომებული იყვნენ, რომ ჩვენი კომენტატორები ტურინში ყოფილიყვნენ; სამწუხაროდ, ეს, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

**— როგორც ვიცი, უახლოეს მომავალში, სხვა გადაცემის მომზადებასაც აპირებ...**

— ამ არხზე სპორტული მიმართულების პროდიუსერი ვარ და ჩვენი გეგმის თანახმად, ზამთრის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ — მარტიდან, ჩვენს სამაუწყებლო ბადეში გათვალისწინებული იქნება ერთსაათიანი ტოქშოუს ფორმის გადაცემა, რომელიც სპორტულ სიახლეთა კვირის მიმოხილვას წარმოადგენს. კონკრეტულად ეს არც საფეხბურთო მიმოხილვა იქნება და არც საკალათბურთო, არამედ გაშუქდება მთლიანად სპორტი. შევეხებით სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს, რომელიც დღესღეობით, საკმაოდ ბევრია. რა თქმა უნდა, სტუდიაში სტუმრებსაც მოვიწვევთ და პირდაპირი ჩართვებიც გვექნება. და კიდევ: ჯერჯერობით განხილვის დონეზეა იდეა, რომ სტუმრებთან ერთად, სტუდიაში მაყურებელიც გვყავდეს და როგორც პროფესიონალებთან, ასევე ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთადაც განვიხილოთ ყველა ის პრობლემა, რომელიც დღესდღეობით, ქართულ სპორტში მწვავედ დგას. R

**საოცარია, მაგრამ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანის შვილი დღეს, 53-ე სკოლის მოსწავლეა. მათ შორისაა საქართველოს პრეზიდენტის ვაჟი, ედუარდ სააკაშვილიც, რომელიც მეხუთე კლასში სწავლობს. მის გვერდით, მერხებს უსხედან: თამთა (დავით ოქტაშვილის შვილი), თეა (კოკა ყანდიაშვილის შვილი), სალომე (სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელის, არჩილ გოგელიას შვილიშვილი), გიორგი წერეთელი (ცისანა სეფიაშვილის შვილი), ელენე სააკაშვილი (პრეზიდენტის ძმის, დავით სააკაშვილის შვილი), ქრისტინე (ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, მამუკა ნიკოლაიშვილის შვილი), დათი მამუკელაშვილი (კომპოზიტორ ეთერ ანჯაფარიძის დისშვილი). ამ ბავშვების კლასის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა ქალბატონი, მაია კიკნაძე გახლავთ, რომელიც აგრეთვე, ცნობილი ყმაწვილის — „ჯეოსტარის“ მონაწილის, დათუნა სირბილაძის მშობელიცაა... როგორი ბავშვები სწავლობენ მაიას კლასში, რით ერთობიან და რომელ მათგანთან მეგობრობს პრეზიდენტის ვაჟი? — ამ კითხვებზე მათი მასწავლებელი გვიამბობს.**

# filosofiuri piesa eduard saakaSvilis monawileobiT

*ნათია ქივიძე*

**— ქალბატონო მაია, თავდაპირველად, მოკლედ თქვენს კარიერაზე მოგვიყევით.**

— თავდაპირველად, კონსერვატორიის, სიმებიანი ინსტრუმენტების ფაკულტეტი დავამთავრე. ყოველთვის მიტაცებდა უცნაური საკრავები და ამიტომ ჩავაბარე ამ განხრით. მერე, ბავშვების ანსამბლს ვხელმძღვანელობდი. მაშინ მივხვდი, რომ პედაგოგიკამ გამიტაცა და ჩემგან გაცილებით კარგი პედაგოგი დადგებოდა, ვიდრე — შემსრულებელი. ამიტომ დაწყებითი კლასების პედაგოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და მერე, კვალიფიკაცია ავიმაღლე. რამდენიმე საერთაშორისო სერტიფიკატი მაქვს და შემიძლია, ნებისმიერ ქვეყანაში ვასწავლო სკოლაში, ასევე ვიყო ე.წ. ტრენერი — ანუ მასწავლებლის მასწავლებელი. გარდა ამისა, განათლების სამინისტროს რეფორმის ორ პროგრამაში ვარ ჩაბმული. რეფორმის თანახმად, იცვლება როგორც სახელმძღვანელოები, ასევე მოსწავლეებთან მიდგომისა და სწავლების მეთოდი. ამასთანავე, ესთეტიკის ჯგუფის ერთ-ერთი ექსპერტი გახლავართ. ჩვენი ჯგუფი სწორედ ამ პროგრამის შეცვლაზე მუშაობს. პროგრამა უკვე დასრულდა და საპილოტე სკოლებში, რომელთა რიცხვი საქართველოში ასამდე აღწევს, უკვე ისწავლება. მალე ამ ახალ პროგრამას დანარჩენ სკოლებშიც შევიტანთ. ყოველ შაბათ-კვირას დავდივართ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ვატარებთ ტრენინგებს.

**— დიდი ხანია, რაც ამ კლასის დამრიგებელი ხართ?**

— პირველი კლასიდანვე. ახლა უკვე მეხუთე კლასში არიან. დაწყებით კლასებში, როგორც ქართულს, ასევე ე.წ. ტოპიკებს ვასწავლიდი. ეს არის შემეცნებითი გაკვეთილები, სადაც ბავშვები ისტორიას, ასტრონომიას, გეოგრაფიას და სხვა საგნებს სწავლობენ, მაგრამ ეს ყველაფერი ადაპტირებულია და თანდათან, კლასის შესაბამისად, რთულდება. არ არის სავალდებულო, რომ სქელტანიანი წიგნები დააზეპირებინო ისე, რომ ბავშვმა შინაარსი ვერ გაიგოს. მიხარია, რომ ბავშვები მომყვებიან და კარგად სწავლობენ. მათ აზროვნების უნარი აქვთ, რაც არ უნდა ვუთხრა, ბრმად არასოდეს დამეთანხმებიან. ჯერ უნდა გაიაზრონ, კითხვები დასვან, იკამათონ და მერე გამცემენ ხოლმე პასუხს.

**— თავიდანვე იცოდით, რომ თქვენს სადამრიგებლო კლასში ამდენი ცნობილი ადამიანის შვილი იქნებოდა?**

— არა, არ ვიცოდი, რადგან მანამდე, სხვა სკოლაში ვმუშაობდი. პირველ სექტემბერს ამ სკოლაში რომ მოვედი, ეს კლასი ჩამაბარეს. ახლა სულ ხაზსგასმით აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის შვილი ჩემი მოსწავლეა. პირველ კლასში სწავლისას, ედუარდი პრეზიდენტის შვილი არ იყო, მაშინ ბატონი მიშა ერთ-ერთი დეპუტატი გახლდათ. ახლაც, აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანია ბატონი მიხეილი — უბრალოდ, ცხოვრება წინ მიდის და თანამდებობები იცვლება, ადამიანი კი იგივე რჩება. სხვათა შორის, მაშინ, ლევან მამალაძის შვილიც ჩვენს კლასში სწავლობდა, ვანო ზოდელავასიც. ვიტალი ხაზარაძის შვილიშვილი ჩვენს პარალელურ კლასში იყო. მაშინ მათ გაცილებით დიდი თანამდებობა ეკავათ, ვიდრე ბატონ მიშას, მაგრამ არც ამას უსვამდა ვინმე ხაზს. მასწავლებლისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მისი მოსწავლის მშობელი პრეზიდენტია თუ მინისტრი. ჩვენ ბავშვებს ერთმანეთისგან არ განვასხვავებთ.

**— თავად ბავშვებს როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან?**

— არაჩვეულებრივი. ბავშვებიც არ უსვამენ ხაზს იმას, თუ ვინ ვისი შვილია. ისინი მნიშვნელობას ჯერჯერობით, საკუთრივ მშობლის სტატუსს ანიჭებენ: კი, ბატონო, მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია, მაგრამ ბავშვების თვალში, ის პირველ რიგში, ედუარდის მამაა. სხვათა შორის, არც შემიმჩნევია, რომ რადგან ედუარდის მამა პრეზიდენტი გახდა, ვინმე მას უფრო მეტად დაახლოებოდა. როგორებიც პირველი კლასიდან იყვნენ, ისეთსავე ურთიერთობას აგრძელებენ. უბრალოდ, ედუარდი ერთ თანაკლასელთან — თორნიკე დავითაძესთან არის ყველაზე ახლოს, რადგან ისინი საბავშვო ბაღიდანვე ერთად მოდიან და მათი ოჯახებიც ახლობლობენ. დანარჩენ ბავშვებთან, ყველასთან თანაბრად მეგობრობს. ისევე კინკლაობს მათთან, როგორც დანარჩენები. არის ერთი ჩვეულებრივი, ნიჭიერი, ჭკვიანი და კონტაქტური ბავშვი. არა მხოლოდ ედუარდი, დანარჩენი ბავშვებიც არასოდეს ლაპარაკობენ მამების თანამდებობებზე, მსგავსი რამ არასოდეს მომისმენია. არც მასწავლებლები ვუსვამთ ამას ხაზს, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი საქმე არ არის. სხვათა შორის, არც მშობლებს შევუწუხებივარ ოდესმე, რომ მის შვილს უფრო მაღალი ნიშანი ეკუთვნოდა და რატომ არ დავუწერე ან მსგავს სხვა საკითხებზე. ბავშვები რასაც იმსახურებენ, მხოლოდ იმ ნიშნებს ვუწერთ. მშობლებიც აბსოლუტურად გვენდობიან და არანაირ პრეტენზიას არ გამოთქვამენ. თუმცა, უნდა აღვნიშნო — ბავშვები იმდენად კარგად სწავლობენ, რომ 16 მათგანიდან 14 ათოსანია — ყველა საგანში ათიანი ჰყავს.

**— მშობელთა კრებაზე თუ დადიან ცნობილი ადამიანები?**

— რა თქმა უნდა. პირველი კლასიდან, ნებისმიერი ბავშვის მშობელი აბსოლუტურად ყველა კრებას ესწრება. ვიდრე ბატონი მიხეილი პრეზიდენტი გახდებოდა, ისიც დაგვესწრო — ორჯერ. სანდრა კი, არა მხოლოდ მშობელთა კრებაზე, არამედ ყოველდღე მოდის სკოლაში, რადგან დილ-

ით, მას მოჰყავს ედუარდი და შუადღეზე — შინ მიჰყავს. მეტსაც გეტყვით: სპორტული სკოლიდან ყოველ წელს, ორი კვირით მივდივართ ბაკურიანში, „ზბორებზე“, სადაც ჩვენთან ერთად, თითქმის ყველა მშობელი მოდის. იქ არა მარტო ვერთობით, არამედ ვსწავლობთ კიდეც. ყოფილა შემთხვევა, რომ იქ ჩასულებს, საწოლების განაწილება ვერ მოგვისწრია და ერთი ღამე მშობლებს საბავშვო, ორსართულიან საწოლებში უძინიათ *(იცინის)*...

**— ასეთ „ზბორებზე“ პირველი ლედიც დადის ხოლმე?**

— არა, ქალბატონი სანდრა არ მოდის. პერიოდულად ჩამოდის, დაგეხედავს, ჩვენთან ერთად ისრიალებს ხოლმე თხილამურებზე და ისევ მიდის. სანდრა ცდილობს, რომ ედუარდი დამოუკიდებელი იყოს და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგია. ისე კი, ძალზე კმაყოფილი ვარ, როცა მშობლები ჩვენთან ერთად არიან და ყოველ საღამოს არაჩვეულებრივად ვერთობით. ზოგჯერ სპექტაკლს ვდგამთ, სადაც ბავშვებთან ერთად, მშობლებიც მონაწილეობენ. ეს ერთი მხრივ, კარგია, რადგან ბავშვები მშობლებთან ერთად ერთობიან. მაგრამ მეორე მხრივ, ალბათ აუცილებელია, რომ ბავშვები დამოუკიდებლობას შეეჩვიონ, მით უმეტეს — ბიჭები.

**— სადაც არ უნდა წახვიდეთ, ედუარდი არასოდეს გაკლდებათ?**

— არასოდეს. ბაკურიანში რომ წავედით, ვიღაცას უთქვამს სანდრასთვის — სპორტულ სკოლაში ბავშვს როგორ აცხოვრებ?! ჩვენს სასტუმროში დაგპატიჟებთო... სანდრამ იცოდა, რომ მე ეს ამბავი შევიტყვე; რა თქმა უნდა, ამის გამო, ცოტა დაძაბულადაც ვგრძნობდი თავს, მაგრამ მან ეს დაძაბულობა აბსოლუტურად მომიხსნა: რომ ჩამოვიდა, ჩვენთან შემოსვლისთანავე თქვა — რა კარგად მოწყობილხართ, თქვენთან როგორ თბილა, ასეთი სპორტსკოლა ჰოლანდიაშიც კი არ არისო, — და კითხვაც მოაყოლა: — დღეს სადილად რა გვექნებაო?.. ძალიან შინაური ადამიანია. თვითონ ნამდვილად არა აქვს ყოფითი პირობების პრობლემა და არასოდეს ითხოვს რაღაც განსაკუთრებულს. მთავარი ის კი არ არის, თანამდებობრივად ვინ ხარ, მთავარია, როგორი ადამიანი ხარ... ედუარდი ავტობუსშიც ჩვენთან ერთად ზის, მიუხედავად იმისა, რომ დედა-შვილს შეუძლია, მანქანით წამოვიდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევ ისეა, როგორც პირველ კლასში იყო...

**— ალბათ, იმ განსხვავებით, რომ ახლა, პირადი დაცვა ჰყავს, არა?..**

— რა თქმა უნდა. მასთან ერთად, ყოველთვის არის ერთი დაცვის წევრი. ეს ალბათ, ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ დაცვაც არასოდეს გვაწუხებს. ძალიან მორიდებულად იქცევიან. ალბათ, უთხრეს კიდეც, რომ ამას ზედმეტად არ უნდა გაესვას ხაზი.

**— თუ იცით, ბავშვები ერთმანეთთან ოჯახებშიც სტუმრობენ ხოლმე?**

— როგორ არა?! საერთოდ, ისე ხდება, რომ ყველა კლასში გოგონები ერთმანეთთან უფრო მეგობრობენ, ბიჭები კი — ერთმანეთთან. ჩვენთანაც ასეა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ჩემს მოსწავლეს დაურეკავს ჩემთვის და უთქვამს — მასწ, ახლა ჩემთან ედუარდი უნდა მოვიდეს და მინდა, ლუკასაც შევატყობინო, რადგან რაღაც უნდა ვითამაშოთ და იქნებ, ლუკას ტელეფონის ნომერი მითხრათო... მართლა, ძალიან კარგი ბავშვები არიან და მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა მშობელს, რადგან ისინი შვილებს არ ატუტუცებენ. ხომ ხდება, რომ მშობელი თვითონ აფუჭებს შვილს, სპეციალურად კი არა — უბრალოდ, ეს ზედმეტ გათამამებას და ფუფუნებას მოაქვს. ამ მხრივ, ძალზე ბედნიერი ვარ. როგორც წეღან აღვნიშნე, არასოდეს მქონია მშობლებისგან რაიმე პრობლემა.

**— ალბათ, მოსწავლეებთან თქვენც საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება გაქვთ. საიდუმლოსაც ხომ არ გიზიარებენ ხოლმე?**

— რა თქმა უნდა. ამას წინათ, ერთ-ერთი მოსწავლე, რომლის ვინაობასაც ამ შემთხვევაში არ გავამხელ, შესვენებაზე გამოვიდა და რაღაც საკუთარ საიდუმლოზე მელაპარაკებოდა. იმდენად შევყევით ლაპარაკს, რომ გვიან აღმოვაჩინეთ — თურმე, გაკვეთილის დაწყების დრო მოსულა. ბავშვი ძალზე შეწუხდა, ამიტომ გაკვეთილზე ერთად შევედით და მასწავლებელს დაგვიანებისთვის ორივემ ბოდიში მოვუხადეთ. მერე, გონებაში მეცინებოდა ამ ამბავზე, რადგან ჩემს დამრიგებელთან კი მქონდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ მისთვის საიდუმლო არასოდეს გამინდვია...

**— როგორც ვიცი, ხშირად დგამთ სპექტაკლს...**

— დიახ, ასეა. ერთ სპექტაკლს საახალწლოდ ვდგამთ ხოლმე, მეორეს კი — საზაფხულო არდადაგების წინ. ამ ახალ წელს, მაგალითად, მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“ დავდგით „ვაკის თეატრალურ სარდაფში“. ეს მხოლოდ სპექტაკლი კი არა, ფილოსოფიური პიესაა, რომელიც ბავშვებთან ერთად წავიკითხე. მათ ეს პიესა კარგად გაიაზრეს და მერე, თავად გაინაწილეს როლები. მაგალითად, ედუარდი — დროს, ჟამს განასახიერებდა... სხვათა შორის, ამ სპექტაკლის ნაწილს ბატონი მიხეილიც დაესწრო. მართალია, მოუცლელობის გამო, ბოლომდე ვერ დარჩა, მაგრამ მაინც მოვიდა. სამაგიეროდ, დედამისმა, ქალბატონმა გიულიმ და სანდრას მშობლებმა სპექტაკლს თავიდან ბოლომდე უყურეს. თავად სანდრა ამ დროს, ჰოლანდიაში იმყოფებოდა და იქიდან დაგვირეკა.

**— ექსკურსიაზეც ხშირად დადიხართ?**

— კი. შარშან, 14 გვქონდა. მუზეუმებში დავდივართ ძალიან ხშირად, ღირსშესანიშნაობებს მოვინახულებთ ხოლმე. სხვათა შორის, ჩვენ კინოკლუბის წევრებიც ვართ, სადაც ძალზე ხშირად მივდივართ და ძველ, ქართულ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს ვუყურებთ. მაგალითად, სკოლაში ვსწავლობდით „მაგდანას ლურჯას“, მერე წავედით და ფილმიც ვნახეთ.

**— ედუარდი ხშირად აცდენს გაკვეთილებს?**

— არა. თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ მოვა, სანდრა მირეკავს და წინასწარ მაფრთხილებს ხოლმე. ასე იქცევიან სხვა მშობლებიც. ვარდების რევოლუციის დროს, როცა ჰოლანდიაში იყვნენ წასული, სანდრა იქიდანაც მირეკავდა, დავალებებს ინიშნავდა, რომ ბავშვს ემეცადინა და მეგობრებს არ ჩამორჩენოდა. სანდრა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა და მე ეს ძალიან მომწონს. ამას წინათ, როცა გაზი გაითიშა, ლიკანიდან დამირეკა და მკითხა — ორშაბათს სწავლა თუ გვექნებაო? — არა, სწავლას სამშაბათიდან დავიწყებთ-მეთქი, — ვუპასუხე. იმ სამშაბათსაც ედუარდი სკოლაში მოვიდა... უკვე ხუთი წელია, ერთმანეთთან ურთიერთპატივისცემა და კეთილი დამოკიდებულება გვაკავშირებს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. თავად ბავშვებიც ასეთები არიან. როცა ჩემი ვაჟი „ჯეოსტარში“ მონაწილეობდა, მას ბავშვები ძალზე გულშემატკივრობდნენ. თითქმის ყველა კონცერტს ესწრებოდნენ. ორჯერ, ედუარდიც იყო მოსული. დათუნამ რომ ვერ გაიმარჯვა, ჩემს მოსწავლეებს ძალიან დასწყდათ გული. ერთ დღეს კი, შევედი კლასში და კედელზე უზარმაზარი პლაკატი დავინახე, რომელზეც ეწერა: „დათუნა სირბილაძე მაინც „ჯეოსტარელია“! რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მესიამოვნა. ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის მხარში ვუდგავართ...

■

ქალბატონ მაია კიკნაძის სადამრიგებლო კლასი სტუმრად ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში

# "დავუძახე და არ მოიხედა. იქ რომ მივედი, ის უკვე სისხლში ცურავდა"

## 15 წლის ირაკლის მკვლელობის მოწმე გამოძიებამ დაჰკითხა

**ქვეყანაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ამას ადასტურებენ სამართალდამცველებიც და ამ საკითხზე დღეს მწვავედ ლაპარაკობენ ფსიქოლოგები. საგანგაშო და ძალზე დამაფიქრებელია სასამართლო ფსიქიატრების ხელთ არსებული, ბოლო წლების მონაცემები, რომლის თანახმადაც, განსაკუთრებით დიდ მასშტაბს აღწევს მოზარდთა შორის პათოლოგიური აგრესია: ისინი ულმობლები, ადამიანისადმი მტრულად განწყობილნი და შეუბრალებელნი გახდნენ...**

**ამასვე მოწმობს, რამდენიმე დღის წინ თბილისში მომხდარი შემზარავი მკვლელობაც. 15 წლის ირაკლი გოგბერაშვილი მისივე თანატოლმა გამოასალმა სიცოცხლეს, თანაც — სადისტურად... მოზარდმა მოზარდს დანით 5 შემავალი ჭრილობა მიაყენა. დაზიანებები გულმკერდისა და ყელის არეშია მიყენებული. 5 ჭრილობიდან 3 სასიკვდილო აღმოჩნდა...**



მოკლული ირაკლი გოგბერაშვილი

ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ პრობლემა, არასრულწლოვანთა შორის ურთიერთობის გართულებაშია. მათ უჭირთ ერთმანეთთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარება, სიფიცხისა და ფეთქებადი ხასიათის გამო, ხშირად სისასტიკესა და სადიზმს ამჟღავნებენ. არ ახასიათებთ სიბრალულის განცდისა და მიტევების უნარი... ბევრი მიიჩნევს, რომ საერთოდ, დღეს მთელი საზოგადოება აგრესიულობით გამოირჩევა. აგრესია გვხვდება ყველგან — ოჯახში, სკოლაში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. ბავშვებიც ყოველივე ამის მოწმენი და მონაწილენი ხდებიან. ხშირ შემთხვევაში, მათი ფსიქიკა ამას ვერ უძლებს და ისინი თავად ხდებიან აგრესიულები და დაუნდობლები.

სპეციალისტები იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასეთი ბავშვების უმეტესობა, შესანიშნავი გონებრივი მონაცემებით გამოირჩევა.

ასე ახასიათებენ მოკლულს — ირაკლი გოგბერაშვილსაც და დანაშაულში ეჭვმიტანილ, 1990 წელს დაბადებულ, თბილისელ ზურაბ (ზუკა) ალექსანდრეს ძე კიკაბიძესაც. როგორც ამბობენ, ორივე მოზარდი უნიჭიერესია, თუმცა, მოკლულიც სიფიცხით გამოირჩეოდა და — ეჭვმიტანილიც.

ზუკა კიკაბიძე თბილისის 101-ე საშუალო სპორტული სკოლის მოსწავლე გახლავთ. ირაკლი გოგბერაშვილი 9 წლის მანძილზე, პირველ სკოლაში სწავლობდა, მაგრამ წელს მშობლებმა ის 44-ე საშუალო სკოლაში გადაიყვანეს. მასწავლებლები ამის კონკრეტულ მიზეზს ვერ ასახელებენ, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, სკოლის შეცვლის მიზეზი, ზოგიერთ თანატოლსა და ირაკლის შორის დაძაბული ურთიერთობა გახდა... ამბობენ,

ეჭვმიტანილი ზურაბ კიკაბიძე

ირაკლი და ზუკა ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ არ მეგობრობდნენო.

მკვლელობა ვაკეში, ბერძენიშვილის ქუჩაზე, ირაკლი გოგბერაშვილის მეგობრის, გვარად ბლიაძის ბიძის სახლთან ახლოს მოხდა. იმ დღეს, ირაკლის 15 წელი უსრულდებოდა... საღამოს, მეგობრები სწორედ ბლიაძის სახლში შეიკრიბნენ. ბიძა შინ არ იმყოფებოდა, ასე რომ, ახალგაზრდები მარტო ატარებდნენ დროს. საღამოს, დაახლოებით 11-ის ნახევრისთვის, სახლთან ზუკა კიკაბიძე, როგორც ამბობენ, საკუთარი ავტომანქანით მივიდა და ირაკლის (მეტსახელად კუკუშას) ეზოდან დაუძახა. გარეთ მას ბლიაძეც გაჰყვა, მაგრამ იმავე წუთს, სახლში ქურთუკის ჩასაცმელად შებრუნდა. როცა ისევ გავიდა ეზოში, ნახა, რომ ზუკა და ირაკლი უკვე 30-40 მეტრით მოშორებოდნენ სახლს და ერთმანეთს რაღაცაზე ელაპარაკებოდნენ. მოწმე ამბობს, რომ არ კამათობდნენ და მათთვის არც გაცხარება შეუნიშნავს. ვიდრე ბლიაძე იმ ადგილამდე მივიდოდა, უეცრად, კიკაბიძე ადგილს მოსწყდა და გაიქცა. ირაკლი კი წაიქცა. *„დავუძახე და არ მოიხედა. იქ რომ მივედი, ირაკლი უკვე სისხლში ცურავდა“*, — უთხრა მკვლელობის მოწმემ გამომძიებელს.

სამართალდამცველები აცხადებენ, რომ დანაშაული შელაპარაკების გამო მოხდა, მაგრამ კონკრეტულად რის გამო კამათობდნენ მოზარდები, ჯერჯერობით დაუდგენელია. ერთ-ერთ ვერსიად, პირადი ღირსების შელახვას მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ზუკა კიკაბიძე სწორედ ამ მოტივით მოქმედებდა და შური იძია ირაკლი გოგბერაშვილზე. თავად მოკლულის ახლობლები ჯერჯერობით, მომხდართან დაკავშირებით რაიმის თქმას თავს არიდებენ. ოჯახის სასოწარკვეთილ, მორალურად განადგურებულ წევრებს კი, ბუნებრივია, ამაზე ლაპარაკი არც შეუძლიათ.

დაზარალებული ოჯახი ვაკეში ცხოვრობს. ვაკელია ზუკა კიკაბიძეც, რომელიც ამჟამად მიმალულია. სამართალდამცველებმა მასზე ძებნა გამოაცხადეს. ამბობენ, რომ ის ერთ-ერთი შეძლებული ოჯახის შვილია, მამამისი — ალექსანდრე კიკაბიძე წარმატებული ბიზნესმენიაო. მეზობლების თქმით, რამდენიმე დღეა, კიკაბიძეები არსად ჩანან.

შემზარავი მკვლელობის დეტალებს ქალაქის პროკურატურა იძიებს. სამართალდამცველები კომენტარს არ აკეთებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმ შემთხვევაში, თუ კიკაბიძეს დააკავებენ, ბრალს წაუყენებენ და სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს, — კანონის თანახმად, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. არასრულწლოვნებისთვის ეს სასჯელი მაქსიმალურია. ■

## აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილები საქართველოს მოქალაქეები არიან

აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვა. მიზეზი — ბაქოში მოკლული ჟურნალისტის, ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმე გახლავთ. ჰუსეინოვი აზერბაიჯანის ოპოზიციური გაზეთის — „მონიტორის" მთავარი რედაქტორი იყო. მკვლელობაში ეჭვმიტანილები კი, საქართველოს მოქალაქეები — ტაირ ხუბანოვი და თეიმურაზ ალიევი არიან. ორივე მათგანი ამჟამად, მსოფლიოს 154 ქვეყანაში ინტერპოლით იძებნება. „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ამ მკვლელობის საქმის გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენაში, აზერბაიჯანელ კოლეგებს აქტიურად უნდა დაგვეხმარონ. ელმარ ჰუსეინოვის მკვლელთა დასაკავებლად და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათ მისაცემად, ყველა საჭირო ღონისძიება ტარდება. მათი დაპატიმრების შემდეგ, ჩვენ მკვლელობის სხვა მონაწილეებისა და ორგანიზატორების დადგენასაც შევძლებთ", — აცხადებს აზერბაიჯანის გენერალური პროკურორი, ზაქირ გარალოვი. მისივე თქმით, ჩადენილმა დანაშაულმა დიდი დარტყმა მიაყენა აზერბაიჯანის სახელმწიფო ინტერესებს, რადგან მკვლელები, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სტაბილურობის დარღვევას ისახავდნენ მიზნად.

## ვაჟა ადამიას საქმეს საქალაქო სასამართლო განიხილავს

მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარის, ვაჟა ადამიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. ადამიას წინააღმდეგ საქმე ბოროტი ხულიგნობის მუხლითაა აღძრული. ბრალდების თანახმად, 2005 წლის 3 ნოემბერს მან — თელასის თანამშრომელი დაჭრა. როგორც მერაბ კოსტავას საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ, გამოძიებამ ვაჟა ადამიას ბრალი ვერაფრით დაამტკიცა, მაგრამ საქმე განსახილველად სასამართლოს მაინც გადასცეს. მათი თქმით, ბრალდების მხარე არაობიექტურია და საქმეში ადამიას დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება.

## 20 წლის გოგონას მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია

ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში მცხოვრები, 1960 წელს დაბადებული მალხაზ კვაბზირაძე პოლიციამ ახალგაზრდა ქალის მკვლელობისთვის დააკავა. სამართლადამცველების ინფორმაციით, მან ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა თანასოფლელი — 1986 წელს დაბადებული ლელა კვაბზირაძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელობის იარაღი — არარეგისტრირებული გადაჭრილი სანადირო თოფია, რომელიც სამართალდამცავებმა ამოიღეს. ოფიციალური ცნობის თანახმად, მალხაზ კვაბზირაძე წარსულში, მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის გახლდათ ნასამართლევი.

## თბილისში ბანდა მოქმედებდა

ეს გახლდათ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის წევრებიც თბილისში მოძრავი, ძვირად ღირებული ავტომანქანების მფლობელებს ესხმოდნენ თავს. სამართალდამცველებმა ჯგუფის ორი წევრი დააკავეს. მათი ინფორმაციით, ეჭვმიტანილები, თბილესელები, ძმები — 1986 წელს დაბადებული თამაზ და 1985 წელს დაბადებული თემურ მიკირტუაშვილები არიან. შს სამინისტროს ინფორმაციით, პირადი ჩხრეკისას, თამაზ მიკირტუაშვილს გაურკვეველი ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი აღმოაჩნდა. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ძმები ძირითადად, ღამით მოქმედებდნენ. ფუნიკულორის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი თავს დაესხნენ თბილისელ ა. ბერიაშვილს. მას ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნეს, მოკვლით დაემუქრნენ და ამის შედეგად, ავტომანქანა „მერსედესი" წაართვეს.

პოლიციამ დააკავა აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში მცხოვრები, 1988 წელს დაბადებული თამაზ პატარაია. ის სხვა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრია. ბანდა, რომლის წევრადაც პატარაია მიაჩნიათ, ასევე დედაქალაქში მოქმედებს. ოფიციალური ინფორმაციით, თბილისში, ძმები კაკაბაძეების ქუჩაზე პატარაიამ, ლაშა ბერიანიძეს მობილური ტელეფონი, ტყავის ქურთუკი და 200 ლარი წაართვა. დაზარალებულს ის ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა.

## პოლიციის ლეიტენანტი, ნარკომანი აღმოჩნდა

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური შემოწმების მიზნით, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში პოლიციის ლეიტენანტი წარადგინეს. ის ზუგდიდის მკვიდრი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებელი, 1972 წელს დაბადებული ბაქარ ნარმანია გახლავთ. ნარმანია უკვე სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მას ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდასტურდა. დასკვნის თანახმად, ის მეტადონის და მარიხუანის მომხმარებელია.

## ნარკორეალიზატორი — იბრაგიმა კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგება

ცნობილი ნარკორეალიზატორი, იბრაგიმა — წარსულში ნასამართლევი, 1954 წელს დაბადებული, ელბრუს იბრაგიმოვი, სასამართლოს წინაშე კვლავ წარდგება. პოლიციამ ის სხვა ნარკორეალიზატორებთან ერთად დააკავა. დაკავებულები — 1972 წელს დაბადებული ზვიად სტეფნაძე და 1953 წელს დაბადებული შერმადინ ტოროშელიძე — არიან. ტოროშელიძე წარსულში ნასამართლევი გახლდათ. დაკავებისას, იბრაგიმოვს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 7 „ბაშად" დაფასოებული ჰეროინი აღმოაჩნდა; სტეფნაძეს — 1 „ბაში", ხოლო ტოროშელიძეს — 3 „ბაში" ჰეროინი" ჰქონდათ თან.

# „დაგვიმუქრნენ — სამივის მოგლეჯვით და იარაღი დაგვიმიზნეს“

## ბანდიტებმა მოხუცს ცხელი უთოთი 25-ზე მეტი დაზიანება მიაყენეს, ახალგაზრდა ქალბატონი ჯი სცემეს და გააუპატიურეს

**ამ ბანდიტური დაჯგუფების წევრებს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა. კოლეგიის გადაწყვეტილება ბანდის მიერ ჩადენილმა სასტიკმა დანაშაულებმა განაპირობა: მოქალაქეებზე ყაჩაღურმა თავდასხმებმა — ცეცხლსასროლი იარაღის მუქარითა და ძალადობით, განზრახ მკვლელობამ და არაერთმა მკვლელობის მცდელობამ (დამამძიმებელი გარემოებებით), გაუპატიურებამ_ განაჩენი საკასაციო პალატამაც ძალაში დატოვა. მოსამართლეები აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, პროკურატურის მასალები, სასოწარკვეთილ დაზარალებულთა ჩვენებები და თავად მსჯავრდებულთა მიერ გაკეთებული ურთიერთსაწინააღმდეგო და არადამაჯერებელი განცხადებები დაედო საფუძვლად.**





საქმის მასალების მიხედვით, ბანდა მოქმედებდა როგორც თბილისში, ასევე რაიონებშიც. ბოროტმოქმედები თავს ესხმოდნენ როგორც ქუჩაში გამვლელებს, ასევე ოჯახებს და ამ დროს, საოცარ სისასტიკეს იჩენდნენ. მიზნის მისაღწევად, არ ერიდებოდნენ არც უმწეო მოხუცებს და არც ბავშვებს, განურჩევლად, ყველას მიმართ იჩენდნენ სისასტიკეს. დაზარალებულთა მხრიდან გაწეული წინააღმდეგობა ხშირ შემთხვევაში, მკვლელობით სრულდებოდა. პროკურატურისთვის რამდენიმე ასეთი ფაქტი გახდა ცნობილი. თუმცა, სამართალდამცველები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მათი ვარაუდით, ბანდის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაული უცნობი დარჩა. პოლიციამ თავდაპირველად, დაჯგუფების ორი აქტიური წევრი — თამაზ ლალიაშვილი და მერაბ მგელაძე დაიკავა. ლალიაშვილი ბანდის ლიდერი გახლდათ. გამოძიების მასალების თანახმად, 2001 წელს სწორედ მან განიზრახა ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა და ყაჩაღური თავდასხმების გზით ფულის შოვნა. ის გორის რაიონში ცხოვრობდა. როგორც ამბობენ, იმ პერიოდში ცხინვალში ბევრი ნაცნობი და მოკავშირე ჰყავდა. ეს ჩანაფიქრი ლალიაშვილმა პირველად, თანასკოლელ მგელაძეს გაანდო. ეს უკანასკნელი ციხიდან ახალი გამოსული გახლდათ (სასჯელი ძარცვისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვა-მოხმარებისთვის მოიხადა), ასე რომ, საჭირო ხალხს ისიც იცნობდა. მაგრამ ვიდრე თანამოაზრეებს შემოიკრებდნენ, ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით ბანდის უზრუნველყოფაზე დაიწყეს ფიქრი. იმავე წელს, ცხინვალში, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან შეიძინეს „აკ-74“ მოდელის, „კალაშნიკოვის“ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნები; აგრეთვე, გერმანული ფირმის, „უმარექსის“ წარმოების 9 მმ კალიბრის პისტოლეტი. აღნიშნული იარაღი ხმოვანი და აირის ვაზნების გამოსაყენებლადაა განკუთვნილი. ბანდის არსენალში შედიოდა აგრეთვე, ორლულიანი, 16-კალიბრიანი სანადირო თოფი და კუსტარულად დამზადებული (ლულისა და ტარის გადაჭრის შედეგად) ცეცხლსასროლი იარაღიც.

ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ჯგუფს 3 წევრი შეუერთდა: გოგოლაძე, ლომაშვილი და ნადირაძე. მათ ბანდას იარაღი და საბრძოლო მასალა შემატეს. დანაშაულებრივი გეგმის მიზანი იყო: შეიარაღებული თავდასხმის შედეგად ქონების დაუფლება, ამ ქონების რეალიზაცია და აღებული თანხის ერთმანეთში განაწილება. გეგმის მიხედვით, თავს უნდა დასხმოდნენ არა მარტო ოჯახებს, არამედ ორგანიზაციებსაც. ბოროტმოქმედებმა ქსოვილისგან ნიღბები დაამზადეს. ყაჩაღური თავდასხმის წინ, ყოველთვის ადგენდნენ გეგმას და ინაწილებდნენ როლებს.

სამართალდამცველების მიერ გამოვლენილი პირველი ფაქტი, რომლის შესახებაც საბრალდებო დასკვნასა და განაჩენშია აღნიშნული, გორის რაიონის შესასვლელთან დაფიქსირდა. საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის, შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედები საავტომობილო გზასთან ჩასაფრდნენ და უცხოური მარკის პირველი ავტომანქანის გამოჩენისთანავე, მის მძღოლს დაესხნენ თავს. მძღოლს დედა და მეუღლეც ახლდნენ. მაგრამ ბოროტმოქმედები ქალებს არ მორიდებიან. მათ ავტომატებიდან ცეცხლი გახსნეს მანქანის მიმართულებით. მძღოლი იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. თავდამსხმელებმა მას და შიგ მსხდომ ქალებს უბრძანეს გადმოსულიყვნენ, მოკვლით დაემუქრნენ და მოსთხოვეს-ყოველი მათი მითითება უსიტყვოდ შეასრულებინათ. დაზარალებულებმა წინააღმდეგობის გარეშე დააწყვეს ბანდიტების წინ ფული და ძვირად ღირებული სამკაულები. *„სხვა გზა არ გვქონდა. იმ სიტუაციაში რაიმე წინააღმდეგობას აზრი*

*არ ჰქონდა. ზამთრის პირი იყო და იმ დროს, უკვე გვარიანად ბნელოდა. გზაც თავისუფალი იყო, ირგვლივ არავინ ჩანდა. ვხედავდით, რომ თავდამსხმელები უკან არაფერზე დაიხევდნენ. გვემუქრებოდნენ — სამივეს მოგკლავთო და იარაღს გვიმიზნებდნენ. მუქარა აბსოლუტურად რეალური მოგვეჩვენა“*, — აღნიშნა სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა მ. აბულაძემ.

მორიგი თავდასხმა ბანდამ ზუსტად 3 დღეში განახორციელა. გორის რაიონში, ტყვია-ქერეს საავტომობილო გზაზე ჩასაფრებული ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ მოქალაქე ო. ოთიაშვილს, რომელიც საკუთარი მსუბუქი ავტომანქანით — „ვაზ-2106“ მოძრაობდა. მანქანაში მას ეჯდა მეუღლე და არასრულწლოვანი ნათესავი გოგონა. როცა მძღოლმა გზაზე შეიარაღებული ნიღბიანი პირები შენიშნა, სიჩქარეს მოუმატა. მან გაქცევა სცადა, მაგრამ ლალიაშვილმა ავტომატით დამიზნებით სროლა დაიწყო. ტყვიები მძღოლის მეუღლესა და მანქანაში მჯდომ არასრულწლოვან გოგონას მოხვდა. ოთიაშვილის მეუღლე მძიმედ დაიჭრა, მან სიცოცხლისთვის სახიფათო, ხოლო გოგონამ — სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო. დაზიანდა ავტომანქანაც. ყოველივე ამის მიუხედავად, ოთიაშვილმა მანქანა მაინც არ გააჩერა. შეძლო კიდეც, იქაურობას გასცლოდა.

მომდევნო ყაჩაღური თავდასხმა ბანდისთვის წარმატებული აღმოჩნდა. შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა მოქალაქე ტ. წინწილაშვილი დააყაჩაღეს და მას კუთვნილი, „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომანქანა წართვეს. საქმის მასალებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ როგორც ამბობენ, მომხდარის შემდეგ, დაზარალებული შავი სამყაროს წარმომადგენლებს დაუკავშირდა და საქმეში ისინი ჩარია; შედეგად, ავტომანქანა დაიბრუნა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა ამის სანაცვლოდ, 1.500 დოლარი გადაახდევინეს. ამასთანავე, დაბრუნებულ ავტომანქანას თითქმის ყველა ძვირად ღირებული ნაწილი მოხსნილი ჰქონდა.

ამის შემდეგ, ბანდის წევრებმა კიდევ 4 მოქალაქე დააყაჩაღეს და მათ კუთვნილი ავტომანქანები წაართვეს. მეხუთე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, რადგან დაზარალებულმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედებისგან ნასროლი ტყვია ხელში მოხვდა, თავისი მანქანით გაქცევა მაინც მოახერხა. ამ შემთხვევას მალე მოჰყვა გორის რაიონში მცხოვრები გაბროშვილების ოჯახის დაყაჩაღებაც. ავტომატებით, გადაჭრილი სანადირო თოფებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული ბანდიტები ოჯახს ღამის პირველ საათზე დაესხნენ თავს. სახეზე ნიღაბაფარებული ყაჩაღები სახლში შეიჭრნენ და მძინარე ადამიანებს დაადგნენ თავზე. ოჯახის უფროსი და მისი მეუღლე გაკოჭეს და იმ ადგილის დასახელება უბრძანეს, სადაც ისინი ფულსა და ძვირფასეულობას ინახავდნენ. შეშინებულმა ცოლ-ქმარმა უყოყმანოდ მიუთითა მათ საძინებელში მდგარ კომოდზე. თავდამსხმელებმა სახლიდან სხვა ძვირად ღირებული ნივთებიც წაიღეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ბანდამ მორიგი თავდასხმა ელიაშვილების ოჯახზე დაგეგმა. ამისთვის სპეციალურად შეაიარაღებულები, ღამით, სახლთან ახლოს ჩასაფრდნენ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდნენ. სწორედ ამ დროს, სახლთან ახლოს ორმა ახალგაზრდა ქალმა ჩაიარა. ლალიაშვილმა მათ ერთხანს, უხმოდ უყურა, შემდეგ, ბანდის დანარჩენ წევრებთან შეუთანხმებლად, უკან გაჰყვა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მან ქალების დაყაჩაღება განიზრახა. მალე დაეწია და წინ გადაუდგა, შემდეგ ავტომატი დაანახვა და უბრძანა, რაც კი თან ჰქონდათ, ყველაფერი მისთვის გადაეცათ. ქალებმა ოქროსა და ვერცხლის საყურეები, ოქროს ძეწკვი და 27 ლარი ბოროტმოქმედს მაშინვე მისცეს, მაგრამ ლალიაშვილი ამას არ დასჯერდა. ერთ-ერთი ქალი მან იარაღის მუქარით, იქვე ახლოს მდებარე არხის პირას გაიყვანა და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება სცადა. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია და დაიყვირა კიდეც, მაგრამ ლალიაშვილმა სახეში მაგრად გაარტყა, შემდეგ, პირზე ხელი დააფარა და მუქარითა და ძალის გამოყენებით, გააუპატიურა იგი; მერე, გონწასული ქალი მიატოვა და იმ ადგილზე დაბრუნდა, სადაც ცოტა ხნის წინ, თანამზრახველებთან ერთად იყო ჩასაფრებული. მომხდარის გამო, ბანდამ ელიაშვილების ოჯახზე თავდასხმა სხვა დროისთვის გადადო. სამაგიეროდ, მეორე დღეს დააყაჩაღეს მეზობელ სოფელში მცხოვრები მარტოხელა, ხანში შესული მამაკაცი, რომლის შესახებაც შეიტყვეს, რომ ფულს აპროცენტებდა და თავს ამით ირჩენდა. ბოროტმოქმედებმა ჩათვალეს, რომ მას სახლში გარკვეული თანხა ექნებოდა და ამიტომაც განიზრახეს მისი დაყაჩაღება. პისტოლეტით შეიარაღებულები და ნიღბებაფარებულები შეიჭრნენ მასთან შუაღამეზე, დაზარალებულს ხელ-ფეხი შეუკრეს, მისთვის ყვირილის საშუალება რომ არ მიეცათ, პირზე სკოჩი დააკრეს; ერთ-ერთი ბოროტმოქმედი იარაღით ხელში წამოადგა თავზე, რომ არ განძრეულიყო, დანარჩენები კი სახლში ფულისა და ძვირფასეულობის ძებნას შეუდგნენ. ვერაფერი რომ ვერ იპოვეს, დაზარალებულს მოსთხოვეს, მიეთითებინა, თუ სად ინახავდა ფულს. ბოროტმოქმედებს მან ანიშნა, რომ ფული შინ არ ჰქონდა. ბანდიტებმა უმოწყალოდ ცემა დაუწყეს მას. როგორც განაჩენშია აღნიშნული, განსაკუთრებული სისასტიკე ლალიაშვილმა და მგელაძემ გამოიჩინეს. გადაწყვიტეს, დაზარალებული ცხელი უთოთი დაეშინებინათ და ამგვარად დაემორჩილებინათ. ხვეწნისა და მუდარის მიუხედავად, დაზარალებულს მათ სხეული უთოთი მაინც დაუშანთეს; როგორც შემდგომ, ექსპერტებმა განაცხადეს, სხეულზე 25-ზე მეტი დაზიანება მიაყენეს; გარდა ამისა, წელის არეში დააფიქსირეს უსწორო კიდეების მქონე ნახეთქებიც, რომლებიც ექსპერტთა თქმით, მკვრივი, ბლაგვი საგნით უნდა იყოს მიყენებული. მიზანს მაინც რომ ვერ მიაღწიეს, ბოროტმოქმედებმა ნაწამები დაზარალებული მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ბანდიტებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ, მაგრამ სასტიკად ნაცემი და ნაწამები მოხუცი სიკვდილს ვერ გადაურჩა. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, მიყენებულმა დაზიანებებმა ტრავმულ-ჰერმორაგული შოკი გამოიწვია, დაზიანდა ღვიძლი და თირკმელი, რის შედეგადაც, დაზარალებული გარდაიცვალა. სახლიდან თავდამსხმელებმა რამდენიმე საოჯახო ნივთი მაინც წაიღეს და ერთმანეთში გაიანაწილეს.

სასამართლო პროცესზე განსასჯელებმა წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნეს, თუმცა გამოძიების მასალებში არსებობდა მათ მიერ ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემული აღიარებითი ჩვენებები. აღნიშნულ ჩვენებებში ისინი დეტალურად აღწერდნენ ჩადენილ დანაშაულს და ერთმანეთსაც ამხელდნენ. ამის შემდეგ, პოზიცია რამდენჯერმე შეიცვალეს. ბრალდებულის სახითა და დამატებითი დაკითხვებისას მიცემულ ჩვენებებში ბევრი უზუსტობა და ურთიერთგამომრიცხავი დეტალი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულთა უმეტესობას მომხდარი ფაქტის თაობაზე არც განუცხადებია პოლიციაში, მათი არსებობის შესახებ თავად ეჭვმიტანილთა დაკითხვის შედეგად გახდა ცნობილი.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კოლეგიამ ლალიაშვილს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; აქედან 3 წელი მას საპყრობილეში უნდა გაეტარებინა. რაც შეეხება მგელაძეს — მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. სხვადასხვა დროს დააკავეს და გაასამართლეს ბანდის კიდევ 3 წევრი. სასამართლომ ისინი მკაცრად დასაჯა, თუმცა სამართალდამცველები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ბანდა, მათი ვარაუდით, გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მისი ყველა წევრის ვინაობა გამოძიებით ვერ დადგინდა.

გამოტანილ განაჩენს მსჯავრდებულები პროტესტით შეხვდნენ. მათი ადვოკატები, პოლიციის მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე ლაპარაკობდნენ, აღნიშნული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთა გამართლება მოითხოვეს. პროცესზე რატომღაც, საჩივრის მოთხოვნა შეცვალეს და მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქებაზე ალაპარაკდნენ. მათი პოზიცია საკასაციო პალატის მოსამართლეებმა არ გაიზიარეს. მათი თქმით, დაზარალებულთა, განსაკუთრებით — გაუპატიურების მსხვერპლისა და მოკლულის ახლობლებისთვის მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელია და ბანდის წევრები ჩადენილი სისასტიკისთვის ნამდვილად იმსახურებენ შეფარდებულ სასჯელს. ■

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მომღერალი ზაზა კორინთელი (ზუმბა), ქართული კულტურული ტრადიციების მიმდევარია, რაც მის შემოქმედებაშიც ნათლად აისახება. დაარსებული აქვს ყოველწლიური ფესტივალი „არტ-გენი“, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იწვევს ფოლკლორის მოყვარულებს; მოგზაურობს საქართველოს რეგიონებში, სწავლობს იქ დაცულ ტრადიციებსა და ადათ-წესებს... დიდი სურვილი აქვს, დღევანდელი თაობის წარმომადგენლებმაც მიჰბაძონ მას და არ დაივიწყონ საკუთარი ფესვები და წარმომავლობა.**

# ზუმბა:

## „ახა მაქვს თანამდებობა და ახა მაქვს ხეიფასი"

*ანყ ერთ აღბომს ჰქვია „ყოღო", მეორეს – „ევროოემონტი"*

**სოფო ჭონიშვილი**

— ყველა თაობას რაღაც საკუთარი მოაქვს ერის ცხოვრებაში. ჩემთვის ძნელი შესაფასებელია, თუნდაც ჩვენი მამების თაობის ნამოღვაწარი. ისინი იმ დროში გაიზარდნენ, როდესაც ე.წ. კოლექტიური ფასეულობები იყო გაბატონებული... თუმცა, მათ მაინც შეძლეს, შეექმნათ მნიშვნელოვანი რაღაცები. რაც შეეხება ახალ თაობას — ისინი უფრო პრაქტიკულები და შრომისმოყვარეები არიან. მე არ ვლაპარაკობ საერთო მასაზე, იმ ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ვინც ჩემ ირგვლივაა შემოკრებილი. მასა არასოდეს ქმნიდა კულტურას, იმას, რაც მაგალითად, ჩემს თაობას არ ახასიათებს — მაგალითად, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მათ იციან, რომ თუ თავად არ შექმნეს რაღაც ღირებული და კარგი, სხვა ვერავინ დაეხმარება. ჩვენ მაინც ისე გავიზარდეთ, რომ ოჯახური სიმშვიდე და რაღაც ელემენტარული, ყოფითი პრობლემები, სადარდებელი არ გვქონია... ვაღიარებ, რომ დღევანდელი ახალგაზრდები ძალიან მომწონს: ისინი ბევრ რამეს სწავლობენ, არ ეზარებათ შრომა, აქვთ საკუთარი იდეალები და უფრო მიზანდასახულები არიან, ვიდრე ჩვენ... დღეს, ძალზე ბევრი ახალგაზრდა მღერის ქართულ სიმღერებს. ამის დადასტურებაა ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და მის მონაწილეთა 90%-ს, ბავშვები და ახალგაზრდები შეადგენენ. ამ ფესტივალის საშუალებით, სტუდენტები ერთმანეთს ეცნობიან, მეგობრდებიან, ერთად მღერიან, წლების შემდეგ კი, ანსამბლებს აყალიბებენ. ის მოხუცები კი, რომლებსაც ჩვენ ამ ფესტივალზე ვეპატიჟებით ხოლმე, მთელ კვირას, ამ ახალგაზრდებთან ერთად ატარებენ. ახალი თაობა ბევრ რამეს სწავლობს ამ მოხუცებისგან. მათ ძალიან უხარიათ, რომ ახალგაზრდები მათი სიმღერით და საერთოდ ფოლკლორით არიან დაინტერესებულნი. დღევანდელ ახალგაზრდებს უფრო მეტად ახასიათებთ კულტურული ფასეულობების სწორი ხედვა, ვიდრე ეს თავის დროზე ჩვენ გვქონდა...

**— თქვენ ვინ ჩაგინერგათ ასე ღრმად ქართული კულტურისა და ტრადიციების სიყვარული?**

— მასწავლებელი მყავდა ძალიან კარგი ადამიანი, რომელთანაც გუნდში ვმღეროდი. ამ კაცისგან მარტო სიმღერას კი არ ვსწავლობდი — ვსწავლობდი იმასაც, თუ რა იდგა ამ სიმღერის მიღმა, რატომ მღეროდნენ ქართველები, რა ძალა ჰქონდა; თუ სარიტუალო იყო, რას ნიშნავდა ეს რიტუალი... რაც უფრო ღრმად შევდიოდი ამ სამყაროში, უფრო მეტად „ვიკარგებოდი“... დღემდე ვსწავლობ ამ ყველაფერს, დავდივარ ჩემს მეგობრებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ტურისტულად კი არა — ვცდილობ, ისე ჩავიდე, რომ დრო მქონდეს და ერთი თვე მაინც დავრჩე მათთან, გავიღვიძო და დავიძინო მათთან ერთად, ღრმად ჩავიხედო იმ პრობლემებში, რომლებიც მათ აწუხებთ და გავეცნო მათ ხალხურ შემოქმედებას. მშობლებს ვურჩევდი, რომ შვილები შეიყვანონ ქართულ ცეკვაზე, სიმღერაზე. თუ ამის ნიჭი არა აქვთ — დღეს, საქართველოში გაჩნდა ქართული რეწვის სკოლები, სადაც ახალგაზრებს შეუძლიათ, ისწავლონ ქარგვა, ქსოვა და ხეზე თლის ხელოვნება. კარგი იქნება, თუ ამ სკოლას ყველა ბავშვი გაივლის და ამ ყველაფერს ეზიარება. ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ადამიანობისა და ჰუმანურობის მარცვალი დევს. ადრე ისე ხდებოდა, რომ ბაბუა ასწავლიდა ამ ყველაფერს შვილიშვილს; დღეს ის ბაბუა სოფელში რჩება, შვილიშვილი კი, ქალაქში მიდის ან საზღვარგარეთ მიემგზავრება...

**— როცა თქვენ ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდით და პროფესიას ირჩევდით, ვინ იყო თქვენთვის, ძველი თაობის წარმომადგენლებიდან, მისაბაძი?**

— საერთოდ, როცა შემოქმედებით ხედვას იწყებ და გადადიხარ რაღაც-რაღაცების შეფასებასა და შესწავლაზე, უნდა ეცადო, რომ ერთ რაღაცაში არ ჩაიკეტო. ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო, ბევრი მენახა და ბევრი მომესმინა. პირველად, მუსიკასთან ჩემი შეხება გიტარის მეშვეობით მოხდა: ბაბუაჩემმა მიყიდა გიტარა; მერე, მამამ გიტარის წრეზე შემიყვანა. მაშინ 12 წლის ვიყავი. ბავშვობიდან ვუსმენდი ჰამლეტ გონაშვილს, მის ხმაზე მაძინებდნენ მშობლები... როცა წამოვიზარდე, ევროამერიკული ჟანრების მოსმენა დავიწყე. დღეს-დღეობით, ეს ჯგუფები კლასიკადაა ქცეული: „ბითლზი“, „ლედ ზეპელინი“, „დიფ ფარფლი“. მაგრამ ამასთან ერთად, ქართული მუსიკის სიყვარული თან დამყვებოდა და არასდროს გამნელებია. ჩემს მუსიკალურ განათლებასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა პოლონეთმა. იმ მუსიკის ჩანასახი, რომელსაც დღეს ვუკრავ, პოლონეთში გაჩნდა, როცა ჯაზის თანამედროვე აკადემიაში ვსწავლობდი. ამ აკადემიაში მასწავლიდნენ იმ თემატურ ფორმულებს, რომლის მიხედვითაც უნდა დამეკრა. იმპროვიზაციას მიშლიდნენ: ჯაზს ასე არ უკრავენო. ამიტომ, ეს აკადემია შეგნებულად აღარ დავამთავრე — არ მინდოდა, ჯაზის ისე დაკვრა, „კოპიოების“ კეთება არასოდეს მიზიდავდა. თუმცა, ვაღიარებ — ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ სკოლაში მივიღე, სიღრმისეული და სერიოზული გახლდათ. როცა საქართველოში ჩამოვედი, უკვე ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა.

**— როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადიხარ და ფაქტობრივად, შენთვის უცნობ ადამიანებთან ერთად გიწევს რამდენიმე დღე ცხოვრება, როგორ გხვდებიან ისინი, რა ემოციებს გამოხატავენ?**

**თუ დრო გაქვს, ჩაიღე ჯიბეში 20 ლარი, აიღე პაგარა ზურგჩანთა და ნებისმიერს მიუკაკუნე კარზე — უეჭველად მიგიღებენ...**

— არის ისეთი შემთხვევები, როცა მცნობენ — იციან, ვინ ვარ და რა მინდა მათგან. მაგრამ არის სოფლები, სადაც სტუმარი წელიწადში ერთხელაც კი არ მიდის, არა აქვთ შუქი, ტელევიზორი... იქ ასული ნებისმიერი სტუმარი მათთვის იმხელა სიხარულია, რომ ამას ვერ აგიწერთ. სასურველია, ეს ყველამ ნახოს და შეიგრძნოს. ამ ყველაფერს არ სჭირდება დიდი მზადება. თუ დრო გაქვს, ჩაიდე ჯიბეში 20 ლარი, აიღე პატარა ზურგჩანთა და ნებისმიერს მიუკაკუნე კარზე — უეჭველად მიგიღებენ, პატივს გცემენ. დამერწმუნეთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან დიდი სიამოვნებაა.

**— თქვენს დროს თუ იდგნენ ახალგაზრდები ქუჩაში?**

— ჩვენს დროს იდგნენ, თუ იდგნენ. მათ შორის, მეც ვიყავი. მაგრამ მარტო ბირჟაზე დგომით არ ვიყავი შემოფარგლული — სწავლასაც ვასწრებდი და შრომასაც. ქუჩის ცხოვრება, თავისებური სკოლაა. გინდა თუ არა, ყველამ უნდა გაიაროს. ვფიქრობ, რომ თუ ფასეულობები შეიცვლება, ის ბირჟაც პროგრესული გახდება — ანუ იქ შეკრებილი ახალგაზრდები აღარ ილაპარაკებენ იმაზე, გუშინ სად დალიეს, ვის რა წაართვეს... ეს პრობლემა დაუსაქმებლობისგან მოდის. როცა ახალგაზრდას არა აქვს გასაქანი და არ იცის, საკუთარი ენერგია სად დახარჯოს, სხვა გზა აღარ რჩება, გარდა ბირჟაზე დგომისა.

**— რა ითვლებოდა თქვენს თაობაში ვაჟკაცურ საქციელად?**

— ვაჟკაცურ საქციელად ითვლებოდა და დღესაც ითვლება, ერთმანეთის გვერდით დგომა, ადამიანების არდაჩაგვრა, ნაღდი მეგობრობა. ჩხუბი ერთი ერთზე და არა ერთი — ათზე... ჩვენს მამებს რომ ჰკითხოთ, ისინი ანგელოზები იყვნენ ამ თვალსაზრისით. თუ ადამიანი მოწოდებით კეთილია, ის ბოროტებას ვერასოდეს ჩაიდენს.

**— რას ურჩევდი დღევანდელ ახალგაზრდებს?**

— ბევრი იარონ და იმოგზაურონ, გაეცნონ საკუთარი ქვეყნის კულტურას. არ არის აუცილებელი, ფეხდაფეხ შემოიარო მთელი საქართველო, თუმცაღა, ამაზე კარგი არაფერია. დღესდღეობით, არსებობს ინტერნეტი, სადაც აუარებელი ინფორმაციაა დაინტერესებული ადამიანებისთვის. ასევე არსებობს უამრავი ლიტერატურა, რომლის მეშვეობითაც, შეიძლება გაეცნო შენს სამშობლოში დამკვიდრებულ ფასეულობებს.

**— რა შეგიძლია გვითხრა დღევანდელ შოუბიზნესზე?**

— ისიც კი არ ვიცი, რას ნიშნავს დღევანდელი შოუბიზნესი — თუმცა, გარკვეულწილად, ამ შოუბიზნესის ნაწილი მეც ვარ. რადგან სურვილი მაქვს, ჩემი შემოქმედება გაიყიდოს და ამით ვიცხოვრო. დღევანდელი შოუბიზნესის ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ არ გვყავს პროფესიონალი კრიტიკოსები. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: როცა ჩემი ალბომი გამოდის, მეორე დღეს, უნდა ვყიდულობდე ჟურნალ-გაზეთებს, ვუსმენდე ტელევიზიით ინფორმაციებს იმის შესახებ, თუ ვინ როგორ შეაფასა ჩემი შემოქმედება... თითოოროლა ნორმალური შემფასებელი შეიძლება შეგხვდეს, მაგრამ საერთო ჯამში, კრიტიკოსების ნაკლებობას განვიცდით. სამწუხაროდ, დღეს რეკლამირებულია პოპკულტურა. საქართველოში გვყავს ძალიან კარგი ჯაზშემსრულებლები, რომელთაც საზოგადოება არ იცნობს, სარდაფებში სხედან და იქ „რეპეტიციობენ“. არა აქვთ ფინანსური საშუალება, რომ ზემოთ ამოვიდნენ და ვიღაცამ შეამჩნიოს. პირადად მე, გული მტკივა, რომ ვერ ვდგავარ ისე მყარად ფეხზე, დახმარების ხელი გავუწოდო.

**— ზაზა, რა შეგიძლია გვითხრა იმის შესახებ, თითქოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში რაღაც თანამდებობა შემოგთავაზეს?**

— ძალიან ბევრი ჭორი გავრცელდა ამის შესახებ, ბევრიც დაიწერა. დავიწყოთ თავიდან: ამბობდნენ — სოფლის მეურნეობის სამინისტროში რემონტი იმიტომ შეჩერდა, რომ ზუმბა იქ საკონცერტო დარბაზს ხსნისო; მიხეილ სვიმონიშვილი მისი ძმაკაცია და ეტყობა, ეხმარებაო... ხომ სასაცილოა ეს ყველაფერი?! საკონცერტო დარბაზის გაკეთება ერთის კი არა — ათის მინდა, მაგრამ — არა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. რა უნდა სამინისტროში საკონცერტო დარბაზს?!. პროფესიით ინჟინერი არა ვარ, მაგრამ ბევრი საბავშვო მოედნის შენებაში მიმიღია მონაწილეობა. ჯერ ჩემს ეზოში გავაკეთე, მეგობრებთან ერთად. როცა დავინახეთ — კარგად გამოგვდიოდა, მერე, „ხმამაღლა ვიყვირეთ“. ამიტომ, ხან მსოფლიო ბანკი დაგვეხმარა, ხან — მერია და ხან — საახლობლო წრე. 17 ეზო უკვე გაკეთებულია თბილისში, რაშიც მე პირადად, არანაირი ინტერესი არ მქონდა. სამწუხაროდ, საზოგადოება აზროვნებით იმდენად კორუმპირებულია, ეჭვი ეპარება იმაში, რომ ვიღაცამ შეიძლება, გამორჩენის გარეშე აკეთოს სიკეთე... სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც ასეთი პროექტია — ის არანაირად არ ზის „ჩინოვნიკურ ფორმატში“. არა მაქვს თანამდებობა და არა მაქვს ხელფასი. ლაპარაკია მსოფლიო ბანკის პროექტზე, რომელიც ორი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად უნდა განხორციელდეს: ერთი გახლავთ სათბურების განვითარება ქვეყანაში, მეორე — საშუამავლო დამამზადებელი რგოლების შექმნა. გლეხი პროდუქციას რომ მოიყვანს, სანამ ეს პროდუქცია მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში გაიყიდება, მას საშუამავლო დამამზადებელი რგოლები ჩაიბარებენ, გაასუფთავებენ, დააპაკეტებენ და შეიტანენ საბითუმო ბაზარში; ამ პროექტით, აღნიშნული საბითუმო ბაზრის გახსნაცაა გათვალისწინებული, სადაც ხალხი დასაქმდება. აი, ამ ორი საქმის გასაკეთებლადაა შემუშავებული კონკრეტული პროგრამა, გამოცხადებულია კონკურსი. ჩამოყალიბდა საბჭო, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებული არიან: საზოგადოების, მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და ფერმერების წარმომადგენლები. საბჭოში 21 კაცი შედის, ხოლო მისი ხელმძღვანელობა მე მთხოვეს. ის წელიწადში 4-5-ჯერ იკრიბება, უნდა მიიღოს და დაამტკიცოს ექსპერტების მიერ არჩეული პროექტები. ეს არის მექანიზმი, სადაც მთავრობა და ხალხი ერთობლივად მუშაობს. სხვა დაინტერესება ამ საქმეში მე არა მაქვს, გარდა იმისა, რომ რაღაც სასიკეთო გაკეთდეს და გლეხებს რაღაცით მაინც გაუადვილდეთ ყოფა...

**— დაბოლოს, რა სიახლეებია შენს შემოქმედებაში?**

— ამ ახალ წელს ორი ალბომის გამოშვება შევძელი, ოღონდ — ერთის ფასად, სადაც თავი მოვუყარე ჩემს კომპოზიციებსა და სიმღერებს. ერთ ალბომს ჰქვია „ჟოლო“, მეორეს — „ევრორემონტი“. ამ ალბომებში გაერთიანებულია კომპოზიციები ჯგუფი „ზუმბას“ ცხოვრების ყველა ეტაპის რეპერტუარიდან. ეს არ არის ის მუსიკა, რომელსაც დღეს ვუკრავთ. სიახლეებია ჯგუფის შემადგენლობაშიც: ჯგუფის წევრებს დაემატნენ მერაბ სანოძე და ალეკო კვაშალი. მოვამზადეთ ახალი პროგრამა, რომელიც პირველად, კიევში გამართულ ფესტივალზე წარმოვადგინეთ. ეს იყო სამდღიანი ფესტივალი, სადაც მიწვეულები იყავით: ჯგუფი „ზუმბა“, ნიაზ დიასამიძე და ნინო ქათამაძე თავისი ჯგუფით. ბოლო ორი წელია, ჩაბმული ვარ კინოცხოვრებაში. ეს, ჩემი და გია დიასამიძის *(რეჟისორი. — ავტ.)* მეგობრობის შედეგად მოხდა. ფესტივალ „არტგენის“ დაარსებას წინ უძღოდა სამთვიანი ექსპედიცია ოზურგეთში. ყველაფერს ვიდეოკამერით ვიღებდით, შემდეგ, მასალა აიკინძა და დოკუმენტურ ფილმად იქცა. ფილმის სახელია „მოგზაურობა ფოლკლორში,“ რომელიც უკვე 2-ჯერ თუ 3-ჯერ გავიდა ტელეეთერში. ამ მოგზაურობის დროს, ოზურგეთში გავიცანით საინტერესო ანსამბლი — „იადონი“, რომლის შესახებაც დოკუმენტური ფილმის გადაღებას ვაპირებთ. უკვე ორი წელია, ამ სურათზე ვმუშაობთ, იმედია, მალე დავასრულებთ. ამ ფილმით იმის თქმა გვსურს, რომ ჩვენ არა ვართ სამუზეუმოდ განწირული ქვეყანა, მისი ფასეულობები და ის კულტურა, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მხოლოდ წარსულში დარჩენილი, რაღაც ექსპონატი როდია — ეს არის დღევანდელი, აბსოლუტურად თანამედროვე ხელოვნება, რომელიც ვითარდება, მაგრამ სამწუხაროდ, არ არის პოპულარული ჩვენს დროში, ჩვენსავე სიბრიყვის გამო. და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ არ არის თანამედროვე და პრესტიჟული, ძალიან ცდება... ■



# ასე მოუხდება!

## „ერთმა — გამაკოტრა, მეორემ — გამაგიჟა“ ანუ „ბლატნოი“ ტალღა და „დაბოლილი“ შიშველი გოგონები პლაჟზე

ამ ბოლო დროს ჩვევად მექცა, რომ „გზავნილების“ შესავალს მკითხველთა მესიჯებით ვიწყებ. ამაში ცუდი არაფერია და არც ამჯერად ვუღალატებ ჩვევას. თანაც, როცა სასწორზე ჩემი ბედი დევს, მეტი რა გზა მაქვს?! „მარი, კარგი, რა! ესეც ლატარიაა? არასოდეს არაფერში მიმართლებს და რა მოხდება, ახლა მაინც გამიმართლოს, რომ ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ მოხვდეს? ერთი უცნაურობა მჭირს: თუ ვინმე გამაბრაზებს და გულს მატკენს, მეორე დღესვე რაღაც ემართება: ზოგს — წელი უშეშდება, ზოგს — კბილი უსივდება... ლაშა სიგიჟემდე მიყვარდა. ერთ დღეს გამომიცხადა, რომ სხვა შეუყვარდა. გული კინაღამ გამიჩერდა. მეორე დღეს, ფეხბურთს თამაშობდა და ფეხი მოიტეხა. ასე მოუხდება! ჩემს გაბრაზებას ყველა ერიდება. ასე რომ, მარი, გაითვალისწინე, რა!..“ — ეს ერთი. ახლა, მეორე ნახეთ: „მარი, თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, ქმარს მოვკლავ და შენ დაგაბრალებ. მუშაობს ბიჭი! როცა სახლშია, სულ სძინავს. ძვირფასო ლეო, გამოფხიზლდი, თორემ გაგიფრინდი! შენი ცოლი“. ჯერ ვიფიქრე: მოდი, ექსპერიმენტს ჩავატარებ და არ გამოვაქვეყნებ, ვნახოთ, რა მოხდება-მეთქი, — მაგრამ მერე წარმოვიდგინე, წელგაშეშებულს, კბილგასივებულსა და ფეხმოტეხილს, როგორ დამადებს პატრული ხელბორკილს და დუმილის უფლებით, მკვლელობის (თანაც — სხვისი ქმრის!) ბრალდებით, ციხის გზას გამიყენებს... მაგრამ მე რა გამაჩუმებდა?! ამ ფაქტს ცოტა პოლიტიკურ დატვირთვას მივცემდი, ცოტას ვიყვირებდი: სიტყვის თავისუფლებას ზღუდავენ და ჟურნალისტებს „გვიტყაპუნებენ“-მეთქი! — და სკანდალიც მზად იქნებოდა. ჩემს კოლეგებსაც საქმეს გავუჩენდი და მეც დავისვენებდი... ვინ იცის, რამდენი მკითხველი იტყოდა — ასე მოუხდება მაგას, ჩვენს მესიჯებს რომ არ აქვეყნებდა, ინახავდა და „შავ ბაზარზე მამასისხლად ყიდდაო“... ან — რამდენი ჩემგან სისხლგამშრალი რესპონდენტი ამოისუნთქავდა შვებით და იტყოდა — ახია მაგაზე, ახლა მაინც ისწავლის ჭკუასო!.. ჰოდა, ეს ყველაფერი რომ წარმოვიდგინე, მაშინვე დამეკარგა ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი და ორივე მესიჯი დასაწყისშივე შემოგთავაზეთ...

*მარი ჯაშარიძე*

### ცრუმონანიება

„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ პირველად გწერთ. იქნებ, სხვა მაინც დააფიქროს ამ ამბავმა, თორემ მის მოქმედ პირს უკვე აღარაფერი ეშველება... 14 წლის ვიყავი, როცა ერთი ბიჭი გავიცანი. სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან, საერთოდ არ მომეწონა, მაგრამ იმდენი ქნა, რომ თავი შემაყვარა. შედეგად კი ის მივიღე, რომ 16 წლის ასაკში მისი საყვარელი გავხდი. ვაჟბატონი ცოტა ხნით გაერთო ჩემთან და შემდეგ ზურგი მაქცია. შეურაცხყოფილი და სასოწარკვეთილი ვიყავი. ამიტომ პირველი შესაძლებლობისთანავე გავთხოვდი. ქმარმა საიდუმლო შემინახა, მაგრამ ჩვენი ოჯახი თავიდანვე დასანგრევად იყო განწირული. რაღაც პერიოდის შემდეგ, 2 შვილთან ერთად, მშობლებთან დავბრუნდი და მთელი ოჯახით საცხოვრებლად დედაქალაქში გადმოვედით. ამის გამო, იმ არაკაცის ამბებს თითქმის ვეღარ ვიგებდი. ამასობაში, 15 წელი გავიდა, რომელიც შრომაში, შვილების გაზრდასა და სინანულში გავატარე. ჩვენი საერთო მეგობარი კი მეუბნებოდა, რომ თურმე, ჩემი ყოფილი საყვარელი ჩემი ტელეფონის ნომერსა და კოორდინატებს სთხოვდა, მაგრამ მე წინააღმდეგი ვიყავი, რომ ჩემ შესახებ რაიმე გაეგო. ბოლოს, როგორღაც მაინც დასტყუა. იმ დღიდან აღმოვჩნდი ჯოჯოხეთში. მის პირველ ზარზე საშინელი რეაქცია მქონდა, მაგრამ იმდენი ბოდიში მოიხადა და ისე ნანობდა თავის საქციელს, რომ შეხვედრაზე დავთანხმდი. იმ დღეს, გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი... ჯერ იყო და, ისე მეფერებოდა, რომ თავი ყველაზე ბედნიერი მეგონა; მეორე წუთში კი მამწარებდა. მისი ქცევა ვეღარ ავიტანე და თავის ოჯახში მივაბრძანე... სწორედ ამ დროს, ჩემს ცხოვრებაში ძალიან კარგი მამაკაცი გამოჩნდა. მეც ავდექი და გულში ჩავიხუტე... ახლა ბედნიერი ქალი ვარ, 33 წლის ასაკში სიცოცხლე თავიდან დავიწყე. ის კი კვლავ ჩემს დაკარგვას ნანობს. ისე განიცდის, რომ ცოლსაც კი დაარეკვინა ჩემთან და ათხოვნინა, რომ შევრიგებოდი. მაგრამ მე უომისოდ გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. ასე მოუხდება!“

*ალბათ გახსოვთ, ერთხანს ატყდა გაცხარებული კამათი მრავალცოლიანობის თემაზე და ზოგი იმასაც ამბობდა — ჩვენი რევოლუციური პარლამენტი მის დაკანონებას აპირებსო... ქალებს ამაზე საშინელი რეაქცია ჰქონდათ. იყვნენ ისეთებიც, ვინც უკვე „ხმლის ამოსაღებად“ ემზადებოდა: თავს შევაკლავთ, პარლამენტის წინ კარვებს დავდგამთ, წამოვწვებით და ვიშიმშილებთ, ამ კანონს კი არაფრით გავატანინებთო, — ამბობდნენ. საინტერესოა, მრავალქმრიანობაზე რომ ყოფილიყო ლაპარაკი, მაშინ რაღას იტყოდნენ?.. თუ ჩვენს ერთ ემიგრანტ რესპონდენტს დავუჯერებთ, არც ისე ცუდი ყოფილა, ერთდროულად 2-3 ქმრის ყოლა.*

### გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

„მე მარიანა ვარ, სპარტიდან (საბერძნეთის ქალაქია). უკვე 8 წელია, აქ ვცხოვრობ, სკოლა აქ დავამთავრე და აქვე ვსწავლობ სამედიცინოზე. რასაც ახლა მოგწერთ, შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ გეფიცებით, სრული სიმართლეა. 21 წლის ვარ და ახლა

გავთხოვდი სიყვარულით... 2 ბიჭზე. ჰო, ორი ქმარი მყავს, ორი! ერთი — ბერძენი კოსტანტინოა, მეორე — იტალიელი ვიქტორი. ახლა კი მოგიყვებით, როგორ მოხდა ეს ამბავი. ჩემი მშობლები ჯერ საბერძნეთში ცხოვრობდნენ, შემდეგ — იტალიაში გადავიდნენ. მეც არდადეგებზე ჩავაკითხე. ერთ ღამეს, ძლიერმა ხმაურმა გამაღვიძა, ლამის ჭერი ჩამოინგრა. გადარეული გავიქეცი ზედა სართულზე, რომ მეზობლისთვის საყვედური მეთქვა. დავაკაკუნე. კარი ორმა ბიჭმა გამიღო. ჩემი „დანგრეული" იტალიურით დავუწყე ჩხუბი. როცა გავჩუმდი, ერთმანეთს შეხედეს და სიცილი აუტყდათ. ამაზე სულ გადავირიე, დამცინიან-მეთქი, გავიფიქრე და უკან გამოვბრუნდი. მეორე დღეს, კართან ყვავილების თაიგული დამხვდა, წარწერით: „გვაპატიე!" მერე ორივე ბიჭი გავიცანი და დავმეგობრდით. მთელი თვე, ვიდრე იქ ვიყავი, სულ ერთად ვატარებდით დროს. ერთ-ერთი მათგანი ბერძენი იყო და გამიხარდა კიდეც, რომ საბერძნეთში ერთად დავბრუნდებოდით. ვიქტორმა მარტო არ გამოგვიშვა და ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდა... სწავლა რომ დაიწყო და ლექციებზე დავდიოდი, ორივენი კუდში დამდევდნენ. თუ ვინმე გამეარშიყებოდა, ერთ ამბავს ტეხდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ, ორივემ სიყვარული ამიხსნა, თან შემომთავაზეს, რომ ერთ-ერთი მათგანი ამომერჩია; თუ ორივეს დავიწუნებდი, სხვაზე გათხოვების უფლებას არ მოგცემთო, — მითხრეს. რა მექნა? დავიწყე ფიქრი. მთელი თვე ვიფიქრე და მივხვდი, რომ ორივე თანაბრად მიყვარდა. ჰოდა, მათაც სწორედ ეს ვუთხარი. შემომთავაზეს, ორივეზე გავთხოვილიყავი. რა უნდა მექნა? ვინაიდან ორივე ძალიან მიყვარდა, ავდექი და მათ წინადადებას დავთანხმდი. აი, ასე, მყავს 2 ქმარი. ქორწილიც გადავიხადეთ, ჯვარიც დავიწერეთ. მღვდელი გადაირია, ასეთი რამ არასდროს მინახავსო. ჩემი მშობლებიც გადაირივნენ, მაგრამ მალე შეეგუვნენ... თაფლობის თვე პარიზში გავატარეთ და ძალიან ბედნიერი ვარ. მარი, მალე ჩემი ქმრებით საქართველოშიც ჩამოვალ და აუცილებლად შეგატყობინებ. მაპატიე, რომ ჩემი მესიჯი შენს თემას არ პასუხობს, მაგრამ არა უშავს, ხომ?.. გკოცნი, მარიანა. ჩაო!"

*ჩაო, მარიანა, ჩაო! ერთი სული მაქვს, როდის ჩამოხვალ საქართველოში, რომ გნახო და შენი მეუღლეებიც გავიცნო... შემდეგი რესპონდენტიც საოცარ ამბავს გვიყვება და გვეუბნება, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არაო, მაგრამ წინა ამბის მერე, ან მე რამ უნდა გამაკვირვოს, ან ჩემი მკითხველი?! ასე რომ — გვჯერა, ბატონო, გვჯერა! ნათქვამია — მიზნის მისაღწევად, ყველა საშუალება გამოდგებაო, მაგრამ თუ ეს, შურისძიებაა, მაშინაც?.. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად, ვფიქრობ, დაზარალებული, თვითონ შურისმაძიებელი გახლავთ. იმედია, მესიჯის ავტორი არ მიწყენს, ამას რომ ვამბობ — მას გულწრფელად თანავუგრძნობ და ალბათ, თითოეული თქვენგანი სიბრალულის გრძნობით აივსება, როცა მის ამბავს წაიკითხავს.*

## არ ენდოთ ქმრის საყვარელს!

„მოღალატე ქმარი მყავს. სხვაგან ნაქეიფარ-ნაგრიალები, სრულიად უდანაშაულოდ მცემდა ხოლმე. ამ დროს კი, მშიერ-მწყურვალი ბავშვები დედის წამებას უყურებდნენ... მისმა ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც ამავე დროს, ჩემი ახლობელიც გახლავთ, ჩემდამი სიბრალულის გამო, თავის დაქალს გამაყოლა ფულის საშოვნელად, ქუჩაში, ალალბედზე... ისე, ხომ ჭკვიანურია, საყვარლის ცოლის გაბოზება?! თანაც, სხვისი დახმარებით. ისინი ცალკე „გულაობდნენ", მე — ცალკე. სულ მეტირებოდა, ზოგიერთ კაცზე გულიც მერეოდა, მაგრამ რა მექნა? თავის შენახვის სხვა საშუალება არ მქონდა, ამას კი მშვენივრად ვახერხებდი... ჩემი ქმარიც უზომოდ მძულდა... ჩემს ყოფას ნელნელა შევეჩვიე. ზოგი ფულს მაძლევდა, ზოგი — პროდუქტს. ზოგს კი ვთხოვდი, რომ ბავშვებისთვის ან ჩემთვის წამლები ეყიდა. თან ვფიქრობდი: ნეტავ, ამის ცოლს, რომ არაფერი უჭირს-მეთქი! — მაგრამ უეცრად, ჩემი ქმარი გამახსენდებოდა ხოლმე: ალბათ, მისი ქალებიც ასე ფიქრობდნენ ჩემზე... გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ამ დროს, ეს კაცებიც მძულდნენ ოჯახის ღალატის გამო. ყოფილა შემთხვევა, როცა ფული არ მოუციათ, ან სულაც წაურთმევიათ, ან მხოლოდ სასმელ-საჭმლით გამმასპინძლებიან და შინ ნასუფრალი წამიღია... თავიდან, დაგვიანების გამო ტყუილების შეთხზვა მიჭირდა, მაგრამ ამაშიც ის ქალბატონი და მისი დაქალი დამეხმარნენ. ვიდრე ერთგული ცოლი ვიყავი, ქმარი ეჭვიანობდა, თავისი დანაშაულის დასაფარავად, რაღაც მიზეზს მოიგონებდა და მცემდა, მე კი თავსაც არ ვიმართლებდი, მხოლოდ ვტიროდი. ხოლო როცა მართლა საცემი გავხდი, ისეთი თავდაცვა ვისწავლე, რომ კარგ ადვოკატს ვაჯობებდი... კიდევ დაწვრილებით მოგიყვეთ? არა, შემდეგისთვის შევინახავ. ახლა კი გულს ვიფხან, ქმარს რომ ვღალატობ. ის რომ მღალატობდა და თანაც, მცემდა, კარგი იყო?!. ასე მოუხდებათ, მოღალატე და სადისტ ქმრებს! კაცებო, მოარიდეთ ცოლები თქვენს საყვარლებს!.."

*ქე ვიცი, კაცს ლექსის წერას რა აწყებინებსო, — თქვა ილარიონმა, როცა ზურიკელას „ხმამაღლა" დაწერილი ლექსი მოისმინა და ახალგაზრდა პოეტი დამოძღვრა კიდეც: ბებიაშენ ოლღას ნუ ეტყვი ამ ამბავს, თავისი გაჭირვებაც ეყოფაო... ისიც გემახსოვრებათ, ზურიკელას ქალაქში გასაშვებად, საზიარო ძროხის გაყიდვა რომ მოუხდათ მოხუცებს... მაშინ ძველი დრო იყო, დღეს კი, ახალი ტექნოლოგიები დაინერგა და დამწყებ პოეტებს შეუძლიათ, პირდაპირ მამის საბანკო ანგარიშიდან მოხსნან თანხა და საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ...*

## დამალული „ფულები" და ოცნების წიგნი

„მაშ, ასე მოუხდებაო, არა?.. ახლა ისეთ ამბავს მოგიყვებიიიიით!.. ბავშვობიდან ვგიჟდებოდი ლექსებზე. მეც ვწერდი და ჩემი რაიონის გაზეთში ვაქვეყნებდი. კარგი მოსწავლე ვიყავი, ლექსების კრებულის გამოცემაზე ვოცნებობდი. მამაჩემი ძალიან ძუნწი კაცია, სულს უფრო დათმობს, ვიდრე — ფულს. სულ წუწუნებდა. არადა, ვიცოდი, რომ ბანკში ანგარიშზე საკმაო თანხა ჰქონდა და არ ამხელდა. როცა მამაჩემის დამალულ „ფულებზე" ჩემს ეჭვს გამოვთქვამდი, დედა მსაყვედურობდა ხოლმე, მაგრამ ვერაფრით დამარწმუნა, რომ მამას დანაზოგი არ ჰქონდა. ჰოდა, გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და სამდღიანი ქექვა-ძებნის შემდეგ აღმოვაჩინე პლასტიკური ბარათი. გამოვცხადდი ბანკში და 2 ათასი ლარი გამოვაცუნცულე. ანგარიშზე მხოლოდ 300 ლარი დავტოვე. თბილისში, დიპლომატიურზე ვსწავლობ. სულაც არ გამჭირვებია, კარგი გამომცემლობის მოძებნა. ცოტა შეღავათიც გამიწიეს, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის შვილს, წარჩინებულ სტუდენტსა და მიზანსწრაფულ ადამიანს... ფერადი გარეკანით, მაღალხარისხიან ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი გამოვიდა. 100 საუკეთესო ლექსი დაიბეჭდა, 3000 ეგზემპლარად. „მაგვიანდება ბავშვობასთან, ყოველი წამით" — ასე ჰქვია ჩემი ოცნების წიგნს. მშობლებს საშობაო საჩუქრად გადავეცი 1 ეგზემპლარი, რომელშიც აღსარების ფურცელიც იდო. მე კი საახალწლოდ, ბებია-ბაბუასთან წავედი და მათ რეაქციას დველოდე... საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მშობლებმა გამიგეს. საახალწლოდ, ყველა მეგობარს საკუთარი წიგნი ვუსახსოვრე, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა და უახლოეს მომავალში, ალბათ, მეორედ დავბეჭდავ. მამაჩემმა კი ის 300 ლარიც გამოიტანა ბანკიდან და მაღარიჩი იკისრა. ასე დასრულდა მისი დანაზოგის ამბავი. ასე მოუხდება მამაჩემს! მე კი ძალიან ბედნიერი ვარ."

*მართლაც, უცნაურები ვართ ქალები: სულ ვწუწუნებთ — უბედურები ვართ-თქო, მაგრამ ვიცით კი, რა არის ბედნიერება?! ხომ ხედავთ, ერთი იმითაა ბედნიერი, რომ 2 ქმარი ჰყავს, მეორე — ქმარს რომ ღალატობს და ამით სამაგიეროს უხდის, მესამე — იმით, რომ პირველი მამაკაცი საკუთარ ოჯახს დაუბრუნა და მის ცოლსაც კი უარი უთხრა ყოფილ საყვარელთან შერიგებაზე, მეოთხემ — საკუთარ მამას დანაზოგი მოჰპარა, ლექსების კრებული*

*გამოსცა და მაღარიჩიც მამას აკისრებინა... მეხუთე კი, დაქალს გულშემატკივრობდა და ბედნიერია, რომ როგორც იქნა, ამერიკელ მილიონერზე გაათხოვა...*

## მილიონერი ამერიკელი და კუდაბზიკა ქართველი

„მინდა, ჩემი მეგობრის იდიოტ ქმარზე მოგიყვეთ. დრო რომ აირია და ჩვენმა მთავრობამ ქარხნები ჯართად აქცია, ინჟინრები აღარავის სჭირდებოდა და ისიც უმუშევარი დარჩა. სხვა რამის კეთება არ იკადრა და თავისი მართლაც რომ მზეთუნახავი ცოლი ამერიკაში გაუშვა, სხვის მოსამსახურედ. ჰოდა, გადარია იქაური კაცები ჩემმა მეგობარმა თავისი სილამაზით, პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით. არა და არ მისცეს გასაქანი და ისიც ერთ მილიონერ ამერიკელზე გათხოვდა, რომელმაც მსოფლიო მოატარა, უამრავი მოსამსახურე დაუქირავა, შვილიც თავისთან წაიყვანინა და ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლის ქირასაც უხდის. კუდაბზიკა ქართველ ქმარს კი, შიმშილით სძვრება სული. ახია მასზე და საერთოდ, ყველა კაცზე, ვინც ცოლ-შვილის ფასი არ იცის, შრომას თაკილობს და ცოლის კისერზე ცხოვრება ურჩევნია“.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## „გაძუკნილები“ და „გასაძუკნები“

„5 წლის გათხოვილი ვარ და მხოლოდ ახლა დავფეხმძიმდი. აღმოვაჩინე, რომ ჩემი ქმარი ვიღაც ქმრიან ქალთან დადის. მეუბნება, რომ ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ კაცია და მასთან გასართობად დადის. ამის გამო ვიჩხუბეთ. ახლა ალბათ, 10-15 დღე აღარ გამოჩნდება. როგორ ფიქრობთ, ვუყვარვარ? იცის, რომ მარტო ვარ, გაცივებული ვარ და წამალი და საჭმელი მეზობელს შემოაქვს. აბა, რისი ღირსია ჩემი ქმარი? ხომ არ ჯობია, რომ ახლავე გავშორდე?“

„ქმარი მომწყინდა... უფრო სწორად, ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ. ჰოდა, იმდენი ვიჩალიჩე, რომ სახლიდან გავაგდე და ცოლიც მოვაყვანინე. ახლა ალბათ, ბევრს ნანობს, ოინსაც მიმიხვდა, მაგრამ უკვე გვიანია. დავისვენე და თავისუფალ ადამიანად ვიქეცი. თამო“.

„მე და ჩემს დაქალს ერთი გასართობი გვაქვს: ადრე დილით ან გვიან ღამით ზარს ვუშვებთ უცხო ნომრებზე; რომ დაგვირეკავენ, არ ვპასუხობთ და მერე იწყებენ მესიჯების გზავნას. ამაზე მაგრად ვხალისობთ, რადგან ქალს ქმრის საყვარელი ვგონივართ, კაცს — უცნობი თაყვანისმცემელი ქალი. იცით, თურმე, რამდენი საიდუმლო ტრიალებს ჩვენს ქალაქში?!. ახლა ეს ჩვევა უნდა მოვიშალო, რადგან მომწყინდა. გკოცნით, ჩემგან დატანჯულო აბონენტებო! თქვენი მარია“.

„ჩემი ქმარი მაიასთან მღალატობდა და ის ცოდვიანი ბუნაგი, სადაც პირველად და არაერთხელ იგორავეს, სწორედ იმ ღამეს დაიწვა, როცა ისინი სხვაგან შეხვდნენ ერთმანეთს. ამ ამბავზე ცოტა ხნით ადრე კი, მაიას დედამ ჩემზე საშინელი ჭორები შეთხზა. ნეტავ, იმ ღამეს სამივენი იმ ბინაში გამომწვარიყვნენ და ის სახლიც დაიწვას, სადაც ახლა ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ იმ სახლში სხვებიც ცხოვრობენ. ვიცი, ამას აუცილებლად წაიკითხავენ, როგორც წლების წინ წაიკითხეს და აბობოქრდებიან. ასე მოუხდება მაგათ!“

„მარი, მაღალი სიცხე მაქვს და გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე: საუთარ თავზე ვბრაზდები, რადგან ისეთ ადამიანს ვენდობოდი, ვინც ამის ღირსი არ იყო. მიმტკიცებდა, მიყვარხარო, მეც მჯეროდა, მაგრამ ახლა უკვე ვხვდები, რომ სულელი ვიყავი... აბა, როგორ შეიძლება, რომ გათხოვილი ქალი უყვარდეთ? გუშინ მომწერა: — საკუთარ თავში უნდა გავერკვეო... დამარწმუნა, რომ ვუყვარვარ და თვითონ გრძნობებში ახლა ერკვევა. სიცოცხლე აღარ მინდა! ყოჩაღ, ვანო! ასე მომიხდება! პატარა“.

„ერთი ბიჭი 5 წლის განმავლობაში მიყვარდა. ის კი მეგობრად მთვლიდა. მერე, ჩემი დაქალი შეუყვარდა და დახმარება მე მთხოვა. ისინი ერთმანეთს მალე დაშორდნენ და ამის მერე მე მეფანცქვალებოდა. ბოლოს და ბოლოს, მეც „დავადე“. ასე მოუხდება! იაროს ახლა მარტო! ნატალი“.

„მთვარეეეე“! ხომ კარგად გარბენინე რუსთაველზე?! ასე მოგიხდება! ჯერ სად ხარ?! ახლა ნახე, შენს მონაცემებს „პაემანში“ რომ გამოვაქვეყნებ და ერთ ბომჟს დაგაჯახებ... მარი, მაგარი „ჯიგარსონა“ ხარ. „გზავნილებზე“ მაგრად ვერთობი. „კურიცა“.

„ჩემს ქმარს ასე მოუხდება! აბა, რა ეგონა, პატარა რომ შემიყვარა და გაფურჩქნის ხანაში „მომწყვიტა“?!. ახლა, ოჯახი რომ აქვს, ოჯახს ფული უნდა. ფული რომ იშოვოს, უნდა იმუშაოს... ჰოდა, ხან რა საქმეს მიაწყდება, ხან — რას, რომ მცირე ბიზნესი წამოიწყოს. ახლა, გაზეთ „სიტყვა და საქმეს“ კითხულობს, რომ იქნებ, რაიმე სამუშაო იშოვოს. უცოლო რომ იყოს, ამდენი პრობლემა ხომ არ ექნებოდა! მასაც ეშველებოდა და მეც... მაგრამ ბედს ნამდვილად არ ვუჩივი, რადგან ღმერთმა ტყუპი ბიჭი მაჩუქა. საბე“.

„ზაფხულში თურქეთში ვიყავი, ფესტივალზე. ჩემთან ერთად ის ბიჭი იყო, რომელიც დანახვისთანავე ავითვალწუნე. ზღვაზე საშინლად დავიწვი და თითის მიკარებაზეც კი ვკიოდი. ამ ბიჭმა კი პირდაპირ მუშტი ჩამარტყა. ისე არ მტკენია, რომ მეტირა, მაგრამ მის ჯიბრზე, ღრიალი მოვრთე. დანარჩენი ბიჭები ეჩხუბნენ და მეორე დღეს, ჩემზე მეტად სტკიოდა ბეჭები. აი, ასე ვიყარე ჯავრი ადამიანზე, რომელსაც ახლაც არ ვიცი, რას ვერჩოდი. მინდა, თქვენი საშუალებით ბოდიში მოვუხადო. ვიცი, რომ თქვენი მკითხველია და იმედია, მიცნობს. ბლანკო“.

„როცა მოწმენდილ ცაზე იწვიმებს/ ბაგეს ეხება წვიმის წვეთები,/ ხელი შეახე, თორემ იტირებს,/ ეგ წვიმა მე ვარ და გეფერები!/ ბათუმელო გიორგი გოგობერიძე, მიყვარხარ და მენატრები. თბილისელი ნათია“.

„მარი, დიდი მადლობა, ჩემი მესიჯის გამოქვეყნებისთვის. ჩემმა მეუღლემ რომ წაიკითხა, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ასე მოუხდება. თუ კიდევ გამაბრაზებს, მომავალში უფრო მეტ რამეს დავწერ და უფრო გავაბრაზებ! პატივისცემით, გიორგევნა“.

„ერთ ტიპს ვუყვარდი, მაგრამ სულ იმას ამბობდა — სიყვარულს არავის ვუხსნი, გოგო თვითონ უნდა მიხვდესო. ჰოდა, მეორე ტიპმა მომიტაცა. ახლა, ის, ამაყი ზის და ტირის. ასე მოუხდება! სალომე“.

„მე და ჩემი შეყვარებული 2 წელი ერთად ვიყავით. ქორწილის წინა კვირას კი, მიმატოვა... უკვე ერთი წელი გავიდა, ახლა შერიგებას მთხოვს, მე კი მის ჯიბრზე, ყველა ბიჭთან ვწევარ, ვისაც ამის სურვილი აქვს... მას კი — ასე მოუხდება!“

„მე და ჩემს შეყვარებულს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. ერთხელ, ჩემს დაქალთან მივედი და რას ვხედავ? ჩემი დაქალი და ჩემი შეყვარებული ლოგინში გორაობენ! გავგიჟდი... ფუ, რა საზიზღრობა იყო! მიუხედავად იმისა, რომ მეხვეწებოდნენ, გვაპატიეო, არც კი დავფიქრებულვარ, ისე დავურეკე დაქალის ძმას. იქ ამბავი ატყდაااა!.. ასე მოუხდებათ! თამუნა და ნიკა, ჩემო საყვარლებო, ალბათ წაიკითხავთ ამ მესიჯს და მიხვდებით, ვინც ვარ. თამო, „შენს სიცოცხლეს“ გადაეცი, რომ თავი დამანებოს! ისე, საინტერესოა, ღირდა კი, შენი ქალწულობა ნიკას რომ შესწირე?.. მაინც მეცოდები. ქეთი“.

„მარი, „საჩივრის სვეტი“ დაგვიბრუნე, რა! მინდა, ვუჩივლო ჩემს ქმარს, რომელიც ჩამოსვლას აგვიანებს. ძვირფასო მეუღლევ, არ გეგონოს, „ბლატნოი“ ტალღაზე ვიყო, უბრალოდ, თუ დროზე არ ჩამოხვალ, „გაგძუკნი“! გკოცნი ბევრს, შენი უჭკვიანესი ცოლუკა, ნ“.

„სიგიჟემდე მიყვარდა ერთი გოგო. ამიტომ, საათი არ გავიდოდა, რომ არ დამერეკა და არ მომეკითხა. ის კი ისე მელაპარაკებოდა, თითქოს მეზიზღებოდა. მერე და მერე შევნიშნე, რომ ჩემ მიმართ სიმპათია გაუჩნდა. სწორედ ამ დროს დავემშვიდობე და მივატოვე. ახლა კი თვითონ მეფიცება სიყვარულს და ხვეწნით თავს იკლავს, რომ დავუბრუნდე, მაგრამ ვერ მივართვი. აი, ასე მოუხდება!“

„გამარჯობა! „გზავნილებში“ ჩემი „დებიუტია“. ზაფხულში ქობულეთში ვისვენებდი და 2 დაქალი გავიცანი —

თაკა და ნინჩო. საკაიფო ნაშოჩკები იყვნენ, მაგრამ ძალიან ამპარტავნები. თავსაც მაყვედრიდნენ. თანაც, გაცნობის ინიციატივა მათგან მოდიოდა. ერთხელაც, „დაგრუზული“ ვიყავი და გზაზე გადამეყარნენ. დაიწყეს გაჩმახება. ავდექი და მაგრად ვაქეიფე. მერე, არც „დაბოლებაზე“ უთქვამთ უარი და გაითიშნენ კიდეც. აიჩემეს, გინდა თუ არა, ზღვაში ჩავიდეთო. წამოწვნენ პლაჟზე და ჩაეძინათ. ორივე გავაშიშვლე, ტანისამოსი წამოვიღე და წამოვედი... გამთენიისას, გაღვიძებიათ, თავზე კი უცხო ბიჭები ედგნენ... იქიდან როგორ წამოვიდნენ, არ ვიცი, მაგრამ არ გაბრაზებულან“.

„დავიწყებ იმით, რომ ერთი ბიჭი 6 წელი მიყვარდა და ის კი, ზედაც არ მიყურებდა. ახლა, როცა დავივიწყე, მირეკავს და მეხვეწება, რომ შევურიგდე. მე კი არ მინდა და იცით, რატომ? მაგ მათხოვრის გულისთვის 6 წელი ვიტანჯებოდი და ახლა თვითონ დაიტანჯოს. ასე მოუხდება!“

„მარი, ერთი თვეა, არ მომიწერია. იცი, რატომ? ბოლოს რომ მოგწერე, არ დამიბეჭდე და მეწყინა. დარწმუნებული ვარ, მე რომ არ გწერდი, მკითხველების რიცხვი შეგიმცირდებოდა... ასე მოგიხდება! ახლა მაინც არ დამაღალატო და ჩემს უფლისწულს, გიო ბაინდურაშვილს უთხარი, რომ პულსის დაცემამდე მიყვარს. ლანკა, ზუგდიდი“.

„მარი, „საჩივრის სვეტი“ დაგვიბრუნეეეეე!!! ვუჩივი ტელეფონის გამომგონებელს და „კუპიდონის ისრების ქარხანას“: პირველმა — გამაკოტრა, მეორემ — გამაგიჟა. რაღა ვქნა? ლანა“.

„ზესტაფონის ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში ვსწავლობდი და ერთი ბიჭი მიყვარდა, მაგრამ მისი გულის მოგება ვერაფრით შევძელი. ერთხელ გადავწყვიტე, რომ მისთვის სიურპრიზი მომეწყო. ვიყიდე უზარმაზარი ყუთი და შიგ 2 ცალი პამპერსი ჩავდე. შევფუთე და კლასში მის მერხზე დავდე. უნდა გენახათ მისი სახე, როცა საჩუქარი გახსნა. მაგრად გაუტყდა. ასე მოუხდება! მაიკო“.

„გზავნილებში“ ყოველთვის სხვისი ამბების კითხვით ვხალისობდი, მაგრამ ახლა მეც გიმესიჯებთ. მინდა, იმ გოგონებს დავეკონტაქტო, ვინც გწერთ, რომ პატიმარი შეუყვარდა. მეც შემაყვარა თავი ერთმა პატიმარმა და თანაც, ისე ძლიერ, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. მას შეეძლო, რომ ჩემი სიყვარულით ესარგებლა, თანაც, მატერიალურად არ მიჭირს და მქონდა საშუალება, დავხმარებოდი, მაგრამ ჩემი საქციელით შევაყვარე თავი. აქეთ მირთავდა ტელეფონს და საჩუქარსაც ხშირად მიგზავნიდა. მასთან ხშირად დავდიოდი და ჩვენ შორის ფიზიკური ურთიერთობაც დამყარდა, მაგრამ იმ დღიდან, თავის ცოლად გამომაცხადა. გავიდა დრო და სულ ახლახან, გათავისუფლდა კიდეც. ახლა კი ორსულად ვარ და მალე, პატარაც გვეყოლება. ასე რომ, გოგონებო, თუ ჭკვიანად იქნებით და არავის მისცემთ უფლებას, გამოგიყენოს, აუცილებლად აიცილებთ თავიდან უსიამოვნებებს. პატიმარსაც ისეთივე სიყვარული შეუძლია, როგორიც გარეთ მყოფებს“.

„ეს ჩემი მეორე მესიჯია. ნეტავ იცოდეთ, როგორ გამიხარდა, როცა ჩემი მესიჯი „გზაში“ ვნახე. ამისათვის დიდი მადლობა ჩვენს „მესიჯ-შეფს“, მარის. ახლა კი, რაც შეეხება დღევანდელ თემას: მე და ჩემი დაქალი ერთ ბიჭთან ვმეგობრობდით. ხანდახან კი ურევდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვუგებდით. ბოლოს, ვიჩხუბეთ. ნამდვილი, ხელჩართული ბრძოლა იყო, სულ ყურებით ვაკონწიალეთ ჩვენი მეგობარი. ასე რომ, იდიოტო მამრებო, ასე მოგიხდებათ!.. ემა“.

„ჩემმა მეგობრებმა გამაბრაზეს. რადგან გოგო ვარ, სულ ჩემს დაჩაგვრას ცდილობენ. გავებუტები და ვნახოთ, უჩემოდ როგორ გაძლებენ. ასე მოუხდება, ვინც მეგობრობას ვერ დააფასებს! კუკუსა“.

„ერთ ბიჭს ვუყვარდი. ადგა და ერთ საღამოს, სახლში მომადგა. ჰოდა, ჩემმა ძმამ მაგრად „გაძუკნა“. ასე მოუხდება ყველა თავხედ ბიჭს! ნინი“.

„მარი, წინა ნომერში რომ მოგწერა, მიშა სააკაშვილის სახელით, იმ ადამიანთან დამაკავშირე: ჩემი დაკარგული მეგობრის ძალიან ნაცნობი ხუმრობაა. ჩემი ნომერი მიეცი, რა!“

„პატივცემულო მარი, მოგესალმები! აღფრთოვანებული ვარ მომენტის დროულად დაჭერის უნარით, რომელიც გაქვს; მთელი ქალაქი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მკაცრად მოექეცი იმ საზიზღარ და უტიფარ ნუკრის, რომელმაც მკითხველი გაგილანძღა! იმასაც ამბობენ, თითქოს აცემინე ჩემი თავი. მოხარული ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე შენი რუბრიკის პოპულარიზაციაში! მზად ვარ, გემსახურო. ისე, „სულელებს ეძახის“ კი არა, არამედ — „სულელებს უწოდებს“! ასჯერ გაზომე, ერთხელ დაწერე! გულწრფელი პატივისცემით! ნუკრი“.

*ალბათ მიხვდით — ეს ის ნუკრია, რომელსაც ეჭვი ეპარება „გზავნილების“ რეალურობაში და მკითხველების მესიჯებს, სისულელე უწოდა, მე კი ამის გამო, „პირდაპირ ეთერში“ ვუსაყვედურე. ამჯერად, მასწავლებლის ფუნქცია შეუთავსებია და მკარნახობს, როგორ უნდა ვწერო... მადლობის მეტი რა მეთქმის?!.*

*„გზის“ მომდევნო ნომერი 16 თებერვალს გამოდის. 14 თებერვალს კი, ვალენტინობის დღესასწაულია. ამიტომ თემად გთავაზობთ: დაუვიწყარი სიყვარული. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.* ■



# მრთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. ზურაბ წერეთლის დევიზია:**

ა) „დიდი და კიდევ უფრო დიდი“;
ბ) „ხელოვნება ხელოვნებისთვის“;
გ) „დიდი ძეგლი — დიდი ხელოვნება“.

**2. ინდოეთში მიიჩნევენ, რომ ქალს მარტოს არ შეშვენის სამოგზაუროდ წასვლა და თუ იგი იძულებულია სადმე მარტო გაემგზავროს, ის აუცილებლად...**



ა) ...მიემგზავრება ავტომანქანით;
ბ) ....სახეს ჩადრით იფარავს;
გ) ...მამაკაცის ტანისამოსს იცვამს.

**3. საგალეტო სკოლაში გამონაკლისი დაუშვეს და ია ნინიძეს ნეგა დართეს:**

ა) ეტარებინა საყურე;
ბ) ეტარებინა „ჩოლკა“;
გ) ეთამაშა სპექტაკლებში.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

**ამჯერად ჩვენი „საპატარძლო“, 22 წლის მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე გახლავთ. აქვე გამოგიტყდებით, რომ ეს ინტერვიუ საკმაოდ იშვიათ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება: როგორც მაშვალი, ვალდებული ვარ, რესპონდენტი (მით უმეტეს, ამ რუბრიკაში მოწვეული) ვაქო და ვადიდო, მისი სისუსტეები კი, მაქსიმალურად დავფარო. მაგრამ თაკო ძალზე გულახდილი და უკომპლექსო აღმოჩნდა, საკუთარ ნაკლს დაუფარავად ამჟღავნებს და არც დედას უშლის ხელს მასზე ღიად ლაპარაკის დროს... შესაძლოა, ბევრმა მიიჩნიოს, რომ ეს ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებაა.. ვნახოთ, რა გამოვიდა ჩვენი საუბრიდან:**

# წლის დეფიციტი ანუ როდის ვადაიქცევა თაკო ქვაბად?

მარი ხაფარიძე

**— თაკო, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— დედა დიასახლისია, ყოფილი მომღერალი. მღეროდა სახელმწიფო ორკესტრ „რეროში“. მამა კომპოზიტორია. ხელმძღვანელობს ბენდს და მუშაობს მარჯანიშვილის თეატრში. ჩემი და, მსახიობი გახლავთ და „ვაკის სარდაფსა“ და მარჯანიშვილის თეატრში მუშაობს.

**— როგორც ჩანს, მუსიკალური ნიჭი გენეტიკურად გამოგყვა. ვინ აღმოაჩინა პირველად, რომ ასეთი ნიჭიერი გოგონა იყავი?**

— თავიდანვე აშკარად ჩანდა, რომ ნიჭიერი ბავშვი ვიყავი. ამის აღმოჩენა კი, დედას ეკუთვნის. ის თავიდანვე იბრძოდა საიმისოდ, რომ პროფესიონალი მომღერალი გავმხდარიყავი... დავამთავრე კონსერვატორია და პროფესიით გუნდის დირიჟორი ვარ. მანამდე კი, ნიჭიერთა ათწლედი დავამთავრე.

**— ჭირვეული ადამიანი ხარ?**

— გააჩნია, რა შემთხვევაში. ყოველთვის არ ვჭირვეულობ, მაგრამ არც უმაგისობაა. შეიძლება ითქვას, რომ უფრო ჯიუტი ვარ, ვიდრე ჭირვეული. ასევე მიზანდასახული ვარ, რასაც ჩავიფიქრებ, აუცილებლად სისრულეში მოვიყვან. ვიბრძოლებ, ვიწვალებ და სურვილს უსათუოდ ავისრულებ. უკონფლიქტო, თავშეკავებული და სერიოზული ადამიანი ვარ.

**— ბუტია თუ ხარ?**

— არა, გაბუტვა არ მჩვევია. თუ ვინმე მაწყენინებს, პირდაპირ ვეტყვი. აბა, რა წესია, რამდენიმე საათით გავიბუტო და მერე შევურიგდე?! მით უმეტეს, თუ ადამიანმა საკუთარი დანაშაული შეიგნო და ბოდიში მომიხადა, უცებ მავიწყდება წყენა.

**— მტირალა ხარ?**

— არა, ძალიან იშვიათად ვტირი.

**— გავიგე, შენ და ნინი ბადურაშვილი კარიერის გასაკეთებლად, გერმანიაში მიდიხართ. მართალია?**

— რა გვიქნა ლიზამ, ეს რა გაგვიკეთა! არ ვაპირებდით ჩვენი გეგმის გახმაურებას, ვიდრე ყველაფერი კარგად არ იქნებოდა, რადგან ამჯერად, საკუთარი ძალების გამოსაცდელად ჩავდივართ. გვინდოდა, რომ ჯერ გამოსულიყო ის საქმე, რისთვისაც მივდიოდით და მერე გაგვეხმაურებინა. ლიზა ვადაჭკორიამ კი გაამჟღავნა და ახლა დამალვას რაღა აზრი აქვს?! მივდივართ, რომ გავაგრძელოთ ჩვენი კარიერა. ჯერ კონკრეტულ კონტრაქტზე ლაპარაკი არ არის. რომ ჩავალთ, მერე გამოჩნდება ყველაფერი...

**— თქვენი ეს ნაბიჯი იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ დღესდღეობით, საქართველოში შოუ-ბიზნესი, რბილად რომ ვთქვათ, მოიკოჭლებს?**

— რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი ეგეც არის. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც წავიდოდი, რადგან ბავშვობიდან, სულ სხვანაირი პრეტენზიები და მოთხოვნები მქონდა საკუთარი თავის მიმართ. ამიტომ, საქართველოში შოუ-ბიზნესი რომც ყვაოდეს, მაინც წავიდოდი. მე სხვა მასშტაბებზე ვფიქრობ და არ მაკმაყოფილებს ის, რომ მარტო საქართველოში ვარ პოპულარული.

**— მაგრამ ამისთვის უცხოეთში წასვლა რა საჭიროა? არიან მომღერლები, რომლებიც საკუთარ სამშობლოში ცხოვრობენ, მაგრამ ცნობილები არიან მთელ მსოფლიოში.**

— არა, ეს გამორიცხულია, რადგან თუ საქართველოში ვარ პოპულარული, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს და აქ ამაზე მეტს ვერ მიაღწევ. ამერიკაში რომ დავბადებულიყავი, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა, რადგან სწორედ იქ ხდება ადამიანების „გაპოპულარულება“ და არა საქართველოში.

**— დაახლოებით რა დრო დაგჭირდებათ თქვენი ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ 2 თვით მივდივართ. მერე ჩამოვალთ და იმის მიხედვით მოვიქცევით, თუ როგორ წავა საქმე.

**— გერმანული ენა თუ იცით?**

— გერმანული — არა. კარგად ვფლობ ინგლისურს. ჩვენ ვაპირებთ, ინგლისურენოვანი სიმღერები ჩავწეროთ.

**— დიდ ჰონორარს გპირდებიან?**

— ჯერჯერობით, არა. საქმე ის არის, რომ ამ ეტაპზე, საკუთარი თავის უზრუნველყოფა თითქმის მთლიანად ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

**— არ გაგიჭირდება ოჯახისა და მეგობრების დატოვება?**

— კი, ცოტა გამიჭირდება, რადგან საზღვარგარეთ დიდი ხნით არასოდეს წავსულვარ, დიდი-დიდი — 2 კვირით. მაგრამ ისე მინდა წასვლა და იმდენად მჯერა, რომ აუცილებლად მივაღწევ მიზანს, რომ სიხ-

არულით მივდივარ და ნაკლებად ვფიქრობ აქ დარჩენილ ადამიანებზე. ბოლოს და ბოლოს, როცა ჩამოვალ, მაშინ ვნახავ...

**— როგორი ბავშვი იყავი?**

— ჩვეულებრივი. სკოლაზე არ ვგიჟდებოდი. კარგი მოსწავლე ვიყავი და არც ისეთი ცელქი, რომ მშობელი გამუდმებით სკოლაში დაებარებინათ, მაგრამ მაინც არ მიყვარდა სკოლა. პატარაობიდან, „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში დავდიოდი და სულ კონცერტები მქონდა, ამიტომ ძირითადად, სიმღერაზე ვიყავი გადართული. მე-7 კლასამდე, ფრიადოსანი ვიყავი. შემდეგ, სწავლას მოვუკელი და ოთხებზე ჩამოვედი. ასე დავამთავრე სკოლა. ამის შემდეგ, ბევრ წარმატებას მივაღწიე. პირველი ჯილდო იალტაში სიმღერის კონკურსზე მივიღე, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. მაშინ 17 წლის ვიყავი. 18 წლისა, ვიტებსკში გამართულ კონკურსშიც პირველ ადგილზე გავედი... ყველა მიღწევას ვერ ჩამოვთვლი. საკმაოდ ბევრი წარმატება მქონდა სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსზე. ამას წინათ, გერმანიაში გასაგზავნ საბუთებს რომ ვაგროვებდი, ავტობიოგრაფიის დაწერა დამჭირდა. წერა რომ დავასრულე და ჩემს ბიოგრაფიას გადავავლე თვალი, ძალზე კმაყოფილი დავრჩი, რადგან საკმაოდ „გრძელი“ ბიოგრაფია მქონია, ჩემი წარმატებებითა და მიღწევებით.

**— ისე, ცოტა ამპარტავანი და ზედმეტად თვითკმაყოფილი ხომ არ ხარ?..**

— არა, ამპარტავანი არა ვარ, მაგრამ სიამაყის გრძნობა ნამდვილად მაქვს. რომ გითხრათ, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს და გავიძახი — მე ვარ, რაცა ვარ, ეს რა მაგარი ვყოფილვარმეთქი! — ტყუილი იქნება, ასეთი რამ ალბათ, არასოდეს მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, მაგრამ არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს“. საკუთარი თავის დაფასება და სიამაყის განცდა ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს.

**— უცხო ადამიანებთან კონტაქტს იოლად ამყარებ?**

— კი, უცებ. მაგრამ არავის გავუშინაურდები იმაზე მეტად, ვიდრე საჭიროა. ზღვარს აუცილებლად დავიცავ.

**— ალბათ, უამრავი თაყვანისმცემელი გყავს და გულსაც გიწყალებენ, ხომ?**

— არ დამითვლია, მაგრამ ბევრნი არიან. რომ გითხრათ, კარს მიმტვრევენ და მათი გამოგზავნილი ყვავილები აღარ ვიცი, სად წავიღო-მეთქი, — ტყუილი იქნება, მაგრამ თითოეული მათგანი თავისებურად ცდილობს, რომ საკუთარი არსებობის შესახებ მამცნოს. მირეკავენ, მეკონტაქტებიან... ბევრი, ძალიან მოწადინებული იყო ჩემთან დაახლოებით, მაგრამ მე უკარება ვარ, ახლოს არავის ვუშვებ და ამის გამო, არც შეყვარებული ვარ.

**— არსოდეს ყოფილხარ შეყვარებული თუ უბრალოდ, მცირე პაუზა გაქვს?**

— შეყვარებული ვიყავი და გავთხოვდი კიდეც, მაგრამ ამან კარგი არაფერი მომიტანა და 1 წელიწადში, უკანვე „გამოვთხოვდი“.

**— მართლა? პირველად მესმის... ვინ იყო შენი ქმარი?**

— როგორ მოხდა, რომ ეს ამბავი არ გაგიგონია?.. ჩემი ყოფილი მეუღლე, მსახიობია.

**— ნანობ?**

— არა, არ ვნანობ!

**— მე ვიგულისხმე, თუ ნანობ, რომ გათხოვდი?**

— ა-ა, მაგას კი ვნანობ, როგორ არა...

**— ახლა თუ გაქვს მასთან ურთიერთობა?**

— არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. მისგან მოდიოდა შერიგების მცდელობა, მაგრამ მიხვდა, რომ არაფერი გამოვა და ახლა უკვე აღარც მისგან ისმის რამე.

**— თუ შეგიძლია, დამოუკიდებლად გაუძღვე ოჯახს — ქმარსაც მიხედო, სარეცხიც გარეცხო, სადილიც თავის დროზე მოამზადო და სახლიც დაალაგო?**

— საერთოდ, ძალიან ცუდი დიასახლისი ვარ. საოჯახო საქმის აზრზე არა ვარ... არა, აზრზე როგორ არა ვარ, მაგრამ ძალიან ზარმაცი ვარ. როცა გათხოვილი ვიყავი, მაშინ შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვაკეთებდი. იმას ვერ ვიტყვი, რომ „სოუსებს“ ვამზადებდი და სასწაულებს ვახდენდი, მაგრამ როგორც შემეძლო, სახლსაც ვალაგებდი და კერძებსაც ვამზადებდი. თუ დამჭირდება, ახლაც გავაკეთებ. იცით, დედა არ მუშაობს, სულ სახლშია და ამის გამო, განებივრებული ვარ. ყველაფერს ის აკეთებს.

**— გერმანიაში ყოფნისას, უცხოელ მამაკაცს რომ მოეწონო და ხელი გთხოვოს, უარს ეტყვი?**

— კი, რადგან მე ქართველი მამაკაცები მომწონს. ასე მგონია, უცხოელ კაცს ვერ გავუგებ. მე ნახევრად აზიატი და ნახევრად ევროპელი ვარ, ამიტომ ევროპელი მამაკაცი ჩემთვის მიუღებელია. საქართველოში გაზრდილი ადამიანები სხვანაირად აზროვნებენ.

**— ამ ეტაპზე, ალბათ, ქართველ მამაკაცზეც არ გათხოვდები, რადგან შენი მიზნები კარიერას უკავშირდება...**

— არავითარ შემთხვევაში არ გავთხოვდები. გამორიცხულია!

**— შენი დღის რეჟიმი როგორია? დილით ადრე ადგომა რომ არ გეყვარება, ეს ნათელია...**

— ძალიან მიყვარს ძილი. ჩემთვის ადრე ადგომა, დღის 12 საათზე გაღვიძებას ნიშნავს. როგორც წესი, დღის 2-3 საათზე ვიღვიძებ. ნინი ბადურაშვილი გიჟდება და ცოფდება ჩემი დღის რეჟიმის გამო, რადგან თვითონ 11-ის ნახევარზე იღვიძებს.

**— შენთან შედარებით, ნამდვილად საუკეთესო მაჩვენებელია...**

— კი, ასეა და ახლა მპირდება — გერმანიაში ერთად რომ ვიცხოვრებთ, 10 საათზე გექნება „პადიომიო“.

**— ალბათ, გვიან წვები დასაძინებლად და დილით ადგომა იმიტომ გიჭირს...**

— „ზოლუშკასავით“, სახლში ზუსტად 12 საათზე ვბრუნდები, რადგან მშობლებისგან გაფრთხილებული ვარ — თუ 12 საათზე შინ არ ვიქნები, კარს აღარ გამიღებენ და კვახად გადავიქცევი. ამიტომ, ზუსტად ამ დროს მოვდივარ. მერე, ცოტა ხანს, ტელევიზორს ვუყურებ და ასე, 2 საათზე ვიძინებ. სახლში გაჩერება ძალიან მიჭირს. გავიღვიძებ თუ არა, მაშინვე ვიცვამ და სადმე გავვარდები ხოლმე...

**— ქერა მამაკაცები უფრო მოგწონს თუ შავგვრემანი?**

— არა. ჩემი გემოვნების შესაფერისი მამაკაცი უნდა იყოს: შავგვრემანი, მაღალი, სერიოზული, საქმიანი, ერთგული, ჩემზე შეყვარებული და იცოდეს ქალის პატივისცემა.

*ჩვენს საუბარს თაკოს დედა, **ძალგატონი თინა** შემოუერთდა და შვილის შესახებ საინტერესო ამბებიც მოგვიყვა. მართალია, თაკომ გააპროტესტა — ინტერვიუს ჩემთან წერენ, შენთან კი არაო, — მაგრამ ხელი მაინც ვერ შეუშალა.*

— თაკო ასე, 4-5 წლის იქნებოდა, როდესაც გადიოდა სერიალი „რვაფეხა“. მოგეხსენებათ, მთავარ გმირს კორადო ჰქვია. ბავშვმა კარგა ხანს უყურა, უსმინა და ბოლოს იკითხა — ამ კაცს კარადას რატომ ეძახიანო?.. თაკო მიიწვიეს მოსკოვში, ტელევიზია „რენ-ტი-ვის“ საახალწ-

ლო კონცერტზე. როდესაც იქიდან დაბრუნდა, ჩამოიტანა ვიდეოჩანაწერი. კადრზე, სადაც თაკო მღეროდა, გაკეთებული იყო წარწერა: „ოტკრიტიე გოდა, იუნოე დაროვანიე“ და ა.შ. თაკომ მეგობრებს უჩვენა ეს ჩანაწერი და წინასწარ უთხრა: ახლა ნახეთ, ჩემზე რა ეწერება, მე „დელიკატეს გოდა“ ვარო...

**— ქალბატონო თინა, მზითვი თუ გაქვთ მომზადებული თაკოსთვის?**

— კი, მაქვს... კარგი ბიჭები არ ჩანან, თორემ, მზითვი კი გვაქვს. რაც უნდა ჰქონდეს გასათხოვარ გოგონას, თაკოს ყველაფერი აქვს: საბნები, ბალიშები და ლეიბები დედაჩემმა გაუმზადა, ჭურჭლის ყიდვა კი, თვითონაც ძალიან უყვარს და იმდენი რამ მოიტანა შინ, რომ კარადაში ტევა აღარ არის.

**თაკო:**

— არ მიყვარს ანტიკვარული ნივთები. ძალიან მომწონს ლამაზი, თანამედროვე დიზაინის, მსუბუქი ჭურჭელი და ნივთები. თუ სადმე წავაწყდები, აუცილებლად ვყიდულობ ხოლმე.

**— ქალბატონო თინა, ყველაზე ხშირად რის გამო საყვედურობთ თაკოს?**

— ვაიმე, აღარ შემიძლია! რასაც ვეუბნები, არაფერს მიჯერებს, მაინც თავისებურად აკეთებს ყველაფერს. ძალზე ჯიუტია და ამის გამო ვსაყვედურობ ხოლმე.

**— არ ვიცი, ისმენდით თუ არა, მაგრამ წელან თაკომ მითხრა, რომ ზარმაცია. თავის ტანისამოსს როცა აქეთ-იქით ყრის, თვითონვე ალაგებს, თუ ისიც თქვენი დასალაგებელია?**

— *(თაკოს მიუბრუნდა)* ვთქვა? ვუთხრა, როგორ იქცევი?..

— მე უკვე ვუთხარი, რომ ცუდი დიასახლისი ვარ. ახლა, გინდ უთხარი, გინდ — არა.

— ტანისამოსის მოვლა, დიასახლისობა არ არის...

— ამას წინათ, ფლორა *(ნინი ბადურაშვილის ბებია)* მეუბნება — ნახე, რას ჰგავს ნინის კარადა, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ; თაკო, შენც ასეთი ხარო?

— ვერ უთხარი, რომ შენ უარესი ხარ? ვაიმეეე... სხვათა შორის, როცა საკუთარი ოჯახი ჰქონდა, უფრო მოწესრიგებული იყო. აქ, როგორც ჩანს, ჩემი იმედი აქვს და ხელს არ ანძრევს.

*ასეთია თაკო გაჩეჩილაძე. მის თაყვანისმცემლებს ნუ შეგაშინებთ ის, რაც წაიკითხეთ. ის ჯერ ბავშვია, გაიზრდება და ყველაფერს ისწავლის. ბოლოს და ბოლოს, ოჯახში დამხმარეს აიყვანთ, მზარეულს მოიწვევთ... სამაგიეროდ, ლამაზი, მომღერალი ცოლი გეყოლებათ და იამაყებთ მისით... ვისაც სურს, ხმა მიაწვდინოს თაკოს, დამიმესიჯოს ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. თუ ჩემმა მოწადინებამ გაამართლა და თაკოს ბედი გაეხსნა, კარგი საჩუქარი და ფინჯან ყავაზე დაპატიჟება ჩემზე იყოს... თქვენ მიერ გამოგზავნილი მესიჯები, წესისამებრ, „გზის“ მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება.*

*ამჯერად კი, „სასიძოს“ რუბრიკით „გზის“ №2-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუზე მოსულ გამოხმაურებებს გაგაცნობთ.*

*ჩვენმა ინდოელმა სასიძომ — ნაბინ სინგჰანმა დიდი მოწონება დაიმსახურა და უამრავმა ქართველმა გოგომ გამოთქვა მასზე გათხოვების სურვილი. შესაძლოა, ქართველ მამაკაცებს ეწყინოთ კიდეც, მაგრამ რას იზამ, ნაბინის მიერ ნათქვამმა — მთელი ცხოვრება, ცოლის ერთგული ვიქნებიო, — ძალზე იმოქმედა ქართველ გოგონებზე. თუმცა მანამდე, ერთი ინდოელი კაცის ქვრივის ბარათს გავეცნოთ:*

„მე 29 წლის ვარ. გათხოვილი ვიყავი ინდოელ კაცზე. 3 წელი ვიცხოვრეთ ერთად დელიში. ერთი შვილი შეგვეძინა და ახლა, ჩვენი შვილი უკვე 6 წლისაა. ჩემი მეუღლე სამწუხაროდ, დაიღუპა. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოში დავბრუნდი და ახლა მშობლებთან ვცხოვრობ. ვიცი, რაოდენ ერთგული და კარგი ქმრები არიან ინდოელი მამაკაცები. ნაბინს, როგორც სა-



**ნაბინის მიერ ნათქვამმა — მთელი ცხოვრება, ცოლის ერთგული ვიქნებიო, — ძალზე იმოქმედა ქართველ გოგონებზე**

სიძოს, ისე არ ვეხმაურები — უბრალოდ, მინდოდა, მოვფერებოდი შორიდან, როგორც ჩემს ძმას. ნაბინ, წარმატებებს გისურვებ! ისე, თუ ქართველ გოგოზე დაქორწინდები, ნამდვილად არ ინანებ“.

„ძალიან მომეწონა თქვენი სასიძო. შავგვრემანი ბიჭები საერთოდ მომწონს და მით უმეტეს, თუ ასეთი ერთგული და მაგარი ტიპია. ნაბინ, გამომეხმაურე და გპირდები, რომ მთელი ცხოვრება, მარის მადლიერი იქნები, ჩემისთანა გოგო რომ გაგაცნო“.

„ნაბინი კარგი ადამიანი ყოფილა, რადგან ასე მოკლე ხანში შეუგრძნია ქართველი ადამიანის ბუნება. თვითონაც მშვენივრად შეჰგუებია აქაურ სიტუაციას. ნაბინ, თუ დამიკავშირდები, შენ ნამდვილი ქართველი ქალის ბუნებას გიჩვენებ“.

„ნაბინი კი მომეწონა, მაგრამ ფულს მაგის ცოლობაში კი არა, თვით დათო ხუჯაძის ცოლობაშიც კი არ გადავიხდი. ნაბინ, ეგ საქმე უფულოდ არ გამოვა?..“

„თანახმა ვარ, გავხდე ნაბინის ცოლი, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს მშობლებს ფულს აქეთ გადაუხდის. აბა, მე ამდენი ფული სად მაქვს?!“

„ნაბინ, თუ შენს ქვეყანაში ბიჭების გაჩენა შემოსავლიანი „ბიზნესია“, იმდენ ბიჭს გაგიჩენ, რომ მილიონერი გახდები... ჯერ დავქორწინდეთ, მერე შვილები გავაჩინოთ, გავზარდოთ და ცოლებს რომ მოიყვანენ, მერე გავმდიდრდებით კიდეც. სალომე“.

„ვაა! გამარჯობა, ნაბინ! როგორ ხარ?.. ერთხელ, მე და ჩემი მეგობრები რესტორანში ვიყავით. იქ ნაბინი და მისი 2 მეგობარიც იყვნენ. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, მაგრამ ჩვენ ინგლისური არ ვიცოდით, მათ — ქართული და ერთმანეთს ვერაფერი გავაგებინეთ. რა ვიცოდი, თუ ასეთი დიდი კაცი „გამოვიდოდა“ და მისი ინტერვიუ ასეთ ცნობილ ჟურნალში დაიბეჭდებოდა, თორემ მაშინ, ხელიდან არ გავუშვებდი და ახლა, ჩვენი ინტერვიუ დაიბეჭდებოდა. ნაბინ, გკოცნი! ნათია“.

„ისე, მაგარია ინდური ფილმები. რა ლამაზი სახლები აქვთ!.. ნაბინ, შენი სახლიც ასეთი ლამაზია?.. ცეკვასაც ვისწავლი და მერე შენთვის ვიცეკვებ ხოლმე. მოიფიქრე, გინდა თუ არა, რომ შენი ცოლი გავხდე...“

„გთხოვთ, გამაცნოთ ნაბინი. მარი, ძალიან მინდა მისი ახლოს გაცნობა და აბა, შენ იცი! იმედია, უარს არ იტყვის... ნანა, 22 წლის“.

„პრივეტ“, ნაბინ, ძალიან საყვარელი ბიჭი ხარ და დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. შენნაირი ერთგული ბიჭი ძალიან იშვიათად თუ შეგხვდება. ნაბინი სულ სხვაა! კლარა“.

„მარი, თუ ღმერთი გწამს, საიდან გამოქექე ეგ „სასიძო“?.. თან თურმე, 10 ათასი დოლარიც უნდა გადავიხადოთ? კარგი, რა!..“

„ძალიან კი არა, სიგიჟემდე მინდა ნაბინის გაცნობა. ძალიან მომეწონა, ჟურნალში რომ ვნახე და ბავშვობის ყველა ოცნება თავდაყირა დამიდგა. უმორჩილესად გთხოვთ, გამაცნოთ. ციცია“.

„სიამოვნებით გავიცნობ ნაბინს, რადგან ძალიან მომეწონა მისი შეხედულებები ქორწინებაზე. საინტერესო და სიმპათიური მამაკაცია. ვგიჟდები ინდურ ტრადიციებზე. ნინი“.

■

# ქალის წარმატების ხანა



**ოჯახური იერარქია ცარიელი სიტყვები როდია. მაგრამ ტრადიციული „ძალთა თანაფარდობა“ წარსულს ჰბარდება და ამას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან მამაკაცები, რადგან ქალები ამსხვრევენ მათთვის საძულველ სტერეოტიპებს, რასაც მათი ქმრები ვერ ურიგდებიან. როგორ უნდა შეუთავსდეს ქალების ახალი მოთხოვნილებები და შესაძლებლობები მამაკაცთა განცდებს? როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ქალების წარმატებებმა კარიერაში ცუდად არ იმოქმედოს ოჯახის კეთილდღეობაზე? მართალია, ამის განხორციელება მარტივი არ არის, მაგრამ შესაძლებელია.**

როდესაც სერგეი ესენინი აისედორა დუნკანთან ერთად ამერიკაში ჩავიდა, მაღალი საზოგადოების ქრონიკაში გაჩნდა ასეთი ცნობა: „შეუდარებელმა აისედორამ თან ჩამოიყვანა ცისფერთვალება რუსი დათვი. ამბობენ, რომ ის მისი ქმარია“. ან კიდევ, ასეთი ინფორმაცია: „გუშინ მიღებას ესწრებოდა აისედორა დუნკანი, მას თან ახლდა რუსი ქმარი“. „რუსი ქმრის“ სახელი პრესაში არც ერთხელ არ გაჟღერებულა, ალბათ იმიტომ, რომ მისი სახელი ამერიკელებს არაფერს ეუბნებოდა. ამბობენ, რომ ეს იყო ესენინის შინ სწრაფი დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი, თანაც, რა თქმა უნდა, აისედორა დუნკანის გარეშე... ორმოცდაათი წლის შემდეგ, ასეთივე ამბავი გადახდათ თავს ვლადიმირ ვისოცკისა და მარინა ვლადის პარიზში. პირველ ხანებში, ჟურნალისტები ვლადიმირ ვისოცკის მოიხსენიებდნენ მხოლოდ როგორც „მადამ ვლადის ქმარს“. რუს მსახიობს ეს ძალიან აღიზიანებდა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი მამაკაცი ამჯობინებდა, რომ მისი გამოჩენა საზოგადოებაში ასე გამოეცხადებინათ: „ბატონი ესა და ეს მეუღლითურთ — და არა პირიქით“.

მამაკაცს მაშინაც ელახება თავმოყვარეობა, თუ მისი ცოლი მასზე მეტ ფულს შოულობს ან კარიერაში უფრო დიდ სიმაღლეებს აღწევს. ამას ყველა მამაკაცი ვერ გადაიტანს. მსგავსი მეტამორფოზები ოჯახურ იერარქიაში მათთვის ძალზე სერიოზული სტრესია.

## რა ქმნის პრობლემას?

მართლაც, რა ქმნის? ცოლი მებრძოლია, ოჯახური კეთილდღეობა იზრდება... ეს ხომ არათუ ტრაგედია, უსიამოვნებაც კი არაა! მაშ, რა ტანჯავს ქმარს?

ოჯახურ იერარქიაში კარდინალური ცვლილებებისას ბევრ მამაკაცს აწუხებს ნეგატიური ემოციების მთელი კომპლექსი: შური, ეჭვი, შიში, არასრულფასოვნების, უსუსურობის, დამცირების გრძნობა... ეს კი იწვევს დარღვევებს მეუღლეების ურთიერთობებში ყოველ დონეზე — საყოფაცხოვრებო, სექსუალური, ემოციური ურთიერთობების ჩათვლით. ფსიქოლოგები ასეთ კონფლიქტს სქესობრივი როლების აღრევის კონფლიქტს უწოდებენ. ხალხში კი მას უბრალოდ, „მამაკაცური თავმოყვარეობის შელახვა“ ჰქვია.

ეს ყბადაღებული თავმოყვარეობა განისაზღვრება არა იმდენად სქესობრივი ჰორმონებით (თუმცა ნაწილობრივ მათ მიერაც), რამდენადაც მამაკაცისთვის თავსმოხვეული სტერეოტიპებით. ათასი წლის განმავლობაში, მას მიეკუთვნებოდა ლიდერის, მარჩენლის, დამცველის როლი, ქალი კი ყველა საუკუნეში მას უნდა დამორჩილებოდა.

მაგრამ სამყარო თვალსა და ხელს შუა იცვლება და აშკარად უფრო ქალური ხდება. ლიდერობის წმინდა მამაკაცურ ატრიბუტთა მრავალ სახეობას სწრაფად ითვისებენ ქალები — დაწყებული გარეგნობიდან, დამთავრებული დიდი პოლიტიკითა და ბიზნესით. ეს სექსუალურ პოზებსაც კი ეხება: სექსოლოგების გამოთვლებით, მხედრის პოზას დღესდღეობით ქალები მეტად იყენებენ... იცვლება ქალის ფსიქოლოგიური სახეც — სადღაც იკარგება სინაზე, მგრძნობიარობა, მოთმინება, გულჩვილობა... ქალი ადვილად სწავლობს და თამაშობს მისთვის ახალ როლებს. მამაკაცი კი გაცილებით ძნელად ეგუება გლობალურ ცვლილებებს. მას უწინდებურად სურს, რომ ცოლი აუცილებლად გადავიდეს მის გვარზე და სულ თვალებში შესციცინებდეს. უმცირესი მინიშნებაც იმაზე, რომ ცოლი კი არ არის მასთან, არამედ ის ახლავს ცოლს, მამაკაცში გაღიზიანებას იწვევს.

მიმდინარე პროცესებით გამოწვეულ დისკომფორტს მამაკაცი ავლენს ქალების დისკრიმინაციის ისეთ მცდელობებში, რომლებიც დღესდღეობით სავსებით არქაულად გამოიყურება. ამ მხრივ, მაგალითად გამოდგება კადრების შერჩევა: განცხადებებში სპეციალისტების მოთხოვნით, 100-დან 74 შემთხვევაში აუცილებლად მითითებულია, რომ ამ სამუშაოზე მამაკაცს ეძებენ, 12 შემთხვევაში — სქესს მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ 14 შემთხვევაში, ვაკანსიის დასაკავებლად მხოლოდ ქალს ეძებენ. თუმცა, ახლა ზოგიერთ ქვეყანაში პრაქტიკულად არარეალურია, არ მიიღონ ქალი სამსახურში ან გაათავისუფლონ სამსახურიდან იმ მიზეზით, რომ ის ქალია. ამის გამო შეიძლება, სასჯელიც კი აიკიდონ. როგორ მოხდა ეს?

## მოხუცი ზიგის პროვოკაცია

XX საუკუნემდე, ემანსიპაციის ყველა მოსურნე, ფემინისტი თუ სოციალისტი, საკმაოდ წარუმატებლად ებრძოდა მამაკაცის თავმოყვარეობას. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ეს ფრონტი გაარღვია ზიგმუნდ ფროიდმა. სწორედ მან, ძალზე მოხდენილად აღწერა, თუ რატომ არ შეუძლია ქალს იაზროვნოს და იმუშაოს ისევე ეფექტიანად, როგორც მამაკაცმა. და დაასაბუთა, თუ რატომ არ შეიძლება, მივანდოთ ქალს ოჯახისა და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

„ანატომია ბედია“ — ამტკიცებდა ფროიდი. სწორედ განსხვავება მამაკაცისა და ქალის სხეულთა აგებულებას შორის უყალიბებს ამ უკანასკნელთ კასტრაციის კომპლექსს (შური მამაკაცის სასქესო ორგანოსადმი). ფროიდის აზრით, ამ კომპლექსმა განსაზღვრა ყოველი ქალის ფსიქოლოგიის განვითარების შესაძლებელი ხაზი: პირველს, მივყავართ სექსუალური იმპულსების ჩახშობისკენ, აქედან გამომდინარე კი — ნევროზამდე; მეორე ხაზი, ქალის ხასიათის მამაკაცური ნიმუშის მიხედვით განვითარებისკენ მიდის; მესამეს კი, ნორმალური ქალურობისკენ მივყავართ, რაშიც ფროიდი ხედავდა ჯანმ-

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა ლვალის უბის წიგნაკიდან:

1. შვეიკი ცისფერთვალება იყო.
2. „კერა“ და „ყვერბი“ სინონიმებია.
3. „კოზირს“ ქართულად „თულფი“ ჰქვია.
4. „მაამო!“ — შეძახილია ხარების გასარეკად.
5. ძალიან მსუქან ხორცს „თურთუმელას“ ეძახიან.
6. „ხვალისას ხვალ დავხოცავთ“, — ამბობდა მაუგლი.



7. ლენინს 17 უცხოური და 129 რუსული ფსევდონიმი ჰქონდა.
8. „ილაპარაკე, რათა შენი დანახვა შევძლო“, — ამბობდა სოკრატე.
9. წარმოებაში ნორმების დამდგენს, დამწესებელს „ნორმადარი“ ჰქვია.
10. ვალერი ჩკალოვს 70-ზე მეტი თვითმფრინავი ჰყავდა გამოცდილი.
11. დები — ჩინგ ჩაკი და ჩინგ ნი — ვიეტნამის ეროვნული გმირები იყვნენ.
12. „ბებერი ქალბატონი“ საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ მეტსახელია.
13. სიცოცხლის განმავლობაში, ადამიანს 12 კილოგრამამდე მკვდარი კანი სძვრება.
14. ვერტმფრენის გამომგონებელ იგორ სიკორსკის ამერიკელები „მისტერ ჰელიკოპტერს“ ეძახდნენ.
15. „საქმე და სიტყვა“ — ასე ჰქვია ქართულ შრიფტს, რომლითაც გაზეთი „სიტყვა და საქმე“ იბეჭდება.
16. „ბესამე მუჩოს“ ავტორმა, კონსუელა ველასკესმა თავის დროზე, გრეგორი პეკის სიყვარული უარყო.
17. „ენთუზიაზმი იგივე სიყვარულია, ოღონდ — ნათლად გამოხატული ობიექტის გარეშე“, — ამბობდა ფრანგი მწერალი, ემილ სიორანი.
18. „დავაიტე ვსტუპიმ ვ ნატო, იმ — ნოვი ჩლენ, ი ნამ პრიატნო!“ — განაცხადა ჩერნომირდინმა სახელმწიფო დუმის ერთ-ერთ სხდომაზე. ამაზე ჟირინოვსკი გადაირია: „ტი სამ-ტო პონიალ, ჩევო სკაზალ?!“
19. 1940 წელს გამოვიდა წიგნი, რომელშიც პითაგორას თეორემის დამტკიცების 370 სხვადასხვა ხერხი იყო მოცემული. თეორემის დამტკიცების 370 ხერხიდან ერთ-ერთის ავტორი, აშშ-ის პრეზიდენტი, ჰარფილდი გახლდათ.
20. მადრიდის უნივერსიტეტის ვეტერინარები ესპანელ გლეხებს ძალზე უცნაური მეთოდით დაეხმარნენ საქონლის წველადობის გაუმჯობესებაში: ცუდი



რთელ სურვილს, „დაისაკუთროს“ ის, რაც მისი შურის საგანია (გათხოვებისა და შვილის გაჩენის საშუალებით).

ფროიდის თანახმად, ქალის ფსიქიკისა და ჯანმრთელი ქალურობის ბუნებრივი კომპონენტების ნორმალური განვითარების შედეგია პასიურობა, სამართლიანობის გრძნობის არარსებობა, შურისადმი მიდრეკილება, სუსტი სოციალური ინტერესები, სექსუალური იმპულსების სუბლიმაციის (ანუ შემოქმედებითი საქმიანობის) უნარის უქონლობა.

სკანდალურად ცნობილი ავსტრიელი ქალთმოძულე მეცნიერი ოტო ვეინინგერი ყველაფერ ამას უფრო მარტივად გადმოგვცემს: ყველა ნიჭიერ ქალს მამაკაცური ხასიათი აქვს, რაც მეღავნდება მათ ბი — ან ჰომოსექსუალობაში. რაც უფრო წარმატებულნი არიან ისინი შემოქმედებაში და არა ოჯახურ შრომაში, მით მეტია მათში მამაკაცური ხასიათი. იქვე მოჰყავს მაგალითები: საფო, ეკატერინე , შვედეთის დედოფალი კრისტინა, ჟორჟ სანდი...



მამაკაცებისთვის ხელსაყრელი მეცნიერული ჰიპოთეზები (სხვათა შორის, მამაკაცების მიერვე შემოთავაზებული) მრავალსაუკუნოვან ტრადიციებად „დალაგდა“ და საბოლოოდ დაარწმუნა მამაკაცები ამქვეყნად მათ დომინირებულ მდგომარეობაში. XX საუკუნის დასაწყისში, ქალებისთვის მამაკაცების მიერ გამოვლენილი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: თუ რამეს არ იღონებდნენ, მათი ხვედრი სამარადჟამოდ უცვლელი დარჩებოდა. ისინიც, გადაეშვნენ პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში...

ფროიდმა ასევე უნებურად მოახდინა ქალების მსოფლიო რევოლუციის დაწყების პროვოცირება, რევოლუციის, რომელიც დღემდე გრძელდება, თუმცა — ცვალებადი წარმატებით.

ფსიქოლოგების ახალმა თაობამ ოჯახის განხილვა დაიწყო არა მარტო ტერმინებით — „ქალი — მამაკაცი“. მათ დაამტკიცეს, რომ ოჯახი ესაა სისტემა, რომელიც ერმანეთთან დაკავშირებული ორი სათავსის სისტემის პრინციპითაა აგებული — ანუ თუ სადმე რაღაც დაიკარგა, ეს ნიშნავს, რომ სადმე გვერდით რაღაც გაჩნდა. თუ ერთი პარტნიორი მმართველია, ეს ნიშნავს, რომ მეორე — მართულია. თუ ორივე ცდილობს, მმართველად იქცეს, კონფლიქტი გარდაუვალია. როცა ოჯახში ორივე მართულია, წარმოიშობა გადაწყვეტილების მიღების პრობლემა. ამიტომ პარტნიორებიდან ერთ-ერთი უნდა შეეგუოს ამას — ანუ საკუთარ თავზე აიღოს ან მმართველის ან მართულის როლი. მისწრაფება ლიდერობისკენ ან „ხელქვეითობისკენ“ სქესით კი არ განისაზღვრება, არამედ პოზიციით, რომელიც ადამიანს მშობლების ოჯახში ეკავა. მაგალითად, შესაძლოა, ერთი მიჩვეული იყო გადაწყვეტილებების მიღებას სხვების მაგივრად, მეორე პირიქით — მუდამ სხვას ელოდა, რომ მის ნაცვლად მიეღო გადაწყვეტილება. თუმცა, როლების ასეთი გადანაწილება შესაძლოა, მუდამ არ იყოს სწორი. ხშირად შეინიშნება, რომ „ძლიერთა“ რიგებიდან გამოსვლის შემდეგ, „სუსტი“ საკმაოდ შედეგიანად მოქმედებს.

ასე რომ, რადგან სხვადასხვა გარემოების გამო, „ტრადიციულად ძლიერი“ მამაკაცი ხშირად ვერ ახერხებს ისტორიულად მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, საქმეს ხელს ჰკიდებს „ტრადიციულად სუსტი“ ქალი. ის იქცევა მშოვნელად, რითაც არღვევს ტრადიციას და ახდენს „ძლიერი“ მხარის ტრავმირებას. სწორედ ეს არის ქალების რევოლუცია.

### „ლუზერი“ ბედი კი არა, დიაგნოზია

ჯგუფის — R.E.M. — სიმღერის სიტყვები — Loosing my religion — იდიომატურად ითარგმნება, როგორც „ფეხქვეშ მიწის გამოცლისას“, „უსაფუძვლოდ დარჩენისას“. ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი მამაკაცის საფუძველია: „მე გავიმარჯვე, მე ეს შევძელი, მე ვაკონტროლებ სიტუაციას და ამისთვის ვუყვარვარ და მაფასებენ“. მამაკაცს ეს საფუძველი ფეხქვეშ ეცლება, თუ ქალი ჯაბნის მას ცხოვრებისეული მიღწევებით. ხშირია ელემენტარული შურიც, მასთან ასე იოლად მოსული წარმატების გამო და ეჭვიც მის მიმართ, ვინც დაეხმარა ცოლს ახალ საფეხურზე ასვლაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამაში თვითონ არ მონაწილეობდა. ამასთან, მამაკაცი უარყოფითად რეაგირებს არა იმაზე, რომ ცოლი ბევრს და წარმატებით მუშაობს, არამედ იმაზე, რომ თვითონ, კარგავს ფასს ცოლის თვალში, მისთვის ნაკლებად საინტერესო ხდება. მას ეჩვენება, რომ თავისი საქმე გააკეთა, დაეხმარა ცოლს, შვილი გაეჩინა (ანუ, როგორც ქალი, ის უკვე რეალიზებულია), ახლა კი, ის წინ წავიდა და ქმარი უკვე აღარ სჭირდება.

მაგრამ თუ მამაკაცი ინფანტილურია (რაც დღეს სულაც არ არის იშვიათობა), ის მუდმივად ღიზიანდება საკუთარი არასრულფასოვნების შეცნობით, რისი დამამტკიცებელი საბუთიც, ცოლის წარმატებები იქნება.

სხვათა შორის, ოჯახში, რომელშიც ქმარი ბიჭია და ჯერ არ დაკაცებულა, არსებობს როლების მყარი განაწილება, რაც ცოლსაც და ქმარსაც საშუალებას აძლევს, უპრობლემოდ „ითამაშონ თავ-თავიანთი ნევროზი“. ქალი პოზიციებს იმაგრებს ქმრის საშუალებით, ქმარი ცოლის ფრთებს არის ამოფარებული. ხარჯავს მის მიერ ნაშოვნ ფულს, იშვიათად გაფაფხურდება, რათა ცოლს დაუმტკიცოს, რომ ისიც რაღაცას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მისი გაფაფხურება პატ-

არა სკანდალებში გამოიხატება (რა თქმა უნდა, ამბოხებას უმალ ახშობენ და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება). ასეთ შემთხვევაში, საჭირო ხდება „ბავშვი“-ქმრისა და საკუთარი თავის ხელახლა აღზრდა. ეს პროცესი ცხოვრების დიდ გზაზე მოზარდთა გასასვლელად მომზადებას ჰგავს, როცა მათ სულ ახალ-ახალ მოვალეობებს აკისრებენ, ასწავლიან გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას. ამასთან, ცოლს მოუწევს, თავი დაანებოს დედის როლის თამაშს.

ქმრის ნებისმიერ სახეობას სქესობრივ კონფლიქტში არცთუ ისე დიდი არჩევანი აქვს:

— მიიღოს გამოწვევა და როგორმე მაინც მოახერხოს საკუთარი თავის რეალიზება რომელიმე სფეროში — მაგალითად, სახლის მოწყობაში ან საქველმოქმედო საქმიანობაში. მაშინ, მას შეეძლება, თავი დაიმშვიდოს სიტყვებით: „მე იმიტომ ვერ ვშოულობ ფულს, რომ ხალხს ვეხმარები“;

— მოძებნოს სხვა ქალი, ვისთანაც ის კვლავ იქნება „პირველი ვიოლინო“. ეს არ არის საუკეთესო ვარიანტი, რადგან ასეთი ქალი მას მალე გაუცრუებს იმედებს თავისი ჩვეულებრიობით (კაცს ხომ შეეძლება, შეადაროს ყოფილ ცოლს);

— დამორჩილდეს ანუ იქცეს სწორედ იმ looser-ად და გადავიდეს მზარდ მდგომარეობაში. ბევრი ქალი წლობით ინახავს ასეთ „უსარგებლო ნივთად“ ქცეულ ქმარს მხოლოდ იმიტომ, რომ ის არცთუ ისე ძალიან უშლის მას ხელს. ეს თითქმის ყოველთვის ნიშნავს ემოციურ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ დეგრადაციას.

## ...და მაშინ ქალი მიდის

როლების კონფლიქტი ხშირად, განშორებით მთავრდება. თანაც განხეთქილების ინიციატორი აუცილებლად დაკომპლექსებული მამაკაცი როდია. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როცა სწორედ ქალი, რომელიც უკვე სხვა დონეს აღწევს, უცებ ხვდება, რომ მისი ახალი ცხოვრება უფრო ხარისხიან „დეკორაციებს“ მოითხოვს. ამას ხელს უწყობენ ახალი ადამიანები, ახალი კონტაქტები, სამსახურებრივი და არასამსახურებრივი გარემო. ყველაფერი ეს, ქალს სთავაზობს, არჩევანი გააკეთოს მოწუწუნე ქმარსა და ენერგიულ, ბრწყინვალე მამაკაცს შორის, რომელიც ახლა მის საზოგადოებაში ტრიალებს. ქალიც ხშირად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს.

კიდევ ერთი დაკვირვება, რომელიც ოჯახიდან ქალის წასვლას ეხება. ნებისმიერი ქორწინება სამ რამეს ეფუძნება: ესაა ფული, სექსი და შვილები. ფინანსური თვალსაზრისით, ქორწინება მაქსიმალური საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის შექმნის „ბიზნესია“, რომელშიც ყველაზე ხშირად, ერთ-ერთი მეუღლეა „სპონსორი“. მეორის მატერიალურმა დამოკიდებულებამ წესით, უნდა მოახდინოს ოჯახური ცხოვრების სტაბილიზაცია. წონასწორობა მალე ირღვევა მატერიალური კრიზისის დროს ან მაშინ, თუ დამოკიდებული მხარე მატერიალურ დამოუკიდებლობას აღწევს. ასეთი ცოლი მადლიერებას კი არ გრძნობს თავისი ყოფილი „სპონსორისადმი“, არამედ — აგრესიას. ეს არის რეაქცია უწინდელ უსუსურობაზე, რომელიც უსიამოვნო გასახსენებელია.

ამ სურათს კიდევ ერთი დეტალი ართულებს: ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ფულთან. ის მამაკაცები, რომლებიც ბევრ ფულს შოულობენ, დარწმუნებულები არიან, რომ ფული მათ უფლებას აძლევს, ერთპიროვნულად მიიღონ საოჯახო გადაწყვეტილებები. ქალებს კი გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება უფრო სიამოვნებთ. ძალზე ცოტაა ისეთი ქალი (აშკარა ფემინისტების ჩათვლით), რომელსაც სურს ქმარზე დომინირება. მაშინაც კი, თუ ეს ასეა, ქალი ცდილობს, ამის აფიშირება არ მოახდინოს, რადგან ასეთ შემთხვევაში, ის უეჭველად კარგავს ქალურობას როგორც მამაკაცის, ასევე თავისი მეგობარი ქალების თვალში. ამიტომ, როგორც წესი, ის ყოველნაირად უსვამს ხაზს, რომ ქმართან საერთო ფული აქვს...

ფულისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ადასტურებს გამოკითხვებით მიღებული შედეგები: საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, ოჯახური წყვილების 55% ამჯობინებს, ჰქონდეს „საერთო ყულაბა“; 39% არ აერთიანებს თავიანთ ხელფასებს; დანარჩენები თავიანთ შემოსავალს სამ ნაწილად ყოფენ: ქმრის, ცოლის და საოჯახო ხარჯები. მიდგომას — „შენი-ჩემი“ — თითქმის ყველა ცოლი უარყოფს. ისინი ამჯობინებენ მთელი შემოსავალი საოჯახოდ ჩაითვალოს. მამაკაცები კი, პირიქით, უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, როცა პერსონალური საფულე აქვთ და იქიდან გამოყოფენ გარკვეულ თანხას ოჯახისთვის. მაგრამ თუ ამ საფულეში თანხა არა აქვთ, ისინი შინაგანად მაინც ეწინააღმდეგებიან მამაკაცური შესაძლებლობის მთავარი ნიშნის — მარჩენლის სტატუსის დაკარგვას, რითაც ძალიან აღიზიანებენ ქალებს.

**დასასრული 48-ე გვერდზე**

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა ღვალი
### **უბის წიგნაკიდან:**

კბილების მქონე ძროხებს მათ უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული პროთეზები გაუკეთეს; ძროხებს მადა გაუუმჯობესდათ და წველადობამაც იმატა.

21. „პრეჟდე ჩემ ატვეტიტ ნა ეტოტ ვაპროს, ნადა სდელატ ეკსკურს ვ ისტორიუ დილემი“, — ეს გახლდათ რეჟისორ ლეონიდ გაიდაის „საფირმო“ გამონათქვამი. სტუდენტობის პერიოდში, ამ ფრაზით იწყებდა პასუხს ყველა საგამოცდო კითხვაზე, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა საკითხი. მომავალ რეჟისორს პედაგოგები ჭკუაზე ჰყავდა შეშლილი.

22. „ჩვენში ნაციონალიზმი იქამდე მივიდა, რომ უკრაინელები გაჰყვირიან — ადამიანი უკრაინელისგან წარმოიშვაო; — უკრაინელისგან კი არა, რუსისგან! — არ უთმობენ რუსები. ამის შემყურე ებრაელები კი, მრავალმნიშვნელოვნად იღიმიან...“ — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.

23. „ნურასდროს დაგეგმავთ თვითმკვლელობას ცუდ ამინდში“, — ხუმრობენ ნიუ-იორკელები მას შემდეგ, რაც მათი ერთ-ერთი თანამოქალაქე თავის მოსაკლავად „ემპაია სტეიტ ბილდინგის“ 86-ე სართულიდან გადმოხტა, ძლიერმა ქარმა კი ის ისევ უკან, 83-ე სართულის ღია ფანჯარაში შეაგდო.

24. პეტრე პირველის გამეფებამდე, მოსკოვში ივანე მრისხანეს დროინდელ სამრეკლოზე მაღალი შენობის აშენება კანონით იკრძალებოდა. მსგავსი აკრძალვის გამო, ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შენობაზე მაღალი დღესაც არაფერი შენდება. ამდაგვარი კანონი კუნძულ ფიჯიზეც მოქმედებს. იქ აგებული შენობა სიმაღლით, კუნძულზე არსებულ ყველაზე მაღალ პალმას არ უნდა სჭარბობდეს.

25. იაპონელ სერჟანტს, შიოჩი იოკოის, მსოფლიო ომის დროს, განსაკუთრებულით არაფრით გამოუჩენია თავი. მთელმა მსოფლიომ იგი 1972 წელს გაიცნო. ამჟამად, კუნძულ გუამის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისდამი მთელი ექსპოზიციაა მიძღვნილი. ეს ის ჯარისკაცია, რომელიც თითქმის 40 წელი, პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა კუნძულის ტყეებში, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ომი დამთავრდა. 1972 წელს, იგი ბოლოს და ბოლოს, დაატყვევეს. ■

# ᲛᲐᲛᲐᲩᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ:

# ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ, ᲪᲝᲪᲮᲐ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲔᲢᲘ

**მის სახელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოკრძალებით იხსენიებენ. ბატონი ᲡᲘᲛᲝᲜ ᲮᲔᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ საქართველოს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, გერმანიის უძველესი მეცნიერებათა აკადემიის „ლეოპოლდინის“ წევრი, მრავალი საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი, სამეცნიერო საზოგადოების ცოცხალი ლეგენდაა თბილისის სამედიცინო აკადემიის ოტოლარინგოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელის მიერ დაარსებულ სამედიცინო დაწესებულებას, მისი ღვაწლის პატივისცემის ნიშნად, ხალხი დღემდე სიყვარულით „ხეჩინაშვილის კლინიკას“ უწოდებს. ბატონი სიმონი საოცრად მხნედ და შემართებით აგრძელებს თავის მოღვაწეობას.**

ᲜᲣᲪᲐ ᲗᲝᲤᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**— ბატონო სიმონ, თქვენს წარმომავლობაზე, თქვენს მშობლებზე გვიამბეთ...**

— ქუთაისში, ექიმების ოჯახში დავიბადე. ბაბუაჩემი დასავლეთ საქართველოში ცნობილი ექიმი იყო. მას სამედიცინო განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. მისი კურსელი ანტონ ხეჩოვი იყო. საექიმო პრაქტიკა ქუთაისში დაიწყო და ცნობილი ექიმიც გახდა. იყო ქუთაისის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე, მრავალი წლის მანძილზე ატარებდა სამეცნიერო სხდომებს, სადაც მოხსენებებს აკეთებდნენ საექიმო პრაქტიკის იშვიათ შემთხვევებზე. მამაჩემიც ექიმი იყო, დაამთავრა ოდესის სამედიცინო უნივერსიტეტი. ჩემს ოჯახში საექიმო პროფესიის სხვა წარმომადგენლებიც არიან: ორი ძმა და ორი ძმისწული. მე თვითონ საკმაოდ რთული გზა გამოვიარე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ვმუშაობდი ფიზიოლოგიაში, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. ეს, ჩემთვის ძალიან დიდი სამეცნიერო და საერთო განათლების სკოლა იყო, რამაც დიდი დაღი დაასვა ჩემს შემდგომ კარიერას. მიდრეკილება პრაქტიკული მედიცინისკენ მქონდა და იმ დარგის სპეციალისტი გავხდი, რომელშიც დღემდე ვმუშაობ. საკმაოდ ადრე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ — სადოქტორო, გავხდი კათედრის გამგე და მოვახერხე კლინიკის გაუმჯობესება. შენობა, სადაც ახლა ვიმყოფებით, ჩემი ინიციატივით აშენდა. მაშინ ახალი მიღებული მქონდა ლენინური პრემია სმენის გამაუმჯობესებელი ოპერაციების დარგში და ამან მომცა საშუალება, საკითხი დამესვა საქართველოში ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრის ჩამოსაყალიბებლად. ჩემს გარკვეულ მიღწევად მინდა ჩავთვალო, რომ მოვახერხე უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდების დაინტერესება ამ სამუშაოთი. პირველ რიგში მინდა დავასახელო, პროფესორი ზურაბ ქევანიშვილი, რომელიც ამჟამად საერთაშორისო დონის სპეციალისტია აუდიოლოგიის (სმენის) შესწავლის დარგში. ამ კლინიკის აშენება დიდი მოვლენა გახლდათ. ერთ-ერთი დიდი პრობლემა იყო სმენის გამაუმჯობესებელი ოპერაციების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ვმუშაობდი ინგლისში, ყოფილ დასავლეთ გერმანიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამან მომცა საშუალება, ახალი მეთოდები საქართველოში დამენერგა.

დავიწყე სმენის ფუნქციის მაღალ დონეზე შესწავლა და სმენის გასაუმჯობესებელი ოპერაციების კეთება. მაშინ მე პირველი ვიყავი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კომუნისტური იმპერიის სამხრეთ ნაწილში

**— კომუნისტების დროს, საზღვარგარეთ სამუშაოდ ძალიან ძნელად უშვებდნენ. თქვენ ეს არ გეხებოდათ?**

— რა გითხრათ... იცით, ზოგს უშვებდნენ და ზოგს არ უშვებდნენ. მეცნიერებს მაინც უშვებდნენ. არ დამავიწყდება ჩემი ერთი შეხვედრა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრების წინ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გასაუბრებაზე დამიბარეს. მივედი ერთ-ერთ მოხელესთან, რომელმაც ორჯერ გამიმეორა: Мы Вам никаких поручений не даём! მე წავუყრუე, არაფერი ვუპასუხე. ეს ნიშნავდა, რომ ბევრს აძლევდნენ ისეთ დავალებებს, რაც მათ ძირითად საქმიანობასთან არ იყო დაკავშირებული. ორჯერ რომ გაკვრით მითხრა და რეაქცია არ მქონდა, გაუკვირდა. ჩემთვის არავითარი დამატებითი და ჩემს დარგთან შეუთავსებელი დავალება არ მოუციათ. ეს ბედნიერება იყო ჩემთვის, რადგან ვხედავდი, ჩემ ირგვლივ რა დღეში იყვნენ ჩემი კოლეგები და მეგობრები. თანამშრომლობას ვისაც სთავაზობდნენ, დარწმუნებული ვარ, უარს ვერავინ ეუბნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ჩემს შემთხვევაში, ალბათ, იღბალი იყო, ან ისეთ დონეზე ვიყავი, ვერ მაკადრეს, თუ არ დამავალეს... იმ პერიოდში დასავლეთ გერმანია მწვავედ იყო დაპირისპირებული საბჭოთა კავშირთან. იქ ისეთი პროცესები მიმდინარეობდა, რომლებიც არ შემხებია, რაც ძალიან მიხაროდა. მე მხოლოდ ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული. მინდოდა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მომეპოვებინა და ჩამომეტანა. ამაში ხელი იმანაც შეიწყო, რომ ჩემი ოჯახის წყალობით კარგად ვლაპარაკობ გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, რაც მიადვილებდა უცხოელებთან კონტაქტს.

**— საბჭოთა კავშირში თქვენი დარგის საუკეთესო სპეციალისტი ბრძანდებოდით. პოლიტბიუროში თითქმის ყველა ხანდაზმული იყო. თუ მკურნალობდით მათ?**

— მაღალი დონის პარტიული მოხელეების გასინჯვა საკმაოდ ხშირად მიწვევდნენ. ბევრი მყავს გასინჯული, ეს არ იყო დასაძრახი.

**— თქვენზე ამბობდნენ, ბრეჟნევს ოპერაცია გაუკეთა და სმენა აღუდგინაო...**

— ბრეჟნევი ორჯერ მყავს გასინჯული. ოპერაცია არ გამიკეთებია. ბევრი სხვაც გამისინჯავს. საინტერესო ხალხი იყო, დარწმუნებული თავისი საქმიანობის სისწორეში. მათთან ჩემი ურთიერთობა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პროფესიული მოვალეობის შესრულება იყო.

**— ბრეჟნევი როგორი იყო ურთიერთობაში?**

— თქვენ წამოიდგინეთ, უშუალო და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, საკმაოდ საინტერესო და სასიამოვნო პიროვნება იყო. პირველად რომ გავსინჯე, შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო, მეორედ რომ გავსინჯე — ბევრად უარეს მდგომარეობაში. მას ჰქონდა ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, რომელმაც სმენაზეც იმოქმედა. მე ჩემი აზრი გამოვთქვი, მკურნალობდა და რამდენიმე წელიწადს იცოცხლა. ოპერაციები არ დასჭირვებია.

**— თქვენს კარიერაში ყველაზე დიდ მიღწევად რა მიგაჩნიათ?**

— ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა, ჯერ ერთი, ფიზიოლოგიის დარგში მუშაობა იყო ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ჩემთვის დიდი სკოლა იყო და ბევრი რამ ვისწავლე ამ ბრწყინვალე პიროვნებისგან მეორე, რასაც ვაფასებ ჩემს კარიერაში, მე დროულად დავიწყე სმენის ფუნქციის მაღალ დონეზე შესწავლა და სმენის გასაუმჯობესებელი ოპერაციების კეთება მაშინ მე პირველი ვიყავი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კომუნისტური იმპერიის სამხრეთ ნაწილში.

**— ხომ არ გახსოვთ, დაახლოებით რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული?**

— ათასობით ოპერაცია მაქვს გაკეთებული. თუ თანამშრომლებთან ერთად გაკეთებულ ოპერაციებსაც ჩავთვლით, საერთო რიცხვი დიდი იქნება.

**— ამბობენ, რომ წარმატებული მამაკაცის ზურგს უკან აუცილებლად ქალი დგასო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— შემიძლია სავსებით დაგეთანხმოთ. ჩემს ბედნიერებად ვთვლი, რომ მყავს ძალიან კარგი მეუღლე, ლალი მიქელაძე. მისი მამა — ძალიან ცნობილი გეოლოგი, რომელიც ახალგაზრდა დაიღუპა, განათლებული, ჭკვიანი, ერისთვის თავდადებული პიროვნება იყო. ჩემი აზრით, კარგი მეუღლე მამაკაცისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ყოველგვარი კონფლიქტი, რომელიც შემოქმედი ადამიანის ირგვლივ ტრიალებს, ხელს უშლის მუშაობაში. ამას მტკიცებაც არ სჭირდება. საოცრად განათლებული ქალის გვერდით ძალიან საინტერესო ცხოვრება გავატარე.

**— შესაძლებლობა რომ მოგეცეთ, წარსულიდან აწმყოში რას გადმოიტანდით?**

— რას გადმოვიტანდი? ალბათ სურვილს, კიდევ უფრო სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესისას. ეს, რაც უფრო სწრაფად მოხდება, მით უკეთესი იქნება კაცობრიობისთვის. ადამიანის სიცოცხლე რამდენადმე გახანგრძლივებულია, მოელიან უფრო მეტ გახანგრძლივებას. ეს მოხდება სხვადასხვა მიზეზით, ზოგიერთი ავადმყოფობის უკეთესი მკურნალობით, ინფექციების ჩახშობით, დიეტით, ფიზიკური ვარჯიშის გამოყენებით.

ჩემი ოჯახის წყალობით კარგად ვლაპარაკობ გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, რაც მიადვილებდა უცხოელებთან კონტაქტს.

**— ბატონო სიმონ, შესანიშნავად გამოიყურებით, აქტიურად მუშაობთ. ხომ არ გაგვიმჟღავნებთ თქვენს ცხოვრებისეულ ფილოსოფიას?**

— ჩემი ცხოვრების წესი, ზომიერებაა, ცოტა ფიზიკური დატვირთვა, მიყვარს ცურვა. აქტიური ცხოვრება მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლისათვის. რასაკვირველია, დიეტასაც ვიცავ. ზედმეტი ჭამა არ არის საჭირო. ექსპერიმენტებით დადგინდა, ცხოველების პოპულაციებში, რომელთაც ნაკლებს აჭმევდნენ, ასაკობრივი მოვლენები ნაკლებად ვითარდებოდა, ეს დამტკიცებული ფაქტია და ყველა ადამიანმა თავს უნდა მოუაროს.

**არ უნდა ვთქვათ, რომ კაცობრიობა წინ არ მიდის. წინაც მიდის და უდავოდ დიდი მიღწევებიც აქვს**

არასოდეს მომიწევია თამბაქო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ნარკომანიის შემდეგ, თამბაქოს მოწევა ყველაზე ცუდი და ყველაზე საშიში ჩვევაა. ხორხის კიბოს ბევრი ოპერაცია გამიკეთებია და სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ეს დაავადება თამბაქოს მწეველებს ემართებათ.

**— ფარდობითობის თეორიის ავტორმა, ალბერტ აინშტაინმა ბრძანა: არსებობს ორი უსასრულო რამ, სამყარო და სისულელე, თუმცა სამყაროს მიმართ მთლად დარწმუნებული არ ვარო. ეთანხმებით დიდი მეცნიერის გამონათქვამს? ტოტალური უკულტურობა და გაუნათლებლობა ხომ არ გვეღირს?**

— არა, მე ასე არ ვფიქრობ. პროგრესი ნამდვილად არის. ახალგაზრდა თაობა, მაგალითად, ჩემი შვილიშვილები, ისე „ატრიალებენ“ კომპიუტერებს, ისე მუშაობენ, გაოცებული ვარ ხოლმე... მე ვფიქრობ, არ უნდა ვთქვათ, რომ კაცობრიობა წინ არ მიდის. წინაც მიდის და უდავოდ დიდი მიღწევებიც აქვს. ეს პროცესი გაგრძელდება. რაც შეეხება ალბერტ აინშტაინს, არ მავიწყდება მისი სკულპტურა, რომელიც დგას ვაშინგტონში, თეთრი სახლის პირდაპირ. ეს არის ადამიანის სკულპტურა, რომელიც რაღაცას წერს. დგას ქვაფენილთან ძალიან ახლოს და ქვევით არის გამოყვანილი თანავარსკვლავედები, იმ მომენტის გათვალისწინებით, როდესაც დაიბადა აინშტაინი. ამან ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა, დიდხანს ვუყურებდი. ეს მართლაც უდიდესი ადამიანი იყო, რომელმაც მეცნიერებაში რევოლუცია მოახდინა. მე არა ვარ კაცობრიობის მიმართ პესიმისტურად განწყობილი, დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობა ძალიან დიდხანს გაძლებს, უფრო მეტ ავადმყოფობას დაძლევს, უფრო რაციონალურად და ხანგრძლივად იცოცხლებს. მე ამის მჯერა. ■

# ყველაზე მაღლები, ყველაზე ნორჩები, ყველაზე ილჯლიანები...

## ყველაზე მეტი გარეცხილი თეფში




ეს რეკორდი 2004 წლის 28 ივლისს, დანიის ქალაქ რუდკებინგში დამყარდა. სამი ფირმის — „ვესტერ ჰესინგე იდრეტსფორენინგ“, „ბრობივერკ იდრეტსფორენინგ“ და „სანდჰოლტ-ლინდელსე ფორსამლინგსშუს“ — 150-მა თანამშრომელმა 1 ლ სარეცხი ხსნარის გამოყენებით გარეცხა 23892 თეფში, რომელიც 3,75 ტონა ბოლონიური საწებლით იყო დასვრილი.

## სახვევის დადების ესტაფეტა

2004 წლის 27 ივნისს, დიდ ბრიტანეთში, ფელიქსტოუვის დასასვენებელი ცენტრის წმ. იოანეს სახელობის „სასწრაფო დახმარების“ კლინიკის თანამშრომლებმა ერთ საათში, 114 ხელის შეხვევა მოახერხეს. გუნდში 8 ადამიანი, დაწყვილებულად მუშაობდა.

## ხიდის უსწრაფესი აგება

გერმანიის ქალაქ გამელნში დისლოცირებულმა 35-ე ინგლისურმა საინჟინრი პოლკმა 1998 წლის 12 ნოემბერს, 8 წთ-სა და 19 წმ-ში 5-სექციიანი ხის ხიდი ააგო.

## ყველაზე ხანგრძლივი ყვირილი

1994 წლის 16 აპრილს, ბელფასტში, ჩრდილოირლანდიელმა ქალმა, ანალაიზ რეიმ 121,7 დეციბელის სიმძლავრის ყვირილი გამოსცა. საინტერესოა, რომ სიტყვა, რომელიც მან „იყვირა“, იყო — „სიჩუმე“...

## ყველაზე დიდი მოგება ლატარიაში

ამის ბედნიერება 2002 წლის 24 დეკემბერს, ამერიკელ ენდრიუ უიტეკერს ხვდა წილად: მან ე.წ. პაუერბოლის ლატარიაში 314,9 მლნ დოლარი მოიგო. მთელი თანხის ნაცვლად, რომელიც მისთვის 30 წლის მანძილზე, თანაბარი „ულუფებით“ უნდა გადაეცათ, უიტეკერმა ამჯობინა, ერთიანად აეღო მოგებულის ნახევარზე მეტი — 170 მლნ., რომელიც დაუბეგრავად მიიღო.

## მილაკები პირში

2003 წლის 20 სექტემბერს, შვეიცარიელმა მარკო ხორტმა 249 კოქტეილის მილაკი 10 წმ-ის მანძილზე გაიჩერა პირში.

## ჭიქები ნიკაპზე

2001 წლის 26 აპრილს, ამერიკელმა აშრიტა ფერმანმა, რომელმაც მანამდე, ვარჯიშისას ასობით ჭიქა დაამსხვრია, ბოლოს და ბოლოს, ნიკაპზე 75 ჭიქის 10,6 წმ-ის მანძილზე გაჩერება შეძლო.

| | | |



## უდიდესი ჭაობი

მსოფლიოში უდიდესი ჭაობი, ბრაზილიის ორი შტატის — მატო გროსოსა და მატო გროსო დო სულის ტერიტორიებზე მდებარეობს. 109 ათასი კვმ ფართობზე გაშლილი ჭაობი — პანტანალი, მდინარეებს, ტბებს, ტყესა და დაჭაობებულ მიწის ნაკვეთებს აერთიანებს. წვიმების პერიოდში, პანტანალი წყალდიდობისგან იმდენად იზრდება, რომ კუბისხელა ტერიტორიას უტოლდება.

## ციდან ჩამოვარდნილი უდიდესი ყინულის ლოდი

1849 წლის 13 აგვისტოს, დიდი ბრიტანეთის ქალაქ როტშილდში ციდან, 6 მ დიამეტრის ყინულის ლოდი ჩამოვარდა. ის გამჭვირვალე იყო, თუმცა უფრო წვრილი ყინულის ნატეხებისგან შედგებოდა. ამ უნიკალური მოვლენის ამოსახსნელი ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ლოდი ყინულის სხვადასხვა ზომის ნატეხისგან ელვამ „შეადუღა“.

## ტორნადოში წნევის რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი

2003 წლის 24 ივნისს, ამერიკის ჩრდილოეთ დაკოტის შტატის ქალაქ მანჩესტერის მახლობლად, ქარიშხლების მკვლევარმა, ტიმ სამარასმა, ტორნადოს — 4-ის მოძრაობის მარშრუტზე მოათავსა სპეციალური ხელსაწყო, რომელმაც წნევის 100 მ/ბარ-მდე დაცემა დააფიქსირა. ამ ტორნადომ კავშირგაბმულობის 40-კილომეტრიანი ხაზი დაანგრია. ე.წ. ფუჯიტოს სკალის (0-5) მიხედვით, 4 იმას ნიშნავს, რომ ქარიშხლის სიჩქარე 93-116 კმ/სთ აღწევდა.

## უგრძესი მდინარე

მსოფლიოში უგრძესი მდინარე, ნილოსი გახლავთ, რომლის მთავარ წყაროს, ცენტრალურ აფრიკაში მდებარე, ტბა ვიქტორია წარმოადგენს. ნილოსის სიგრძე (ის ბურუნდიში იღებს სათავეს) სულ 6670 კმ-ს აღწევს.

## მცენარეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი

ეს ორქიდეების (Orchidaceae) ის ოჯახი გახლავთ, რომელიც 25 ათას სახეობას აერთიანებს. მათი სრული ნუსხა 2004 წლის აპრილში გამოქვეყნდა. თუმცა, მეცნიერთა თქმით, ეს არასრული სიაა და შესაძლოა, სახეობათა რაოდენობა უკვე 30 ათასსაც კი აღწევს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ორქიდეები ფაქტობრივად, ნებისმიერ გარემოში ხარობს — ანტარქტიდის და წყალსაცავების ფსკერის გარდა.

| ...ნტონი კუინი ...ში „... ზორბა“ | ფილოლოგი მზექალა ... | ახალი კიტრი ... არ იყიდო, მალე გაიაფდება | ქალაქი აშშ-ში ნიუ-... | თამბაქოს ბოლის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა | შაქრიან წვენში მოდუღებული წვენი |
|---|---|---|---|---|---|
| ...ი | ...ქროხის პროდუქტი | შეფასება „კარგი“, „ფრიადი“ (ზოგადად) | ეკლიანი ბუჩქი, იყენებენ ღობედ | პოპოვის გამოგონება | მეტალი, ამზადებენ ლურსმნებს | მდ. რიონის უძველესი სახელწოდება | ამოთლილი ხის ჭურჭელი |

# ვრცელ ვიცნობ უფლისა ჩემისა იესო ქრისტესი

**მირქმა, მიგებება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — ასე ეწოდება თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთს, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ყოველწლიურად 15 თებერვალს დღესასწაულობს.**

**მირქმის დღესასწაულით წმინდა ეკლესია იხსენიებს და განადიდებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებიდან — იერუსალიმის ტაძარში უფლის წინაშე წარსადგენად ჩვილ იესოს მიყვანებას, რომელიც მისი ხორციელად შობიდან მეორმოცე დღეს მოხდა...**

*მორენა მერკვილაძე*

მოსეს სჯულის თანახმად (რომელიც მოქმედებდა „ძველი აღთქმის“ დროს), დედაკაცს მშობიარობიდან ორმოცი დღის განმავლობაში, არ ჰქონდა უფლება ღვთის ტაძარში შესვლისა. მეორმოცე დღეს, მშობლებს ტაძარში მიჰყავდათ ახალშობილი ყრმა და ღმერთს სამადლობელ და განსაწმენდელ მსხვერპლს სწირავდნენ. ღარიბი ოჯახისთვის დადგენილი იყო ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი. ეს წესი აღასრულეს მართალმა იოსებმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა — ხორციელად შობიდან მეორმოცე დღეს, ახალშობილი იესო იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და შესწირეს ღარიბთათვის დადგენილი შესაწირი — ორი ხუნდი. ტაძარში შესულ იოსებსა და მარიამს წინ მიეგებათ ღრმად მოხუცებული მართალი სვიმონი, რომელიც საეკლესიო წყაროების მიხედვით, იმ დროისათვის 280 წლის იყო. მართალმა სვიმონმა სულიწმიდის მადლით შეიცნო ყრმა იესოში კაცობრიობის მხსნელი, მიეგება ღვთისმშობელ მარიამს, ხელში აიყვანა („მიირქუა“) ჩვილი იესო, აკურთხა იგი და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარები შენი“. ეს იყო პირველი წინასწარმეტყველება „ახალი აღთქმისა“, რომლითაც დადასტურდა მაცხოვრის ხორციელად შობა და კაცთა მოდგმას ეუწყა, რომ უფალი იესო ქრისტე არა მხოლოდ ისრაელის, არამედ ყოველი ხალხის გამოსახსნელად მოევლინა ქვეყნიერებას. მართალ სვიმონთან ერთად, ჩვილ იესოს, 84 წლის ქვრივი, ანა წინასწარმეტყველიც მიეგება, რომელიც იერუსალიმის ტაძარში მსახურებდა ღმერთს მარხვითა და ლოცვით. ანა წინასწარმეტყველმა მრავალ ჩვილს შორის შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს უფლის განკაცება ახარა. ასე მოხდა მიგებება, მირქმა უფალ იესო ქრისტესი. სწორედ მირქმის დღესასწაულიდან მომდინარეობს საეკლესიო წესი, ყრმათა ტაძარში მიყვანისა შობიდან მეორმოცე დღეს. ამ დროს მღვდელი მკერდზე მიიკრავს ჩვილს და სვიმონ ღვთისმიმრქმელის სიტყვებს წარმოთქვამს — „აწ განუტევე“... — თან ყრმა ტაძარში შეჰყავს. თუ ახალშობილი მამრობითი სქესისაა, მღვდელს იგი საკურთხეველში შეჰყავს, მდედრობითი სქესისა კი, აღსავლის კართან მიჰყავს.

მირქმის დღესასწაული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ იესო ქრისტე დედამიწაზე გამოჩნდა ნამდვილი კაცობრივი სხეულით და არა მოჩვენებით. გარდა ამისა, მირქმის დღესასწაულით წმინდა ეკლესია მოგვიწოდებს ეკლესიური წესების, რჯულის მიერ დადგენილი კანონების აღსრულებისაკენ. უფალმა იესო ქრისტემ სჯულის მიერ დადგენილი ყველა წესი სწორედ იმის გამო აღასრულა, რომ ჩვენთვის რჯულის მორჩილება და აღსრულება ესწავლებინა. მათ კი, ვინც რჯულის მიხედვით ცხოვრობს, უფალი სიხარულს, მშვიდობასა და ბედნიერებას მიაგებს.

აქვე უნდა ითქვას, თუ ვინ იყო სვიმონ ღვთისმიმრქმელი. საეკლესიო გადმოცემით, ეგვიპტის მეფემ — პტოლემეოს ფილადელფოსმა, რომელიც ქრისტეს შობამდე 287-247 წლებში განაგებდა ამ ქვეყანას, ალექსანდრიაში ცნობილი ბიბლიოთეკა დააარსა. მალე მან შეიტყო, რომ მის მიერ დამორჩილებულ იუდეველებს მრავალი სიბრძნითა და სიწმინდით აღსავსე საღმრთო წიგნი ჰქონდათ. ფილადელფოსმა გადაწყვიტა, ბერძნულ ენაზე ეთარგმნა ისინი, რათა თავისი საქვეყნოდ ცნობილი წიგნსაცავი გაემდიდრებინა. ამ მიზნით, პტოლემეოსმა იერუსალიმში მღვდელმთავარ ელეაზართან ელჩობა წარგზავნა და სთხოვა, რომ მისთვის წმინდა წიგნები და სჯულის მცოდნე მეცნიერები, სწავლულები გაეგზავნა, რომლებიც „წმინდა წერილის“ ბერძნულად თარგმნას შეძლებდნენ.

ელიაზარმა ისრაელის თორმეტი ტომიდან ბერძნულის ზედმიწევნით მცოდნე ექვს-ექვსი სწავლული შეარჩია და ფილადელფოსთან წარგზავნა (სამოცდათორმეტმა ღირსმა მამამ 72 დღეში გადათარგმნა „წმინდა წერილი“), რომელთა შორის ერთ-ერთი, სწორედ სვიმონ მართალი იყო. მას წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნების თარგმნა. როდესაც წმინდა სვიმონი მიუახლოვდა ადგილს — „აჰა ესერა მიუდგეს ქალწული და შვეს ძე“... — ძალზე განაკვირვა სიტყვა „ქალწულმა“. იფიქრა, რომ დედანში შეცდომა იყო გაპარული და გადაწყვიტა, სიტყვა „ქალწულის“ ნაცვლად, „დედაკაცი“ ჩაეწერა, მაგრამ ამ დროს, ანგელოზი გამოეცხადა, შეაჩერა და აუწყა: „ირწმუნე ამ სიტყვების და თავად დარწმუნდები მათ ჭეშმარიტებაში, შენ არ მოკვდები მანამ, სანამ არ იხილავ წმინდა ქალწულისგან შობილ ქრისტე მაცხოვარს“. ამ დღიდან მოყოლებული, მართალი სვიმონი ამ სიტყვების ასრულების მოლოდინით ცხოვრობდა. 280 წელს იყო მიტანებული, როდესაც ეს წინასწარმეტყველება აღესრულა. სულიწმიდის შთაგონებით კი, სწორედ მაშინ მივიდა იერუსალიმის ტაძარში, როდესაც ჩვილი იესო მიიყვანეს. სვიმონმა მკვლავთა თვისთა „მიირქუა“ მაცხოვარი და მის მიმართ წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა, შემდეგ კი მშვიდობით განტევება, განსასვენებელი შესთხოვა, რადგან ყრმასთან მიგებებით, მისი ცხოვრების მთავარი მიზანი აღესრულა: „სწორედ აქ გადასცა „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველმა ღრმად მოხუცებულმა სვიმონმა ჭეშმარიტების სადავეები „ახალი აღთქმის“ დამწესებელს, ჩვილ იესოს. სწორედ აქ მიეგება იგი „ძველი აღთქმის“ წინასწარმეტყველთა და სჯულის მეცნიერთა სახელით „ახალი აღთქმის“ დამწესებელს. აქ მოხდა განცხადება „ძველი და ახალი აღთქმის“ ურთიერთკავშირისა“, — გვიქადაგებს წმინდა ეკლესია. ■

**იოსებ გრიშაშვილი მეუღლესთან, ქეთო ჯაფარიძესთან ერთად**

**იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი) 1889 წლის 23 აპრილს დაიბადა თბილისში. პოეტის პაპა — დათა მამულაშვილი გურული გლეხი ყოფილა. იგი ვერ შერიგებია მებატონის უღელს, თივაში შემალულს, ურმით გამოუღწევია სოფლიდან, თბილისში ჩამოსულა და ორთაჭალაში მებაღედ დაუწყია მუშაობა.**

**პოეტის მამა — გრიშა მამულაშვილი ახალგაზრდობაში, კალატოზად მუშაობდა, სიბერის ჟამს კი, მიკიტანი გამხდარა...**

# „ჩემი სიყვარული ზექვეყნიერია, წმინდა, უმწიკვლო და საოცრებანი...“

## „ყასბის მორებთან“ ატუზული ობოლი ბიჭი

*თამუნა კვინიკაძე*

წამოიზარდა თუ არა, პატარა სოსო, მამამ თავისთან (ღვინის სარდაფში) წაიყვანა და მომავალი პოეტის ფერადოვან ფანტაზიებს სარდაფის ბნელ კუნჭულებში მოეკვეცა ფრთები. ის გრძნობდა, რომ სარდაფის ზემოთ სულ სხვა ცხოვრება დუღდა, ოცნება ამ ცხოვრებისკენ იტაცებდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა, თავი დაეღწია რეალობისთვის.

1897 წელს, სოსო ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს, მაგრამ იქ ცოტა ხანს სწავლობდა. სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, მესამე სემესტრიდან გარიცხეს და ისევ მამამისის სამიკიტნოში დაბრუნდა. „მთელ დღეებს მამაჩემის მეიხანაში ვატარებდი, — იგონებს პოეტი. — მამაჩემს და მის ტოლ ამფსონებს ძალიან უყვარდათ ძველისძველი წიგნები, ჩამსვამდნენ შუაში და მაკითხებდნენ... მაგრამ ბოლოს, დედამ ამიკრძალა, რადგან ფანტასტიკური მოთხრობების მოქმედი პირნი ძილში მელანდებოდნენ და ერთი აურზაური მქონდა ლოგინში“.

1904 წელს, სოსოს მამა გარდაეცვალა. ცოტა ხანში დედა სხვაზე გათხოვდა და 15 წლის ბიჭი, საკუთარი თავის ანაბარად დარჩა. ერთი ხალხური ლექსი: „მამა მომიკვდა, დავრჩი ობლადა, დედაც სხვას გაჰყვა პურის მცხობლადა“ — სწორედ ჩემზე იყო გამოჭრილიო, — წერდა მოგვიანებით პოეტი.

იმ დუხჭირი სოციალური ყოფის წყალობით, იოსებ გრიშაშვილს ბავშვობიდან არ გამოჰყოლია არც ერთი ტკბილი მოგონება. „რა იყო ჩემი სიჭაბუკე?..“ — ნაღვლიანად კითხულობს პოეტი და მის მეხსიერებაში ცოცხლდება ღვინით მორწყული და ყარაჩოხელთა სადღეგრძელოებით შეჯერებული, ორთაჭალის ბაღები... ქეიფი... ჩხუბი... „ყასბის მორებთან“ ატუზული ობოლი, დაჩაგრული ბიჭი...

1907 წელს, იოსებ გრიშაშვილმა ვალერიან გუნია გაიცნო და მისი დახმარებით, ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში მოეწყო. მან თავიდანვე მიიქცია ყურადღება. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა მისმა ლექსებმა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ლექსს — „ოლ-ოლ“.

### ვინ იყო ოლ-ოლი

**134 ლექსისა და 400-მდე წერილის ადრესატი**

საქართველოს ტურფა ასულნი ხშირად ქცეულან პოეტთა შთაგონების წყაროდ.

ვინ იყო ოლ-ოლი?

ოლ-ოლი, ქართული თეატრის მსახიობი — ოლღა ვასილის ასულ ლეჟავას სცენური ფსევდონიმია.

როგორც იოსებ გრიშაშვილი გადმოგვცემს, ოლღა მას 1907 წელს, ავლაბრის თეატრში სუფლიორად მუშაობის დროს გაუცნია. მას შემდეგ, რაც ოლღამ ბრწყინვალედ ითამაშა ანდრეევის პიესაში — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ — ოლ-ოლის როლი, ახალგაზრდა პოეტმა თავის მუზას ოლ-ოლი უწოდა.

ოლღა ლეჟავა პირველად, 1898 წელს გამოვიდა სცენაზე როგორც სცენისმოყვარე და მაშინვე მიიქცია თეატრალური საზოგადოების ყურადღება. ოლღას თამაშით მოხიბლულმა სოფრომ მგალობლიშვილმა, ძლივს დაიყოლია მამამისი — ვასილ ლეჟავა, რომ ქალიშვილი პროფესიულ თეატრში სამუშაოდ გაეშვა. მალე, „პატარა კახის“ ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო პიესის ავტორი — აკაკი წერეთელი, იგი მოიხიბლა ახალგაზრდა მსახიობით, ავიდა სცენაზე და ქალიშვილს მადლობა გადაუხადა.

**ოლღა ლეჟავა (ოლ-ოლი)**

ოლღა პარალელურად, მარიამ დემურიას „ნაკადულის“ რედაქციაში მოღვაწეობდა. მარიამის გარდაცვალების შემდეგ, მან დიდი დახმარება გაუწია ახალგაზრდა რედაქტორს — ნინო ნაკაშიძეს, რომელიც ასე იგონებს ოლღას: „დილის 9 საათზე რომ მოვდიოდი რედაქციაში, ვხედავდი, ოლღა უკვე იჯდა თავის მაგიდასთან, ყოველთვის ფაქიზად ჩაცმული და სერიოზულად წერდა მისამართებს, ან კორექტურას ასწორებდა. აქეთ-იქით, პირდაპირ მაგიდის ორივე კუთხისკენ ისხდნენ ჩვენი პოეტი იოსებ გრიშაშვილი და მხატვარი მ. მორთულაძე და შესაქცეროდნენ მას. მე ყოველთვის მაკვირვებდა, როგორ შეეძლო ოლიას ასე მუყაითად მუშაობა, როდესაც ორი წყვილი მოსიყვარულე ვაჟკაცის თვალები შესაქცეროდნენ თითქმის მთელი დღის განმავლობაში“.

ოლ-ოლი არ ყოფილა ერთადერთი ქალი, რომელიც პოეტის შთაგონების მუზად ქცეულა, მაგრამ გამორჩეულია თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც იოსები ამბობს, იგი იყო მისი „ახალგაზრდული ლექსების პირველი ადრესატი“. გრიშაშვილს არავისთვის მიუძღვნია იმდენი ლექსი, რამდენიც ოლღა ლეჟავას მიუძღვნა. 1955 წელს გამოცემულ კრებულში მგოსნის ხელით, ფანქრით მოხაზულია ოლ-ოლისადმი მიძღვნილი 134 ლექსი.

„რუსული წაკითხვა, ისიც ხელნაწერისა, ძალიან მიჭირდა. პირველ ხანებში „ნიგილისტკას“ რომ ვსუფლიორობდი, შევნიშნე, რომ ერთი ისეთი ორჭოფული რუსული სიტყვა წამომიროშია, მთელი აქტიორები სიცილით დაწყდნენ... არ იცინოდა მხოლოდ მსახიობი ოლღა ლეჟავა, იგი თვალცრემლიანი შეჰყურებდა ამ ამბავს. მე, როგორც ახალგაზრდა პოეტი,

ოლღას შევეცოდე, მხოლოდ ოლღას. ის მაშინვე კარგ ადამიანად დავსახე და მას შემდეგ დაიწყო ჩემი სატრფიალო ლექსების ციკლი, მის მიმართ“, — იგონებდა 1953 წელს იოსებ გრიშაშვილი.

## „ეს ქვა, შენი გული არის, ცივი, ნაზი და მდუმარე“

**„ბავშვი პოეტის“ უმედო სიყვარული**

„ერთხელ ქალები ისე ჩამაცივდნენ, რომ ჭკუაზე შევირყიე... მითხარი, სთქვი, ვინ არის, ვისაც ასე ამკობ; ნუთუ აქამდე გულის სიმი ვერ შეურხიეო... ავდექი და მეც სცენაზე წავიკითხე — „საზღვარს“ და ვსთქვი, ვუძღვნი ოლღა ლეჟავას-მეთქი...“, — სწერს პოეტი დასავლეთ საქართველოში ოლღა ლეჟავას საგასტროლო მოგზაურობის დროს.

მსახიობის არქივში დაცულია გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი ლამაზი კალიგრაფიით „მოქარგული“, ოლ-ოლისადმი მიძღვნილი ღია ბარათები, რომელთა უმრავლესობა 1911 წლითაა დათარიღებული. პირადი მიმოწერიდან დასტურდება, რომ პოეტი განსაკუთრებით 1910-14 წლებში იყო მასზე შეყვარებული.

ოლ-ოლიც აფასებდა მის ნიჭიერებას, სჯეროდა მისი სიყვარულის, მაგრამ არ თანაუგრძნობდა. ალბათ იმიტომაც, რომ მასზე 9 წლით უფროსი იყო. პოეტმა მას სახსოვრად გადასცა თავისი ფოტოსურათი, რომელსაც ოლღამ მიაწერა — „ბავშვი მგოსანი“. ეს სიტყვები იოსებს ხანჯალივით მოხვდა გულზე და აი, პასუხი:

„ოლ-ოლ! შენ ჩემი უნდა იყო, გესმის? მხოლოდ ჩემი, საბოლოოდ, სამუდამოდ. შენ ნება არ გაქვს სხვა შეიყვარო, შენ ნება არ გაქვს, მე დამივიწყო... გესმის? შენ ჩემი უნდა იყო?... თვით მზეს არც კი ვაპატიებ, რომ ის ასე დაურიდებლად შენ თმებს ეთამაშება და შენს ზღვა თვალებში სხივებს ალივლივებს... მე თვით მიწას არც კი ვაპატიებ, რომ ის შენ ფეხებს ჰკოცნის... შენ ნება არ გაქვს მიატოვო „ბავშვი მგოსანი“, გესმის?..“

არა და არ იქნა — მუდამ დინჯი და თავშეკავებული ოლია ცდუნებამ ვერ აიყოლია. არადა, ათასნაირი ეპითეტით ამკობს ლამაზ ასულს. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

„ზღვის მიონავ! ჩამოვხმი, სული მტკივა, ფიქრით ვარ ავად. მწუხარება და სევდა არ შორდება ჩემს სულს იჭვნეულს. მაჩვენე ერთი ისეთი წუთი, რომ შენზედ არ ვფიქრობდე... შენით ვსულდგმულობ, შენი ღიმილით ვარსკვლავებს ვსერავ, მე შენ სურათზე ერთ ღმერთს ვლოცულობ“.

გამიჯნურებული იოსები თითქმის ყველა წერილში ეკედრება, რომ მანაც მისწეროს ბარათები. როგორც ჩანს, ოლღა თავს იკავებდა პასუხისგან, სწერდა იშვიათად და ძუნწად, რაზეც პოეტი დიდ გულისწყრომას გამოხატავდა. „დღეს მივიღე წერილი თქვენი, დიდად, დიდად გმადლობთ. ნუთუ ასეთი წერილით უნდა გამოხმაურება? ნუთუ ასეთი უსულგულო ხართ? ეს მეკუთვნოდა? რა დავაშავე?“

გრიშაშვილი გრძნობდა, რომ კარგავდა ამ სიყვარულს... წაღვერში დასასვენებლად მყოფი, მდინარის ნაპირზე პოულობს სიპ ქვას, რომელსაც გულის მოყვანილობა აქვს და თბილისში უგზავნის ოლ-ოლს წარწერით: „ეს ქვა შენი გული არის, ცივი, ნაზი და მდუმარე“.

შემდეგი წერილებიდან ირკვევა, რომ ეს გრძნობა ოლ-ოლისადმი გრიშაშვილსაც მეგობრულ გრძნობაში გადაზრდია და მასთან საინტერესო საქმიანი მიმოწერაც გაუჩაღებია. თუმცა, არ ავიწყდება ადრინდელი დამოკიდებულება ოლ-ოლისადმი და საყვედურიც წამოსცდება ხოლმე დაკარგული სიყვარულის გამო...

სოფიო (სონია) ჩიჯავაძე

ოლღა ლეჟავა სხვაზე გათხოვდა. ოლ-ოლი გამითხოვდა 31 მარტს, 1915 წელსო, — აღნიშნავს გრიშაშვილი. წლების შემდეგ კი, ხანდაზმული პოეტი თავის მოგონებებში წერს: „ქართულ თეატრში გარდა სუფლიორობისა, მსახიობობასაც ვეტანებოდი. მხოლოდ ერთხელ მოვიკალი ჩემი არტისტული ნიჭის ჟინი, როცა ჩემს საღამოზე კავკავეული „პეტუას“ როლი შეავასრულე ა. ცაგარელის „ციმბირელში“ და ისიც ოლღა ლეჟავასთან ერთად (ის მაშინ კოს თამაშობდა). წარმოდგენა, რასაკვირველია, კარგად ჩაივლიდა, განსაკუთრებით კარგი იყო შეყვარებულთა სცენა...“

ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მხოლოდ სცენაზე, გამოხატა ოლღასადმი სიყვარული: პიესის ტექსტი ხომ სრულიად შეესაბამებოდა გრიშაშვილის განწყობილებას...

ოლღა ლეჟავამ თითქოს იგრძნო სიკვდილის მოახლოება: სათუთად შენახული, პოეტის მიერ მიწერილი ოთხასამდე წერილი, ღია ბარათი და ლექსები შეკრა და შვილს ანდერძად დაუბარა: ჩემი სიკვდილის შემდეგ, სოსოს დაუბრუნეთო. ანდერძი აღსრულდა. გრიშაშვილმა სასოებით ჩაიბარა ძვირფასი რელიკვიები, რომლებიც დღეს, ხარფუხში, მის სახლ-მუზეუმში ინახება.

## „...ცრემლები კრიალოსნად ავასხი და ჩემი რა ბრალია, რომ ყველა მძივი ქარვისა არ არის?“

იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს შორის, ყურადღებას იპყრობს მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალის სურათი, რომელზეც პოეტს ფანქრით მიუწერია: „სონია ჩიჯავაძე, ჩემი საუკეთესო ლექსები ამას ეკუთვნის. გავიცანი 1914 წლის აგვისტოს, გადავიცანი 1916 წელს“.

სოფიო (სონა) ლონგინოზის ასული ჩიჯავაძე მასწავლებელი იყო. მისი მშობლები ხელს უშლიდნენ მათ სიყვარულს. უფრო მდიდარი და სახელოვანი სიძე უნდოდათ. გრიშაშვილიც თანდათან რწმუნდებოდა სონას გულცივობაში, გრძნობდა, რომ ის გატაცებული უფრო იყო მისით, ვიდრე შეყვარებული. „სონას მე არასოდეს არ ვუყვარდი, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ბარათში, — არც ჩემი პოეზია მოსწონდა, მხოლოდ, რაც იყო ჩვენში, ამის მადლობელიც ვარ“.

იოსებ გრიშაშვილმა შექმნა მშვენიერი ციკლი პატარა მინიატიურებისა, რომლებსაც „ცრემლების კრიალოსანი“ დაარქვა და თავის დაკარგულ სიყვარულს უძღვნა.

ამ კრებულზე დიდი სამდურავი გამოუთქვამს სონას. პოეტს კი, სულით ობლობა მოუმიზეზებია და მთელი თავისი განცდების ქაღალდზე გადატანა უცდია „...რაც შეეხება „ცრემლების კრიალოსანს“, ის მართლაც რომ საცრემლოა. ბოლო დროს, განშორების ჟამს, თქვენ მითხარით (გახსოვს?): „თუ თქვენ მართლა გიყვარვართ, ამ ამბავმა თქვენზე უნდა იმოქმედოსო. ე.ი. უნდა შექმნათ დიდებული რამ, დაწეროთ ლექსებიო. ლექსებისა რა მოგახსენოთ, არ ვიცი, დავწერე თუ ვერ დავწერე. ეს ალბათ ჩემს მეტკვიდრეებს ეცოდინებათ, მაგრამ ეს კია, რომ თურმე შენი გრძნობა და ჩემი წარსული ამ დღიურების ღირსი ყოფილა. მითხარით: დაწერეო და მეც ცრემლები კრიალოსნად ავასხი და ჩემი რა ბრალია, რომ ყველა მძივი ქარვისა არ არის?“

სონა ჩიჯავაძე 1924 წელს გათხოვილა და ქმართან ერთად პარიზში წასულა საცხოვრებლად.

## უკანასკნელი სიყვარული და ქორწინება 61 წლის ასაკში

ახალგაზრდა გრიშაშვილი მუდამ შეყვარებული იყო. თუმცა, ჭაბუკური შემართება მასში თანდათან ნელდება.

1926 წლის საარქივო მასალებით ნათელია, რომ იოსები ამ პერიოდში, გატაცებული ყოფილა ფოთის თეატრის მსახიობით — ნინო ჩიხლაძით. საგასტროლო მოგზაურობის დროს ფოთში ყოფნისას, მას მოსწონებია ეს გულუბრყვილო და ბავშვური გამომეტყველების მქონე ქალიშვილი. არც გოგონა დარჩენილა მის მიმართ გულგრილი. გრიშაშვილის სურვილი იყო, თავისი ლექსების მესამე ტომი მისთვის მიეძღვნა. ამავე წლის 22 თებერვლით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „მესამე ტომს ახლა ვბეჭდავ და მინდა, რომ

ეს მესამე,

შენი კვნესამე.

შენ გეკუთვნოდეს!.. მე მხოლოდ შენ გეკუთვნი. ჩემი ფიქრები მხოლოდ შენს გარშემო ნავარდობენ“.

არ არის ცნობილი, თუ რამდენ ხანს იყო გრიშაშვილი ნინოზე გამიჯნურებული. იგი სიბერემდე ვერ მოეკიდა ოჯახს. მის ლექსებსა და წერილებშიც თანდათან სულ უფრო ცხადდება განცდა ხანშიშესულობისა, მარტოობა შემაწუხებელი ხდება და 1950 წელს, 61 წლის პოეტს ცოლად მოჰყავს ცნობილი მომღერალი — ქეთო ჯაფარიძე.

იოსებ გრიშაშვილი მადლიერი იყო ქეთოს თანაზიარობისა, რომელმაც აგრძნობინა ოჯახური სიმყუდროვე და რაც სიჭაბუკეში დააკლდა, ის სიბერეში აუნაზღაურა.

იოსებ გრიშაშვილი მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით წერდა: „რასაკვირველია, სულ სიყვარული არ შეიძლება, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. ჩემი სიყვარული ზექვეყნიურია, წმინდა, უმწიკვლო და ჰაეროვანი... მე მონა ვარ სილამაზისა, ლექსის წერა უსიყვარულოდ არ შეიძლება, სილამაზე კი ყოველთვის სიყვარულშია“. ■

# "...ღავკარგე ყოველგვარი ფუნქცია და ასანთის ცარიელ კოლოფს ღავემსგავსე"



## ნარკოტიკისგან გათავისუფლებას წელს 200 კაცი იზეიმებს(?!)

**„ნარკოტიკების მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპია ჩემთვის უკანასკნელი იმედი იყო. საქართველოში ამ პროექტის განხორციელებას დიდხანს ველოდი. როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე უნდა ვყოფილიყავი, სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ნარკოტიკებისგან თავის დაღწევის შანსი მომეცა", — ამბობს ირაკლი და დასძენს, რომ მის გარშემო მყოფი ნარკომანები მას გარკვეულწილად, შურის თვალითაც კი უყურებენ.**

*თამარ როსტიაშვილი*

*დღეს ჩვენში ათასობით ნარკოტიკების მომხმარებელია, მაგრამ სამწუხაროდ, ნარკოლოგიის ინსტიტუტში მეტადონით ჩანაცვლებით თერაპიას ჯერჯერობით, მხოლოდ 39 პაციენტი გადის. პროექტში მოხვედრა არაერთ ნარკომანს სურდა, მაგრამ მცირე დაფინანსება ბევრის მიღების საშუალებას არ იძლევა. პროგრამაში მოსახვედრად, ნარკოტიკების მომხმარებლები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. უპირველესად, პაციენტს ორჯერ მაინც უნდა ჰქონდეს გავლილი მკურნალობის კურსი. განსაზღვრულია პაციენტთა ასაკიც. აივ-ვირუსით ინფიცირებულთათვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. ნარკოლოგიურ კლინიკაში ამჟამად ნარკოტიკების მეტადონით ჩანაცვლებით თერაპიას ამ ვირუსის მატარებელი ან შიდსით დასნებოვნებული ათიოდე პაციენტი გადის. ვარაუდობენ, რომ მომავალში, სახელმწიფო გაზრდის დაფინანსებას აღნიშნული პროგრამისთვის და პაციენტების მიღება ეტაპობრივად განახლდება წლის განმავლობაში.*

**ირაკლი**, *34 წლის:*

— როცა ნარკოტიკი პირველად გავსინჯე, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი. იმ დროს მსურდა, თანაკლასელებისგან რაღაცით გამორჩეული ვყოფილიყავი. ამას მივაღწიე კიდეც. შემდეგ, ჩემზე გაცილებით უფროს ბიჭებთან დავიწყე მეგობრობა, კლასელებს თავს თითქმის აღარ ვუყადრებდი. ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ვცხოვრობ და ჩემ გარშემო ბევრი ნარკომანია. ნარკოტიკების შოვნა პრობლემას თითქმის არასდროს წარმოადგენდა... დედაჩემი ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთანამშრომელია, მამა — არქიტექტორი. დედისერთა ვარ. მშობლები მზრუნველობას არასდროს მაკლებდნენ. ჩემი განარკომანების ამბავი რომ გაიგეს, ელდა ეცათ, მაგრამ რას იზამდნენ — ერთადერთ შვილს სახლიდან ხომ არ გააგდებდნენ!.. სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო და ამ ბრძოლაში მეც ჩავები. მერე, აფხაზეთში ვიბრძოდი... სოხუმის დაცემის შემდეგ, წავედი უკრაინაში, სადაც ნარკოტიკები ძალიან ადვილი საშოვნელი იყო და ჭაობში ჩავიძირე. როცა თბილისში დავბრუნდი, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანი ვიყავი. იმდენად ვიყავი წამალზე დამოკიდებული, რომ მის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმომედგინა.

**— სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობა არ გიცდია?**

— როგორ არ მიცდია?! როდესაც მივხვდი, რომ ნარკოტიკების გამო, თითქმის აღარ ვგავდი ადამიანს, დავკარგე ყოველგვარი ფუნქცია — ოჯახში, მშობლებთან, მეუღლესთან ურთიერთობისას და ასანთის ცარიელ კოლოფს დავემსგავსე, გადავწყვიტე, მემკურნალა და წამალი აღარ გამეკეთებინა. ვკურნალობდი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგრამ იმდენად ვიყავი დამოკიდებული ნარკოტიკებზე, რომ პალატაში ყოფნისას, ერთი სული მქონდა, გარეთ როდის გავიდოდი, რომ ისევ გამეკეთებინა ნარკოტიკი. ამიტომ, იქ ჩემს წოლას აზრი არ ჰქონდა. გამოვდიოდი და ისევ ძველებურად ვიწყებდი წამლის მიღებას. უმეტესწილად ჰეროინს ვიკეთებდი. წარმოიდგინეთ, ნარკოლოგებს ჩემს ორგანიზმში კოდი შეჰყავდათ და თუ ნარკოტიკს ერთხელ მაინც გავიკეთებდი, შესაძლებელი იყო, იმწუთასვე მოვმკვდარიყავი, მაგრამ „ლომკა" რომ დამეწყებოდა, მზად ვიყავი, ნარკოტიკის მიღებით დამესრულებინა სიცოცხლე! მივრბოდი ექიმთან და ვეხვეწებოდი, რომ ანტიკოდი შეეყვანათ. ასეთი შემთხვევა ხშირად მქონია. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, ნარკოტიკებისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. თავის მოკვლაც მიცდია, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ამით ჩემს ოჯახს გავამწარებდი. როდესაც ადამიანი დამოკიდებულია ნარკოტიკზე და წამლის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებს, ის აღარ კაიფობს — ნარკოტიკს მხოლოდ იმიტომ იღებს, რომ ტკივილებისგან გათავისუფლდეს. ასეთ დროს, კაიფისთვის ნარკოტიკის დიდი დოზა უნდა მიიღო, ზედოზირებით კი, ძალზე ბევრი ადამიანი მომკვდარა...

**— როგორ ფიქრობ — ჩანაცვლებითი თერაპია შედეგს გამოიღებს? გარკვეული დროის შემდეგ, თუ შეძლებ ნარკოტიკებისთვის საბოლოოდ თავის დანებებას?**

— მეტადონით ნარკოტიკების ჩანაცვლებითი თერაპია, უკანასკნელი იმედი იყო ჩემთვის. საქართველოში ამ პროექტის განხორციელებას დიდხანს ველოდი. როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ვიქნებოდი, სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ყოველ დილას უკეთესი მომავლის იმედით ვიღვიძებ... ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ მეტადონსაც თავს დავანებებ და არანაირ ნარკოტიკს აღარ მივიღებ-მეთქი, იმიტომ, რომ ფიზიკურად ჯერ კიდევ დამოკიდებული ვარ. რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ, შესაძლოა, მეტადონიც აღარ მივიღო. დიდი სურვილი მაქვს, საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანი გავხდე, რაღაც სასიკეთო გავაკეთო. ცხოვრებაში პირველად დავფიქრდი სამსახურის შოვნაზე... ოჯახში ჩემ მიმართ დამოკიდებულებაც შეიცვალა. მეუღლე ამბობს, რომ ასეთი არასოდეს ვუნახავვარ, მოხუცებულ მშობლებს უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდათ. არადა, ყოფილა შემთხვევა, რომ მამაჩემი თვითონ წასულა ჩემთვის ნარკოტიკის მოსატანად, რადგან უყურებდა ჩემს საცოდაობას და ხვდებოდა, რომ ნარკოტიკების გარეშე შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი... ახლა, როცა ვიხსენებ, თუ რამდენი ცუდი საქმე გამიკეთებია იმისათვის, რომ ნარკოტიკები მომეპოვებინა, სინანულისა და სირცხვილის გრძნობა მეუფლება.

**— ნარკოტიკებისგან თავის დასაღწევად, ბევრი, მონასტერში მიდის. იქ არაერთი ნარკომანი გათავისუფლებულა ამ სენისაგან. მონასტერში წასვლაზე არ გიფიქრია?**

— როგორ არ მიფიქრია?! ერთი პერი-

ოდი, ვმარხულობდი კიდეც. მაგრამ ეშმაკი რომ შეაჯდება ადამიანს ზურგზე, მერე მისი მოცილება ხომ ძალიან ძნელია... რამდენიმე ხნის წინ, მარხვის დასრულებისას, ეკლესიის ეზოში წირვას ვესწრებოდი; ხელში სანთელი მეჭირა და ვლოცულობდი, თან — ნარკოტიკზე ვფიქრობდი: ერთი სული მქონდა, წირვა როდის დასრულდებოდა, რომ გავქცეულიყავი სახლში და ჰეროინი გამეკეთებინა; ბოლოს, იმდენად ცუდ დღეში ჩავვარდი, წირვის დასრულებას ვეღარ დაველოდე, სანთელი ტაძრის კედელზე მივაკარი, მრევლის ტალღა გავარღვიე და ლამის იყო, ღობეს გადავახტი. ასე, სირბილ-სირბილით მივაღწიე სახლამდე... რომ დავფიქრდები, სინანულთან ერთად, გარკვეულწილად, შიშიც მიპყრობს. ამის შემდეგ მივხვდი, რომ მონასტერში წასვლით თითქმის დაუძლეველ პრობლემას ვერ მოვაგვარებდი... ამას წინათ, ჩემი ერთი მეგობარი სამკურნალოდ ბიშკეკში იყო წასული. საქართველოში ჩამოსვლისას, წითელ ხიდზე ქართველი მეგობარი დახვდა, ნარკოტიკი მისცა, იმან გაიკეთა და ადგილზევე გარდაიცვალა... ერთ-ერთს 3 შვილი ჰყავს; ისეთი ამნეზია დაემართა, რომ არც ერთი აღარ ახსოვდა... ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი ახლობელი ზედოზირებით გარდაცვლილა... ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, იმ დღეს, როდესაც პირველად გავიკეთე ნარკოტიკი, საერთოდ წავშლიდი...

*35 წლის* **ლევანი** *შიდსითაა დაავადებული. ვირუსი უკრაინაში ნარკოტიკების მოხმარების „წყალობით“ შეიძინა. ლევანს სურს, მეტადონის ყლაპვა რაც შეიძლება მალე დაასრულოს:*

— ნარკოლოგიურ კლინიკაში როდესაც გაიგეს, რომ შიდსით დაავადებული ვიყავი, აღრიცხვაზე ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე ამიყვანეს. უკვე ორი კვირაა, რაც ვმკურნალობ და მსურს, მკურნალობის კურსი რაც შეიძლება მალე დასრულდეს. ინფიცირებულია ჩემი მეუღლეც. ერთმანეთი შიდსის ცენტრში გავიცანით. დავმეგობრდით და ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ. ახლა გვსურს, შვილიც გავაჩინოთ. ვიმედოვნებ, რომ ღმერთი არ გაგვწირავს.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ნარკოტიკებისგან თავის დაღწევა არ გაგიჭირდებათ. აქამდე არ გიცდიათ?**

— ერთი-ორჯერ ვცადე, მაგრამ სამწუხაროდ, საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შევძელი. იყო პერიოდი, როდესაც მთელი კვირა ან შეიძლება მეტიც, ნარკოტიკი არ მიმიღია, მაგრამ საკმარისი იყო, წამალზე ფიქრი დამეწყო, დამენახა ან ვინმეს შემოეთავაზებინა, რომ ისევ ვიწყებდი... მეტადონი არ იწვევს წამალდამოკიდებულებას და მისგან თავის დაღწევა გაცილებით იოლია. წამლის დოზას თანდათანობით მიმცირებენ. ექიმებს ვეხვეწები ხოლმე, რომ სამკურნალო კურსი რაც შეიძლება მალე დამასრულებინონ. ჩემ ირგვლივ მყოფ ძალიან ბევრ ადამიანს სურს ნარკოტიკებისგან თავის დაღწევა, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელია, თუმცა, მიუღწეველი არ არის — მონდომებას და სურვილს გააჩნია.

*რას წარმოადგენს ნარკოტიკების მეტადონით ჩანაცვლების თერაპია, როგორ და რა გზითაა შესაძლებელი ამ პროგრამაში ჩართვა და რამდენად რეალურია ნარკოტიკებისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა ამ კურსის შედეგად? ამ კითხვებით ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორს,* **ხათუნა თოდაძეს** *მივმართეთ:*

— ჩანაცვლებითი თერაპია გულისხმობს ოპიომიდების ჯგუფის ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობას, ასევე ოპიომიდების ჯგუფის ნარკოტიკით. პროგრამაში გამოიყენება მსოფლიოში აპრობირებული პრეპარატი — მეტადონი. ნარკომანია, ქრონიკული დაავადებაა. ნარკოტიკების მომხმარებელს ჩანაცვლებითი თერაპია ეხმარება იმაში, რომ აღიდგინოს როგორც ფსიქიკური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობა. ნარკოტიკების მეტადონით ჩანაცვლების შემდეგ, ჩამოყალიბებულ ნარკომანს შეუძლია, სამუდამოდ დაანებოს თავი ნარკოტიკებს, მათ შორის — მეტადონსაც.

**— რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ნარკომანი, ამ პროგრამის კურსი რომ გაიაროს?**

— პირველ რიგში, პაციენტი უნდა იყოს ოპიომიდების ჯგუფის ნარკოტიკის მომხმარებელი. განსაზღვრულია ასაკიც: 25 წელზე მეტი ასაკის ნარკომანს მინიმუმ ორჯერ უნდა ჰქონდეს გავლილი მკურნალობის კურსი ნარკოლოგიურ დაწესებულებებში. აივ-ინფიცირებულებს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ვიღებთ.

**— გარდა იმისა, რომ პაციენტები ყოველდღიურად პრეპარატს იღებენ, სხვა სახის დახმარებაც ხომ არ უტარდებათ?**

— თითოეული პაციენტი ყოველდღიურად იღებს მისთვის განსაზღვრული რაოდენობის მეტადონს. გარდა ამისა, თითოეულ მათგანთან ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი მუშაობს. რეკომენდებულია, რომ ჩანაცვლებითი თერაპია პაციენტთან 6 თვიდან 1 წლამდე გაგრძელდეს. გვყავს პაციენტები, რომლებიც ითხოვენ, რომ სამკურნალო კურსი უფრო მოკლე ხანში დავასრულებინოთ.

**— დღეს საქართველოში ათასობით ნარკომანია, ჩანაცვლებით თერაპიას მხოლოდ 39 გადის. იგეგმება თუ არა დაფინანსების გაზრდა, რათა უფრო მეტი ნარკომანი ჩაებას პროგრამაში?**

— თითოეული ნარკომანის მკურნალობა სახელმწიფოს ყოველდღიურად 10 ლარამდე უჯდება. ჩვენი ვარაუდით, წლის ბოლომდე, სულ 200-მდე ნარკომანის განკურნებას შევძლებთ. ვიმედოვნებთ, სახელმწიფოსგან დაფინანსება გაიზრდება და შესაბამისად, პროგრამაში, ნარკომანიით დაავადებული მეტი ადამიანი ჩაებმება. მომავალში, ამ პროგრამის სხვადასხვა რეგიონში განხორციელებაც იგეგმება.

■

# წვენები — უფროსებისთვისაც და ბავშვებისთვისაც

***რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი***

ცნობილია, რომ წვენები ყველასთვის სასარგებლოა. მაგრამ ისინი განსაკუთრებით სჭირდებათ მოხუცებსა და ბავშვებს. ცოცხალი ხილ-ბოსტნეულის მსგავსად, წვენებიც მდიდარია ვიტამინებით, მაგრამ მათგან განსხვავებით წვენი თითქმის არ შეიცავს უჯრედისს, რომელიც მონელებისათვის დიდ ენერგეტიკულ დანახარჯს მოითხოვს.



უჯრედისის დაბალი შემცველობის გამო წვენები საკმაოდ კარგად შეითვისება ორგანიზმის მიერ. ამიტომ იგი აუცილებელ ელემენტად უნდა იქცეს მოხუცებულთა კვების რაციონში: იგი აადვილებს მონელების პროცესს და ამით ზოგავს საკვების მონელებაზე ორგანიზმის მიერ დახარჯულ ძალებს.

რაც შეეხება ბავშვის ორგანიზმს, მასაც უჭირს დიდი რაოდენობის ცოცხალი მცენარეული საკვების მიღება, მასში უჯრედისის ჭარბად არსებობის გამო. არადა, რარიგ საჭიროა ასეთი საკვები ბავშვის ზრდისა და განვითარებისათვის! წვენები ასეთ შემთხვევაში ოპტიმალური ვარიანტია. ექიმი-პედიატრები წვენების მიცემას პატარებისთვის 3-4 თვის ასაკიდან გვირჩევენ. თანაც, ბავშვს ძალის დატანება არ სჭირდება — თითქმის ყველა პატარა, წვენს დიდი სიამოვნებით მიირთმევს.

წვენების შეტანით ყოველდღიურ მენიუში ერთდროულად ორი ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია: ჯერ ერთი, ბავშვის ორგანიზმს უზრუნველვყოფთ საჭირო მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით, ფერმენტებით, მცენარეული ცილებითა და შაქრებით; მეორეც, მენიუ მრავალფეროვანი ხდება და მადაც მატულობს — პატარა ყოველთვის სიხარულით ჯდება სუფრასთან, თუ მასზე ხილის წვენი ეგულება.

■

# ფეხები კოჟრების გარეშე

**კოჟრები ბევრ უსიამოვნებას გვაყენებს. გარდა იმისა, რომ ფეხებს უსიამოვნო შესახედაობა აქვს, კოჟრი ტკივილსა და ცუდ შეგრძნებებსაც იწვევს. ბევრი კოჟრის მოშორებას სამართებლით ცდილობს, მაგრამ ეს არცთუ ისე უსაფრთხო პროცედურაა. არადა, არსებობს უამრავი ეფექტური ხალხური საშუალება, რომელიც კოჟრების მოშორებაში დაგეხმარებათ.**

● გაფცქვენით ხახვი, 2 კვირის განმავლობაში ხახვის ფუჩეჩი ჩაალბეთ ძმარში, შემდეგ დაიფინეთ კოჟრზე და შეიხვიეთ მთელი ღამით. პროცედურა გაიმეორეთ კოჟრის გაქრობამდე.

● ძილის წინ, ფეხები დაილბეთ თბილ წყალში, კარგად გაიმშრალეთ და კოჟრზე დაიდეთ ლიმონის ქერქი რბილობიანად. 4-5 დღეში კოჟრი მთლიანად გაქრება.

● დინდგელის პატარა ნაჭრისგან გააკეთეთ ფირფიტა, დაიდეთ კოჟრზე და შეიხვიეთ. 3 დღის შემდეგ მოიშორეთ, დარბილებული კოჟრი კი ფრთხილად მოიცილეთ ბლაგვი დანით.

● კარგ შედეგს იძლევა კოჟრზე ჩვეულებრივი სუროს ფაფის დადება.

## თუ ფეხის სოკო გაქვთ, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

● დაჭყლიტეთ ნიორი და შეურიეთ იმავე რაოდენობის ნაღების კარაქი. ნარევი დაიდეთ დაზიანებულ ადგილას გამოჯანმრთელებამდე. ყოველდღიურად ნივრის ახალი ულუფა უნდა მოამზადოთ.

● მოამზადეთ რძიანა ბალახის ნაყენი ან ნახარში და ჩააწყვეთ მასში ფეხები. პირველი ორი პროცედურის შემდეგ შვებას იგრძნობთ, სულ მალე კი სავსებით გამოჯანმრთელდებით.

● ცივ წყალში გახსენით თითო ს/კ მარილი და სოდა და ჩაყავით მასში ტერფები. გადაივლეთ სუფთა წყალი.



პროცედურა გაიმეორეთ ყოველდღიურად, ვიდრე სოკოს თავს არ დააღწევთ. ■

# ელაპარაკეთ პატარას თვალებით

იტალიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პატარები დაბადებისთანავე მზად არიან უფროსებთან თვალებით ურთიერთობისათვის. ადამიანებთან თვალებით „საუბარი" მათთვის ურთიერთობის ყველაზე ეფექტური ფორმაა. სამი თვის ასაკში პატარა უკვე ნაკლებად იღიმება, როცა უფროსი არ უყურებს. ექსპერტები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ათვალიერებდნენ ორი-სამი დღის ახალშობილები ქალის სახეს კომპიუტერის მონიტორზე. ისინი უფრო ყურადღებით და ხანგრძლივად უყურებდნენ იმ გამოსახულებას, რომლის მზერის დაჭერაც შეძლეს. ეს გამოკვლევები იმას მოწმობს, რომ ადამიანი იბადება „სოციალური ტვინით" და მზადაა ურთიერთობებისათვის. ■

# როდის დავიძინოთ?

ამერიკელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მოზარდის ორგანიზმში ჩადებულია გვიან დაძინების პროგრამა. მათი უარი ადრე დაძინებაზე მხოლოდ დადგენილი რეჟიმის მიმართ პროტესტი როდია. ჰორმონი მელატონინი, რომელიც სრულფასოვან ძილზეა პასუხისმგებელი, მოზარდებში, ბავშვებთან შედარებით 2 საათით გვიან გამომუშავდება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შინაგანი საათის გადაწყობა ამზადებს მოზარდის ორგანიზმს მოწიფულობისათვის. ■

# ერთწლიანი სიყვარული

იტალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც განაცდევინებს ადამიანებს ეიფორიას, გულის აჩქარებასა და სიყვარულის სხვა გამოვლინებებს.

მათ გამოიკვლიეს 58 შეყვარებული და დაადგინეს, რომ ყველა მათგანს სისხლში მომატებული ჰქონდა ნერვის ზრდის ფაქტორის (ნფზ) კონცერტრაცია. ეს ცილა მონაწილეობს ნერვული უჯრედების განვითარებაში და მათ ცხოველმყოფლობას უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ ქორწინებაში ხანგრძლივად მყოფ ადამიანებში აღნიშნული ფაქტორის კონცენტრაცია მომატებული არ არის. მეცნიერთა დაკვირვებით, ნზფ-ს კონცენტრაცია სისხლში მაღალი რჩება ერთი წლის განმავლობაში. მაშასადამე, სწორედ ამდენ ხანს არსებობს ვნებიანი სიყვარული. ■

# ავად ხარ? ნუ იჩხუბებ!

ოჰაიოს შტატის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები იტყობინებიან, რომ ჩხუბი მეუღლეებს შორის ჭრილობების შეხორცების შეფერხებას იწვევს. უჩვეულო გამოკვლევაში მონაწილეობდა 42 ოჯახური წყვილი. თავდაპირველად, ვაკუუმური ტუმბოს მეშვეობით ყველა გამოსაცდელს მცირე დაზიანება მიაყენეს, შემდეგ კი მათ შეხორცებას აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ მოჩხუბარ მეუღლეებში შეხორცების სიჩქარე ნორმაზე 60%-ით ნაკლები იყო. სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ სტრესი ანელებს ციტოკინების გამომუშავებას — ეს ნივთიერება კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეხორცების საწყის სტადიაზე. ■

# მსუქნებზე ნემსები არ მოქმედებს

მსუქან ადამიანებზე თითქმის არ მოქმედებს ნემსები — იტყობინებიან დუბლინის (ირლანდია) კლინიკის მეცნიერები. მათ აღმოაჩინეს, რომ მსუქანი ქალების დუნდულა კუნთებში წამლის შეყვანის შედეგი მოსალოდნელზე უარესი იყო. ამის მიზეზი ცხიმის საკმაოდ სქელი ფენაა: ნემსი უბრალოდ ვერ აღწევს კუნთამდე და მასში განლაგებულ სისხლძარღვებამდე. ამის შედეგად მსუქნებში ინიექციების 68% ამაოდ ჩაივლის. წამლების გარდა, დუნდულა კუნთებში შეჰყავთ ბევრი ვაქცინა, რომლის ეფექტურობა მსუქნებში ახლა უკვე ეჭვქვეშ დგება. ■



# ვლადიმერ ბარქაია «ოქროს თაობის» «ფეხბურთის არისტოკრატი»

**ვლადიმერ (სიმა) ბარქაია იმ „ოქროს თაობის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ, რომელმაც 1964 წელს, თბილისის „დინამოს“ ისტორიაში პირველად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება შეძლო. გამოჩენილი მწვრთნელის, ანდრო ჟორდანიას მიერ გაგრაში თავის დროზე აღმოჩენილმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა „დინამოში“ საკუთარი შესაძლებლობა სრულად გამოავლინა და გულშემატკივრებს შორის, „ფეხბურთის არისტოკრატის“ სახელი დაიმკვიდრა.**

**აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, ვეტერანი „დინამოელი“ უკვე 14 წელია, მშობლიურ მხარეს მოწყვეტილია და ამჟამად, თბილისში ცხოვრობს. ბატონი სიმა ჩვენთან შეხვედრას ჩვეული თავაზიანობით დათანხმდა და წარსული ამბებიც ხალისით გაიხსენა.**

*გიორგი ლანჩავა*

## უარი ერევნის „სპარტაკს“ და კიევის „დინამოს“

— მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ, ჩემი თაობის ბავშვების ძირითადი გასართობი, ზღვაში ცურვასთან ერთად, ფეხბურთის თამაში გახლდათ. იმ პერიოდში, ბიჭები და გოგოები ბურთს ერთად დავდევდით, ხოლო ჩვენ შორის ყველაზე უკეთ ნინო უსტაბაშინა თამაშობდა, რომელიც ბავშვთა საფეხბურთო მატჩების სულისჩამდგმელი იყო... ფეხბურთის სასარგებლოდ საბოლოო არჩევანი მაშინ გავაკეთე, როდესაც ინგლისში წარმატებული ტურნეს შემდეგ, გაგრაში ჩამოსული მოსკოვის „დინამო“ ვნახე. 14 წლისა, ჩვენი ქალაქის ნაკრების შემადგენლობაში, სოხუმის „დინამოს“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ვმონაწილეობდი. დავმარცხდით და ორი წლის განმავლობაში, გუნდში აღარ მივუწვევივარ. ამის შემდეგ, გაგრის „ბურევესტნიკში“ ჩავირიცხე, რომელმაც აფხაზეთის ჩემპიონატი მოიგო და საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში მოხვდა. სხვათა შორის, იქაც წარმატებით ვიასპარეზეთ და პირველ ჯგუფში მოსახვედრად, ლანჩხუთის „გურიასთან“ გვქონდა შეხვედრა ჩასატარებელი. მატჩი ლანჩხუთში კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ მოულოდნელად, შეხვედრა შაბათისთვის გადაიტანეს. იმ დღეს, ჩვენი გუნდის 3 წამყვანი ფეხბურთელი ფიზკულტურის ინსტიტუტში გამოცდას აბარებდა, მათ დროულად ვერ შეატყობინეს კალენდარში ცვლილების შეტანის ამბავი და ლანჩხუთში 8 ფეხბურთელი ჩავედით. ძალიან კი მოვინდომეთ, მაგრამ თამაში მაინც წავაგეთ — 1:3. გაგრაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდები ხშირად ჩამოდიოდნენ და მათთან ამხანაგურ თამაშებს ვატარებდით. ასეთი მატჩების შემდეგ, კიევის „დინამოსა“ და ერევნის „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელებს ისე მოვეწონე, რომ ჩემთან სახლში მოვიდნენ, რათა მშობლებისთვის ეთხოვათ, მათ გუნდში გავეშვი. მაშინ მე-10 კლასში ვსწავლობდი და ბუნებრივია, დედ-მამა ამას არ დათანხმდა. 1956 წელს, საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებში მოვხვდი. მას ანდრო ჟორდანია წვრთნიდა და ჩვენმა გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო — ფინალში, უკრაინის ნაკრები ანგარიშით 2:0 დავამარცხეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ნაკრებს, მომავალში ცნობილი საოპერო მომღერალი ზურა სოტკილავა კაპიტნობდა.

**სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი**

## უკან, გასახდელისკენ!

— 1956 წლის ნოემბერში, აფხაზეთის ნაკრების შემადგენლობაში, თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ამხანაგური მატჩში ვმონაწილეობდი. „დინამოს“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, გაიოზ ჯეჯელავამ გუნდში ამიყვანა. მან პირველსავე ამხანაგურ შეხვედრაში — მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ — ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. მოედანზე რომ გამოვედი და ტრიბუნებზე მყოფი ათასობით გულშემატკივარი დავინახე, შევცბი და ჩემთვის გავიფიქრე — არც ფეხბურთი მინდა, არც არაფერი, ოღონდ აქედან წამიყვანა-მეთქი, — თან გასახდელისკენ წავედი. მახსოვს, ვლადიმერ მარღანიამ ხელით დამიჭირა და უკან დამაბრუნა... სხვათა შორის, ის მატჩი საკმაოდ კარგად ვითამაშე და გოლიც გავიტანე. აი, მეორე ამხანაგური შეხვედრა კი, ირანის ნაკრებთან, არ გამომივიდა, რადგან ისევ ძალიან ვინერვიულე. აქვე გეტყვით, რომ მარღანია, „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, მეორე მამასავით იყო... გუნდში ახალი მისული ვიყავი, როცა ზამთარში, მაგარი ყინვები დაიჭირა. რაიონებიდან ჩამოსულ სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად, „დინამოს“ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი და ლამის სამ-სამი საბანი გვეფარა, რომ არ გავყინულიყავით. მარღანია ჩვენთან დღეში რამდენჯერმე მოდიოდა, რომ ენახა, თუ რა მდგომარეობაში ვიყავით. სასადილოში შევიდოდა ხოლმე და მზარეულს ეტყოდა — ბავშვებს ნორმალური საჭმელი გაუკეთეო... 1957 წლის პირველ იანვარს, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ამიყვანეს და ძველი ფულით *(ხრუშჩოვის მიერ ჩატარებულ რეფორმამდე, რომლის შედეგადაც, 10 მანეთი 1-ს გაუტოლდა. — ავტ.)*, ხელფასი 1.300 მანეთი დამინიშნეს. იანვარში, შეკრებაზე ბირმასა და ჩინეთში წავედით, სადაც ფეხბურთი არცთუ ისე მაღალ დონეზე იდგა. ბირმის ნაკრებთან მატჩისას, ამ ქვეყნის იმდროინდელ მმართველს, უნოს ჩვენი ასპარეზობა ისე მოეწონა, რომ 90 წუთის შემდეგ, ტრიბუნიდან დაიძახა — გააგრძელეთ თამაშიო!.. ბირმაში ყოფნისას, სასადილოში მორიგე ვიყავი. მასპინძლებმა სუფრა რომ გაშალეს, მაგიდაზე პატარა წიწაკები დააწყვეს. ანდრო ზაზროევმა ერთი წიწაკა ჩაკბიჩა. ისეთი მწარე აღმოჩნდა, რომ ცრემლი ადინა. მან მითხრა — ეს ამბავი არავის გაუმხილოო, — რადგან სურდა, წიწაკა სხვებსაც გაესინჯათ. მაგრამ დანარჩენებს ამის სურვილი არ გასჩენიათ... იმავე წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში პირველი თამაში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ გვქონდა. სათადარიგოთა სკამზე ვიჯე-

ქი და ვფიქრობდი — ნეტავ, მოედანზე არ გამიყვანონ და ფეხბურთს საერთოდ თავს დავანებებ-მეთქი!.. მეორე ტაიმში გაგნიძე დაშავდა და ჯეჯელავამ მის მაგივრად მათამაშა. შეხვედრაში კარგად ჩავერთე და ჩემი პასის შედეგად, ბასა ღოღობერიძემ გოლიც გაიტანა. ასე რომ, დებიუტი ურიგო ნამდვილად არ გამომსვლია.

## სიომას ჯერპი ბასა

— ფეხბურთში ჩემი კერპი, ბასა ღოღობერიძე გახლდათ, რომლის მსგავსი, საქმისადმი ერთგულების თვალსაზრისით, ცოტა მინახავს. 1958 წელს, როდესაც „დინამოს“ ძალიან უჭირდა, ღოღობერიძემ ფაქტობრივად, მარტომ გადაარჩინა გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდნას. ერთხელ, ვლადიმერ მარღანიამ მითხრა: არ დაიჯერებ — ბასამ ერთ-ერთი მატჩის დროს ხელი მოიტეხა, მაგრამ შეცვლა არ უთხოვია და ბოლომდე ჩაატარაო...მის საფეხბურთო ოსტატობაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ღოღობერიძე 37 წლის ასაკში, საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა... ტაშკენტში ჩატარებული მორიგი შეხვედრიდან თბილისში რომ ვბრუნდებოდით, აეროპორტში ბასას ორივე ხელით ნესვები მოჰქონდა. მოულოდნელად, მას ვიღაცა დაეჯახა და ღოღობერიძეს ხელიდან გაუვარდა ნესვი, რომელიც მან ფეხით ჰაერში, როგორც ბურთი, ისე გააჩერა, ააგდო და კვლავ ხელში დაიჭირა!.. ბასას ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და მას დაწვრილებით ახსოვდა, თუ „დინამოში“ ვინ, რა დროს, რომელი გოლი გაიტანა ან კიდევ, რომელ მატჩში მისცა საგოლე პასი... ძალიან მწყდება გული, რომ ავტოკატასტროფის შედეგად, ღოღობერიძემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლოგინად ჩავარდნილმა გაატარა. საერთოდ, ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები სათანადო პატივისცემას იმსახურებენ, რაც ჩვენს ქვეყანაში არ ხდება. მე ხშირად მიწევს გერმანიაში ჩასვლა, სადაც ვეტერან ფეხბურთელთა თაობას ძალზე აფასებენ. გერმანიის ნაკრები პირველად, 1954 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იმ გუნდის კაპიტანი, ჰელმუტ რანი დღემდე ცოცხალი გახლავთ. 90 წლის ვეტერანს დროდადრო ტელევიზიით აჩვენებენ, რათა დღევანდელმა თაობამ იცოდეს, რომ ასეთი გამოჩენილი ფეხბურთელები ჰყავდათ. თან, რანს, რომელსაც მატერიალურად არ უჭირს, პატივისცემის ნიშნად, სიმბოლური თანხით აჯილდოებენ ხოლმე. ჩვენში კი, მიხეილ მესხის ხსოვნის საღამო რომ გამართეს, საქართველოში მისი თამაშის ამსახველი კადრები არ მოიძებნა და დათო ქლიბაძეს მოსკოვში მოუხდა წასვლა, რომ ისინი შეეძინა...

## თასის არაოფიციალური მფლობელები

— თბილისის „დინამოში“ ჩატარებული თამაშებიდან საუკეთესოდ, 1959 წელს, მოსკოვის კლუბებთან — „სპარტაკთან“ და „დინამოსთან“ გამართული მატჩები მიმაჩნია. „სპარტაკელებთან“ შეხვედრას მოსკოვში 1:3 ვაგებდით და მიუხედავად იმისა, რომ იგორ ნეტო მმეურვეობდა, ზედიზედ 3 გოლის გატანა შევძელი, ხოლო თამაში 5:4 მოვიგეთ. „დინამოსთან“ ორჯერ ავიღე მეტოქის კარი და 2:1 გავიმარჯვეთ. იმავე წელს, თბილისში მოსკოვის ცე-ეს-კას 4:1 მოვუგეთ და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებს დავეუფლეთ, რაც წინა სეზონთან შედარებით, როდესაც გუნდს ძალზე უჭირდა, კარგი შედეგი იყო. არასოდეს დამავიწყდება, 1960 წლის სეზონის მიწურულს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის თასზე ჩატარებული ფინალი, რომელშიც „ტორპედოსთან“ 3:4 წაგვაგებინეს და ამაში მთავარი როლი მსაჯმა, ალექსანდრ ცაპოვეცკიმ ითამაშა. თავიდან, ლიტველ არბიტრთა ბრიგადას უნდა ემსაჯა, მაგრამ საკავშირო ფედერაციამ უშუალოდ თამაშის წინ შეცვალა გადაწყვეტილება და ცაპოვეცკი დანიშნა. თქვენ წარმოიდგინეთ, მან ისე ცუდად იმსაჯა, რომ გაზეთმა „პრავდამაც“ კი გააკრიტიკა, რაც მოსკოვური გუნდების გამარჯვებისას, წარმოუდგენელი გახლდათ... სეზონის დამთავრების შემდეგ, ინგლისში გაგვიშვეს ტურნეში. ადგილზე ჩასულებს, საბჭოთა კავშირის საელჩოში კედელზე გაკრული პლაკატი დაგვხვდა, რომელზეც ეწერა: „თბილისის „დინამო“ — ქვეყნის თასის არაოფიციალური მფლობელი“... ინგლისში გამართული 3 შეხვედრიდან, „ტოტენჰემთან“ 2:5 წავაგეთ, „შეფილდ უენსდეისთან“ — 0:5, ხოლო „ვულვერჰემპტონთან“ — 5:2 ვიგებდით და საბოლოოდ, თამაში ფრედ — 5:5 დავასრულეთ. სხვათა შორის, იმ ტურნეში ძალიან კარგად ითამაშა სერგო კოტრიკაძემ და „შეფილდი“ მას დარჩენას სთავაზობდა... ინგლისში რამდენიმე მოსკოველი ფეხბურთელი გამოგვაყოლეს გუნდის გასაძლიერებლად, მათ შორის — ვალერი ვორონინი. ის ჩემთან ერთად ცხოვრობდა ნომერში და მინდა გითხრათ, ადგილობრივ მანდილოსნებში პოპულარობით სარგებლობდა. საერთოდ, ვორონინი ძალზე ტრაგიკული ბედის პიროვნება იყო. საბჭოთა კავშირის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს, რომელსაც მსოფლიო ნაკრებშიც ჰქონდა ნათამაშები, სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, მატერიალურად ისე უჭირდა, რომ ხან ვის მიმართავდა დახმარებისთვის, ხან — ვის. 1984 წელს, ვორონინი ქუჩაში მკვდარი იპოვეს. მას თავი ჰქონდა გატეხილი და დღემდე არავინ იცის, რამ გამოიწვია ყოფილი ფეხბურთელის სიკვდილი...

## ცრემლი იაშინის დანახვაზე

— ლევ იაშინს იმ დროიდან ვიცნობდი, როცა გაგრაში მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად ჩამოდიოდა და კარს უკან აყენებდნენ, რათა მეკარეობა ხომიჩისა და სანაიასგან ესწავლა. ის რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ ამას ჩვენი დამეგობრებისთვის ხელი არ შეუშლია. ფეხბურთის თამაშისთვის ორივეს კარგა ხნის დანებებული რომ გვქონდა თავი, კახი ასათიანმა დამირეკა და მითხრა — იაშინი გაგრაში ჩამოდის დასასვენებლად და შენ იცი, როგორ დახვდებიო. მე არ ვიცოდი, თუ ცნობილ მეკარეს ცალი ფეხი აღარ ჰქონდა *(მანამდე ცოტა ხნით ადრე, განგრენა დაემართა და ამპუტაცია დასჭირდა. — ავტ.)* და სადგურზე რომ ვნახე, მის შემხედვარეს, გული ამიჩუყდა; თავი მივაბრუნე, რომ იაშინს ჩემი ცრემლი არ დაენახა. მან თურმე, იფიქრა, რომ ვერ ვიცანი და დამიძახა — „ვალოდია, ეტო ია!“ სტუმარი მაშინვე სანატორიუმში წავიყვანე, შემდეგ, რიწის ტბაზე დაბადების დღე გადავუხადე და ვიდრე გაგრას დატოვებდა, ყურადღება არ მომიკლია... ჩვენი ბოლო შეხვედრა 1990 წლის აგვისტოში, მოსკოვში შედგა, როდესაც იაშინს გადაუხადეს იუბილე, რომელზეც მეც ვიყავი მიწვეული. თბილისიდან წასვლამდე, ვეტერანმა ფეხბურთელებმა მისთვის 1.200 მანეთი შევაგროვეთ, თან სოხუმის ყოფილ მერს, გურამ გაბისკირიას დავურეკე

**იმ შეხვედრაში, ანდრო ჟორდანიამ სოტკილავა დაცვის მარჯვენა ფლანგზე დააყენა...**

და ვთხოვე, რომ იაშინთან აფხაზური შავი ღვინო — „ლიხნი“ გაეტანებინა ჩემთვის... ლეგენდარულ მეკარესთან შინ რომ მივედი, ის თავის ყოფილ კოლეგასთან, ბელიაევთან ერთად იჯდა და კონიაკს სვამდა, მისაყოლებელი არაფერი ჰქონდათ. საერთოდ, იაშინი ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ გამიკვირდა კიდეც. მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეკარეს ოჯახში ფაქტობრივად, ავეჯი არ ჰქონდა... ის ოქტომბერში იყო დაბადებული, მაგრამ იუბილეს აგვისტოში უხდიდნენ, რაზეც იაშინმა მითხრა — ალბათ იციან, რომ საკუთარ დაბადების დღემდე ვერ მივაღწევო... მართლაც, თუ არ ვცდები, ის მალევე გარდაიცვალა და თავის დაბადების დღეს ვერ მოესწრო.

## გაძევების გამო დაყარგული წოდება

— 1964 წელს, კიშინიოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩს ვატარებდით ადგილობრივ „მოლდოვასთან“. პირველი ტაიმის განმავლობაში, ერთ-ერთი ფეხბურთელი ძალზე უხეშად მეთამაშებოდა და რამდენჯერმე ფეხი ძალიან მწარედ ჩამარტყა. მაგრამ მატჩის მთავარ არბიტრის არქიპოვის სასტვენი დუმდა. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგემ თამაში ანალოგიურ სტილში გააგრძელა, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, უკნიდან მომეპარა, ფეხში ჩამცხო და მაშინვე დაეცა, თან ღრიალი მორთო, ვითომ გაუსაძლის ტკივილს განიცდიდა. არბიტრმა მკითხა — რა მოხდაო? ცხადია, ვუპასუხე — არ ვიცი-მეთქი. ამ დროს, საქმეში გვერდითი მსაჯი ჩაერია და არქიპოვი დაარწმუნა, რომ მოლდოველს უხეშად ვეთამაშე. ამის გამო, მსაჯმა მოედნიდან გამაძევა. მოგვიანებით, როდესაც მე, შოთა იამანიძე და სერგო კოტრიკაძე მოსკოვში, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაზე წარგვადგინეს, საკავშირო ფედერაციამ სწორედ კიშინიოვის მატჩში გაძევება დაუდო საფუძვლად იმას, რომ სპორტის ოსტატის რანგში დავეტოვებინე... მახსოვს, ხარკოვში „მეტალურგთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში, მსაჯმა გაფრთხილება მომცა. მეორე ტაიმის დაწყების წინ, სტადიონისკენ გასასვლელ გვირაბში ის ჩემთან მოვიდა და მკითხა — გაფრთხილება რომ მოგეცი, მსაჯთა ოთახში რატომ არ შემოხვედიო? ვუპასუხე — კუდში დევნას ხომ არ დაგიწყებ-მეთქი!.. ჩემმა სიტყვებმა ის ეტყობა, გაანაწყენა და მატჩის მეორე ნახევარში, თამაშის უფლება აღარ მომცა...

## მესხთან არშესმული ცივი შამპანური

— ზურა სოტკილავა თბილისის „დინამოში“ პირველად რომ მიიღეს, გუნდში ცოტა ხანი დაყო და შემდეგ, კლუბი გაიოზ ჯეჯელავამ დაატოვებინა. მეორედ, იგი „დინამოში“ ანდრო ჟორდანიამ მიიწვია, მაგრამ გუნდში დამკვიდრება ვერც მაშინ შეძლო. ჩვენი გუნდის რიგებში ბოლოს, მან მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში მიიღო მონაწილეობა. იმ შეხვედრაში, ანდრო ჟორდანიამ სოტკილავა დაცვის მარჯვენა ფლანგზე დააყენა. მარცხენაზე, უსტაბაშინი თამაშობდა. მოსკოველთა ფორვარდმა, ურინმა უსტაბაშინი შავ დღეში ჩააგდო და ჟორდანიამ სოტკილავას ანიშნა — მარცხნივ გადადიო. ზურას რომ შევხედე, თვალები შიშისგან შუბლზე ჰქონდა ასული... მართლაც, ურინმა არც ის დაინდო და თამაშის შემდეგ, გასახდელში შემოსულმა ჟორდანიამ თქვა, — სოტკილავა და უსტაბაშინი თავისუფლები ხართო... როცა ზურა ცნობილი საოპერო მომღერალი გახდა, ურინი მას ხშირად მიმართავდა დახმარებისთვის და სოტკილავაც უარს არ ეუბნებოდა. ერთხელ ურინი მოსკოვში ქუჩაში შემხვდა და მეუბნება — სოტკილავა ცუდად მეხმარებაო... როდესაც ვკითხე, ეს რას ნიშნავდა, მიპასუხა — ცოტა ფულს მაძლევსო... საერთოდ, „დინამოში“ ყოფნისას, სოტკილავა ხშირად მღეროდა და ერთხელ, მიშა პირაევს სთხოვა — ჩემი ხმა მაგნიტოფირზე ჩაწერეო, — რაზეც იმან უპასუხა — ეგღა მაკლიაო?!. ზურა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და შემდეგ, ყველასგან უჩუმრად, კონსერვატორიაში ჩააბარა, რადგან იმ პერიოდში, ახალგაზრდა ბიჭებისთვის კონსერვატორიაში სწავლა და ნოტებით სიარული პრესტიჟულად არ ითვლებოდა. ერთხელ, მას ქუჩაში მიხეილ მესხი შეხვდა და რესტორანში დაპატიჟა. ცივი შამპანური რომ მოიტანეს, ზურამ სასმელზე უარი თქვა, რადგან ყელს უფრთხილდებოდა, მაგრამ მიშასთან ამის თქმა რცხვენოდა. თავის მხრივ კი, მესხი უარის მიზეზს ვერ ხვდებოდა და მას ეჩხუბებოდა — რატომ არ სვამო?.. რესტორნიდან ისე წამოვიდნენ, რომ ზურას შამპანური არც გაუსინჯავს. როცა ის კონსერვატორიის მეოთხე კურსზე სწავლობდა, ქუჩაში შემხვდა და მეგობრის სახლში მიმიწვია. იქ მაგნიტოფონი ჩართეს და ჩემთვის უცნობი საოპერო მომღერლის ხმა მომასმენინეს, რომელიც ძალიან მომეწონა. მასპინძლებმა ზურას თანდასწრებით რომ მკითხეს — ვინ მღერისო? — მხრები ავიჩეჩე. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრეს — სოტკილავას ხმააო. არ მეგონა, თუ ასე კარგად მღეროდა.

## 1953-ში წართმეული და 1964 წელს „დაბრუნებული“ ჩემპიონობა

— 1964 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად, ოფიციალურად კი მოვიპოვეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა კლუბმა ასეთ წარმატებას თავისი არსებობის ისტორიაში პირველად, 1953 წელს მიაღწია. მაშინ, „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედოს“ მოუგო, ხოლო „სპარტაკმა“ — ლენინგრადის „ზენიტთან“ წააგო და ჩემპიონი ჩვენი გუნდი გახდა. მაგრამ ჩვენს გუნდს მოგებული მატჩი გადაათამაშებინეს, რის

მიზეზადაც ის დაასახელეს, თითქოს შეხვედრის დასრულების შემდეგ, სტადიონზე არეულობა მოხდა. ცხადია, ეს აბსურდი გახლდათ, რადგან მატჩის შემდეგ, „დინამოს“ გასახდელში ადგილობრივი ქომაგები შეცვივდნენ ქართველი ფეხბურთელების საცემად და ამის გამო თამაშის ხელმეორედ გამართვა ნამდვილად არ იყო საჭირო. მაგრამ საკავშირო ფედერაციამ სხვანაირად გადაწყვიტა. 3 დღის შემდეგ ჩატარებულ თამაშში „ტორპედომ“ „დინამო“ დაამარცხა და ჩემპიონი „სპარტაკი“ გახდა. ნიკიტა ხრუშჩოვი პირველი მდივნის პოსტიდან რომ არ გაეთავისუფლებინათ და მის მაგივრად, ბრეჟნევი არ დაენიშნათ, ჩვენ 1964 წელს არავინ გვაღირსებდა ჩემპიონობას. სხვათა შორის, მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის ე.წ. „ოქროს მატჩზე“ ტაშკენტში ბრეჟნევი უნდა ჩასულიყო და ამიტომ, შეხვედრის დაწყება 40 წუთით დაგვიანდა, მაგრამ ლეონიდ ილიჩი უზბეკეთის დედაქალაქში არ ჩაფრენილა. ის შეხვედრა ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ სლავა მეტრეველმა და ჯემალ ზეინკლიშვილმა ითამაშეს. მატჩის მსვლელობისას, მე ზოგჯერ, როგორც იტყვიან, ჩრდილში ვექცეოდი და მეტრეველის თამაშით ვტკბებოდი. რაც შეეხება ზეინკლიშვილს — მან მეტოქის თავდამსხმელებს არანაირი გასაქანი არ მისცა. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი გამარჯვების გამო, აღნიშნული შეხვედრის არბიტრს, ლატვიელ რუბენისს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მსაჯობა აკრძალული ჰქონდა და ის დეპრესიის გამო, ფსიქიატრიულშიც კი მოხვდა. საკავშირო ჩემპიონატის მოგებისთვის, პრემიის სახით, 5-5 ათასი მანეთი უნდა მოეცათ, მაგრამ დაქვითვის შედეგად, თითოეულმა ფეხბურთელმა 3,5 ათასი მანეთი ავიღეთ. გარდა ამისა, „პობედის“ მარკის საათები დაგვირიგეს და ერთი-ორჯერ რაიონში გვაქეიფეს. ზეინკლიშვილი ვახსენე და მასზე ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: 1962 წელს, გერმანიის ქალაქ კარლსრუეში ვიყავით ჩასული, სადაც მასპინძლებმა მაღალი დონის შეხვედრა მოგვიწყვეს. სუფრაზე რომ ვიმყოფებოდით, ჯემალმა, რომელიც მხატვრული სტვენის საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახლდათ, რუსული სიმღერის — „დარაგაია მაია ბაბკას“ მოტივის სტვენა დაიწყო. ამის გაგონებაზე, რესტორანში გარედან შემოდიოდა გაოცებული ხალხი — ასე კარგად ვინ უსტვენსო?.. ზეინკლიშვილს გერმანიაში დარჩენასაც კი სთავაზობდნენ და ეუბნებოდნენ — შენი ნიჭის პატრონი, ბევრ ფულს იშოვიო.

## ფარიკაობიდან — ფეხბურთამდე

— გიორგი სიჭინავა, ვიდრე ფეხბურთელი გახდებოდა, ფარიკაობაში ვარჯიშობდა და სპორტის ამ სახეობა-



ვლადიმერ ბარქაია (მარჯვნივ) და ალფრედო დი სტეფანო

ში აფხაზეთის ჩემპიონიც გახდა. მოფარიკავეთა საქართველოს ნაკრებთან ერთად, მან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზეც იასპარეზა, მაგრამ შემდეგ, რაღაც დააშავა და ნაკრებიდან დაითხოვეს. 1964 წელს, მოსკოვის „დინამოსთან“ გვქონდა შეხვედრა, რომელიც მოვიგეთ და იმ საღამოს დავთვერი. მეორე დილით, როსტოვში მივდიოდით მატარებლით და სადგურში რომ გამოვცხადდი, კიდევ ნასვამი ვიყავი, რაც კაჩალინმაც *(„დინამოს“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა. — ავტ.)* შეამჩნია. სიჭინავამ რომ დამინახა, წავიდა და თავადაც დათვრა... როცა მატარებელში ავედით, მან დაინახა, რომ კუპის წინ ლამაზმა გოგომ ჩაიარა. გიორგიმ იფიქრა, ლამაზმანი უკან რომ დაბრუნდება, გავიცნობო და ამისთვის ორიგინალური ხერხი მოიგონა: კუპეს შესასვლელში დაჯდა და ფეხები გარეთ გადაყო. მაგრამ ამ მდგომარეობაში მყოფს, დაეძინა და გოგოს ნაცვლად, „დინამოზე“ მომაგრებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი წამოადგა თავზე... როსტოვში ჩასვლისას, კაჩალინს ორივემ ბოდიში მოვუხადეთ და მან ძირითად შემადგენლობაში დაგვაყენა. მეორე ტაიმში, 0:1-ს რომ ვაგებდით, სიჭინავამ აიწყვიტა: ჯერ თვითონ გაიტანა გოლი, შემდეგ კი, ილია დათუნაშვილს მისცა საგოლე პასი. როსტოველი ვიქტორ პონედელნიკი გაკვირვებული გაიძახოდა, — სიჭინავას ასეთი რა დაალევინეთ, რომ ვერ ვაჩერებთო?!.

## აბობოქრებული პელეს წინააღმდეგ

— საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში პირველი მატჩი, მოსკოვში დანიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ვითამაშე. იმ ამხანაგურ შეხვედრაში მეტოქეს 6:0 მოვუგეთ, მე კი ორი გოლი გავიტანე. მომდევნო ამხანაგური თამაში ნაკრებში იმავე წელს, კვლავ მოსკოვში, ბრაზილიელებთან გავმართეთ. თამაშის წინ, დარიგების მოსაცემად, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, მოროზოვმა გვითხრა — ბრაზილიელებთან მატჩი არ უნდა მოვიგოთო. როდესაც ივანოვმა მას ჰკითხა — რატომ? — პასუხად მიიღო — თუ მოვიგებთ, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვებას მომთხოვენო... მოროზოვმა, პელეზე იმდენი ილაპარაკა, რომ ბოლოს, ვორონინმა უთხრა — რა, პელეს გარდა, მაგ გუნდში არავინ თამაშობსო?.. ბრაზილიელთა ლიდერის პერსონალურად მეურვეობა მწვრთნელმა სიჭინავას დააკისრა, რასაც ეს უკანასკნელი მაშინვე დათანხმდა. მოგვიანებით, გიორგიმ მითხრა — ოღონდ, ძირითად შემადგენლობაში მოვხვედრილიყავი და თანახმა ვიყავი, პელეს კი არა, მთელი ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მარტოს მეთამაშაო. თან, მოროზოვმა, სიჭინავას დაზღვევა, ვორონინსა და რიაბოვს ანდო... თამაში 0:3 წავაგეთ და მაშინ თავად დავრწმუნდი, თუ რა დონის ფეხბურთელი იყო პელე. მატჩის დასაწყისში, მან დიდი მანძილით ააცილა ბურთი ჩვენს კარს და ტრიბუნაზე მყოფმა მაყურებელმა სტვენა დაიწყო. სიჭინავამ კი, თურმე ირონიულად გადაულაპარაკა ვორონინს — ეს არის პელეო?!. თუმცა, ცოტა ხანში, ბრაზილიელმა დიდი სისწრაფით, სამივე მეურვეს აუარა გვერდი და ჩვენს კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა. მაშინ კი უთხრა გიორგიმ, ვორონინს — მგონი, პელე აბობოქრდაო!.. თამაშის დასრულების შემდეგ, სიჭინავამ „ფეხბურთის მეფეს“ მაისურიც გაუცვალა.

## გაგრაში უკანასკნელად — 1992 წელს

— ფეხბურთს 29 წლის ასაკში დავანებე თავი. მუხლის ტრავმა მივიღე და ვიფიქრე — ერთი წლის შემდეგ, გუნდიდან მაინც უნდა გამიშვან და ჯობს, თამაშს თავად შევეშვა-მეთქი. ორი წლის განმავლობაში, „დინამოში“ ერთ-ერთ მწვრთნელად ვმუშაობდი, მაგრამ 1968 წელს, კამბოჯასა და სინგაპურში ტურნეში ყოფნისას, მოედანზე გამოსვლამ მაინც მომიწია. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ, ჩვენი გუნდის რამდენიმე თავდამსხმელი დაშავდა და ორ მატჩში, შეტევის ხაზში ვითამაშე. ტურნეს ბოლო შეხვედრა 3:0 მოვიგეთ და სამივე გოლი მე გავიტანე. აფხაზეთში ომის დაწყებამდე, გაგრაში ვცხოვრობდი და 1992 წლის 14 აგვისტოს, თბილისში გადმოვფრინდი, ვინაიდან საქმე მქონდა. მას შემდეგ, გაგრაში აღარც დავბრუნებულვარ, რადგან იმავე წლის ოქტომბერში, ის აფხაზებს ჩააბარეს. სხვათა შორის, სიჭინავა, რომელსაც აფხაზი ცოლი ჰყავს, ხანდახან სოჭიდან ჩადის ხოლმე იქ...

■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-5)

# ოქროში

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გიგი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბებიის, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოუშვას. ლანა სოფელში ბებიის სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია (მისი მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს... სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამისს გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს... თბილისში დაბრუნებულ ლანას, გივის მდივანი, თინიკო გაუზიარებს ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს. ცოტა ხანში კი, თინიკო, შეფის წამლების საცავში მოხვდება, მობილური ტელეფონით იქ შენახულ ყუთებს გადაიღებს და ლანას უჩვენებს... დაქალების ვარაუდით, გივის ბედი ბეწვზე კიდია, და შესაძლოა, მალე ჩავარდეს. მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება: გიგაურის კვალში ჩამდგარი პოლიციელები ნარკოტიკებს რატომღაც, მის კაბინეტში შემთხვევით დარჩენილ ლანას პიჯაკში იპოვიან. ქალაქს პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში ლანას, სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი ქალი ხვდება. მათგან ყველაზე ძლიერი და გავლენიანი — ფისო თავიდანვე მტრად მოეკიდება, ყველაზე სუსტი და მიუსაფარი — ლიზი კი, მეგობრობის ხელს გაუწვდის... ლანას დაცვას, ლევანის ფირმის ადვოკატი, ირაკლი იაშვილი მოჰკიდებს ხელს. მას თინიკოს საქმრო, ლაშა ინწკირველიც ეხმარება. იაშვილი ლანას, პირველ რიგში, ჩვენების შეცვლას მოსთხოვს: სასამართლოზე უნდა თქვა, რომ წამლის ფირფიტა გიგაურმა ჯიბეში ქურდულად კი არ ჩაგიდო, არამედ თავად გამოართვი, რადგან ტკივილგამაყუჩებელი გეგონაო...

ადვოკატების მოწადინებისა და ლევანის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ, ლანას მალევე გამოუშვებენ იზოლატორიდან. თუმცა, პატიმრობაში გატარებული რამდენიმე დღეც მის



**სულს იმდენად მძიმე დაღს დასვამს, რომ ყველაზე ახლო და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაც კი აღარ სურს. შვილის მდგომარეობით შეწუხებული თამარი მას ცოტა ხნით, რაჭაში, ბებიასთან წასვლას ურჩევს...**

— მერე, მე? — ბავშვივით დასწყდა გული თამარს.

— შენც ჩემთან ერთად წამოდი.

— რეზიკოს და მის ცოლ-შვილს რაღა ვუყო?

— ნუ გეშინია, უშენოდ არ დაიკარგებიან! — დაამშვიდა ლანამ დედა. — თანაც, სამუდამოდ ხომ არ მიმყავხარ! როცა გინდა, უკან მაშინ დაბრუნდი. ისე, რეზომ და მაკამ ჩემზე მართლა არაფერი იციან თუ თინიკოსთან აღარ გინდოდა სიმართლის თქმა?..

— მართლა არ იციან. შენი ამბავი რომ გავიგე, გულგახეთქილი, მაშინვე რეზიკოსთან ვაპირებდი დარეკვას, მაგრამ თინიკომ არ დამანება: დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მალევე გაირკვევა, ლანას გამოუშვებენ და რეზო და მისი ცოლი რატომღა უნდა აიფორიაქოთ?! თუ რამე დაგჭირდებათ, აგერ ვარ და ყველაფერში მხარში ამოგიდგებითო. ღმერთმა გაახაროს! მართლა კარგი გოგო ყოფილა. ეგ რომ არა, შენს გამოსვლამდე ალბათ, დარდით გულიც გამისკდებოდა.

— მე კი, რატომღაც მომეჩვენა, რომ ცოტა ხანს, კიდევ რომ არ გამოვსულიყავი, ჩემს თავს საერთოდაც შეგიცვლიდა... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლანამ.

— სულ ტყუილად იბოღმები! — შეუტია შვილს თამარმა. — თუმცა, რა მიკვირს?.. ბავშვობაში ხომ რეზიკოზეც საშინლად ეჭვიანობდი — ჩემზე მეტად გიყვარსო.

— ვეჭვიანობდი კი არა, მართლა ასე იყო.

— ა, ელაპარაკე, ახლა ამას!.. — ხელები ბრაზიანად გაშალა თამარმა და ფეხზე წამოდგა: — შენთან კამათს აზრი არა აქვს, ამიტომ სააბაზანოში გავალ და შენს ტანსაცმელს გავრეცხავ: მინდა, „იქ“ ყოფნის ყველანაირი კვალი წავშალო...

— არა მგონია, რამე გამოგივიდეს... — ამოიოხრა ლანამ. — „იქ“ ყოფნის მთავარი კვალი მე ტანსაცმელზე კი არა, გულზე მამჩნევია... ხანდახან, ისეთი შეგრძნებაც კი მაქვს, რომ ყველაზე ფაქიზი და მგრძნობიარე სიმი სულში სამუდამოდ ჩამწყდა...

— არა უშავს, დედა გენაცვალოს! — შვილს თავზე აკანკალებული ხელი გადაუსვა თამარმა. — ხომ იცი, დრო ყველაფრის მკურნალია.

იზოლატორიდან მოყოლილი ტანსაცმლის გასარეცხად სააბაზანოში გასული თამარი მალე ისევ საძინებელში განმარტოებულ ლანას წამოადგა თავზე. თან, ერთ ხელში მისი ქვედაბოლო ეჭირა, მეორეში კი — ოთხად მოკეცილი თაბახის ფურცლები.

— გძინავს? — ხმადაბლა შეეხმიანა ის შვილს.

— არა. რა იყო? — არც კი განძრეულა, ისე ჰკითხა ლოგინზე წამოწოლილმა ლანამ.

— კიდევ კარგი, შენს ქვედაბოლოს ჯიბეები ჩალბობამდე მოვუსინჯე და ეს ვიპოვე, — ფურცლები სათითაოდ გაშალა თამარმა.

— რა იპოვე? — თავი უხალისოდ წამოყო ლანამ, მაგრამ როგორც კი თამარის ხელში თაბახის ფურცლები დაინახა, მაშინვე ლოგინზე წამოჯდა: — ეს ხომ ლიზის წერილებია! — ფურცლები სწრაფად ჩამოართვა მან დედას. — რამ გამომაშტერა, როგორ დამავიწყდა მათი არსებობა?!

— ლიზი ვინ არის? — დაინტერესდა თამარი.

— ჩემთან ერთად იჯდა საკანში.

— ჯერ არ გამოუშვიათ?

— ჯერ — არა, — დედისთვის სიმართლის თქმა რატომღაც აღარ ისურვა ლანამ. — ამიტომ, ეს წერილები ადრესატს მე უნდა მივუტანო. — თაბახის ფურლები სწრაფად დაკეცა მან შემდეგ.

— ვის უგზავნის? — ცნობისმოყვარეობა მოეძალა თამარს.

— დედას და თავის პატარა ბიჭს.

— მერე — ქმარი?

— გაყრილები არიან, — კვლავ იცრუა ლანამ.

— არ გამიკვირდა, ქმარს რატომღა არ სწერს-მეთქი? — თავისთვის ჩაილაპარაკა თამარმა. — ისე, თუ გინდა, მისამართი მომეცი და მე მივუტან.

— არა! — იუარა ლანამ. — მე უნდა მივუტანო. ლიზიმ ძალიან მთხოვა, პირადად გადაეციო...

მეორე დღეს, ლანამ ადრიანად გაიღვიძა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. მაგრამ მალევე გაჩერდა, რადგან მოეჩვენა, რომ სარკიდან საკუთარი ორეული კი არა, ვიღაც სრულიად უცნობი ქალი შემოსცქეროდა. იმ „უცნობს“ არაფრის მთქმელი თვალები ჰქონდა, ტუჩის კუთხეებთან საკმაოდ ღრმა ხაზები გასჩენოდა, თმაში კი აქა-იქ ჭაღარა გამორეოდა.

— ცოტა აუჩქარე, თორემ, საუზმე გაცივდება! — გამოსძახა შვილს თამარმა

სამზარეულოდან, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, ჰოლში გამოვიდა და სარკის წინ ქანდაკებასავით მდგარ ლანას თვალი ალერსით შეავლო:

— მოგენატრა, ხომ, სარკის წინ გამოპრანჭვა?

— არც ისე... — უხალისოდ უპასუხა ლანამ.

— აბა, ასე გაფაციცებით რას ითვალიერებ?

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა ლანამ. — უბრალოდ, ჩემს თავს ველარ ვცნობ. ასე მგონია, სარკიდან ვიღაც უცნობი მიყურებს...

— ნუ გეშინია, შვილო! — წელზე ხელი მოხვია და სამზარეულოში ისე შეიყვანა თამარმა ლანა. — აი, ნახავ, თუ მოკლე ხანში, ყველაფერი უწინდელ კალაპოტში არ ჩადგეს... ერთი-ორი ჭაღარა კი, აბა, რა პრობლემაა?!. ასე რომ, დაჯექი და ერთი გემრიელად ისაუზმე!

— შენც მართალი ხარ! — მაგიდას სწრაფად მიუჯდა ლანა. — აბა, ვნახოთ, დღეს რა მოამზადე?

— ბევრი არაფერი: ხაჭაპური და რძიანი ყავა. ვიცი, ორივე მოგენატრებოდა.

— სულაც არა... — სევდიანად გაეღიმა ლანას. — ეტყობა, არ იცი, რომ კა-პეზეში დილაობით ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს გვირიგებდნენ და ზედ, საგულდაგულოდ დაბრაწულ წიწილასაც გვაყოლებინებდნენ... — გახუმრება სცადა მან.

— წიწილაზე — ბოდიში! — შვილს მხარი აუბა თამარმაც. — ეტყობა, შენ არც გაგიგია, რომ ბაზარში ყველანაირ ხორცს ცეცხლი უკიდია.

— რა გაეწყობა?! — ხელები ენერგიულად მოიფშვნიტა ლანამ. — სანამ ბაზარში ხანძარს ჩააქრობენ, მე მხოლოდ ამას გეახლებით, — ხაჭაპურის ჭამას მადიანად შეუდგა იგი...

ლიზის მეზობლის — მარი მეტრეველის ბინის კარს ლანა ფეხაკრეფით მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. ცოტა ხანში, კარს შიგნიდან ვიღაც მიუახლოვდა, საჭვრეტში გამოიხედა და შემდეგ, ქალის სასიამოვნო ხმაც გაისმა:

— ვინ არის?

— ქალბატონი მარი მეტრეველი აქ ცხოვრობს? — იკითხა ლანამ.

პასუხად, საკეტში გასაღები გადატრიალდა, კარი მძიმედ გაიღო და ზღურბლზე, საშუალო ასაკის სანდომიანი ქალი გამოჩნდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — მიესალმა მას ლანა. — მე მარი მეტრეველს ვეძებ.

— მე გახლავართ, — უპასუხა მას ქალმა და თან, ცნობისმოყვარედ აათვალიერ-ჩაათვალიერა: — თავად ვინ ბრძანდებით?

— მე-ე... — დაიბნა ლანა. — მე თქვენი მეზობლის — ლიზის ნაცნობი ვარ... ერთად ვიყავით „იქ"... ლიზიმ თქვენთან წერილები გამომატანა...

— მობრძანდით, მობრძანდით!.. — მაშინვე განზე გადგა მარი, ლანა შინ შეუშვა და კარი სწრაფად მიხურა...



მარიმ ლიზის წერილები რამდენჯერმე გადაიკითხა და აქვითინდა:

— საწყალი გოგო! რა მოკლე დღე ჰქონია!.. რა უბედური სიკვდილი გაუმზადებია მისთვის განგებას!.. ძალიან გთხოვთ, მომიყევით, როგორ მოხდა ყველაფერი, — ცრემლიანი თვალები შეანათა მან ლანას. — ამ წერილებში ლიზი თვითმკვლელობაზე არაფერს წერს...

— მართლა?! — გაოცებასთან ერთად, ხმაში სიხარულის ნოტაც გაუკრთა ლანას. — მე კი დარდით აღარა ვარ — ვინ იცის, ლიზი რომელიმე წერილში წერდა, რა საშინელების ჩადენასაც აპირებდა-მეთქი...

— არა, საერთოდ არ ახსენებს, თუმცა ადრე, თავის მოკვლაზე ბევრს მელაპარაკებოდა... ამ წერილებში კი მეც და დედამისსაც ერთს გვეხვეწება: თუ აქ დიდხანს დამტოვეს, ზაზუკას ჩემი თავი არაფრით დაავიწყოთო. იცოდა საწყალმა, რომ ნათელა შვილიშვილსაც აღარ ინდობდა და მშობელ დედას პირში ულანძღავდა...

— ნათელა, ალბათ, ლიზის დედამთილია, ხომ?

— ჰო, ის უბედურია... — ამოიოხრა მარიმ.

— ლიზის სიკვდილს როგორ შეხვდა?

— როგორ უნდა შეხვედროდა?.. ისიც ხომ ადამინია!.. ამ დილით იყო ჩემთან შემოსული და გულამოსკვნილი ტიროდა, ასეთი რა დავუშავე ღმერთს, რომ შვილი და რძალი ერთად გამომაცალა ხელიდანო?!. ორი დღის წინ, სიზმარში შვილი უნახავს. მამუკა გამომეცხადაო, — შემომტირა, — ჯერ, როგორც სიცოცხლეში იცოდა, შუბლზე მაკოცა და მერე მითხრა, ლიზი ჩემთან წამოსვლას აპირებს და არ გამოუშვათო... — ნუ გეშინია, დედა გენაცვალოს, იმ საზიზღარს შენ როგორღა გაგაკარებო?! — დაუმშვიდებია შვილი... ახლა კი ზის და მოთქვამს: რას ვიფიქრებდი, რომ ის სიზმარი ასე საშინლად ამიხდებოდა, თორემ, ქვეყანას შევძრავდი და ჩემს ზაზუკას დედას მაინც გადავურჩენდიო...

— ვერც მე ვიფიქრებდი, რომ ლიზი ამას ჩაიდენდა, თორემ, იმ ღამეს თვალს საერთოდ არ მოვხუჭავდი, — ცრემლი მოერია ლანასაც. რომ გამეღვიძა, საწყალ ლიზის საძილე არტერია უკვე გაშეშებული ჰქონდა. პროფესიით ექიმი ვარ და ვიცი, რომ ეს ადამიანის გარდაცვალებიდან ერთ საათში ხდება... ფისოს რომ მაინც გაღვიძებოდა ცოტა ადრე, იქნებ, ლიზი როგორმე გადაგვერჩინა.

— ფისო ვინღაა? — დაინტერესდა მარი.

— ჩვენთან ერთად იჯდა საკანში. საშინელი ქალია, მაგრამ ეტყობა, ლიზიმ მისი გულის მონადირებაც მოახერხა. იცით, როგორ გულამოსკვნით დასტიროდა?.. მე კი იმ წუთებში, სიმწრისგან ცრემლი საერთოდ გამიშრა. მას შემდეგ, ვერაფრით ვიცილებ იმ აზრს, რომ ჩემგან სულ რაღაც ხელის გაწვდენაზე, ადამიანი სიცოცხლეს ეთხოვებოდა, მე კი მშვიდად მეძინა...

— თავს ტყუილად ნუ დაიტანჯავთ, ჩემო კარგო, — დამშვიდება დაუწყო მარიმ, — კარგა ხანია, რაც ლიზი ამ ქვეყნისა აღარ იყო... იცით, რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის — მარი დეიდა, მეტი აღარ შემიძლია, თავი უნდა მოვიკლაო!.. ამ გადაწყვეტილებამდე ბოლო ერთი წლის მანძილზე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა... მე, რა თქმა უნდა, მის დამშვიდებას ყველანაირად ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. საწყალი მამუკას შემდეგ, თავს რომ ველარ იცოცხლებდა, ეს უკვე ზუსტად ვიცოდი, ამიტომ, ცოტა კიდეც მიხაროდა, რომ საპატიმროში მოხვდა: იქ ამის გაკეთების ნებას არავინ მისცემს-მეთქი, — ვიმშვიდებდი თავს, მაგრამ მწარედ შევცდი... ეჰ, რა არის ცხოვრება!.. იცით, მამუკას და ლიზის თავიდან როგორ უყვარდათ ერთმანეთი?..

— მერე რაღა მოხდა?

— ათასი უბედურება... — ამოიოხრა მარიმ. — რომელი ერთი ჩამოვთვალო... მამუკა პროფესიით არქიტექტორი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რომელიღაც დიდ საპროექტო ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. ლიზიც იქ გაიცნო და

მალევე გაიპარნენ. თავიდან, ნათელას რძალი დიდად როდი მოეწონა, მაგრამ არ შეიმჩნია: მთავარია, ჩემს მამუკას უყვარდესო... მერე ლიზიმ თავისი — ანგელოზის ბუნებით მაინც მოხიბლა, ამასობაში, ზაზუკაც გაჩნდა და თითქოს ოჯახიც საბოლოოდ დალაგდა. მაგრამ ერთ დღეს, მამუკას სამსახური დახურეს და ასობით ადამიანი ქუჩაში გამოყარეს. თავიდან სხვა სამსახურის ძებნა დაიწყო. ორი თვე ტუალეტის ქაღალდის დამამზადებელ საამქროშიც კი იმუშავა, მაგრამ იქაც შემცირებაში მოაყოლეს... გაგიჟდა კაცი... ჯერ სმა დაიწყო, მერე, ვიღაც ღვთის პირიდან გადავარდნილმა წამალიც გაასინჯა... იმ დღიდან წავიდა მამუკა ხელიდან. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ბავშვის ნათლობის ჯვარიც კი გაიტანა სახლიდან, გაყიდა და წამალი ისე გაიკეთა. ნარკომანობა ნარკომანობად და რატომღაც, ლიზიც ამოიჩემა: ჯერ მხოლოდ ეჩხუბებოდა, მერე — ცემაზე გადავიდა, ერთ საღამოს კი, მოკვლაც დაუპირა... ლიზი ალბათ, მოგიყვებოდა, მერე რაც მოხდა?

— ჰო, — ამოიოხრა ლანამ, — მომიყვა.

— მამუკას სიკვდილის შემდეგ, მეზობლებმაც შეკრეს პირი: ნათელას, შვილის სიკვდილიც ეყოფაო, — და გამომძიებელს ლიზის საწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს. მე ვერ შევძელი ამის გაკეთება: მამუკა ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ ლიზის ასე დაუნდობლად მაინც ვერ გავწირავდი, ამიტომაც, გამომძიებელს მხოლოდ სიმართლე ვუთხარი... ნათელამ წყევლა-კრულვით ამიკლო... თუმცა, დღეს დილით, ისევ მე მომადგა კარზე: იქნებ, ლიზის დედა დაარწმუნო, რომ შვილი ქმრის გვერდით დამარხოსო... მოკლედ, საშინელზე საშინელი მდგომარეობაა...

მარის ბინიდან ლანაც საშინლად გულდამძიმებული გამოვიდა. მასპინძელმა ის ლიფტამდე მიაცილა და როგორც კი ღილაკს თითი დააჭირა, მის გვერდით მდებარე ბინის კარი დაბარებულივით გაიღო და ზღურბლზე, შავებში ჩაცმული თვალებამოღამებული ქალი გამოჩნდა. ქალს პატარა, თვალებბრიალა ბიჭუნა ჩაჰფრენოდა კაბის კალთაში. „ღმერთო, — ბავშვის დანახვისთანავე გულმა რეჩხი უყო ლანას. — ამ ბავშვს ხომ ლიზის თვალები და გამოხედვა აქვს...“

— ზაზუკა, საყვარელო, როგორ ხარ? — ფიქრის ძაფი გააწყვეტინა ლანას მარიმ და მისკენ გამოქანებული ბავშვი გულში ჩაიკრა.

ამასობაში, ლიფტის კარიც გაიღო. ლანა სასწრაფოდ დაემშვიდობა მარის, ლიფტში ფეთიანივით შევარდა, ღილაკს აკანკალებული ხელი მიაჭირა და როგორც კი კარი დაიხურა, ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდა...

პირველ სართულზე ჩასულმა ლანამ ცრემლები ხელისგულებით ამოიწმინდა დაწითლებული თვალები არავის რომ არ შეემჩნია, ლიფტიდან თავდახრილი გამოვიდა და იქვე მდგარ, ბრგე მამაკაცს პირდაპირ მკერდზე მიეხალა.

— მაპატიეთ, უცბად ვერ შეგნიშნეთ! — უცნობისთვის არც ამჯერად შეუხედავს, უკან ისე დაიხია ლანამ.

— პირიქით, მე უნდა მაპატიოთ, რომ გზა არ დაგითმეთ... — ჩაესმა მამაკაცის ნაცნობი ხმა.

ლანამ ნელ-ნელა ასწია თავი და მის წინ მდგარი, მოღიმარი ლევანი დაინახა.

— შე-ენ?! — გაოცება ვერ დაფარა ლანამ. შემდეგ, ერთი ამოიოხრა, მამაკაცს გულში გამეტებით ჩაეკრა და აქვითინდა.

— რა მოხდა? — ქალს მაშინვე მკლავები შემოხვია ლევანმა. — რა გატირებს? ვინმემ ხომ არ გაწყენინა?

— არა, არა!.. — ქვითინს უმატა ლანამ.

— კარგი, — ლიფტისკენ შეაბრუნა იგი ლევანმა. — მოდი, მაშინ, ჩემთან ავიდეთ, ცოტა დამშვიდდი და მერე მომიყევი ყველაფერი.

— სად შენთან? — უცბად გამოერკვა ლანა. — შენ ხომ პლე... პლეხანოვზე ცხოვრობ!.. — სლუკუნ-სლუკუნით დაუმატა მან შემდეგ.

— პლეხანოვზე ჩემები ცხოვრობენ, — აუხსნა ლევანმა, — მე კი აქ მაქვს ერთი პატარა ბუნაგი.

— რა ბუნაგი? — მამაკაცის მკლავებს თავი სასწრაფოდ დააღწია დამფრთხალმა ლანამ.

— გეხუმრე! — ქალს ისევ ჯიუტად მოხვია ხელი ლევანმა და ლიფტში თითქმის ძალით შეიყვანა. — ბუნაგში კი არა, ოროთახიან იზოლირებულ ბინაში ვცხოვრობ.

— ჰო, მაგრამ იქ ასვლა რა აუცილებელია?.. — მაინც გაიბრძოლა ლანამ.

— რა იყო? — გამომცდელად გადახედა მას ლევანმა. — ხომ არ გეშინია?

— რატომ უნდა მეშინოდეს? — იხტიბარი აღარ გაიტეხა ლანამ. — მგელი ხომ არ ხარ, რომ შემჭამო?!

— არა, მგელი ნამდვილად არა ვარ, — დააიმედა ლევანმა. — ესე იგი, ამოხვალ?

— როგორც შენ იტყვი... — უკან აღარ დაიხია ლანამ. — მასპინძელი ხომ შენ ხარ...

ლევანმა ლანა ბოლო სართულზე აიყვანა და პატარა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ბინაში შეუძღვა.

— მარტოხელა კაცის კვალობაზე, საკმაოდ მოწესრიგებული ბინა გაქვს, — ირგვლივ მოჩვენებითი გულმოდგინებით მიმოიხედა სასტუმრო ოთახის ფართო სავარძელში ჩაკარგულმა, შემკრთალმა ლანამ.

— ჰო, — დაეთანხმა ქალს მის პირდაპირ არხეინად მოკალათებული ლევანი. — უწესრიგობას ნამდვილად არ ვუჩივი.

— ეტყობა, ეს შენი დაქალების დამსახურებაა...

— დაქალების — არა, მეგობარი ქალების... — შეუსწორა მას ლევანმა.

— ბევრი ასეთი მეგობარი ქალი დადის?

— ადრე მართლაც ბევრი დადიოდა, — აღიარა ლევანმა.

— და ყველა, ამ ბინის მოწყობა-დალაგებაში გეხმარებოდა?..

— ყველა — არა, მხოლოდ ერთი-ორი ღვთისნიერი... მაგრამ, მოვეშვათ, რა, ჩემს ქალებზე ლაპარაკს.

— აბა, რაზე ვილაპარაკოთ? ჩემს კაცებზე? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას ლანამ.

— არა, მე შენს კაცებზე მეტად ის მაინტერესებს, წეღან ლიფტში რა გატირებდა ან გულამოსკვნილი რატომ ჩამომეკიდე კისერზე?

— ჩათვალე, რომ ის ტირილიცა და კისერზე ჩამოკიდებაც მხოლოდ წუთიერი სისუსტის გამოვლინება იყო...

— კარგი, ასე ჩავთვალოთ. მაგრამ ამ კორპუსში საერთოდ, საიდან გაჩნდი?

— სტუმრად ვიყავი.

— ვისთან?

— ერთ ქალთან... მაგრამ შენ ალბათ, ის არ გეცოდინება. იმიტომ, რომ...

— იმ ქალს გვარი და სახელი არა აქვს? — გააწყვეტინა ლევანმა.

— რა თქმა უნდა, აქვს: მარი მეტრეველი.

— მარის როგორ არ ვიცნობ?! მშვენიერი ქალია. მაგრამ შენ რატომღა აგატირა ასე მწარედ?

ლანა მიხვდა, რომ ლევანი კითხვებით მანამ დატანჯავდა, სანამ ყველაფერს არ გაიგებდა, ამიტომ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მარისთან სტუმრობის მიზეზიცა და უბედური ლიზის ამბავიც სულ დაწვრილებით გადმოულაგა და ცრემლებიც უწინდებურად წასკდა. ლევანი მაშინვე ოთახიდან გავიდა და წყლით სავსე ჭიქით მობრუნდა უკან:

— აჰა, დალიე და ცოტა დამშვიდდი.

ლანამ წყლის რამდენიმე ყლუპი მოსვა და ჭიქა ისევ უკან დაუბრუნა.

— მაინც რა პატარაა ეს თბილისი!.. — ჭიქა პირდაპირ იატაკზე, უფრო სწორად — ხალიჩაზე დადგა ლევანმა და თავადაც იქვე, ლანას მუხლებთან მოირთხა ფეხი: — გუშინ საღამოს ეზოში რომ შემოვედი, უბნის ბიჭებმა კი მითხრეს — მეცხრეზე რომ ლიზი ცხოვრობდა, კა-პე-ზეში ვენები გადაიხსნაო, — მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ შენ და ის გოგო ერთ საკანში ისხდებოდით?!.

— იცი, რა კარგი გოგო იყო?.. — ცრემლიანი თვალები შეანათა ლანამ კაცს. — ყვავილივით ნაზი და უწყინარი.

— იმ უწყინარმა გოგონამ, — გააწყვეტინა ლევანმა, — თუ არ ვცდები, მთლად ორმეტრიანი ქმარი გამოასალმა სიცოცხლეს...

— იმისთანა ქმარს მეც დაუფიქრებლად მოვკლავდი... — აღიარა ლანამ.

— ჩემისთანას? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას ლევანმა.

— მე რა ვიცი, შენ როგორი ქმარი იქნები.

— მერე, რა პრობლემაა?.. — კიდევ უფრო ახლოს მიუჩოჩდა მას ლევანი. — ახლავე გაიგე, როგორი ვიქნები და თუ არ მოგეწონები, — შენი ხმალი და ჩემი კისერი!..

— ძალიან გთხოვ, ნუ ხუმრობ! — ინსტინქტურად უკან გადაქანდა ლანა.

— ნამდვილად არ მეხუმრება... — უკან



დაიხია ლევანმა. — გერმანიაში ყოფნისას, ძალიან ბევრი ვიფიქრე ჩვენს ურთიერთობაზე... თან, დრო და მანძილიც ხელს მიწყობდა... ხომ იცი, როგორაა ნათქვამი — მანძილი ადამიანებს ან საბოლოოდ აშორებს, ან პირიქით, სამუდამოდ აახლოებსო...

— შენს შემთხვევაში, როგორ მოხდა? — ვითომ გულსგარეთ ჰკითხა ლანამ.

— შენ როგორ ფიქრობ?.. — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ლევანმა.

— მე... მე ჯერ ამაზე საერთოდ არ მიფიქრია... თანაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ხმალი მაქვს და...

— სამაგიეროდ, მე მაქვს კისერი და თუ არ მოგეწონები, შეგიძლია, თუნდაც უბრალო სამზარეულო დანა გამიყარო ყელში!..

— ნუ სულელობ, რა! ხომ არ შეიძლება, ყველაფერზე იხუმროს კაცმა!.. — ფეხზე წამოხტა ლანა და თან, საათზეც დაიხედა: — ჩემი წასვლის დროა, თორემ, დედაჩემი ინერვიულებს. ისე, საკვირველია, აქამდე ერთხელაც რომ არ დამირეკა.

— როგორ დაგირეკავდა, როცა მობილური სახლში დატოვე? — ფეხზე წამოიმართა ლევანიც.

— ეგ საიდანღა მოიტანე? — იწყინა ლანამ.

— იქიდან... — გაეღიმა ლევანს და თან, ჭერში ეშმაკურად აიხედა, თუმცა, მალევე დასერიოზულდა და ლანას მიუბრუნდა: — აბა, ერთი მაჩვენე, როგორი მობილური გაქვს?

— სიამოვნებით! — მაშინვე ჰოლში გავიდა ლანა და საკიდრიდან საკუთარი ხელჩანთა კმაყოფილი სახით ჩამოხსნა. მაგრამ მასში ტელეფონი ნამდვილად არ აღმოჩნდა.

— შენ ამომაცალე? — ეცა ლევანს იგი.

— რა-რა და მობილურების ქურდობა ჯერ არ დამიწყია, — კარის ჩარჩოს არხეინად მიეყრდნო გულხელდაკრეფილი ლევანი.

— აბა, სად წავიდა, სად? — თავისას არ იშლიდა ლანა.

— რაკი არ იშლი, ქურდის სახელი რომ მაინც ავიცილო, ახლავე თავად გავარკვევ ყველაფერს, — ჰოლში მდგარი ტუმბოდან საკუთარი მობილური ტელეფონი აიღო ლევანმა, რაღაც ნომერი სწრაფად აკრიბა და ყურმილი ლანას მიადო ყურზე: — ელაპარაკე!

— ვის? — დაინტერესდა ლანა.

— საკუთარ მობილურს.

ამასობაში, ზარი გავიდა და ყურმილში თამარის აღელვებული ხმა გაისმა:

— გისმენთ!

— დედა, შენ ხარ? — გაკვირვებული ხმით ჰკითხა მას ლანამ.

— აბა, ვინ იქნება?! — ხმას აუწია თამარმა. — არ გრცხვენია?.. ერთი არ უნდა დამირეკო?! რომ ვნახე, მობილური დაგრჩა, გადავირიე ქალი...

— კარგი, კარგი!.. — სასწრაფოდ გააწყვეტინა თამარს ლანამ. — მოვალ და მერე ვილაპარაკოთ!

— შინ თუ დაგხვდი — კი...

— აბა, სად მიდიხარ?

— მაკამ დამირეკა, რომ..

— შენ და შენი მაკაც! — გააწყვეტინა ლანამ. — რა მოუვიდა?.. ერთ დღესაც ვეღარ ძლებს უშენოდ?

— ნუ ხარ სულსწრაფი, დამამთავრებინე! — შეუტია შვილს თამარმა. — მაკას მამისთვის წუხელ, წნევას დაურტყამს და გიჟს ჰგავს საწყალი გოგო. წეღან რომ დამირეკა, უკვე მოთქმით ტიროდა, შეიძლება, ცოცხალს ვეღარც ჩავუსწროო... სოფელში ყოფილა წასული საწყალი კაცი და იქ გამხდარა ცუდად... მაკა და რეზო ამ საღამოს, მატარებლით მიდიან, მე კი ბავშვთან უნდა დავრჩე.

— რა გაეწყობა, დარჩი, უფრო სწორად — წადი! — მალევე დანებდა თამარს ლანა.

— ჰო, შვილო, წავალ... — ხმას დაუწია თამარმა, — ისე, თუ გინდა, შენც ჩვენთან გამოდი... არ მოგენატრა მამისეული სახლი?

— მომენატრა, მაგრამ ჯერ მაინც, საკუთარი სახლი უნდა მოვისიყვარულო.

— როგორც გინდა, — აღარ შეეკამათა ლანას თამარი. — ოღონდ, სახლში დაბრუნდები თუ არა, მაშინვე დამირეკე. იცოდე, აღარ მანერვიულო!

— კარგი, — დაეთანხმა ლანა. — ერთ საათში მანდ ვიქნები და დაგირეკავ.

— ჰო, მართლა, — გაახსენდა უცბად თამარს. — დილით, როგორც კი გახვედი, შენმა ვაუბატონმაც მაშინვე დაგირეკა.

— რაო, რა მინდაო? — დაინტერესდა ლანა და თან, ლევანს გადახედა.

— არ ვიცი, ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— კარგი... თუ აუცილებელი საქმე აქვს, კიდევ დარეკავს, — დაამშვიდა ლანამ თამარი და დაემშვიდობა.

— დარწმუნდი, რომ შენი ძვირფასი მობილური ადგილზეა? — მაშინვე ჰკითხა ლევანმა.

— ჰო, დავრწმუნდი, — თავი დამნაშავესავით დახარა ლანამ. — მაპატიე... ხანდახან თვითონაც არ ვიცი, რას მივედ-მოვედები. ეტყობა, ყველაფერი ნერვების ბრალია...

— ეტყობა, — მოკლედ მოუჭრა ლევანმა.

— ახლა კი, წავალ, თორემ, მართლა ძალიან დამაგვიანდება, — საკიდრიდან პალტოს ჩამოსახსნელად შებრუნდა ლანა, მაგრამ ლევანმა დაასწრო, პალტო თავად ჩამოხსნა, მზრუნველად მოახვია და შემდეგ, მხრებზე ნაზად დააწყო ხელები.

შემკრთალმა ლანამ პალტოს სახელოში ხელის გაყრა სცადა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა. მის ზურგს უკან მდგარმა ლევანმა კი, მიხმარების ნაცვლად, სახე მის თმაში ჩარგო და ისე შეეხვეწა:

— დარჩი, რა...

— არა, უნდა წავიდე... — უხერხულად შეიშმუშნა ლანა.

— ძალიან გთხოვ... — ახლა ყურის ძირში ნაზად აკოცა ქალს ლევანმა, შემდეგ თავისკენ შემოაბრუნა და რომ იგრძნო, წინააღმდეგობას აღარ მიწევსო, ხელები წელზე მარწუხებივით შემოხვია და ათრთოლებულ ტუჩებზე გახელებული დააცხრა...

წამით, ლანას თავბრუ დაეხვა და მამაკაცის ალერსს თავადაც აჰყვა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გამეტებით გაიბრძოლა და ლევანს ხელიდან დაუსხლტა.

— მოიცა, ლევან! — თითქოს, დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია მან შემდეგ და თან, ნელ-ნელა უკან დაიხია: — ჯერ მომისმინე!

— კარგი, გისმენ! — ადგილიდან აღარ დაძრულა ლევანი. — მითხარი, ახლა რაღა მოხდა?

— ვიცი, რომ ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთე... — შორიდან დაიწყო ლანამ. — ჩემს გამოსახსნელად, ფულიც ბევრი გადაიხადე... მაგრამ თუ ცოტას დამაცლი, ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებ...

— ყველაფერს ვერ დამიბრუნებ! — გააწყვეტინა ლევანმა.

— რას გულისხმობ?

— როგორ ფიქრობ — ის ფული რატომ გადავიხადე?.. — ლანას კითხვისთვის ლევანს ყურადღება არ მიუქცევია.

— არ ვიცი... — მხრები უმწეოდ აიჩჩა ლანამ. — ალბათ, შეგეცოდე...

— კი არ შემეცოდე — შემიყვარდი, შე სულელო!.. შე-მი-ყვარ-დი! — რაღაც უცნაურად და უცხო ხმით დამარცვლა ლევანმა და შემდეგ, ისევ გამეტებით ჩაიკრა ლანა გულში.

— არ გინდა, ლევან, გეხვეწები! — მაინც გაიბრძოლა ლანამ, მაგრამ შემდეგ, ერთი ვნებიანად გააკანკალა და სასურველი მამაკაცის ნებას უსიტყვოდ დაჰყვა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქალის წარმატების ხანა

**29-ე გვერდიდან**

## ყურადღების დაძაბვის დროა

რა თქმა უნდა, ქალის საგარეო წარმატებები სულაც არ ნიშნავს ავტომატურ ცვლილებებს საოჯახო იერარქიაში. შესაძლოა, სამსახურში ის ძლიერია და მბრძანებლობს, შინ კი ფისუნიასავითაა — ალერსსა და მფარველობას ითხოვს. დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ, მას სურს, იყოს ქალური და შეესაბამებოდეს პატრიარქალურ სტერეოტიპებს, რომელთაც საქმიან სიტუაციაში შეურაცხმყოფლადაც კი მიიღებდა. მას არ სურს, იყოს ოჯახის უფროსი, „მამაკაცი კაბაში“ და მიუხედავად დაღლილობისა, მზად არის, შეასრულოს ცოლქმრული მოვალეობები. ასეთ შემთხვევაში, ქმარი ადვილად სპობს საკუთარ თავში შურის ჭიას.

გარდა ამისა, მამაკაცთა სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანს როდი აღიზიანებს ცოლის წარმატებები. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, წარმატებული ბიზნეს-ქალების ქმრებს დაახლობით 12%-ით მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე იმ მამაკაცებს, რომელთა ცოლებიც საერთოდ არ მუშაობენ ან უმნიშვნელო თანამდებობებს სჯერდებიან. მამაკაცების სტიმულად, როგორც ჩანს, სწორედ ცოლების წარმატებები იქცევა ხოლმე. სხვებისთვის მთავარია, არა პირადი თვითრეალიზაცია, არამედ ოჯახის ინტერესები.

არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც, ქმარმა შეიძლება, მშვიდად აიტანოს ლიდერის სტატუსის დაკარგვა — მაგალითად, თუ ის თავიდანვე შეგუებულია მოვლენების ასეთ განვითარებას (დავუშვათ, მის ოჯახში ქალები ყოველთვის ისევე მუშაობდნენ, როგორც მამაკაცები ან ის დაქორწინდა უკვე რეალიზებულ ქალზე). მაგრამ ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, გამონაკლისია.

ყველაზე ხშირად, თავისი წარმატების გამო ეიფორიულ მდგომარეობაში მყოფი ან უბრალოდ, მუდმივად დაღლილი ქალი ან ვერ ამჩნევს საგანგაშო სიმპტომებს, ან არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს მათ. გახშირებული სკანდალი, დავა-კამათი, საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო კრიტიკა, შვილების აბუჩად აგდება, ოჯახის საქმეებისათვის დემონსტრაციულად თავის არიდება, შინიდან ხშირად უმიზეზოდ წასვლა — ყველაფერ ამაზე ცოლმა ყურადღება უნდა გაამახვილოს.

ფსიქოლოგების აზრით, ქმრის მსგავსი „საჩვენებელი გამოსვლები“ სულაც არაა ყველაზე უარესი ვარიანტი. ის მხოლოდ, როგორც შეუძლია ისე პასუხობს შექმნილ სიტუაციას, ამასთან, მას თავადაც არა აქვს კარგად გაცნობიერებული, თუ რა აღიზიანებს. ბუნებრივია, ურთიერთობების გარკვევის გზით მდგომარეობის გამოსწორება უფრო იოლია. ბევრად უარესია, როცა ოჯახის ყოფილი უფროსი ღრმა აპათიაში ვარდება ან უბრალოდ, განუწყვეტლივ ჩივის მძიმე გარემოებათა გამო და ამასთან, არანაირ მოქმედებას არ მიმართავს, გარდა წუწუნისა.

ძალზე დამახასიათებელი სიმპტომია, როცა შედარებით ჯანმრთელ ქმარს უცებ ყველაფერი ასტკივდება. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ის იძულებულია, ჩაახშოს ენერგია, რომელიც, მამაკაცური ფსიქოლოგიური სტატუსის თანახმად, არაოჯახური მიღწევებისკენ უნდა იყოს მიმართული. ამის შედეგად, მას უჩნდება თავისებური ნევროზი, საკუთარი თავისკენ მიმართული აგრესია, რომელიც ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის ყველა სისტემაზე.

მეორე მხრივ, მამაკაცური სტანდარტებით ცხოვრება ხშირად იპყრობს საქმიან ქალს. ამასთან, იგი იძულებულია, შეათავსოს ორი სხვადასხვა ამოცანა — ერთი მხრივ, ცოლისა და დედის, მეორე მხრივ — მარჩენლის. ბოლოს და ბოლოს, ხშირად, ქალი ირჩევს აქედან ერთ-ერთს, რადგან ხარისხიანად შეთავსება პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგალითად, წარმატებებს რომ მიაღწიოს, ის იწყებს ცხოვრებას მამაკაცური სტანდარტებით — ანუ მამაკაცურად უყვარდება საკუთარი მიღწევები და იმის ნაცვლად, რომ ენერგია ოჯახისკენ მიმართოს, მას საგარეო საქმიანობაზე ხარჯავს. მაშინ ველარ სწვდება ოჯახში მიმდინარე პროცესის არსს და ოჯახით ველარ ხარობს.

## ჩარევის დროა

ერთმა ბრძენმა კაცმა გამოთქვა აზრი, რომელიც შეიძლება, ასეთ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის შემდგომი მოქმედების საფუძვლად იქცეს: თუ ერთხელ მაინც გინახავს სინათლე ადამიანში, უნდა გახსოვდეს ამის შესახებ და მაშინაც მასზე უნდა იყო ორიენტირებული, როცა ეს სინათლე აღარ ჩანს... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ერთ დროს, თვითონ აირჩია ეს მამაკაცი. მისი უნდა სჯეროდეს, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

არ ღირს იმის მოლოდინით ცხოვრება, თუ როდის გაუმკლავდება ქმარი თავის განცდებს. ეს შეიძლება მოხდეს გვიან ან საერთოდ არ მოხდეს. ამიტომ ცოლმა უნდა სცადოს მასთან ამ პრობლემაზე გულახდილად დალაპარაკება, თუნდაც იმიტომ, რომ ატმოსფეროს შექმნა წმინდა ქალური პროგრამატივაა და სწორედ ქალი აყალიბებს ურთიერთობათა კულტურას ოჯახში.

ამის გაკეთება საკმაოდ რთულია და აი, რატომ: ქმარი განაწყენებულია ბედზე, ცოლზე, მთელ სამყაროზე. მაგრამ ეს განაწყენება არასოდესაა „ზრდასრული“. ეს ნიშნავს, რომ უსიამოვნებებმა მის ბავშვურ მსოფლაღქმაში შეაღწია, ხოლო ბავშვებთან დიდების პრობლემებზე ლაპარაკი უაზრობაა. ამ შემთხვევაში, ცოლის ამოცანა ის არის, რომ ქმარი ბავშვური მდგომარეობიდან გამოიყვანოს. ასეთ ამოცანას ქალი იოლად გაუმკლავდება — საჭიროა, უბრალოდ, შესაფერისი ტონი შეარჩიოს, რომელიც იქნება არა აგრესიული ან მავედრებელი, არამედ — კონსტრუქციული. იმისათვის, რომ ქმრისგან „ზრდასრული ადამიანი გამოიყვანოს“, ცოლს შინაგანი საყრდენი სჭირდება, მის მიმართ არსებული რაღაც ნათელი გრძნობა, რომელიც შესაძლოა, წლების განმავლობაში გაუფერულდა. ამ გრძნობის გასაძლიერებლად, ქალმა ახლებურად უნდა შეხედოს ქმარსაც, საკუთარ თავსაც და მათ ურთიერთობებსაც.

მნიშვნელოვანია, რომ ცოლმა ქმრის ცნობიერებამდე მიიტანოს შემდეგი: კაცი მაინც ოჯახის უფროსია, რადგან იგი დაცვას წარმოადგენს, ოღონდ, წინათ, დაცვა ესმოდათ, როგორც ფიზიკური სიძლიერე, დღეს კი ეს უფრო, ფსიქოლოგიური ცნებაა და ნიშნავს: ზურგს, მხარს, საყრდენს...

„უშენოდ ამას ალბათ, ვერ მივაღწევდი“, — შეუძლია თქვას ჭკვიანმა ქალმა, რომელსაც არ სურს, უარი თქვას საკუთარ ქალურობაზე. ქმარმა უნდა იგრძნოს, რომ სწორედ ისაა ცოლის წარმატებების შთამაგონებელი და რომ ცოლის მიღწევები მის მიღწევებადაც ითვლება. ოჯახის ყოველმა წევრმაც რომ იცოდეს, რომ ეს თამაშია, სინამდვილეში, ეს იქნება შეთანხმება თანაშშრომლობაზე. თუ ქმარი თავს ცოლის „მორალურ პროდიუსერად“ იგრძნობს, გამორიცხული არ არის, რომ მისი თვითშეფასება ამაღლდეს და ეს, მის კარიერაზეც დადებითად იმოქმედებს. გარდა ამისა, წარმატებების მიუხედავად, ცოლი ყოვლისშემძლე არ არის და არსებობს საქმიანობის ისეთი სფეროები, სადაც ქმარი მასზე თავდაჯერებულად გრძნობს თავს.

## წესები და შეცდომები

არსებობს ქმრის მდგომარეობაზე რეაგირების ორი ძირითადი მცდარი ტაქტიკა: ერთი მხრივ, უკმაყოფილების დაფარვა, მეორე მხრივ, ზედმეტი აგრესიულობა. ორსაც შემთხვევაში, ოჯახში გროვდება უარყოფითი ენერგია, რომელიც ორთქლის ქვაბის ეფექტს ქმნის.

ზოგიერთ მამაკაცში წარუმატებლობა, მისი დაძლევის ჟინს აღვიძებს: სხვები დარწმუნებული არიან, რომ მათთან შებრძოლება ფუჭი მცდელობა იქნება. უსუსურობა ქრონიკულად რომ არ იქცეს, ფსიქოლოგები ქალებს ურჩევენ, ყველაფერში, რასაც ქმარი აკეთებს, მხოლოდ კარგი დაინახონ და მისი ნებისმიერი, სულ მცირე წარმატებაც კი კმაყოფილებით აღნიშნონ.

თუ ცოლი ქმარს ლურსმნის კარგად მიჭედებასაც კი მოუწონებს, მამაკაცის თვითშეფასება ამაღლება, ამასთან ერთად კი — სერიოზული წარმატების მიღწევის ალბათობაც და პირიქით: ნაკლსა და წარუმატებლობაზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს, რომ იგი კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობა კომპლექსების მორევში.

ზოგჯერ წარმატებული ცოლები იმით ცდილობენ დაეხმარონ ქმრებს, რომ თავიანთ სამსახურში აწყობენ მათ. ეს სულაც არ არის საუკეთესო გამოსავალი. შესაძლებელია, შემოსავლის მხრივ, მამაკაცი კიდეც დაკმაყოფილდეს, მაგრამ ამით მას მდგომარეობა არ შეუმსუბუქდება: ეს ხომ მისი მიღწევა არ იქნება! ამიტომ, არ ღირს, ქალმა გვერდით ამოიყენოს წარუმატებელი ქმარი, რომელსაც დღითი დღე ხასიათი სულ უფრო და უფრო უფუჭდება. ამას როგორმე უნდა შეებრძოლოს ცოლი — ან ჩაუნერგოს მას საკუთარი თავის რწმენა, რითიც განაპირობებს მის წარმატებას, ან გაშორდეს მას, რადგან ცხოვრება ძალზე სწრაფმავალია... წარმატებულიც კი.

■



მოამზადა მაია მაისურაძემ

**ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: ჯეიმს ბონდმა (1995-2002) გზასაცდენილ შვილზე, კრისტოფერზე საქვეყნოდ უარი თქვა. „მე ვაჟიშვილი აღარ მყავს“, — საინტერესოა, პირს ბროსნანის ეს სიტყვები მის უსულგულობაზე მეტყველებს, თუ ეს ნარკომანი შვილის გადარჩენის ერთადერთი გზაა?!**

# პირს ბროსნანის სასტიკი გზხეგი



52 წლის პირს ბროსნანმა იდეალური მეოჯახის იმიჯი ლარტყის ქვეშ პირველად დააყენა

ამერიკულ ჟურნალ Playboy-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბროსნანმა საკმაოდ თავისუფლად და აუღელვებლად განაცხადა, რომ 32 წლის ნარკომან გერთან ყველანაირ ურთიერთობას წყვეტს: „ჩემი სიტყვები ალბათ თავზარდამცემად ჟღერს, მაგრამ კრისტოფერი დაკარგული ადამიანია. „ან სიცოცხლეს დაეწაფე, ან სიკვდილს“ — ეს სიტყვები ერთადერთია, რაც ამჟამად მისთვის მემეტება. შვილი მოვიკვეთე, — მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო“, — შეუბრალებლად განაცხადა პირსმა და კრისტოფერს მისაბაძ მაგალითად მის დაზე, 33 წლის შარლოტაზე მიუთითა, რომელმაც ნარკომანიის სარეაბილიტაციო მკურნალობის 2 კურსი გაიარა და კოკაინზე საბოლოოდ უარი თქვა. კრისს კი არაფრის გაკეთება არ სურს, „მისთვის მხოლოდ ლოცვა შემიძლია“, — ამბობს მსახიობი.

ვიდრე ჰოლივუდის ჭაღარაშერეულ ვარსკვლავს ამ სიტყვებისთვის ჩავქოლავდეთ, იმ მოტივების გაგებას შევეცადოთ, რამაც ბროსნანი აიძულა, ესოდენ სასტიკი ნაბიჯი გადაედგა. მით უმეტეს, რომ №5 ჯეიმს ბონდს ობლობა და მარტოობის სიმწარე საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. პირსი სულ პატარა იყო, როდესაც მამამ ოჯახი მიატოვა, დედამ 4 წლის ბავშვი ბებია-ბაბუას მიუგდო, ღარიბი ირლანდიური ქალაქი მიატოვა, ბედნიერების საძებნელად ლონდონს მიაშურა და შვილის მოსანახულებლად წელიწადში მხოლოდ 2-ჯერ თუ მოიცლიდა ხოლმე. როგორც ყველა მიტოვებულმა ბავშვმა, მარტოობის სიმწარე პირსმაც პატარაობიდან გამოცადა. ახლა კი, თავად მიატოვა შვილი ბედის ანაბარა. შვილი, რომელსაც ღვიძლი მამა შეუცვალა. 1991 წელს, როდესაც მისი პირველი მეუღლე, კრისის დედა, 39 წლის კასანდრა ჰარისი სიცოცხლეს ეთხოვებოდა, სიკვდილის წინ მეუღლეს ერთადერთი თხოვნით მიმართა — მისი შვილები არასოდეს მიეტოვებინა... კრისტოფერი მაშინ 17 წლის იყო...

კრისის ასაკის მატებასთან ერთად, მის ახლობლებს პრობლემები და საზრუნავი ემატებოდათ. 1996 წელს, ის არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო 1.000 გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა. 2002 წელს, სუპერაგენტის გერი ნარკოტიკების დოზის გადაჭარბების გამო კომას სასწაულებრივად გადაურჩა. ჰოლივუდის სარეაბილიტაციო ცენტრებში კრისის მკურნალობის ხარჯები პირსმა რამდენჯერმე გაიღო. 2001 წელს, კრისტოფერის 1 თვის მკურნალობა მას 57.000 დოლარი დაუჯდა (აღსანიშნავია, რომ კრისტოფერის დის შარლოტას მკურნალობა ლონდონის ცნობილ კლინიკაში The Priory თვეში 24.000 ღირდა) — სოლიდური თანხაა, მაგრამ სტაჟიან ნარკომანს გაცილებით მეტი სჭირდება. ნარკოტიკი ძვირი ღირს, დეტოქსიკაციასაც ბევრი სჭირდება. ნარკომანთა უმრავლესობა ხომ სარეაბილიტაციო ცენტრებს მხოლოდ იმისათვის მიმართავს, რომ სისხლი გაიწმინდოს და ნარკოტიკების დოზა დროებით შეამციროს. ნარკომანს სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობის დაწყებამდე დღეში 1.000 დოლარი სჭირდება, მკურნალობის შემდეგ კი, 300 დოლარიც ჰყოფნის, მაგრამ ეს „პროგრესი“ მხოლოდ დროებითი მოვლენაა. როგორც ჩანს, რაღაც მომენტში პირს ბროსნანი მიხვდა, რომ კრისტოფერის მკურნალობისთვის დახარჯული ფული წყალშია გადაყრილი. ბროსნანმა შვილის სამსახურში მოწყობა სცადა. კრისმა „ბონდიანის“ პროდიუსერის ასისტენტად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე ქურდობის ფაქტზე წაასწრეს და პროექტიდან გააძევეს. 2004 წელს კრისი ქალის ხელჩანთის მოპარვის გამო დააკავეს, რასაც მობილური ტელეფონების ქურდობაც მოჰყვა.



ბროსნანისა და მისი გერის, კრისტოფერის ურთიერთობაში ნათელი პერიოდიც იყო – ისინი ხუმრობდნენ, მხიარულად ბაასობდნენ, მაგრამ ახლა პირსი ამბობს, რომ შვილი მოიკვეთა

უკანასკნელი ინციდენტი განსაკუთრებით გახმაურდა — ღამის კლუბ „ჩაინაუაიტის“ სტუმრებმა ადმინისტრაციას ჩანთების დაკარგვის გამო საჩივრით მიმართეს. კრისი ქურდობაში დაადანაშაულეს. ჟურნალისტებმა ბროსნანს სასწრაფოდ დაურეკეს. მსახიობმა განაცხადა, რომ ეს ფაქტი შვილისადმი მის დამოკიდებულებას ვერ შეცვლიდა. „პირსი მუდამ ბავშვების მხარეზეა, მისთვის ოჯახი უმთავრესია, კრისსაც ამიტომ იცავს“, — განაცხადა მაშინ ბროსნანის ერთმა მეგობარმა. ეს ამბავი, სულ რაღაც ერთი წლის წინ მოხდა. მაშინ პირსს შვილზე უარი არ უთქვამს. მაშ, რა მოხდა ახლა, რამ აიძულა მზრუნველი მამა, შვილი მოეკვეთა? ნუთუ, იმან, რაც 2005 წლის ზაფხულში მოხდა?

მაშინ, ლონდონის პოლიციამ, კრისი ნარკობუნაგის სიახლოვეს დააკავა. მას ჰეროინი აღმოაჩნდა, თუმცა, ეს ამბავი ბროსნანისთვის გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. მან ხომ ისედაც შესანიშნავად იცოდა, რომ კრისტოფერი ნარკოტიკებს მოიხმარდა. საზოგადოებას პირსის მისამართით მრავალი უსიამოვნო შეკითხვა გაუჩნდა: მაგალითად, იტყოდა კი ის უარს შვილზე, გვერდით კილი რომ არ ჰყოლოდა? პირს ბროსნანის ამჟამინდელმა მეუღლემ, კილი შეი-სმიტმა ქმარს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ მათი საერთო შვილები — 9 წლის დილანი და 4 წლის პერისი კრისტოფერის მავნე ზეგავლენისგან დაცულნი ყოფილიყვნენ; იტყოდა კი პირსი უარს კრისზე, მისი დედა, კასანდრა ცოცხალი რომ ყოფილიყო?

მომხიბლავ ავსტრალიელ კასანდრა ჰარისთან შეხვედრამ პირს ბროსნანის ცხოვრება სრულიად შეცვალა. ეს გარდატეხა მაშინ მოხდა, როდესაც ქერა მზეთუნახავმა ლონდონის გარეუბნის დრამის თეატრის მოკრძალებული მსახიობი პირველად იხილა. პირსი ქალს თვალს ვერ სწყვეტდა. კასანდრამ გასაცნობად ხელი პირველმა გაუწოდა, რადგან საოცრად მორცხვი პირსი ამ ნაბიჯის გადადგმას თავად ვერასდროს გაბედავდა. მომავალში ყველაზე სექსუალურ ჯეიმს ბონდს ახალგაზრდობაში ქალების იმდენად ეშინოდა, ზოგჯერ ეჭვობდა, რომ ცისფერი იყო. დოკუმენტურ ფილმში „პირს ბროსნანი — ბონდის მიღმა“ (2005) ამის შესახ-

ებ მსახიობი მაყურებელს გულახდილად მოუთხრობს. ეს სურათი პირსის ბავშვობის ნაღვლიანი წლების შესახებაც მოგვითხრობს. ბებიისა და ბაბუის გარდაცვალების შემდეგ, პირსი შორეულმა ნათესავებმა შეიკედლეს. ბიჭი ოთახში სამ მდგმურთან ერთად ცხოვრობდა. კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა და ამ სკოლის — ბავშვის ბუნებრივი სექსუალური განვითარების დამთრგუნველი — სასტიკი და შემზარავი მეთოდები მომავალ კინოვარსკვლავს მუდამ სიძულვილით აღავსებდა.

„მე მარტოსული, მაგრამ ამავე დროს რომანტიკული ბავშვობა მქონდა. როდესაც ცხოვრებაში არაფერი გაგაჩნია, ფანტაზია ფრთებს შლის“ — იხსენებს მსახიობი. ამგვარი მემკვიდრეობით დამძიმებულმა პირსმა კასი გაიცნო და ამ ქალმა თითქმის შეუძლებელი შეძლო — მან ბროსნანი გადაარჩინა. მისმა ნაზმა მზრუნველობამ პირსი კომპლექსების მორევიდან ამოიყვანა და საკუთარი თავის რწმენა შესძინა, რაც ესოდენ სჭირდება მამაკაცს.

1979 წელს, კასანდარამ პირსს დაქორწინება შესთავაზა. ამ წინადადებამ ბროსნანი აღაფრთოვანა და როდესაც 1986 წელს კასის პირველი მეუღლე დერმოტ ჰარისი ალკოჰოლიზმით გარდაიცვალა, მათი შვილები კრისტოფერი და შარლოტა სიხარულით იშვილა. ამ დროისათვის პირსისა და კასანდრას საერთო შვილი — შონიც უკვე წამოჩიტული იყო.

1980 წელს, კასანდრას დაჟინებული მოთხოვნით, ოჯახი ჰოლივუდში გადავიდა საცხოვრებლად. „ქალის კაბაში გამოწყობილმა სტრატეგმა“ პირსს ჯეიმს ბონდის როლზე ოცნება შთაუნერგა და ამ ოცნების განხორციელებისაკენ მიმავალი გზა გაუკვალა. 1981 წელს, თავად კასანდრამ ფილმში — „მხოლოდ თქვენი თვალებისათვის“ ბონდის მეგობარი გოგონას როლი ითამაშა და გადასაღებ მოედანზე პირსიც მიიყვანა. ბროსნანი რეპეტიციების დროს კასანდრას რეპლიკებს აწვდიდა. პროდიუსერმა ბროკოლიმ ბონდის როლისათვის შესაფერისი გარეგნობის მქონე ირლანდიელი შეამჩნია. სამწუხაროდ, პირს ბროსნანის მონაწილეობით გადაღებული „ბონდიანის“ 4 ფილმი კასანდრამ ვერ იხილა. ეს სურათები მისი გარდაცვალების

სამაგალითო ოჯახი (მარცხნიდან — მარჯვნივ): კრისი, კასანდრა, პირსი, შარლოტა და პაგარა შონი. იღილია 1991 წელს, კასის გარდაცვალების შემდგომ დაირღვა

შემდგომ გადაიღეს...

„სიკვდილამდე კასის მადლიერი ვიქნები, ყველაფერი მისი წყალობით დაიწყო“, — ამბობს მსახიობი. ისინი, ვინც ბროსნანებს ახლოს იცნობდნენ, ერთხმად აღიარებენ, რომ მათ სამაგალითო, მეგობრული ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ ოჯახის ბედნიერება 1987 წლის ერთ საღამოს დასრულდა, როდესაც კასანდრას საშინელმა ტკივილმა შემოუტია. ექიმებმა გასინჯვის დროს საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინეს. მაგრამ როდესაც ავადმყოფს საკვერცხეების ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს — უკვე გვიანი იყო. „ოპერაცია დაგვიანებულია“, — განაცხადეს ქირურგებმა და კასანდრას მხოლოდ ქიმიოთერაპიის მეშვეობით სიცოცხლის მცირე ხნით, მტანჯველი გახანგრძლივება შესთავაზეს. აქამდე ბედნიერ ოჯახში მომაკვდავთან მძიმე, გაჭიანურებული გამოთხოვების საშინელმა ატმოსფერომ დაისადგურა. პირსთან ერთად ეს მძიმე დღეები 4 წლის შონმა, 15 წლის შარლოტამ და 14 წლის კრისტოფერმა გაიზიარეს. დედის გარდაცვალება ყმაწვილის ფსიქიკის ჩამოყალიბების ურთულეს, გარდატეხის ასაკს დაემთხვა.

კასანდრას გარდაცვალების შემდეგ, პირსი იძულებული შეიქნა უფროსი ბავშვები ფსიქოანალტიკოსთან მიეყვანა სამკურნალოდ. ფსიქოთერაპიის მესამე სეანსის შემდეგ, შარლოტა შეევედრა: „მამა, გემუდარები, ექიმთან აღარ წაგვიყვანო!“ ადამიანის „სულის განკურნება“ მართლაც, რომ მტანჯველი პროცესია. იქნებ, სწორედ მაშინ დაუშვა პირსმა პირველი შეცდომა, როდესაც გოგონას თხოვნას დამორჩილდა და საკუთარ თავს არ ჰკითხა, თუ როგორ მოიქცეოდა მის ადგილზე კასანდრა? მათ ოჯახში ყველაზე მართებულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ხომ სწორედ ის იღებდა! კასი ბრძენი და პირსზე ბევრად უფრო მამაცი ქალი იყო, რომელმაც ქმარს ყველაფერი მისცა. მან კი, რა მისცა კასანდრას შვილებს?

კასანდრას ადგილის დაკავებაზე მრავალი ქალი ოცნებობდა. პირსმა მომაკვდავ მეუღლეს სიტყვა მისცა, რომ ცოლს აღარასოდეს შეირთავდა. ჰოლივუდი, რომლისთვისაც ბროსნანის პირობა კარგად იყო ცნობილი, შემწყნარებლური ღიმილით ადევნებდა თვალყურს ჯეიმს ბონდის სასიყვარულო ინტრიგებს. პირსს ზურგს უკან ასე მოიხსენიებდნენ: „მგლოვიარე ქვრივი, რომელიც არაფერს იკლებს“. თუმცა, ის ქალებს მხოლოდ სექსს სთავაზობდა. მის სახლში კასის პორტრეტები ეკიდა, კარადებში კასის ნივთები ელაგა და ტუალეტის მაგიდა ისევ მისი პარფიუმერიით იყო სავსე. შონი მორიგი სტუმრის დანახვაზე კითხულობდა: „მამიკო, ეს ქალი ვინ არის? აქ აღარ მოიყვანო!“ კასანდრას ხსოვნით აღსავსე ციხესიმაგრის აღება მხოლოდ ჟურნალისტმა კილი შეი-სმიტმა მოახერხა, რომელიც კასანდრასავით ბრძენი და მამაცი ქალბატონი აღმოჩნდა. ღამეული დროს ტარებისა და ქეიფის ნაცვლად, კილი დაობლებულ შონს არ შორდებოდა, აჭმევდა, უვლიდა, მულტფილმებს მასთან ერთად უყურებდა, არ სწყინდა, როდესაც პირსი უნებლიეთ კასის ეძახდა და



პირს ბროსნანმა ერთან ურთიერთობა სწორედ კილი შეი-სმიტის მოთხოვნით გაწყვიტა

ვაუკაცურად გაუძლო იმ ფაქტს, რომ დანიშნული ქორწილი სამჯერ გადაიდო. ამის გამო ჩუმ-ჩუმად იმასაც კი ამბობდნენ, რომ ქორწილის ჩანაფიქრის განხორციელებას პირველი ცოლის სული ხელს უშლიდა...

პირველად, ქორწილი წყალდიდობამ ჩაშალა. სახლი მთლიანად დაიტბორა და ცერემონია გადაიდო. მეორედ, ქორწილი ავტოკატასტროფის გამო ჩაიშალა. ბროსნანის უმცროსი ვაჟიშვილი, შონი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. როდესაც ქორწილის თარიღი მესამედ დაინიშნა, აღმოჩნდა, რომ კილი მეორე ბავშვზე ორსულად იყო, როდესაც 2001 წლის ზაფხულში ქალბატონი შეი-სმიტი ბოლოს და ბოლოს, მისის ბროსნანი გახდა, მას და პირსს უკვე 2 შვილი დილანი და პერისი ჰყავდათ.



კრისტოფერის ცხოვრება ცდუნებებით არის აღსავსე, მაგრამ საბოლოოდ, ყველა ცოდვათა მორის უარესის მძევალი აღმოჩნდა

ახლა შონი უკვე 22 წლისაა. მრავალი პრობლემის მიზეზნი — კრისტოფერი და შარლოტა შორეულ ლონდონში ცხოვრობენ. პირსს და კილის ნამდვილი კლასიკური ოჯახი მხოლოდ ახლა აქვთ. ოჯახი, რომელშიც ცოლი, ქმარი და მხოლოდ მათი საერთო შვილები ცხოვრობენ. ამიტომ კილის მცდელობა, შვილები ნარკომანი კრისტოფერის მავნე ზეგავლენისგან დაიცვას, ადამიანური თვალსაზრისით, გასაგებია. გამორიცხული არ არის, რომ ექსბონდმა ახლა ცოლის პოზიცია გაიზიარა, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, სამედიცინო თვალსაზრისით, საფუძველს მოკლებული არ არის. ნარკომანის მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდის არსი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მშობლები ნარკომან შვილზე უარს ამბობენ. მათ ვალებს არ ისტუმრებენ, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხელს არ აფარებენ, ზოგჯერ სახლიდანაც კი აგდებენ და მხოლოდ მაშინ იღებენ, თუ ნარკომანი განკურნებას გადაწყვეტს. სწორედ განკურნებას და არა სისხლის გაწმენდას ან დოზის შემცირებას. ეს ძალზე სასტიკი, საშიში და სუსტი ნებისყოფის მქონე მშობლებისთვის მიუღებელი მეთოდიკა, ზოგჯერ ამართლებს. იქნებ სწორედ ამ გზას დაადგა მამიკო ბროსნანი? ის ხომ მაშინაც ასევე მოიქცა, როდესაც შარლოტა ნარკოლოგიურ კლინიკაში მეორე, საბოლოო კურსს გადიოდა. მკურნალობის პერიოდში პირსმა ქალიშვილი ერთხელაც კი არ მოინახულა! კლინიკიდან გამოსული შარლოტა ნარკოტიკებს სამუდამოდ გამოეთხოვა, შვილი გააჩინა და მამას პრობლემებს აღარ უქმნის. იქნებ, კრისტოფერზე უარის თქმა შოკური თერაპიის გზით მის გადარჩენას ისახავს მიზნად?

პირს ბროსნანი ღრმად მორწმუნე კათოლიკეა. სულის უკვდავებისა სწამს და სჯერა, რომ საიქიოში კასანდრას შეხვდება. რას ეტყვის მას, თუ მისი შვილის გადარჩენას ვერ მოახერხებს?! შვილის სულის გადასარჩენად მხოლოდ ლოცვა ხომ საკმარისი არ არის!



**პირველ რიგში იმიტომ, რომ საკუთარი შვილები — 9 წლის დილანი და 4 წლის პერისი კრისტოფერის მავნე ზეგავლენისგან დაეცვა**

## რისკის ჯგუფი — ვარსკვლავთა ბავშვები

ჰოლივუდის თუ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში ბოჰემის თავშეყრის ადგილები ნარკოტიკებით არის გადავსებული. 2002 წელს ბრიტანელი მსახიობის ჯუდ ლოუს („ნიჭიერი მისტერ რიპლი“) ორი წლის გოგონამ ლონდონის ერთ-ერთ კლუბში გამართულ საბავშვო ზეიმზე იატაკიდან შაქარყინულთან ერთად ექსტაზის აბი აიღო და პირში გაიქანა. „ტკბილეულმა“ ბავშვი კრუნჩხვებში ჩააგდო. დედამ — სედი ფროსმა დროულად მოასწრო და გოგონას ექსტაზის ნაწილი პირიდან ამოუღო. შემდეგ, საქმეში ექიმებიც ჩაერივნენ და ბავშვი გადარჩა.

ჰოლივუდის ვარსკვლავთა ნაშიერნი ნარკოდილერთა მსხვერპლნი იოლად ხდებიან. მათ სახელგანთქმულ მშობელთა სახელები თრგუნავთ, ეს კი ერთ-ერთი პირველი ფსიქოლოგიური მიზეზია, რომელიც ბავშვებს ნარკოტიკებისკენ უბიძგებს. მეორე მიზეზი ის არის, რომ სუპერვარსკვლავთა სათაყვანებელ შვილებს დაბადებიდან არაფერი აკლიათ... მშობელის სიყვარულის გარდა... მომღერალ შერის ქალიშვილმა ჩესტიტიმ ერთხელ გულახდილად აღიარა: „დედა არასდროს მოგვფერებია. პლასტიკური ოპერაციების შემდგომ, მუდამ ტკივილები ტანჯავდა და ამიტომ მასთან ჩახუტებას ვერ ვბედავდით“. დაბადებიდან მშობელთა ჩრდილში ყოფნისათვის განწირული შვილები, ადრეულ ასაკში ჯანყდებიან. ჟერარ დეპარდიეს შვილი, გიომი ნარკოტიკების მოხმარებისა და შენახვის გამო ციხეში აღმოჩნდა. პირს ბროსნანის უსაყვარლესი მსახიობის, მარლონ ბრანდოს ქალიშვილი — შაიენ ბრანდო 10 წლის მანძილზე ნარკომანი იყო. 25 წლის ასაკში კი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და ეს მისთვის თვითმკვლელობის მე-4 მცდელობა იყო. ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავის პოლ ნიუმენის შვილი სკოტი 28 წლის იყო, როდესაც ნარკოტიკების ზედმეტი დოზის მიღებამ დაღუპა. ასეთივე ბედი ეწია ტონი კერტისის („ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“) 23 წლის ვაჟიშვილს, ნიკოლასს. საცოდავი მდიდარი ბავშვები! მათ ხომ მუდმივად უწევთ იმის მტკიცება, რომ მშობლებზე ნაკლებნი არაფრით არიან. მრავალი მათგანისთვის კი ეს მეტისმეტად მძიმე ტვირთია. ■

## პინკი დედამისთვის მზად არ არის

საქვეყნოდ ცნობილმა პოპ-პანკმომღერალმა პინკმა საჯაროდ უარყო ცნობა მისი ორსულობის შესახებ. მომღერალს ერთი და იმავეს უარყოფა მოჰბეზრდა და საკუთარ ოფიციალურ საიტზე თაყვანისმცემელთა მისამართით გაგზავნილი ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ის დედობისთვის ჯერ მზად არ არის და ჯერჯერობით, მხოლოდ მუსიკაზე ფიქრობს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამა წლის 9 იანვარს, პინკი და მისი რჩეული, ველოსიპედისტი კერი ჰარტი ოფიციალურად დაქორწინდნენ. რამაც მისი ორსულობის შესახებ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყო. მომღერალს შვილის გაჩენაზე ფიქრიც კი თრგუნავს და ამის ერთ-ერთი მიზეზი ის მეტამორფოზაცაა, რაც შვილის გაჩენის შემდგომ ბრიტნი სპირსის კარიერამ (და ფიგურამ) განიცადა. პინკმა იმედი გაუცრუა მათ, ვისაც მომავალი შვილისთვის უკვე სახელიც კი შერჩეული ჰქონდა, მაგრამ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთ წინ დიდი სიხარული ელით, პინკის კოლექციის ახალი, რიგით მეოთხე დისკი — I`m Not Dead მაღაზიებში გაყიდვაში აპრილის თვეში გამოვა. მომღერლის პირველი DVD-ს გამოსვლაც ამ დროისთვის იგეგმება, მაგრამ DVD-ს შინაარსის შესახებ მომღერალი ჯერ არაფერს ამბობს. ■

## 50Cent სამაგშვო წიგნის შესაქმნელად ემზადება



50Cent მადონას, პოლ მაკარტნისა და ლიენ რაიმსის კვალს მიჰყვება და საბავშვო წიგნის გამოსაშვებად ემზადება. მუსიკოსს ბავშვებისათვის ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება და მათთვის რამდენიმე სასარგებლო რჩევის მიცემა სურს. როგორც ცნობილია, ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავად გახდომამდე კერტის ჯექსონი (მომღერლის ნამდვილი სახელი) ქუჩაში ნარკოტიკებს ყიდდა, მაგრამ ბოლოს, კრიმინალურ ბიზნესს თავი დააღწია. 50Cent-ის ახალი წიგნი მის ნორჩ თაყვანისმცემლებს იმის შესახებ მოუთხრობს, თუ როგორ გაიტანონ თავი მეგაპოლისების ბანდიტურ უბნებში. „ჩემი ამბავი პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს. ბავშვები მრავალი სასარგებლო დასკვნის გამოტანას შეძლებენ“, — ამბობს მომღერალი. საბავშვო წიგნის წერის დაწყებას, რეპერი უფროსებისათვის განკუთვნილი ავტობიოგრაფიის დასრულებისთანავე აპირებს. ■

## ავრილ ლავინი მოდელი ხდება

იმისათვის, რომ მოდელი გახდე არცთუ ისე სტანდარტული ფიგურა და ტანდაბლობა ხელის შემშლელი სულაც არ არის. მით უმეტეს, თუ ამ მონაცემებს ავრილ ლავინის მქუხარე სახელიც დაემატება, მაშინ შანსები კოსმოსური სისწაფით იზრდება. ვარსკვლავმა ამ დღეებში Ford Models-ის ერთ-ერთ პრესტიჟულ სააგენტოსთან კონტრაქტი გააფორმა. პროფესიონალი მოდელიერის კარიერის გაკეთების იდეა ავრილს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საჩუქრად Prada-ს შესანიშნავი ხელჩანთა მიიღო. სწორედ იმ მომენტში მიხვდა, რომ მომავალში მხოლოდ ამგვარი ნივთების გარემოცვაში სურს ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ავრილ ლავინი წლების მანძილზე საკუთარი სტილის ძიებაშია. პუბლიკა მასში მუდამ დახეულ ჯინსებში გამოწყობილ „ცუდ გოგონას“ ხედავს. „ამიერიდან მსურს, უფრო ქალური გავხდე. დილით უამრავ დროს ვხარჯავ „იმისათვის, რომ უფრო სექსუალური და ნაზი გამოვჩნდე“, — გულახდილად აღიარა ვარსკვლავმა. სამოდელო კარიერის დაწყების გარდა, ავრილის ცხოვრებაში კიდევ ერთი, სამსახიობო დებიუტი შედგა. ის პატრიცია არკეტთან და ეტან ჰოუკთან ერთად ფილმის „ფასტ-ფუდის ერი“ გადაღებებითაა დაკავებული. ■

## შარლის ტერონს კარიერაში მკერდის ზომები ხელს უშლის

2003 წლის „ოსკარის“ მფლობელი, ცნობილი სამხრეთაფრიკელი მსახიობი შარლიზ ტერონი მიიჩნევს, რომ ბიუსტის მოკრძალებული ზომების გამო როლებს არ აძლევენ. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სექსუალური მსახიობი ირწმუნება, პატარა მკერდის გამო რეჟისორები საინტერესო როლებს არ სთავაზობენ და ფიქრობს, რომ ფუმფულა ძუძუები ბოევიკებსა და ექშნ-ჟანრის ფილმებში როლების მიღებაში ნამდვილად დაეხმარებოდა. ჟურნალ Empire-ისთვის მიცემულ ინტერვიუში შარლიზ ტერონმა აღიარა, რომ ბოევიკში „ეონ ფლაქსი“ როლის მიღებამ გააოცა. „მივხდი, რომ სირბილისა და თახთახა მკერდის გამოჩენის გარდა, კიდევ სხვა რამეც უნდა მეკეთებინა, რადგან ეს საქმე ცუდად გამომდის. მკერდი თითქმის არ მაქვს“, — განუცხადა შარლიზმა ჟურნალისტს.

2003 წელს შარლიზ ტერონმა „ოსკარი“, „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციაში, ფილმში „მონსტრი“ განსახიერებული როლისთვის მიიღო. აღსანიშნავია, რომ ჰოლივუდის ასობით „ცეცხლოვანი“ ქალის სიაში შარლიზ ტერონი მე-15 ადგილს იკავებს. ■

## პოლ მაკარტნი საკუთარ ცვლას ამზადებს

1996 წელს, პოლ მაკარტნის მიერ დაარსებული ლივერპულის საშემსრულებლო ოსტატობის ინსტიტუტი (Liverpool Institute of Performing Arts) მთელ ქვეყანაში გაბნეულ კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრების ქსელს დაუდებს დასაბამს. ეს განცხადება LIPA-ს რექტორმა მარკ ფიზერსტოუნ-უიტიმ ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს წინ გააკეთა. „ჩვენ ესპანეთში, იაპონიაში, აშშ-ში, კოლუმბიასა და სხვა ქვეყნებში მსგავსი საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა შემოგვთავაზეს და ახლა ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ. მომავალში, ამგვარ შემოთავაზებებს პასიურად აღარ დაველოდებით და მთელ მსოფლიოში მსგავსი ცენტრების გასახსნელად პარტნიორებს თავად მოვძებნით“, — განაცხადა ინსტიტუტის რექტორმა, როდესაც პოლ მაკარტნი LIPA-ს დაარსებას ფინანსურად ეხმარებოდა. მისი მიზანი ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებში ნიჭის აღმოჩენა და მათთვის განათლების მიცემა იყო. 30 იანვარს ლეგენდარული მუსიკოსი LIPA-ს ესტუმრა და ინსტიტუტის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო. ■



**საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე ქალაქის ქუჩებში „ნივით“ დადის. კითხვაზე, თუ რომელი მარკის ავტომობილის ყოლას ისურვებდა, ბატონმა შალვამ მთელი სერიოზულობით მიპასუხა: ძალიან ბევრი ავტომანქანა მომწონს, მაგრამ მე რომ ვოცნებობ, ისეთი მანქანა ჯერ არ შექმნილა, როგორც კი შეიქმნება, მაშინვე შევიძენო...**



# სად ასწავლიან მანქანის მართვას და სად — ტარებას და რა განსხვავებაა

## შალვა ოგბაიძესა და ბილ გეიტსს შორის

*ლიკა ქაჯაია*

— ჩემს დროს იყო „ვოლგა“, „ზაპოროჟეცი“, „მოსკვიჩი“. ცოტა უფრო ადრე, „პობედა“ დაქროდა. 70-იან წლებში კი „ჟიგული-01“ შემოვიდა.

**— როდის მიუჯექით პირველად საჭეს?**

— დედაჩემის ბიძას ჰყავდა „ვოლგა-გაზ-21“. მახსოვს, საბავშვო ბაღის ასაკში, დაახლოებით 3-4 წლის ვიყავი, როცა მან კალთაში ჩამისვა და საჭე დამატრიალებინა. I კლასში ვიყავი, როდესაც ვოლგა დამოუკიდებლად გავატარე და შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ, საჭესთან „ვიზრდებოდი“.

**— როდესაც მანქანის მართვას სწავლობ, პირველი პრობლემა მისი დაძვრაა...**

— რა თქმა უნდა, მეც მქონდა მანქანის დაძვრის პრობლემა, ძრავა მიქრებოდა, მაგრამ გარკვეული ტრენინგის შემდეგ, ეს საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა.

**— ალბათ, მართვის მოწმობის აღებაც არ გაგიჭირდათ, ხომ?**

— მე-8 კლასში ვიყავი, როცა ზაფხულის არდადეგებზე, ჩემივე ინიციატივით წავედი დედოფლისწყაროს რაიონის კოლმეურნეობის ავტობაზაში, პრაქტიკის მისაღებად. ძალიან მაინტერესებდა — როგორ იყო მანქანა მოწყობილი და ამის გამო, 3 თვე „რემონტიორად“ ვიმუშავე. სხვათა შორის, მქონდა ხელფასი, წლის ბოლოს კი, პროდუქტებიც მომცეს. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რადგან, ცოდნასთან ერთად ოჯახს რაღაც შევმატე. ასე რომ, მართვის მოწმობის აღება არ გამჭირვებია და 1976 წელს ის უპრობლემოდ მივიღე.

**— როცა გყავს ავტომობილი, საკმარისია თუ არა, რომ მხოლოდ მისი ტარება შეგეძლოს?**

— კარგი კითხვაა. ვფიქრობ, რომ მანქანის ტარება სულ სხვაა და მისი მართვა — სულ სხვა. სამწუხაროდ, ჩვენს ავტოსკოლებში მხოლოდ მანქანის ტარებას ასწავლიან. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ავტომობილი ზედმიწევნით უნდა იცოდეს ყველამ, მაგრამ საჭიროა, ვერკვეოდეთ ელემენტარულ ავტოფიზიკაში, რაც საჭიროა მანქანის დაძვრის, აჩქარების, გაჩერების, დამუხრუჭების, სველ ან მოყინულ გზაზე სიარულის თვალსაზრისით. ავტომანქანა დამწყებ მძღოლს უქმნის ცრუშთაბეჭდილებას — თითქოს ის იმდენად მართვადია, რომ ნებისმიერ მომენტში (დამუხრუჭებისას) შეძლებს მის ადგილზე გაქვავებას. არსებობს ფიზიკის კანონები, რომლის დარღვევაც შეუძლებელია — მანქანას კონკრეტულ სიჩქარემდე, კონკრეტული ინერცია აქვს და მას გასაჩერებლად სჭირდება კონკრეტული მანძილი — ე.ი. თუ თქვენ ხედავთ შუა ტრასაზე გაჩერებულ მანქანას, ადამიანს, რომელიც ქუჩას ფეხით კვეთს და მიდიხართ 60 კმ/სთ სიჩქარით (მშრალ გზაზე), თქვენ იცით, რომ მანქანას 50 მეტრში გააჩერებთ, მაგრამ საკმარისია, ეს გზა ოდნავ მოსველებული იყოს ან ცოტა მეტი სიჩქარით მოძრაობდეთ, ან ოდნავ გვიან შენიშნოთ ობიექტი, რომ ავარიულ შემთხვევას თავიდან ვერ აიცილებთ.

**— ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ ავტოსკოლებში მანქანის მართვას არ ასწავლიან?**

— უფრო მეტსაც გეტყვით — არათუ მანქანის მართვას არ ასწავლიან, არამედ ხშირ შემთხვევაში, მართვის მოწმობას იღებს ადამიანი, რომელმაც მისი ტარებაც კი არ იცის.

**— ასეთ ავტოსკოლებში, მანქანის ტარებას სწავლობენ ძველი, ე.წ. საბჭოური ავტომობილებით. ეს ფაქტი რამდენად მისაღებია?**

— ამ საკითხში კეკლუცობა და ლიბერალიზმი დამღუპველია იმის ფონზე, რომ ყოველწიურად იზრდება საქართველოში შემოყვანილი კომფორტული, როგორც ახალი, ისე ძველი ავტომობლების რიცხვი. წელიწადში დაახლოებით 50000 მანქანამდე შემოდის. ეს მანქანები რუსული მარკის ავტომობილებზე გაცილებით სწრაფებია და როცა ადამიანი მანქანის ტარებას სწავლობს დანჯღრეულ „01“-ზე ან „06“-ზე და მართვის მოწმობის აღებისთანავე, გადაჯდება 3 ლიტრი მოცულობის მქონე მანქანაზე, ეს იცით, რას შეიძლება შევადაროთ? იმას, რომ პატარა ბავშვს ხელყუმბარა მივცეთ!..

**— მაშინ, თქვენი საავტომობილო ფედერაცია რატომ არ ზრუნავს იმაზე, რომ ავტოსკოლებში იმ მანქანის ტარება ისწავლონ, რომელზეც შემდგომში დაჯდებიან?**

— ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. თვითონ ფედერაციის ავტოსკოლაში გვყავს როგორც ახალი „07“, ისე „09“, „ოპელ კალიბრა“, „ფოლკსვაგენი“... მალე გაიხსნება შალვა ოგბაიძის ავტოსკოლა, რომელიც იქნება ერთგვარი საპილოტე-საცდელი ვარიანტი.

**— პირველი მანქანა როდის შეიძინეთ?**

— 16 წლის ვიყავი, როცა ჩემმა ოჯახმა პირველი მანქანა შეიძინა. ეს იყო „ვაზ-21011“. 1987 წელს, მე და ჩემმა მეგობარმა გელა ქვარცხავამ ჩამოვაყალიბეთ პირველი კოოპერატივი (ავტომობილების მომსახურების) და როგორც პირველ წარმატებულ კოოპერატორებს, ქალაქის აღმასკომმა მოგვცა ჩამოწერილი მანქანების („ნივების“) შესყიდვის უფლება. მართალია, ჩემ მიერ შესყიდული „ნივა“ 2 წლის იყო, მაგრამ საკმაოდ შელახული გახლდათ, რადგან გაქირავების მანქანა იყო. ის ჩვენი ხელით აღვადგინეთ და ძალზე დიდხანს ემსახურებოდა ჩემს ოჯახს.

**— სულ რამდენი მანქანა გყავდათ?**

— ამის შემდეგ, მყავდა სამსახურის „ვოლგა — გაზ-24“, რომელსაც გულწრფელად გეტყვით, მანქანად არ ვთვლი (განსხვავებით, „21“-ისგან, რადგან ის მაინც ეპოქის ნიშნების მატარებელია და სუფთა ამერიკული მანქანებიდანაა გადმოღებული). რუსებს აქვთ გამოთქმა: Курица не птица, „Москвич“ и „Волга“ — не машина... ამის შემდეგ მყავდა ისევ „ნივა“, „011“, BMW,

ისევ „ნივა“, „ჰონდა“, „07“, მყავდა სპორტული მანქანებიც.

**— ამჟამად რა ავტომანქანა გყავთ?**

— „ნივა“.

**— „ნივა“ რამდენიმეჯერ ახსენეთ. რითი მოგხიბლათ ამ ავტომობილმა?**

— ჩვენ ხშირად გვიწევს სპორტული ტექნიკის ტრანსპორტირება შეჯიბრების (იგულისხმება ავტორალი) ადგილამდე. ამ რაღაცების გადასატანად, პატარა, „გოლფის“ კლასის ავტომანქანა ან საშუალო ევროპული ავტომობილი ცოდვაა. „ნივა“ საუკეთესო და განუმეორებელი ავტომობილი არ არის, მარგამ კარგია, მოვლისა და შენახვის თვალსაზრისით.

**— ეჰ. თქვენთვის მანქანა მხოლოდ მოხმარების საგანია და არა კომფორტის?**

— თუ კომფორტზე მიდგა საქმე, რა თქმა უნდა, მივეკუთვნები იმ „გურმანთა“ რიგს, რომლებმაც „პირის გემო“ იციან — ანუ ადამიანთა ჯგუფს, რომლებმაც კარგი მანქანის ფასი იციან. მაგრამ დამერწმუნეთ — ისევე, როგორც ჯიშიან ცხენს, რომლითაც დოღზე გამოდიხარ, წყალი არ უნდა აზიდვინო, კარგი მანქანა დედაქალაქის გადატვირთულ ქუჩებში ყოველდღიური ღოღვა-ღოღვით სიარული არ უნდა აწვალო. ასეთ მანქანებს უნდა კარგი ტრასა, შესაბამისი პირობები იმისთვის, რომ „მუხლი გააშლევინო“. როცა დღის განმავლობაში, 3-5 კილომეტრი გაქვს გასავლელი, აქ კომფორტის მთელი პაკეტის აღქმას და გამოყენებას ვერ მოახერხებ. ამ დროს, მძღოლისთვის მთავარია, ელემენტარული პაკეტი — მანქანა იქოქებოდეს, მუხრუჭები გამართული ჰქონდეს და ა.შ.

**— შემოწმების მიზნით, თქვენი „ნივა“ პროფილაქტორიუმში ხშირად მიგყავთ?**

— მანქანას იმ დოზით ვამოწმებ, რომლითაც საჭიროა — მუხრუჭების შემოწმება, ზეთის შეცვლა, სავალი ნაწილის ინსპექტირება. თუ ვთქვათ, მანქანაში რაღაც პლასტმასი აჩხარუნდა, ამას დიდად არ დაგიდევთ. ჩემთვის მთავარია, მანქანა გამართული იყოს უსაფრთხოების თვალსაზრისით.

**— რამდენ ლიტრ ბენზინს წვავს თქვენი მანქანა?**

— ტრასაზე დაახლოებით 8-9 ლიტრს, ქალაქში — 11-11-ნახევარს.

**— მანქანაში საწვავის მარაგს აკონტროლებთ ხოლმე?**

— როცა მძღოლს საწვავი უთავდება, ეს მის მოუწესრიგებლობაზე მეტყველებს.

ქალაქში ყურადღ. ნერვები მოთოკოს, რადგან ვერავითარი გინებით ვერ შეცვლი იმას, ვინც ის წონასწორობიდან გამოიყვანა, თუნდაც, დამნაშავე, ქალი იყოს...

**— თქვენ არასდროს არ გაგთავებიათ?**

— ახალგაზრდობაში მქონდა ასეთი შემთხვევა: ვიცოდი, რომ მანქანაში ძალიან ცოტა ბენზინი მქონდა, მაგრამ გავრისკე და მანგლისიდან თბილისისკენ დავეშვი. რადგან დაღმართი იყო, მეგონა, რომ სახლამდე მივაღწევდი, მაგრამ საწვავი ბაგებთან დამიმთავრდა. სხვა დროს, ასეთი შემთხვევა არ მქონია, მოწესრიგებული მძღოლი ვარ.

**— ფიქრობთ, რომ კარგი მძღოლი ხართ?**

— ამას მარტო მე კი არა, ის ადამიანებიც ფიქრობენ, რომლებმაც მართვის მოწმობა დღეს აიღეს. ისინი არა მარტო კარგ მძოლებად, არამედ შუმახერებად თვლიან თავს.

**— ავარიული სიტუაციები გქონიათ?**

— მცირე მასშტაბის — კი. 1987 წელს, გზის მოყინულ მონაკვეთზე შევვარდი და იქ გაჩერებული მანქანა დამხვდა — უკნიდან წავარტყი; ერთხელ, გზაჯვარედინზე „ვაზ-2102“-მა „დამიხვედრა“ წინა ბორბალი (მაშინაც „ნივა“ მყავდა). ერთხელაც, პიონერთა სასახლის წინ, ჩემი სამსახურებრივი „ვოლგით“ სამკაოდ მძიმე ავარიაში მოვყევი. რამდენჯერმე, ჩემს მანქანას (გაჩერებულ მდგომარეობაში) უკნიდან დაეჯახნენ. ასეთი წვრილმანებისგან დაზღვეული არავინაა.

**— საგზაო მოძრაობის წესებს ყოველთვის იცავთ?**

— გულახდილად გეტყვით — კი. თქვენ ვერ მაჩვენებთ ვერც ერთ ადამიანს, რომელიც ამას იტყვის. როცა შუაღამეზე, წითელ შუქზე ვაჩერებ იქ, სადაც ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი არ არის, ხალხი გაკვირვებული მათვალიერებს. წესები მომწონს თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ კანონს ვემორჩილები. ვცდილობ, მაგალითის მიმცემი ვიყო მათთვის, ვისთანაც იმას ვქადაგებ, რომ ეს წესები არ დაარღვიონ.

**— ფეხით მოსიარულეებს თუ უთმობთ გზას?**

— რა თქმა უნდა. როცა გაჭირვებული ადამიანი ქუჩას კვეთს, მიუხედავად იმისა, რომ შუქნიშანი შეიძლება, იმ ადგილიდან 20 მეტრში იყოს, ხომ შეიძლება, სვლა შეანელო და მას ანიშნო, რომ გადავიდეს?! დამერწმუნეთ, ასე ცხოვრებაც იოლდება. სიკეთის გაკეთება პირველ რიგში, სიკეთის მკეთებლის სულს რგებს, თორემ, იმან შეიძლება, ეს შენს მოვალეობად ჩათვალოს...

**— როცა მოძრაობის წესს არღვევენ, როგორი რეაქცია გაქვთ?**

— ამ შემთხვევაში, ჭკუის სწავლებით, ჟესტებით, ხელის ქნევით, ნერვების წყვეტით ვერაფერს მიაღწევ. ამიტომაც, ვცდილობ თავშეკავებულად მოვიქცე.

**— მე მინახავს თავშეკავებული, გაწონასწორებული ადამიანები, რომლებიც საკმარისია, საჭეს მიუსხდნენ, რომ ნერვიულობა დაეტყოთ...**

— წონასწორობიდან გამოსვლა და ნერვიულობა, სისუსტის ნიშანია. ყველას ვურჩევ, ნერვები მოთოკოს, რადგან ვერავითარი გინებით ვერ შეცვლი იმას, ვინც ის წონასწორობიდან გამოიყვანა, თუნდაც, დამნაშავე, ქალი იყოს...

**— აქცენტი ქალზე რატომ გააკეთეთ?**

— საავტომობილო წრეებში, ქალი საჭესთან გაიგივებულია კატასტროფასთან. თუმცა, მე ბევრ ისეთ ქალს ვიცნობ, რომელიც გაცილებით მოწესრიგებულია, ვიდრე მამაკაცი.

**— ავტოინსპექტორებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— მათთან დაძაბული ურთიერთობა არ მქონია, რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

**— ავტომანქანაში მაგნიტოფონის მოსმენა თუ გიყვართ?**

— ძირითადად, საინფორმაციო პროგრამებს ვუსმენ. ღვთის მადლით, ახლა ბევრი FM-რადიოტალღაა და არჩევანი დიდია. საინფორმაციოს შუალედებში, მუსიკას ვუსმენ. ვფიქრობ, რომ მუსიკა პაუზის შესავსებადაა საჭირო, ჩემს ავტომობილში კი ასეთი პაუზა არ არსებობს, რადგან გზაშიც კი მიწევს რაღა-

ცის განხილვა, მსჯელობა და სხვათა შორის, უფრო ნაყოფიერად, ვიდრე კაბინეტში...

**— საჭესთან მობილურზე ლაპარაკობთ ხოლმე?**

— ყურსასმენი შევიძინე, რომელიც საკმაოდ მოსახერხებელია. სხვათა შორის, ეს ყურსასმენი ჯერ კიდევ იმ დროს შევიძინე, როცა მობილურზე ლაპარაკის გამო, არავინ არაფერს გეტყოდა.

**— მანქანაში სიგარეტს ეწევით?**

— 8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც სიგარეტი არ მომიწევია.

**— მანამდე ეწეოდით?**

— სამწუხაროდ, მანქანაშიც ვეწეოდი, რადგან საკმაოდ მაგარი მწეველი ვიყავი. მადლობა ღმერთს, რომ ამ მავნე ჩვევას გადავეჩვიე.

**— თქვენი ავტომობილის საჭესთან დაჯდომის უფლებას ვინმეს თუ აძლევთ?**

— ჩემი „ნივის“ საჭესთან რამდენიმე მეგობარი და ჩემი უფროსი ვაჟი, გიორგი ჯდებიან ხოლმე. რაც შეეხება უმცროს შვილს — ლევანს, მან მართვის მოწმობა ახლახან აიღო და საჭესთან ჩემი თანხლებით ზის ხოლმე. ახალბედა მძღოლია ჩემი რძალიც — მანანა გედევანიშვილი. ერთადერთი, ვინც ჩემს ოჯახში მანქანის ტარება არ იცის, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემი მეუღლეა. მას ამის სურვილიც არ გასჩენია, მაგრამ ჩემი საავტორო ავტოსკოლა რომ გაიხსნება, იქ აუცილებლად მივიყვან და თუ მართვის მოწმობის აღება შეძლო, ჩათვალეთ, რომ ჩემი სკოლა წარმატებული იქნება...

**— საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდებით ხოლმე?**

— საჭესთან ნასვამი არასდროს ვჯდები. ეს ჩემი ცხოვრებისეული პრინციპია, რომელსაც არ დავარღვევ.

**— დაბოლოს, რომელიმე მანქანის შეძენაზე თუ გიოცნებიათ?**

— ბილ გეიტსს ჰკითხეს — როგორ მანქანას იყიდდითო? იმანაც უპასუხა: „ფერარი ენცოსო“ (რომელიც 2-დან 8 მილიონი ევრომდე ღირდა). გაუკვირდათ: მერე, რატომ არ ყიდულობთო? გეიტსმა იცით, რა უპასუხა?.. მე რომ ის ვიყიდო, ჩემს ცხოვრებას აზრი აღარ ექნებოდა, ამიტომაცაა, რომ ამ მანქანას ყოველთვის ვქირაობ ხოლმეო...

**— ეი. თქვენც შეგიძლიათ თქვენი ოცნების მანქანის შეძენა, მაგრამ ფიქრობთ, რომ ამის შემდეგ, ცხოვრება აზრს დაკარგავს?**

— სიამოვნებით ვიყოლიებდი რომელიმე „ჯიშიან“ მანქანას. ყოველდღიური ცხოვრებისთვის „ნივა“ მყავს. გეიტსისგან განსხვავებით, მე ვერ შევძლებ ჩემთვის საოცნებო მანქანის შეძენას იმიტომ, რომ ასეთი ავტომობილი ჯერ არ შექმნილა. როგორც კი შეიქმნება, მაშინვე შევიძენ...

■

# ავტოსკოლა, მამოცდა საგზაო პოლიციაში და საბუკვარი მოწმობა

## რაში იხდიან ფულს „პრავის“ აღების მსურველნი

**მახსოვს, 2-3 წლის წინ, როცა ჩემმა მეგობარმა მანქანა იყიდა, სრულიად გამოუცდელი მძღოლი იყო, რადგან მანამდე, საჭესთან სულ რამდენჯერმე მჯდარა. მაგრამ მართვის მოწმობა, ყოველგვარი გამოცდის გარეშე, მამიკომ 100 დოლარად შეუძინა და შინ მიუტანა... რა ხდება ამ სფეროში ახლა? არის თუ არა შესაძლებელი, დღესაც იგივე გამეორდეს? სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს, ასეთი რამ არ მსმენია. როგორც ჩანს, ის სამართალდამცველები, რომლებიც მართვის მოწმობებს „მწვანეების“ საფასურად არიგებდნენ, ახლა უკვე, მინიმუმ სამსახურის დაკარგვის შიშით, კანონდარღვევას ერიდებიან. ამიტომ, ავტომოყვარულისთვის სანუკვარი საბუთის მიღების გზა, სპეციალურ სკოლაში მომზადებასა და გამოცდების ჩაბარებას უკავშირდება.**

**თამარ როსტიაშვილი**

*დღესდღეობით, თბილისში რამდენიმე ავტოსკოლა მოქმედებს, სადაც მსურველები მსუბუქი ავტომანქანისა თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებების მართვას ეუფლებიან. ავტომანქანის მძღოლთა მოკლევადიანი მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ, მომავალი მძღოლები მანქანის გამოცდას ქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველოში აბარებენ. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, ჯერ რამდენიმე ავტოსკოლას, ხოლო შემდგომ, ქალაქის საგზაო პოლიციის სამმართველოს მივაშურე.*

*ავტოსკოლებში მოსწავლეები თეორიულ კურსს 1 თვისა და 10 დღის მანძილზე გადიან. ალბათ, შეგინიშნავთ, მარჯანიშვილის თეატრთან, სპორტის სასახლესთან და ქალაქის ზოგიერთ სხვა ადგილებში ჩამწკრივებული, სხვადასხვა მარკისა და ფერის მსუბუქი ავტომანქანები, რომლებსაც საქარე მინაზე „ს“ („სასწავლო“) ამშვენებს. უმეტესწილად, საბჭოური (ზოგჯერ — ევროპული და ამერიკულიც გამოერევა) წარმოების ავტომანქანების საჭესთან ინსტრუქტორები მოსწავლეებს მანქანის მართვაში წვრთნიან.*

*იმისათვის, რომ მძღოლი მანქანის გამართულად ტარებას დაეუფლოს, ცხადია, უმთავრესია პრაქტიკა, მაგრამ საინტერესოა, რას ასწავლიან ინსტრუქტორები თეორიული კურსის გავლისას?..*

**ნიკა მხეიძე,** *ავტოსკოლის ხელმძღვანელი:*

— ავტომობილის სამართავად, ისევე, როგორც პრაქტიკის გავლა, თეორიული კურსის შესწავლაც მნიშვნელოვანია. მომავალი მძღოლები სასწავლო პროგრამის მიხედვით, მანქანით გზაზე მოძრაობის წესებს ეუფლებიან. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მძღოლი, ზოგადად მაინც, მანქანის ნაწილებშიც ერკვეოდეს. კურსის გავლის შემდეგ, მოსწავლე გამოცდას ავტოსკოლაში აბარებს. გამოცდას პრაქტიკის ინსტრუქტორსაც აბარებენ. ჩაჭრის შემთხვევაში, მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ხელმეორედ ჩააბაროს გამოცდა. თეორიული კურსის შესწავლა 40 ლარი ჯდება, პრაქტიკის გავლისას კი, მოსწავლეები თითოეულ აკადემიურ საათში 10 ლარს იხდიან (ამ თანხაში შედის საწვავის ღირებულება და ინსტრუქტორის ჰონორარი).

**— მანქანის მართვის შესასწავლად, რამდენი პრაქტიკული მეცადინეობის გავლაა საჭირო?**

— ეს ინდივიდუალურია — გააჩნია, მოსწავლემ აქ მოსვლამდე, რა დონეზე იცოდა მანქანის მართვა. მას, ვინც საჭესთან პირველად ჯდება, უფრო მეტი მეცადინეობა სჭირდება, ვიდრე იმას, ვინც მანქანას უკვე მართავს და მხოლოდ საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების შესწავლა ესაჭიროება. მამაკაცე-

ბის უმრავლესობამ მანქანის მართვა პრაქტიკულად, იცის, შესაბამისად, გამოცდის ჩაბარება მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ისინი გამოცდას ერთი პრაქტიკული მეცადინეობის გავლის შემდეგაც აბარებენ.

*ბატონი **ბიბა** თითქმის 10 წელიწადია, რაც მანქანის მართვის ინსტრუქტორად მუშაობს. როგორც თავად ამბობს, ამ დროის განმავლობაში, მას ბევრი უნიჭო და ბევრიც ნიჭიერი მოსწავლე დაუხელოვნებია. საკუთარი „უიგულით“ კურიოზიც და სახიფათი ინციდენტიც არაერთხელ გადახდენია თავს...*

— გაზაფხულზე, 10 წელი გახდება, რაც ამ საქმეს ვემსახურები. უმუშევარი ვიყავი და ეს სამსახური შემთხვევით „გამოვჩხრიკე“. მძღოლობის თითქმის 35-წლიანი სტაჟი მაქვს და ამ ხნის განმავლობაში, 15-მდე მარკის მანქანა გამომიცვლია. მამაჩემს ძველებური მანქანა — „ზიმი“ ჰყავდა და პირველად, სწორედ ამ მანქანის საჭეს მივუჯექი. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი — ასე, 12-13 წლის ვიქნებოდი. დღესაც მახსოვს ის განცდა, რომელიც პირველად ავტომანქანის დამოუკიდებლად გატარების დროს დამეუფლა... თანდათანობით, ცოდნა დავხვეწე და ახლა უკვე სხვებს ვასწავლი. როდესაც საკუთარ მანქანას რომელიმე ნაწილი უზიანდება და მწყობრიდან გამოდის, საკუთარი ხელით ვაკეთებ. ახლა, 20 წლის „უიგული“ მყავს, „ჩორნას“ ვეძახი...

**გოგონები მანქანის დამოუკიდებლად მართვას საშუალოდ, 10-12 მეცადინეობის შემდეგ ახერხებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა მოსწავლეს მანქანის თავისუფლად სამართავად, მხოლოდ 3-4 მეცადინეობა დასჭირვებია**

მოსწავლეები უმეტესწილად, გოგონები არიან. თუმცა, ბიჭებსაც აქვთ სურვილი, მანქანის სრულყოფილად მართვა ისწავლონ. მძღოლები ხშირად იმის გამო არღვევენ მოძრაობის წესებს, რომ მათ სათანადო ცოდნა არა აქვთ. ვაჟები მართვას გაცილებით იოლად სწავლობენ, ვიდრე გოგონები, რადგან ბიჭების უმრავლესობას მანქანის მართვის გარკვეული გამოცდილება ჩემთან მოსვლამდე უკვე მიღებული აქვს. გოგონები მანქანის დამოუკიდებლად მართვას საშუალოდ, 10-12 მეცადინეობის შემდეგ ახერხებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა მოსწავლეს მანქანის თავისუფლად სამართავად, მხოლოდ 3-4 მეცადინეობა დასჭირვებია. შუახნის ქალბატონები მართვის შესწავლით იშვიათად ინტერესდებიან. ამ ასაკის მამაკაცი მოსწავლე თითქმის არ მყოლია. ყოფილი მოსწავლეები, მიშა ბიძიას მეძახიან და როდესაც დამინახავენ, გულთბილად მომიკითხავენ ხოლმე. ბუნებით მშვიდი ადამიანი ვარ და არ მახსოვს, რომელიმე მოსწავლესთან კონფლიქტი მომსვლოდეს. რაც არ უნდა პრეტენზიული და უნიჭო მოსწავლე მყავდეს, ვცდილობ, არ გავბრაზდე, მშვიდად ვუხსნი ხოლმე, თუნდაც, ერთი და იმავეს გამეორება მეათედ მიწევდეს. კონფლიქტური მოსწავლეები იშვიათად მყავს.

**— როგორც აღნიშნეთ, უკვე 10 წელია, რაც ინსტრუქტორად მუშაობთ. მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რაიმე ექსცესი არ მოგსვლიათ?**

— კი, ექსცესები და მოულოდნელი ინციდენტები ყოფილა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. სასწავლო მანქანა სპეციალურად ისეა მოწყობილი, რომ საჭიროების შემთხვევაში, ინსტრუქტორს საშუალება ჰქონდეს, მართვა საკუთარ თავზე აიღოს, რათა უსიამოვნო შემთხვევა თავიდან აიცილოს. დაახლოებით ერთი წლის წინ, ასე, 19-20 წლის გოგონას ვასწავლიდი. ძალზე ემოციური გოგონა გახლდათ, კრიტიკულ სიტუაციაში საშინლად იბნეოდა, როდესაც შემხვედრი მანქანა უახლოვდებოდა, კანკალს იწყებდა. მიუხედავად ამისა, მართვის შესწავლის დიდი სურვილი ჰქონდა, რადგან სკოლის დამთავრების აღსანიშნავად, მშობლების მიერ მისთვის ნაყიდი ახალთახალი „ფოლკსვაგენ-გოლფი“ ავტოფარეხში ელოდა... ვეუბნებოდი, რომ თუ ასე გააგრძელებდა, მანქანის მართვას ვერასოდეს შეძლებდა. ყოველ ახალ მეცადინეობაზე პირობას დებდა, რომ მეტ ყურადღებას გამოიჩენდა, მაგრამ — ამაოდ. დაახლოებით 20 მეცადინეობის შემდეგ, ძლივს მიხვდა, რომ მისგან კარგი მძღოლი ვერასოდეს დადგებოდა და მძღოლობაზე ხელი აიღო...

იყო ერთი კურიოზული შემთხვევაც: გოგონამ, რომელსაც მანქანის მართვას ვასწავლიდი, შემხვედრ მანქანაში დაინახა თავისი შეყვარებული, რომელსაც უცხო გოგონა უმშვენებდა გვერდს... დამიწყო ხვეწნა — გინდა თუ არა, გავეკიდოთო. ვუმტკიცებდი — ეს კანონდარღვევაა, ქალაქში ასეთი რამ დაუშვებელია-მეთქი. ის მაინც თავისას მიერეკებოდა. ბოლოს და ბოლოს, ერთი კარგად შემიკურთხა და მანქანიდან გადახტა. ამ ფაქტის შემდეგ, ის თვალითაც აღარ მინახავს...

**— რამდენად ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ ქალი საჭესთან — სახიფათოა?**

— იცით რა, ვფიქრობ, რომ ესეც ინდივიდუალური საკითხია. მინახავს მძღოლი ქალი, რომელიც მანქანის მართვის ცოდნით არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცს. მანქანის მართვისას, გოგონებს ხშირად, სარკეში ჩახედვა სჩვევიათ. ამ დროს, ყურადღება იფანტება და შესაძლოა, ავარიული სიტუაცია შეიქმნას. ალბათ, ამის გამო ამბობენ, რომ ქალს სამზარეულოში ფუსფუსი უფრო შეეფერება, ვიდრე საჭესთან ჯდომა. პირადად მე, სულაც არ მაღიზიანებს, როდესაც საჭესთან ქალს ვხედავ. ჩემი მეუღლე და ქალიშვილი სტაჟიანი მძღოლები არიან და მანქანის მართვისას ჩემზე არანაკლებ პროფესიონალიზმს ამჟღავნებენ.

*ავტოსკოლებში თეორია და პრაქტიკა გავლილი მომავალი მძღოლები მართვის მოწმობის მისაღებად, საგზაო პოლიციის სამმართველოს მიმართავენ. შესაბამისი პროგრამით ლიცენზირებულ სკოლაში კურსის გავლის შემდეგ, მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და 3 ფოტოსურათი. მართვის მოწმობა მხოლოდ 18 წლის ასაკის მიღწევისას შეიძლება მიიღოთ. რაც შეეხება გადასახადს — აღნიშნული საბუთის მისაღებად დაწესებულია საურავი — 28 ლარი. ე.წ. გასვლითი (საგზაო პოლიციის სამმართველოში ჩასაბარებელი) გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მომავალი მძღოლები ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელ მოწმობას 3 დღის განმავლობაში მიიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ ჩაიჭრირთ, მოგეცემათ საშუალება, ერთი კვირის შემდეგ, გამოცდაზე მეორედ გახვიდეთ.*

*მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, შესაბამისი საბუთების წარდგენისა და დაწესებული საურავის გადახდის შემდეგ, დაკარგულის ნაცვლად, მიიღებთ დროებით მოწმობას, რომელიც 1-დან 3 თვემდე ვადით მოქმედებს. ამის შემდეგ, ახალი მოწმობის აღების შესაძლებლობა მოგეცემათ.* ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეძიებ-ბარათებით

## განახლებული „ფიესტა“

გერმანული სატიუნინგო ფირმის — Wolf — სპეციალისტებმა, რომლებიც „ფორდის“ მოდელების სრულყოფას მისდევენ, გადაწყვიტეს, ამჯერად კომპაქტური მოდელის — Fiesta-ს მოდერნიზებაზე ემუშავათ. მანქანის გარეგნული მხარის დასახვეწად, მას წინა და უკანა სპოილერები შემატეს. სპორტული ამორტიზატორების დაყენების შედეგად, „ფიესტა“ უფრო დაბალი გახდა.

Wolf-ის სპეციალისტები მომხმარებელს 17 ან 18-დუიმიან, ჩამოსხმულ საბორბლე დისკებს სთავაზობენ. რაც შეეხება ძრავას — 1,4 ლ მოცულობის დიზელის აგრეგატის სიმძლავრე ინჟინრებმა 16 ერთეულით — ე.ი. 84 ცხ.ძ-მდე, ხოლო 1,6-ლიტრიანი ასევე დიზელი — TDCi — 118 ცხ.ძ-მდე გაზარდეს (ადრე ის 90 ცხ.ძ-ს შეადგენდა). სალონში დაყენებულია ახალი საპედლე კვანძი და ნატურალურ ტყავში შეფუთული ხელის მუხრუჭის ბერკეტი, ხოლო გადაცემათა გადართვის ბერკეტს ინდივიდუალური მანათობელი აქვს დართული. ■

## Subaru S 204

იაპონიაში სარბოლო ავტომობილის — Subaru Impreza WRX STi-ს ბაზაზე შექმნილი სპორტული მანქანის — Subaru S 204-ის გაყიდვა დაიწყო. ეს მანქანა აღჭურვილია 4-ცილინდრიანი ე.წ. ოპოზიტური ძრავათი, რომლის სამუშაო მოცულობა 2 ლ-ს, სიმძლავრე კი — 230 ცხ.ძ-ს შეადგენს. ეს არსებითად, ყველაზე მძლავრი მოდელია, „სუბარუს“ სერიულ მანქანებს შორის. მას 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი აქვს. ყველაზე აღსანიშნავი კი ის გახლავთ, რომ ახალი „სუბარუ“ ხელით იწყობა და მისი ტირაჟი სულ 600 ცალს შეადგენს. საბაზოსგან ის გაუმჯობესებული კომფორტულობით გამოირჩევა: სალონს ტყავგადაკრული სპორტული სავარძლები და თანამედროვე ავტომანქანისთვის დამახასიათებელი ყველა სხვა ატრიბუტი ამშვენებს.

იაპონიაში Subaru S 204 34.500 ევროს ეკვივალენტურ ფასად იყიდება. ■

## Pontiac Solstice GPX



წლეულს, ლოს-ანჯელესში გამართულ ავტოშოუზე General Motors-მა ცნობილი სპორტული მანქანის — Pontiac Solstice — ახალი მოდიფიკაცია — GPX წარმოადგინა. ეს ორადგილიანი მანქანა 260 ცხ.ძ. სიმძლავრის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი აღიჭურვება და 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,5 წმ-ზე ნაკლებ დროში განავითარებს. მისი ქარხნული მოდიფიკაცია მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, ხოლო ავტომატურს, ოპციის სახით შესთავაზებენ მომხმარებელს. Solstice GPX-ს თანდართული აქვს აგრეთვე: მუხრუჭების ანტიბლოკირების და კურსის მდგრადობის სისტემები, ბორტკომპიუტერი, მინების ელექტროამწეები, ანთების ჩიპიანი საკეტი. ახალი „პონტიაკის“ ფასი ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის, მაგრამ შესადარებლად გაცნობებთ, რომ 177 ცხ.ძ-იანი ძრავათი აღჭურვილი Pontiac Solstice 20 ათასი დოლარი ღირს. ■

## „დასნეულებული“ ლეგენდა

უძველესი ბრიტანული ფირმა „იაგუარი“ ვერა და ვერ ახერხებს თვითღირებულების მიღწევას. ამის გამო, კორპორაცია „ფორდი“, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის, იძულებულია, დროდადრო ხელი შეაშველოს „შვილობილს“. ამასწინანდელი ფინანსური ინიექციის მოცულობამ 1,2 მლრდ გირვანქა სტერლინგი (1,75 მლრდ ევრო) შეადგინა.

JAGUAR S-TYPE

ამერიკელებმა „იაგუარი“ 1989 წელს, 1,6 მლრდ გირვანქა სტერლინგად შეიძინეს. იქიდან მოყოლებული, ისინი გამუდმებით იბრძვიან რენტაბელობის მისაღწევად. ექსპერტთა აზრით, „ფორდის“ ამბიციური მიზანი — 2007 წელს მიაღწიოს მომგებიან ფირმად „იაგუარის“ გადაქცევას, — არარეალურია.

2005 წელს, „იაგუარის“ რეალიზაციის მოცულობა ამერიკულ ბაზარზე 15,5%-ით, ხოლო ევროპულზე — 23%-ით შემცირდა. შარშან სექტემბერში, კორპორაციამ ინგლისის ქალაქ კოვენტრიში მდებარე ქარხანა — „ბრაუნს ლეინი“ დახურა და მოდელების — Jaguar XK და XJ — გამოშვება შეწყვიტა. აღნიშნული საწარმო 1928 წლიდან არსებობდა, ახლა კი იქ მხოლოდ ხის პანელების სააქმრო, მუზეუმი და ადმინისტრაციული შენობა დარჩა. შემცირების შედეგად, ათასზე მეტი კაცი დარჩა უმუშევარი. ■

# პიჩიჩინიმ საქმრო ვერ მოძებნა

ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად აღიარებულ იტალიელ ფრენბურთელს, ფრანჩესკე პიჩიჩინის პირად ცხოვრებაში არ გაუმართლებდა?! ის უზომოდ პოპულარულია, თაყვანისმცემლებითაა გარშემორტყმული, მაგრამ მაინც ამბობს, რომ სიყვარულში უიღბლოა... ერთი წლის წინ, პიჩიჩინიმ გადაწყვიტა, დედა გამხდარიყო, თანაც მას სულაც არ აღელვებდა ის, რომ მშობიარობის შედეგად, ჩვეულ ფორმას დაკარგავდა. ფრანჩესკას თქმით, ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადასადგმელად ის მზად იყო, ცოტა ხნით სპორტსაც ჩამოშორებოდა. „ოჯახის შექმნა და შვილების ყოლა მსურს, ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ქალს“, — თქვა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს პიჩიჩინიმ, მაგრამ აი, ბედის უკუღმართობა — ის საქმროს ვერ „შოულობს“!.. შარშან მან თითქოს ეს პრობლემა გადაჭრა: მაშინ მას „პალერმოს“ გოლკიპერ, ნიკოლ სანტონისთან ჰქონდა რომანი. მაგრამ სპორტსმენები ისე იყვნენ თავ-თავიანთი საქმეებით დაკავებულნი, რომ მხოლოდ ტელეფონით ურთიერთობას ახერხებდნენ... ამჟამად, ფრანჩესკა ამბობს, რომ ნიკოლასთან მხოლოდ მეგობრობაღა აკავშირებს. „ჩვენ ერთად ვართ, მაგრამ — უბრალოდ ვმეგობრობთ, — აღნიშნავს ლამაზმანი, — მე კი, უფრო მეტი მსურს...“ ■



# გარი ნევილმა ქომაგ ქალბატონს ბოდიში მოუხადა

სიყვარულიდან სიძულვილამდე რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა 46 წლის ინგლისელი ქალი ჯულია პერი, რომელიც „ვულვერჰემპტონის“ ერთგული ფანია. ცოტა ხნის წინ, ის საყვარელი გუნდის მატჩს ესწრებოდა, როდესაც ინგლისის თასის გათამაშებაში „ვულვერჰემპტონის“ მეტოქე, „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო. ჯულია მოედანთან ახლოს დაჯდა, რომ კარგად დაენახა საყვარელი კლუბის სახელოვანი მოწინააღმდეგის მოთამაშეები. „მანჩესტერელებმა“ კი პერის ცნობისმოყვარეობას არასპორტული საქციელით უპასუხეს. მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გარი ნევილმა მთელი ძალით ტრიბუნისკენ დაარტყა ბურთი და პირდაპირ სახეში მოახვედრა ჯულიას, რომელმაც აცრემლებული თვალებით დატოვა სტადიონი. მოგვიანებით, ნევილმა ქალბატონს ბოდიში მოუხადა და ყვავილების თაიგულიც მიართვა. „შესანიშნავი ყვავილებია! მაშინ ტკივილის კი არა, წყენის გამო ვტიროდი. ახლა ფეხბურთელმა ბოდიში მომიხადა და წყენაც გამიქარწყლდა“, — ჰყვებოდა ჯულია, რომელიც ამ ფაქტის გამო ყველამ გაიცნო. ■

# კემპბელი გაუჩინარდა

„არსენალის“ მცველი, სოლ კემპბელი მოულოდნელად გაქრა. რამდენიმე დღის წინ „ვეტს ჰემთან“ შეხვედრისას, მისი შეცვლის შემდეგ, კემპბელი გასახდელში შევიდა, შხაპი მიიღო, ჩაიცვა, სტადიონიდან გამოვიდა და გაუჩინარდა. „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ წარმოდგენა არა აქვს, სად იმყოფება ფეხბურთელი. სოლის მეგობრების თქმით კი, ლონდონელთა მცველი სავარაუდოდ, ამერიკაში გაფრინდა. აღსანიშნავია, რომ კემპბელი დეპრესიაში იმყოფებოდა. 3 თვის წინ, მან ღამის კლუბში 18 წლის გოგონა გაიცნო. შემდეგ სოლმა მას რამდენჯერმე დაურეკა, მაგრამ გოგონამ უთხრა, რომ უბრალო მეგობრობის გარდა, სხვას ვერაფერს შეჰპირდებოდა... ფეხბურთელის ახლობლების თქმით, კემპბელი სწორედ ამ გარემოების გამო აღმოჩნდა სტრესულ მდგომარეობაში და გაუჩინარდა. ■

# ბოიერი არასპორტული საქციელისთვის დაჯარიმეს

„ნიუკასლის“ ნახევარმცველმა, ლი ბოიერმა პირდაპირ მატჩის მსვლელობის დროს გადაწყვიტა, გაერკვია ურთიერთობა თანაგუნდელ კირონ დაიერთან და უცენზურო სიტყვებით ლანძღვა დაუწყო მას. ეს პოლიციის წარმომადგენელთ არ გამოჰპარვიათ და ფეხბურთელს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში დასდეს ბრალი. ბოიერი ჩვენების მისაცემად სასამართლოში არ გამოცხადდა. ამიტომ მას სამართალდამცავ ორგანოში იძულებით მოუწევს მისვლა. გარდა ამისა, ჭკუის სასწავლებლად, „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ ნახევარმცველი 250 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. ■

# ბეკერი 70 წლის თვითმფრინავში

ბორის ბეკერმა მფრინავობა სცდა. ცნობილი ჩოგბურთელისთვის ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ინგლისში მოხდა, სადაც საზეიმოდ აღინიშნა ერთი თვითმფრინავის პირველი გაფრენის 70 წლისთავი, ეს ის თვითმფრინავია, რომელიც იგი მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელთა შეტევებს იგერიებდა და ის, დღესაც შესანიშნავ მდგომარეობაშია. ამიტომ მფრინავის კომბინეზონში გამოწყობილი ბეკერი გაბედულად მიუჯდა შტურვალს. „თვითმფრინავის კაბინაში მტერია“, — ბეკერის ეროვნების გამო ასე უხუმრია ერთ-ერთ თვითმხილველს. რეისი კი მშვიდობიანად დასრულდა. გამოცდილი ინსტრუქტორის დახმარებით, 38 წლის სპორტსმენმა აეროდრომის გარშემო თვითმფრინავით რამდენიმე წრე გააკეთა და მიწაზე დაჯდომის შემდეგ აღნიშნა: „ასეთი სახელგანთქმული თვითმფრინავით პირველად ვიფრინე“. ■

# იუნგბერგი შეყვარებულია

როგორც ჩანს, „არსენალის“ ნახევარმცველი, ფრედი იუნგბერგი მალე იქორწინებს. ამბობენ, რომ შვედეთის ნაკრების მოთამაშე მეტისმეტად მოუხიბლავს ქერათმიან მადლენ ლექსანდერს. იუნგბერგის თქმით, სწორედ ამ ლამაზმანს მიიჩნევს ის თავისი მომავალი შვილების დედად. თავად ლექსანდერმა განაცხადა, რომ მისი ბოიფრენდი, დევიდ ბექჰემზე უფრო სექსუალურია. „ჩემი ფრედერიკი ბექჰემზე უკეთესად თამაშობს. პირველ რიგში, ეს იმაში გამოიხატება, რომ ჩემს სატრფოს დაყენებული დარტყმა აქვს. გარდა ამისა, ის ინგლისელზე გაცილებით ტექნიკურია. ამიტომ ვერ გამიგია, რა ნახა ხალხმა დევიდში“, — დასძენს მადლენი. საგულისხმოა, რომ შვედ ნახევარმცველს დიდი ხნის განმავლობაში, არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცად მიიჩნევდნენ — შესაძლოა, მისი მუდამ ცვალებადი, ექსტრავაგანტური ვარცხნილობის გამოც. იუნგბერგი ნამდვილი ჰეტეროსექსუალი აღმოჩნდა, თანაც — ძალიან კარგი გემოვნების მქონე, რაშიც მადლენის გარეგნობაც გვარწმუნებს. ცოტა ხნის წინ, ფრედერიკმა Calvin Klein-ის მიერ წარმოებული ქვედა თეთრეულის სარეკლამო კამპანიაშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც მას ლონდონში მცხოვრები რუსი მოდელი, ნატალია ვოდიანოვა უწევდა პარტნიორობას.

# კოლიმარი ფსიქიატრიულში



ორიოდე დღის წინ, ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, სტენ კოლიმარი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა და როგორც ამბობენ, ამ დაწესებულების მრავლისმნახველი თანამშრომლებიც კი შეაშფოთა. ექიმებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ თვალებგადმოკარკლული ფეხბურთელი კედლებსა და იატაკს მუშტებს ურტყამდა და იგინებოდა — ნუთუ, ვერ ხვდებით, ვინა ვარო?! მისი დაშოშმინება ფსიქიატრიულის ორმა მცველმაც ვერ შეძლო. მათ აღნიშნეს, რომ „პაციენტი გასაოცარი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა“. ერთი სიტყვით, როგორც ჩვეულებრივ, ანალოგიურ შემთხვევებში ხდება ხოლმე, სპეციალური პრეპარატების მეშვეობით მორჯულებული კოლიმარი იზოლატორში მოათავსეს. იქ ის უკვე, თავზეხელებშემოწყობილი იხვეწებოდა — სახლში გამიშვითო... პირველად კოლიმარი ალკოჰოლიკთათვის განკუთვნილ კლინიკაში 1999 წელს მოხვდა. მაშინ ის მძიმე დეპრესიაში იმყოფებოდა. 2004 წელს, სტენი მეუღლემ, ესტელამ მიატოვა, რომელსაც ერთ-ერთ ტაბლოიდში ამოუკითხავს, რომ მისი ქმარი ავტოსადგომებზე სექსით გართობის მოყვარულია. სტენმა ცოლის წინაშე ღალატიც მოინანია, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამის შემდეგ, კოლიმარის სულიერი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რამაც კულმინაციას რამდენიმე დღის წინ მიაღწია.

# პელეს მამობა დაუწუნეს

ცოტა ხნის წინ, სანტოსის პოლიციამ შვიდი მამაკაცი დააპატიმრა, მათ შორის პელეს ვაჟიშვილი, ედსონ ჩოლბი დე ნასიმენტუ, იგივე ედინიო. 34 წლის ედინიო, რომელიც ერთ დროს „სანტოსის“ მეკარე იყო, ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის პირველად, შარშან, ივნისში დაიჭირეს. დეკემბერში ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს — მას შემდეგ, რაც მას ციხეში სახელოვანმა მამამ მიაკითხა. მაშინ მთელმა ბრაზილიამ ტელეეკრანზე იხილა „ფეხბურთის მეფის“ ცრემლები. ედინიო კი გამოტყდა, რომ მარიხუანას მოიხმარდა, თუმცა ნარკოტიკების კონტრაბანდაში მონაწილეობა უარყო. გარდა ამისა, მას ავტოკატასტროფის შედეგად მოტოციკლისტის მოკვლასაც აბრალებდნენ, მაგრამ ეს ბრალდება ივლისშივე მოუხსნეს. როგორც შემდგომში გაირკვა, ედინიო ცრუობდა. პოლიცია მის თვალთვალს განაგრძობდა და მისი ტელეფონის მოსმენასაც მიჰყო ხელი. სწორედ სატელეფონო მოსმენის შედეგად გახდა ცხადი, რომ ედინიო დანაშაულებრივ სამყაროსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამჯერად „ფეხბურთის მეფის“ ვაჟიშვილს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. ბრაზილიური მასმედია კი უკვე ხაზს უსვამს იმას, რომ „სამეფო სტატუსის“ მიუხედავად, პელემ შვილის აღმზრდელად ვერ ივარგა.

# პანჯარო და კაკაჩე დაქორწინებას არ ჩქარობენ

იტალიის ნაკრების მცველს, ჯუზეპე პანკაროსა და მოდელ ვიჩენცე კაკაჩეს შარშან დეკემბერში შეეძინათ შვილი. კაკაჩე ამბობს, რომ მათ მომვლელიც კი არ დაუქირავებიათ და პატარას თავად უვლიან. ახალგაზრდა მშობლებმა ბიჭს რიკარდო ბენიო დაარქვეს. „ყველაფერს თავად ვაკეთებთ, ძიძა არ გვჭირდება, — ამბობს კაკაჩე, — ბავშვის მოვლის მიზნით, სამსახურიც მივატოვე და ახლა მთელ დროს პატარაზე ზრუნვას ვუთმობ. ასე იქნება მანამდე, ვიდრე ჩვენი ბიჭუნა 8 თვის მაინც არ გახდება. რაც შეეხება ჯუზეპეს, ის ძალიან მეხმარება, რაც მთავარია, ახლა ბევრ დროს ატარებს ჩვენთან ერთად“. ვიჩენცე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ის მკაცრი დედაა: „თუმცა ის ჯერ ძალიან პატარაა, ვცდილობ, მივახვედრო, რას მოვითხოვ მისგან“, — ამბობს იგი. კაკაჩესა და პანკაროს ხშირად გაჰყავთ ბავშვი სუფთა ჰაერზე და დიდხანს ასეირნებენ. ამავე დროს, წყვილი ხანდახან მეგობრებთან შეხვედრასაც ახერხებს. რაც შეეხება ქორწილს, ვიჩენცეს თქმით, სულაც არ ეჩქარებათ. „უკვე საკმაო დროა, რაც ისე ვცხოვრობთ, როგორც ოჯახი, ნიშნობა უკვე გვქონდა, — ჯუზეპემ ბრილიანტის სამი ქვით მოჭედილი ბეჭედი მაჩუქა“.

*რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა*

# ყუთხეში მიმწყვდეული დინჟუანის „სიჩუქური"...

ინგა ჯაყელი

ჩვენი დღევანდელი ამბის გმირი დედაქალაქიდან გადმოსახლდა პატარა პროვინციულ ქალაქში და მოცლილობით დაღლილ ხალხს სალაპარაკოც გაუჩინა:

— ეს ულვაში გამპარსეთ, მაი თუ პატიოსანი კაცი იყოს და რაცხა ამბავში არ იყოს თავით გარჭობილი! — დაასკვნა ვაჟიკომ, ქარხნის ყოფილმა ინჟინერმა და ახლა ბირჟის „მთავარგამგებელმა", ნარდის და დომინოს ჩემპიონატების ორგანიზატორმა და მთავარი პრიზის — შინნახადი არყის ლიტრიანი ბოთლის დამაარსებელმა...

— რა ვიცი, გამარჯობა და მოკითხვა კაი იცის და!.. — დაიცვა ახალი მეზობელი დათიკომ.

— შეგვაგინებს და ქეც გახდება ოთხი კაცის ბეჭზე გასადები, მაი გვაკლია, საცხეიდან მოთრეულმა გვაგინოს! — დაიღრინა ნაბახუსარმა და უკმურ ხასიათზე მყოფმა ვალიკომ.

— საცხეიდან მოთრეულია, ბიჭო, დედაქალაქიდან ჩამოსული კაცი?! თან, საკუთარი ორსართულიანი სახლი ჰქონია ვაკეში, პირდაპირ „ყავის ჩანჩქერის" წინ...

— მიტოა, ქარში გარეთ რომ ვერ გამოდის: ყავა რა ვაშკაცის საქმეა, მომიყვანეთ და ღვინო-არაყში გამეჯიბროს! — დაიქადნა ვალიკომ.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, საარყე ქვაბი ვერ გოუძლებს და გასკტება, იმდენი სპირტი რომ ჩავასხათ, შენ რომ სვამ და მაგიზა კაცს ვერ გავლანძღავთ, შენ თუ ვერ გაგეჯიბრა! — როგორც იქნა, მოახერხა ჩართვა ყოფილმა პედაგოგმა, შალიკომ.

— მაინც არაა მაი პატიოსანი კაცი, თვარა, ამ ორ თვეში ახალმოსახლეს ან ნათესავი რავა არ მოაკითხავდა, ან მოყვარე! — არ ასვენებდა ეჭვი ვაჟიკოს და ასე გრძელდებოდა ახალი მეზობლის ეზოში გავლისას მანამ, სანამ ერთ დღეს, კაცი ფანჯრიდან არ გადმოხტა (კიდევ კარგი, პირველ სართულზე ცხოვრობდა!..) და დამდუღრულივით არ გავარდა ეზოდან, უკან კი გაწეწილთმიანი მსუქანი ქალის წყევლა-კრულვა არ მიჰყვა:

— სად წამიხვალ, ჩემი წერა ხარ, შე არაკაცო! როცა იქნება, დაგიჭერ და დაგასაჭურისებ!..

მოსეირე კაცებსაც მეტი რა უნდოდათ და პანაშვიდზე მიმავლებივით დამწკრივებულები, სიმაღლისდა მიხედვით შელაგდნენ ახალი მეზობლის მანამდე უნახავ ბინაში, სადაც უკვე ნაცნობ მსუქან ქალთან ერთად, ფეხმძიმე ქალი და კიდევ ერთი ახალგაზრდა დახვდათ, ორი ბავშვით...

— მე ამ ბინის „დომკომი" *(მამასახლისი, სახლის კომენდანტი. — ავტ.)*. ვარ და უნდა ვიცოდე, რა ხდება! — ხმას აუწია ვაჟიკომ, მაგრამ უმალ დაკარგა რიხი, როცა გააფთრებული სქელუა საყელოში სწვდა და ორი სანტიმეტრით ააშორა იატაკს... ძლივს გამოჰგლიჯეს კაცებმა ხელიდან...

— „დომკომი" თუ ხარ, არ უნდა იცოდე, ვის უშვებ სახლში და აფარებ ხელს?! ეჭვიც არ შეგეპაროთ, თუ ვინმეს გასათხოვარი გყავთ სახლში, ორსულად იქნება ყველა! — თვალები დაქაჩა ჭკუიდან შეშლილმა ქალმა.

— რას ბუუტურობ, შენ, თუ ქალი ხარ, კაი ენის იყავი! — შეიცხადა სამი გაუთხოვარი ქალიშვილის პატრონმა დათიკომ, რომელმაც მართლა შენიშნა ერთხელ, მის შუათანა გოგოსთან ღიმილით მობაასე ახალი მეზობელი და მაშინ, იმედიც აუფათურდა გულში: გონია, მეშველა, ერთს მაინც ჩავაბარებ პატრონსო!.. — რას ვბუუტურობ და ა! — წინ გამოაგდო მოსარჩენად გამზადებული ქალი მსუქანამ. — ჩემი გოგოა, ორჯერ მოაცილა სახლში და გაქრა, მე კი არა, ამ შტერსაც არ ახსოვს, როდის დააორსულა... გაშპა და დაიკარგა. კიდევ კარგი, ჩვენი მეზობლის შორეული ნათესავი აღმოჩნდა, იმან მიმასწავლა მისი სახლი და — გაყიდაო! — მითხრეს, მაგრამ ცოლ-შვილს უყიდა ახლოში ოროთახიანიო! გავგიჟდი ცოლ-შვილის ხსენებაზე, არ დავიჯერე, მაგრამ, ა, ფაქტი!..

— თქვენ ბრძანდებით, ბიძიკო, ცოლი! — თანაგრძნობით შეხედა ნირწამხდარ ქალს ვალიკომ.

— ვიყავი, მაგის ხსენებაც აღარ მინდა! — ხელები გაასავსავა ქალმა.

— ეს ბოვშები თქვენია?! — თითქმის ტოლ ბიჭებს მიეფერა შალიკო მასწავლებელი.

— ერთი — კი. მეორე, ვიღაცა ქალმა მომიყვანა ორი კვირის წინ და მითხრა — თუ იმას არ უნდა, არც მე მჭირდება ეს ბავშვი, გერმანიაში ვთხოვდებიო! მომიგდო კატის კნუტივით და გაქრა; ჰოდა, რადგან გავიგე მისი ადგილსამყოფელი, ჩამოვუყვანე, რაც უნდა, ის ქნასო! — „ხელები დაიბანა" ქალმა...

— ხომ ვთქვი, რომ არაა მაი კაი კაცი! — მაგიდაზე მუშტი დაარტყა ვაჟიკომ. — მე ვიცი, სადაც იქნება დამალული, თუ ჯერ კიდევ არ გაქცეულა ქალაქიდან! — წამოდგა და ორი კაცი გაიყოლა...

კარგა ხანი იყო, შეამჩნია, რომ „პივნოის" უკან დანგრეულ გარაჟებში უყვარდა ბორიალი და ერთხელაც, უკან გაჰყვა, მიაგნო კიდეც, ნახევრად დანგრეულ სათავსში მოწყობილ სამალავს — დივნითა და ძველი „კრესლოთი"... გაიკითხა და უთხრეს — ამ ბაღის დარაჯის მოსასვენებელიაო...

არ შემცდარა — თავზე წამოადგნენ, კუთხეში მიიმწყვდიეს. პროტესტი გამოთქვა: — პატრულს გამოვუძახებ და ციხეში წამიყვანონ, იმ ვეშაპს პირში არ მივეცემი, ბავშვების დანახვაზე კი ისტერიკა მემართება! — და იქვე აღიარა: — რა ვქნა, მე ქალი მიყვარს, ამ ქალებს კი, ტვინი არა აქვთ თავში, რამდენიც არ უნდა უმტკიცო, რომ მისი ცოლად შემრთავი არა ხარ, არ იჯერებენ და ბავშვებს ყრიან იმ იმედით — მერე გული მოუბრუნდებაო! — მე კი, სამუდამოდ შემძულდა ბავშვის ხსენებაც. ორი რუსეთში მყავს, ერთი — გერმანიაში და ერთი — საბერძნეთში; თბილისში — ოთხი და ერთიც კი ნახეთ, თვეშია... გუშინ, ერთმა აქაურმა ქალმაც მითხრა — მგონი ორსულად ვარო!..

ამის გამგონე დათიკოს თავში აასხა სისხლმა და უტიფარ კაცს წინ აესვეტა:

— თვალები გამისტორე და ისე მითხარი, რომ ჩემი ხელით არ ხარ მოსაკლავი!..

გამოცდილი დონჟუანი მაშინვე მიხვდა დათიკოს გაცეცხლების მიზეზს და კაცის დამშვიდება იჩქარა:

— ნამდვილად არაფერ შუაში ვარ, ორსულადაც რომ იყოს თქვენი ქეთინო!..

— რა ვქნათ? — დაიბნა ვაჟიკო.

— რა უნდა ვქნათ?.. კაცები ვართ და ყველას გვიშშაკია თავის დროზე ცოტ-ცოტა. ერთი ბოვში მეც ქე მყავს რუსეთში განაკეთები!.. — აღიარა, საბოლოოდ გამოფხიზლებულმა ვალიკომ.

— არაა ისე, ეს ამბავი ჩვენი საქმე! — დაეთანხმა ვაჟიკო...

დონჟუანმა დრო იხელთა და ყელი გამოიღადრა ხვეწნით:

— იმ ქალის ხელში ნუ ჩამაგდებთ, ორ თვეში ამერიკაში მივდივარ და მე ვიცოდე იქიდან თქვენი პატივისცემა!

...შეთქმულივით თქვა ყველამ ერთად: ვერ ვიპოვეთო!

...ერთ კვირაზე მეტი იცადეს ქალებმა და აბარგდნენ ბოლოს და ბოლოს მუქარით — მაინც დავიჭერთო!.. აღარც დონჟუანი გამოჩენილა: თურმე, ნაყიდი კი არა, ნაქირავები ჰქონია ბინა და საიდუმლოს შენახვა ძვირად დაუსვა კაცებს — მათი შესანახი გახდა გერმანიაში გაქცეული დედის 6 წლის ბიჭი, რომლის დედაქალაქში წაყვანაც არ ისურვეს ქალებმა — ჩვენ ჩვენი გაჭირვებაც გვყოფნისო!..

ჯერ უპატრონოთა სახლში დაუპირეს ბიჭს ჩაბარება და ბოლოს, ვეღარ გაიმეტა სამი ქალიშვილის მამამ და ბიჭზე ოცნებაში დაბერებულმა დათიკომ: — ასე უცნაურად ამიხდინა ღმერთმა ნანატრიო! — და იშვილა დონჟუანის „ნაცოდვილარი"...

■

1 მოკლე სასაცილო ამბავი
2 მუსლიმანთა ლოცვა
3 იტალიის ფეხბურთის გუნდი
4 შარჟი
5 მამაკაცის ერთგვარი ქუდი
6 რუსი ილუზიონისტი
7 რძის ნაწარმი
8 რესტორანი გერმანიაში
9 ცხენების ჯოგი
10 ბადმინტონის ბურთი
11 აფრიკის შტატი
12 მეჩეთის კოშკი
13 აქლემის ნაშიერი
14 ბუდისტური სალოცავი
15 მუსლიმან მამაკაცთა თავსაბური
16 ზღაპრული შინაარსის ლექსი
17 სახელმწიფო დასაყრელი ადგილი
18 ძალის ვეში
19 დაუსტნელი
20 გემის მზარეული
21 დახელოვნებული მზარეული
22 ადამიანის მსგავსი მაიმუნი
23 ბლეგური სისტემის რეფლექსი
24 ზღაპრული შინაარსის ოვალი
25 ლექსის ცხრასტრიქონიანი სტროფი
26 ქვის გროვა
27 ჩიტების საჭერი მახე
28 კავკასიელ მთიელთა სოფელი
29 დიდი ჩაქუჩი
30 ერთგვარი კანფეტი
31 მაჭადიანთა სულიერი-წინამძღოლი
32 კანადელი მომღერალი

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ეპიტაფია; 2. კაბრიოლეტი; 3. საკე; 4. სარკაზმი; 5. სენეგალი; 6. გუბე; 7. ასპიტი; 8. ელი; 9. ულუსი; 10. ივ. 11. რობი; 12. საუნა; 13. სიასამური; 14. პინია; 15. გავიალი; 16. იმიჯი; 17. ვარანი; 18. ვიოლა; 19. ზვირთი; 20. ტბა; 21. ფენი; 22. თეატრი; 23. მარანი; 24. მამული; 25. გორკი; 26. ფალი; 27. ბლუ; 28. სპა; 29. ბჯა; 30. ტაბუ; 31. ლაბა; 32. გოლფი; 33. კიი; 34. რიალი.

**სურათზე:** პატრიკ სვეიზი.

***23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ბ.***

## დიოგენეს ფარანი

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე (404-323 ჩვ.წ.აღ-მდე) უარყოფდა კერძო საკუთრებას, იმდროინდელი ქორწინების ფორმებსა და კულტს, იმის საფუძველზე, რომ სიმდიდრე, ფუფუნება რყვნის ადამიანს და უკარგავს მას ადამიანურ ღირსებებს. დიოგენე ზედმეტად მიიჩნევდა არათუ ფუფუნების საგნებს, არამედ პირველადი საჭიროების საოჯახო ნივთებსაც კი. გადმოცემის თანახმად, დიოგენემ ხელი აიღო მთელ თავის ქონებაზე და დაიტოვა მხოლოდ ერთადერთი ვერცხლის თასი, რომელიც თან დაჰქონდა წყაროდან სასმელი წყლის მოსატანად. ღამესაც კი კასრში ათევდა. ერთხელ, ფილოსოფოსმა დაინახა მწყემსი, რომელმაც წყაროდან პეშვით დალია წყალი. დიოგენემ ვერცხლის თასიც განზე მოისროლა — ესეც ზედმეტი ყოფილაო.

განდეგილობის მქადაგებელი ფილოსოფოსი დიდ მოთხოვნებს უყენებდა ადამიანს. როგორც გადმოგვცემენ, დღისით ის ანთებული ფარნით დადიოდა ათენის ქუჩებში და გამვლელთა შეკითხვაზე — ეს რას ნიშნავსო? — უპასუხებდა — ადამიანს ვეძებო...

## პირველი ღამის უფლება

ფეოდალური წესწყობილების დროს, ყმას არ ჰქონდა უფლება, დაქორწინებულიყო თავისი ბატონის ნებართვის გარეშე, ხოლო გათხოვილ გლეხ ქალს პირველი ღამე ბატონთან უნდა გაეტარებინა. დაქორწინების ნებართვის მისაღებად, ყმას ხარკი უნდა გადაეხადა ბატონისათვის. ეს იყო საუკუნეების მანძილზე მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც ევროპის არც ერთ სახელმწიფოში საკანონმდებლო აქტით გაფორმებული არ ყოფილა.

ქარიელ ენაში დაბეჭდილი ეპიზოდები

# ანეკდოტები

***

გურიაში ჩასული რაჭველი სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

— ქვე უკაცრავად, მარა ესენი ტყუპები არიან?

— არა, გენაცვალე, ერთი ბოვშია, მარა ნამეტანი ცელქი, აპა!

***

სვანი ფრანგულს ისწავლის და ხელზე ჯვარს დაიხატავს, არ დამავიწყდესო!

***

სამშობიაროში მედდა ორი ბავშვით ხელში ახალშობილების მამასთან მიდის:

— თქვენ ალბათ ერთს ელოდით მაგრამ, ხომ არ გაშინებთ ეს ფაქტი?

— არა, რას ამბობთ — დაბნეული სახით პასუხობს მამა.

— ძალიან კარგი, მაშინ თქვენ ეს ორი გამომართვით და მე დანარჩენებს მოვიყვან.

***

ორი სომეხი ერთმანეთს ენიძლავება.

— სეროჟ, ცავატანემ, მოდი ჩავყვინთოთ და ვინც უფრო მალე ამაყვინთავს, სახინკლეც იმან იკისროს!

მეორე დღის საინფორმაციო გამოშვებიდან:

იპოვეს ორი დამხრჩვალი სომეხი...

***

ოსს დედას შეაგინებენ და ოსი გაიქცევა, სახლში არ მიმასწრონო.

***

— ვთხოვდები და წარმომიდგენია რამდენი ჩემი „პაკლონიკი“ გამწარდება...

— კი, მარა რამდენს მიჰყვები?

***

— დედა, მამა, გაიცანით, ეს არის თაკო, ახლა ის ჩვენთან იცხოვრებს.

— კარგი გოგოა?

— კი, არ სვამს, არ ეწევა.

— თაკო, რატომ არ სვამ და არ ეწევი?

თაკო, ჩახლეწილი ხმით:

— უკვე მომბეზრდა ტო!

***

— ჭიჭიკია, რას აჭმევ შენს გოჭებს. მეც მინდა მასთე გახდომა.

***

გურულს ეკითხებიან:

— როგორ ხარ?

— ისტე ვარ, რავარც ლენინი!

— ეს როგორ.

— არც მაჭუმენ და არც მასუმენ.

***

ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას:

— ცოლი მევიყვანე შველივით გოგო!

— ჩემიც გავს რაცხა ცხოველს, მარა, ჯერე ვერ მივამგვანე რომელს!

***

— ეჰ, მოვხუცთი, მოვხუცთი, — ამბობს 85 წლის ვალიკო... — პირველ ორზე მაგრათ ვარ, მესამეზე ცოტა მიჭირს, მეოთხე-მეხუთეზე ვიოფლები.

— ქალებზე, ბაბუ?

— არა, კაცო... კიბის საფეხურებზე...

***

რეპორტიორი კინოვარსკვლავს:

— რამდენი ქმარი გყავდათ?

— ჩემი თუ სხვისი?

***

მრავალწლიანი დაკვირვებიდან:

ქალები ხელისგულზე უნდა ატარო და კისერზე თვითონ დაგასხდებიან.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ამბობს:

— გუშინ ჩემპიონი გავიცანი კრივში. ჯერ რესტორანში დამპატიჟა, მერე მასთან წავედით სახლში.

— მერე. როგორი შეგრძნება გქონდა?

— აბა, რა გითხრა... წარმოიდგინე უზარმაზარი, სამკარიანი კარადა და მის საკეტში პა-ა-ა-ტარა, პა-ა-ა-ტარა გასაღები...



***

კასრში ცოცხალი თევზი ყრია და იყიდება. მიხო კითხულობს:

— თევზი ახალია?!

— ახალია, ვერა ხედამ, ცოცხალია.

— მერე რა, ჯო, ჩემი მაროც ცოცხალია, მაგრამ ახალი კი არ არის.

***

გეოგრაფიის მასწავლებელი მოსწავლეს:

— აბა, მურთაზ, მითხარი, სად აღმოვჩნდებით, დედამიწა ეკვატორთან რომ გავხვრიტოთ.

— საგიჟეთში, მასწ. — მიუგო მოსწავლემ.

***

ცირკის ილუზიონისტმა დარბაზიდან ბავშვი იხმო:

— შეგიძლია, ბიჭუნა, ამ ქალბატონებს და ბატონებს დაუმტკიცო, რომ პირველად მხედავ?

— კი, მამი!

***

ნარკომანი ქორწილს იხდის. თამადა:

— აბა, ბიჭებო, ვენა იპოვეთ.

— ვიპოვეთ, ვიპოვეთ! — ახმაურდნენ ერთხმად.

— მაშინ... გორკა!

***

პაპუასი პაპუასისთვის არის მეგობარი, ამხანაგი და კერძი.

***

შიშველი ქმარი სარკის წინ დგას და ცოლს დაფიქრებით ეუბნება:

— იცი, 5 სმ-ით მაღალი რომ ვიყო, ნამდვილი აპოლონი ვიქნებოდი.

— ხო, მარა... ხუთი სანტიმეტრით მოკლე რომ გქონდეს, ნამდვილი ვენერა იქნებოდი.

***

ავტობუსში დაბალი მეგრელი „აბუინდა“:

— ქალბატონო, ჩამოიღეთ ხელები ჩემი მხრებიდან, მაგალითად!

— ეს ხელები არ არის, მკერდია.

— უჰ! უკაცრავად, ქალბატონო, მაშინ დატოვეთ.

# იმსახურებთ თუ არა გარშემო მყოფთა სიყვარულს?

**ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებებთან დაკავშირებით, გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება პასუხებით — „დიახ“ ან „არა“.**



1. ადამიანები, რომლებთანაც ყოველდღიურად გიწევთ ურთიერთობა, თითქმის ყოველწამიერად, დაჟინებით ცდილობენ ყოველი თქვენი ნაბიჯის შეფასებას.

2. ადამიანს საკმაოდ განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გრძნობა, რათა გარშემო მყოფებთან თავისუფლად შეეძლოს ლაპარაკი საკუთარ გატაცებებზე. სხვათა შორის, არც იმასა აქვს დიდი მნიშვნელობა, აინტერესებს თუ არა ეს ყოველივე თანამოსაუბრეს.

3. ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილებაა — ადამიანმა შეინარჩუნოს ღირსების გრძნობა მაშინაც კი, როცა ის დიდი ცდუნების წინაშე დგას და მთელი არსებით სურს სხვაგვარად მოქცევა.

4. მეტყველებისას დაშვებული შეცდომა თანამოსაუბრეს უნდა გაუსწოროს.

5. უცხო ადამიანებთან შეხვედრისას, აუცილებელია გონებამახვილობის, მჭევრმეტყველებისა და მომხიბვლელობის გამოვლენა, რათა მათზე სათანადო შთაბეჭდილების მოხდენა შეძლოთ.

6. თუკი უცხო ადამიანის წარდგენისას თქვენ ვერ მოჰკარით ყური მის სახელს, სთხოვთ, რომ ხელმეორედ გაგიმეოროთ.

7. დარწმუნებული ხართ: პატივს იმიტომ გცემენ, რომ თქვენთან შეხუმრების უფლებას არავის აძლევთ.

8. ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოთ, თორემ ხომ შეიძლება, ირგვლივ მყოფებმა მასხრად აგიგდონ?!

9. მახვილგონიერი და ნათელი გონების ადამიანთან ურთიერთობისას, მოკრძალების გრძნობა გეუფლებათ და მასთან პოლემიკის გამართვის უფლებას თავს არასოდეს აძლევთ.

10. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, მხარი აუბას იმ განწყობილებას, რომელიც იმ კომპანიაში სუფევს, სადაც ის იმხანად იმყოფება.

11. მეგობრებს დახმარების ხელი ყოველთვის უნდა გავუწოდოთ, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ისეთი დროც დადგეს, რომ თავად დაგვჭირდეს მათი მხარდაჭერა.

12. ვიღაც-ვიღაცებისთვის დიდი სამსახურის გაწევა არ ღირს, რადგან ძალზე ცოტა ვინმე თუ აფასებს სათანადოდ თქვენ მიერ გაწეულ სამსახურს.

13. უმჯობესია, სხვები იყვნენ თქვენზე დამოკიდებული და არა თქვენ მათზე.

14. ჭეშმარიტი მეგობარი ყოველთვის გვერდში უდგას საკუთარ მეგობარს და მის დახმარებას ცდილობს.

15. ადამიანმა საგანგებოდ უნდა გამოამზეუროს თავისი საუკეთესო თვისებები, რათა გარშემო მყოფებმა სათანადოდ დააფასონ ის და მათი კეთილგანწყობილებაც დაიმსახუროს.

16. თუკი ახლობლების თავყრილობაზე ჰყვებიან ანეკდოტს, რომლის შინაარსიც თქვენთვის ცნობილია, უმჯობესი იქნება, თუ მთხრობელს სიტყვას გააწყვეტინებთ.

17. თუკი ახლობლების თავყრილობაზე ჰყვებიან ანეკდოტს, რომლის შინაარსი, თქვენთვის ცნობილია, უმჯობესი იქნება, თუ თავს შეიკავებთ, არაფერს შეიმჩნევთ და სხვებთან ერთად გულიანად იცინებთ.

18. მეგობარმა თავისთან დაგპატიჟათ, თქვენ კი კინოში წასვლა გსურთ: ამგვარ სიტუაციაში არ უნდა გარისკოთ და უარის ჭეშმარიტი მიზეზი არ უნდა გაამხილოთ, რათა მეგობარს გული არ დასწყვიტოთ. უმჯობესი იქნება, თუ მისთვის, უარის სათქმელად უფრო საპატიო რაიმეს მოიმიზეზებთ.

19. ჭეშმარიტი მეგობარი, თავისი მეგობრებისგან ყოველთვის ზედმიწევნით სანიმუშო ქცევას მოითხოვს, მაშინაც კი, როცა მათ სხვაგვარად მოქცევა სურთ.

20. ადამიანმა ყოველთვის ჯიუტად და დაჟინებით არ უნდა დაიცვას საკუთარი პოზიცია მაშინ, როცა ვინმე მის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს.

**დააჯამეთ ქულები: ყოველ დადებით პასუხში დაიწერთ 5 ქულა, უარყოფითში კი — 0 ქულა.**

## ტესტის შედეგები

**85-100 ქულა — შესანიშნავი შედეგია.**
**75-80 ქულა — კარგი შედეგია.**
**65-70 ქულა — დამაკმაყოფილებელი შედეგია.**
**60 ქულაზე ნაკლები — ცუდი შედეგია.**

**თქვენი პასუხების მიხედვით, რაც უფრო მაღალი ქულები მიიღეთ, მით მეტი საფუძველი გაქვთ ივარაუდოთ, რომ გარშემო მყოფთა სიყვარულს იმსახურებთ.**

## პანდორას ყუთი

ძველბერძნულ ენაზე — „პანდორა“ — „ყველაფრით დაჯილდოებულს“ ნიშნავდა, გამოთქმა — „პანდორას ყუთი“ კი, ადამიანთა მოზღვავებული უბედურების სინონიმია.

უძველეს დროში, ადამიანებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა იყო სევდა, მწუხარება, უიმედობა, ავადმყოფობა, ტკივილები და კაცთა სხვა მრავალი უბედურება. ისინი დროს განცხრომაში ატარებდნენ, ღრმა მოხუცებულობამდე ინარჩუნებდნენ სულიერ მხნეობას და ტკბილი ძილის დროს კვდებოდნენ.

პრომეთემ ღმერთს ცეცხლი მოსტაცა ხალხისათვის. ამით განრისხებულმა ზევსმა ადამიანთა მოდგმის დასჯა განიზრახა. მისი დავალებით, ოლიმპოს ღმერთებმა შექმნეს ქალური სიტურფითა და საოცარი სილამაზით დაჯილდოებული ქალი. ამიტომ მას პანდორა — ე.ი. ყველა სიკეთით დაჯილდოებული — უწოდეს. ზევსმა, პანდორა დედამიწაზე მოავლინა, თან საჩუქრად დაკეტილი ყუთი მიართვა. ეს მშვენიერი ქმნილება პრომეთეს ძმას, ეპიმეთეს გაჰყვა ცოლად. პრომეთემ იცოდა, რომ ზევსს კაცთა მოდგმის დასჯა ჰქონდა განზრახული და ძმა გააფრთხილა, რომ არანაირი საჩუქარი არ მიეღო ღმერთებისგან, ეპიმეთემ დაივიწყა ძმის გაფრთხილება, მიიღო ზევსის ნაბოძები ნივთი და შეინახა. ცნობისმოყვარე პანდორა დაინტერესდა, თუ რა იყო ყუთში და ოდნავ ახადა. იქიდან კი, ყველანაირი უბედურება ამოზღვავდა. პანდორამ სწრაფად დახურა ყულაბა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ყულაბის ფსკერზე მხოლოდ უკეთესი მომავლის იმედიღა დარჩენილიყო...

# ნოვატორული ბოდიარტი



23 წლის ბრიტანელმა ქალმა, კამილა ლესნიაკმა, ქმრის თანხმობით, გულმკერდზე ორიგინალური სვირინგი — საკუთარი 9 თვის შვილის, ზუზელას პორტრეტი გაიკეთა. როგორც ამ ფოტოზე ჩანს, ქალი ფრიად კმაყოფილია მიღებული შედეგით და იმედოვნებს — როცა მისი გოგონა გაიზრდება, ის უთუოდ იამაყებს დედის ამ საქციელით. საინტერესოა, რომ ტატუირების ოსტატი, რომელმაც კამილას გულმკერდი მოუხატა, ცდილობდა, გადაეთქმევინებინა მისთვის ამის გაკეთება. მაგრამ ახალგაზრდა დედამ შეუპოვარი ხასიათი გამოამჟღავნა. ის ალბათ, იმითიც ძალზე კმაყოფილია, რომ ამ თითქოსდა უბრალო საქციელით მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი...

# ყველაფერი ფიზიკურადაც ხარობს...

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, რომელიც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მდებარე, ფინანსური კორპორაციების ბევრ თანამშრომელს აწუხებს, ძალზე აღელვებს მათ ხელმძღვანელებს. ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების მესვეურებმა აღნიშნული პრობლემის მარტივად გადაწყვეტა განიზრახეს და როგორც ჩანს, ეს გამოუვიდათ კიდეც: ხელქვეითებისთვის მზის სხივებისა და ბუნებასთან კონტაქტის ნაკლებობის კომპენსაციის მიზნით, ერთ-ერთი ბანკის სარდაფში საუცხოო მცენარეები გააშენეს, ცხადია — უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, ცოტა ხანში, ამ დაწესებულებაში საგრძნობლად იმატა შრომის ნაყოფიერებამ.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

*გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!*

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 4 | 6 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 8 | 7 | 9 | 2 | 5 | 4 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 5 | 8 |
| 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 4 |
| 4 | 5 | 6 | 1 | 3 | 8 | 7 | 2 | 9 |
| 2 | 1 | 3 | 4 | 9 | 7 | 5 | 8 | 6 |
| 8 | 9 | 1 | 2 | 7 | 6 | 3 | 4 | 5 |
| 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 4 | 8 | 9 | 1 |
| 3 | 4 | 5 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 1 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 | 7 | 8 |
| 9 | 4 | 7 | 8 | 2 | 3 | 1 | 5 | 6 |
| 6 | 9 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 8 | 5 | 6 | 1 | 4 | 2 | 9 | 7 |
| 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 1 |
| 5 | 6 | 8 | 4 | 7 | 1 | 9 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 7 | 9 | 2 | 3 | 5 | 6 | 8 | 4 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 7 | 5 | 1 | 6 | | | |
| | 1 | 2 | 3 | 7 | | 4 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 5 | | | 4 | 7 | 1 | |
| 7 | 9 | | 8 | 2 | | | | |
| 2 | 4 | | 9 | | 5 | | 7 | |
| 5 | | 3 | | 4 | 7 | 8 | 9 | 2 |
| | 7 | 9 | | | 2 | 5 | 4 | 3 |
| | 5 | 4 | | 3 | 1 | 9 | | 6 |
| | 2 | | | | 9 | 1 | 8 | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 9 | 2 | | 8 | 3 |
| | 3 | 1 | 5 | | 7 | | 9 | |
| 9 | 8 | 5 | 3 | 4 | | | | 7 |
| | 2 | 3 | 9 | 7 | 5 | 1 | | |
| 1 | | 9 | 6 | | | | 7 | 5 |
| 5 | 7 | | 4 | | | 9 | 2 | 8 |
| | | | 2 | | 3 | 7 | | 1 |
| 3 | 1 | | | 6 | 4 | | | 9 |
| 6 | | 7 | | 1 | 9 | 4 | 3 | 2 |

# ფოტოკუჩიოზები





# ეკლესიის!

# არ გამოგრჩეთ!

№3(39), 10-23 თებერვალი 2016

ფასი 80 თეთრი

# ალილუია

ქრისტიანული ჟურნალი

ნოემბრის თემა:
**ცრურწმენა**

ეს განსაცდელი
რომ არა, ალბათ
ვერასოდეს
მივიდოდი ეკლესიაში

მითხარით ერთი,
განა ეს არის
ჩვენი სასოება?

აჭარელ კაცს ეამაყება,
რომ ღვთის წყალობით,
მამაპაპისეულ
სარწმუნოებას უბრუნდება

ასე მაკურთხა
უწმინდესმა
დიაკვნად
თავის კაბაში

# ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ